63
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N3
3/2007

1522
2007

ეროვნული
გურამ
დოჩანაშვილი

ესეისტიკა
მერაბ
ბერძენიშვილი

ეროვნული
გიორგი გიგაური

პოეზია
მარო
თარხნიშვილი

თეატრი
სერგო
ზაქარიაძე

ეროვნული
მიხეილ
ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ბერძენიშვილი

შოთა რუსთაველი

ლიტერატურა და ხელოვნება

N3(15)

03/2007

ISSN 1512-3189

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი
ზურაბ თორია

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა
მერაბ ბერძენიშვილი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია

მაგთიკომი

სარჩევი

ესეები, ესეიზმი

3 გუსამ დოჩანაშვილი - ისც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება /ხომანი/
28 გიორგი გიგაური - ლექსები
31 ნუნუ ქადაგიძე - ჯადოქარი
39 ჯემალ ჩახავა - ლექსები
41 ნონა გიორგაძე - ლექსები

ინტერვიუ

43 ალბერ კამიუ - დაბრუნება ტიპასაში /თარგმნა ნატო ხევსურიშვილმა/

ოპერეტი

47 ნათელა უჩუშაძე - ხსოვნის სარკეში /სერგო ზაქარიაძე/
53 მანანა გეგეჭკორი - მსახიობი თავისი როლის ავტორი უნდა იყოს /მერმან ჯინორია/

მუსიკა

58 თამარ მესხი - ქართული სიმღერის დედა /მარო თარხნიშვილი/

ქანდაკება

62 ვალერიან სირაძე - ქანდაკება - სულიერი გზის ანაბეჭდი /მერაბ ბერძენიშვილი/

ინტერვიუ

72 მიხეილ ჯავახიშვილი - უხანგრძლივესი სულიერი კავშირი

მკვლევრის გზე

82 ირაკლი ოსტავა - „მიტოვებული ასპარეზი“

84 ფოტოარქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო საბჭო:

ფასუა ანანიაშვილი, ზაზა ბერეკაშვილი, ნანა ბერეკაშვილი,
ეროსი ბერძენიშვილი, ანაგა ბოლქვნაძე, მაყვალა გოხაშვილი,
ნათელა ყორეშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე,
თამაზ ჩხენკელი, გიგი ფრეთილი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

გურამ დოჩანაშვილი

ისე უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება:

(ეგრეთწოდებული „ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

თავი III, სადაც:

აქა ამბავი ვახტანგ-ბიძიას შე-მოქმედებისა; ერთიც ხელობა, — პროზა; და თუ როგორ ჩაიყვან-ამოიყვანა ერთმაც შოფერმა თავისი მანქანა..., და, სხვაც-ამბები...

ჩვენში ნუ დარჩეს და, დიდად უცნაური რამ კი არა და თავად ვინმ-აა ეს მთლადაცყოვლად სხვადასხვაგვარულად მეტყველი, — „ვითომ“...

დასაწყისი იხ. №1,2/2007

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველზე მეტად კი, — სხვებისაც კი ამამეტყველებელია, ოღონდ ეს რა სიცხარეთი, განმანსხვავებელად, ჩვენს... რამდენი ადამიანიცაა, სუცოტა იმდენივეა და საქმე საქმეზე რომ მიდგება, — რაოდენ ბევრია — დასაბადებლებისათვისაც; კი.

არიან მწერლები, დიდი ოსტატობისა და ერთგვარი ზედაპირული პატიოსნების ძალიანაც ღრმად მფლობელნი მაგრამ რაცგინდაც სიმართლით (ოღონდღა მხოლოდ თავიანთით) სწერდნენ, მათში მათთან ეს ყველაფერი — „ვითომ“-აა. ისეთი უბრალო რამც-კი, როგორებიცაა კაცი ადგა, დაჯდა, თუ წავიდა ან მიდი-მოდის, ეს ყველაფერი, გარეგნულად ერთგვარი სიმარტივით დაძლევისა-და-მიუხედავად და გარდა, მაინც მას ექვემდებარება და ეს ყველაფერი — „ვითომ“-ია. ეს უაღრესად რთული რამაა — ესი წავიდა თუ მოვიდა ან ადგა-დაჯდა, და ეს ყველგანაა — ყოველდღიურს რომ ვეძახით — მაგრამ ამ-„ყოველდღიური“სთანა? — დიდად უმრავლეს შემთხვევაში, წაიმოათეისტო ერისკაცებისათვის, უფრო ზედაპირულად მოსულელო გამოთქმა მე იშვიათად გამიგია, სხვისა არ ვიცი, მაგრამ ეს „ვითომ“ საოცრად მაღალ დამაჯერებლობას აღწევს თუკი დიადურ შემოქმედებს როგორ წყალობად დაადგება თავთ და ისინი კი, მთელის არსებით შეიბუდებენ, უცხოელებთაგან ჩემთვის ყველაზე მეტად იმაათიოდ მესიტყვეში ეს — ფლობერია, თავი და თავი ჯერ „სალამბო“-სა და მერე „მადამ ბოვარი“-ს გადმომწერი, და, საოცრებავ, — რომელსა-ერთ ადამიანზე ნაკლებ-მეტყველებენ თავად კიპლინგის — საიდან რისი გადმომწერის! — ნადირები-მისი მის-„ჯუნგლის წიგნი“-ს „მაუგლი“-ში, ეს მათი „ვითომ“ — უმაღლესია, უხვი სიკეთით დავლენილი, მათზე, სულაც სხვა ძალა კი, მართლაცდა მაიმუნისებრ-ოჯახოვანთა-წევრებს როგორებიცაა სარტრი, ბოკაჩო, ნიცშე, ბრეხტი (— „გამოჩენილები“-დგან მოგახსენებთ), და მათზე არანაკლებ სხვაც-ცნობილები რომელთაც აქ არ მოვიხსენიებ რადგანაც სიცოცხლეშივე, მწარ-მწარი ხვედრი, ჰქონდათ და ხოლო იქ კი, იიქ, განმსჯელი, სხვა კი არა და თვიით ისაა და, იგია, ییგი, და ნუ გაკვირდებით აქ რომ ჩემ-ჰაზრით ასე ვძრახავ მათ — აქ მე არავითარ შუაში არ ვარ, თავად მოიჭრეს და დაილუპეს საი-იმქვეყნოდ, ამ-ქვეყნად, თავი, რადგან მიიღეს ის ისი-ძალა, ხშირ შემთხვევაში ოსტატობისთვისაც გადმოგდებული (ხოლო ბ. ბრეხტს კი ესაც არ ჰქონდა მაგრამ მართლაცდა თავისი ჭკუით ძალიან დასცინოდა აბა თუ იცით ვის — ვისა და, ჰესეს) ბოროტისაგან, ეს სულიერად მაიმახურა-გახრეკილები, ეს, მაგრამ დიადი „ვითომ“, თვით

თავად იგი შესაძლოა რომ თავთ დაადგეს ოღონდ კეთილად ისეთ არეულ-დარეულს კაცს რომელიცა რომ ჩეხი ებრაელი იყო და გერმანულად წერდა — ეს კაფკაა, რომელთანაც რომ ადამიანის მწერად გადაქცევა გაცილებით სინამდვილედ ულერს ვიდრე ზოგიერთთან „კაცმა მლაშე ჭამა მოწყურდა და წყალი დალია“ მაგრამ ეს კაფკა თავის ურწმუნოებაშიაც კი იმდენად პატიოსანი აღმოჩნდა რომ გარდაცვალების (და არა სიკვდილის) წინ თავისი ნაწერების დაწვა ძალიან ისურვა და ამ მონანიებისათვის ალბათ შეენდო, აიქ, ღვთისაგანნარარიგ მოწყალე, და აბა რა ჩვენი სა-თანადოა თვით თავად ღმერთი მაგრამ, ვუყვარვართ, და ყოველივეზე მეტად კი — მონანიებისათვის, მიგვიღებს, უკიდეგანო წიაღს...

ვინმე სადმე დასაბეჭდად თუ მიიტანს რომელიმე რედაქციაში თავის თხზულებას და უარით რომ გამოისტუმრებენ იმ პასუხით რომ — „დაუჯერებელია, ამიტომ სუსტია“, დაწუნებული დამწუნებელს მთლადაც ბითურად, ჩათვლის — როგორთუ დაუჯერებელია, ესა-ამბავი ნამდვილად მოხდა-ო, მაგრამ, შეკაცო, შენ თუ თვალწინ გიდგას შენი მეზობელი ვინმე-ალექსი და კარგა იცი თუ როგორი ცხვირა-პირი და ულვაში აქვს, ეს იმას ვერ ნიშნავს რომ მეც ასეთად აღვიქვი იგი და ასე რომ, ასეე იგიი, ეგრეთწოდებულმა „ნამდვილმა ამბავმა“ გაცილებით ი-იოლა-ი-ოდ შესაძლოა შეგაცდინოს კაცი,

ხოლო ხანდახან? — „ვითომ“-ისაგან სამართლე ანუ ზე-სინამდვილე ხანდახან ისე ჩამოყალიბდება რომ თან განმტკიცდება და თანაც შეიქნება როგორ-რა-შვებად, ჰაეროვანზე ჰაეროვანი, არაა ეს ეს-ერთის-შეხედვით როგორი განსხვავებულობანი რადგან მოცარტი – სად ტრაგიზმი და სად ჰაეროვნება მაგრამ მოცარტი — ჰაეროვანი ტრაგიზმია რაც რომ ჩვენს სამდიად ქართველს რა უხვადა და ძალუმად ჰქონდათ კი არა, აქვთც — ეს ვაჟაა, თავისი „ალუდა ქეთალაური“თა და „სტუმარ-მასპინძელი“თ და პროზითაც და ნებისმიერი ლექსით —ჰაეროვანი ტრაგიზმითაა გაჟღენთილი და ასევ — ფიროსმანი ვისი თალხი ფერებიც — ჰაეროვანი ტრაგიზმია და თან — როგორი სინამდვილე თუმცაც არწივს-შემზარავში და მთვარიან ღამეში მოქცეულ დათვსა და მისი მოქეიფეების გაქვავებული ქანდაკები ხომ — რა შინაგანად მოძრავია ფიროსმანისავე იმ მდინარეებით შვლებსა და წითელპერანგა მებადურს ფეხებსა და ჩლიქთ რომ ლამაზად როგორ, უკვეთს, და გალაკტიონი, ვისაც ტრაგიზმი ძალიან მრავლად შეხვედრია რადგან სულ რომ არაფერი — გალაკტიონი... პოეტი... იყო, მერე როგორი, რომელი-ერთი ცხოვრებისეული ტრაგიზმი მისი პწკარების ზეტრაგიზმთან და თან თან როგორ გვულერს, რა მისალებურად-სინამდვილეთი, ასამაღლებლად, ჩვენს, და გალაკტიონზე თავხედობამდე რა ზედმეტია თქმა იმისა რომ იყო დიდი და დიადი და გენიოსი და განუმეორებელი ტიტანი — არა, არამედ გამოთქმით-უბრალოთე? — გალაკტიონია, და მორჩა, და ეს იმიტომ მიემადლათ ამ-სამთ რომ თავი და თავი წყალობა, ჰქონდათ — მათთვის ყოველი წვიმა, მარადიული ბავშვებისათვის, იყო პირველი, რაისი ისი მარტივი-„ვითომ“, და ხოლო ამ „ვითომ“-ისი რა-ამაღლებულ სიმაღლედ ქცევა — სინამდვილედ, კი, — ეს უმაღლესი მთლად-ცარგვალისა ზეშთად-ზეგარდმო უუმაღლესი იქამდე რომ, თან კოჭმაღალიც კამარაა, თანაც ირგვლივი, მიწიდან ცა-ცად როგორ მყარ-კოშკად სიმძიმეთი მყარადც შეკრული და თან ჰაერში ისე ძალიან მოტივტივე რომ — რომელი ერთი ბაბუაწვერასი ჰაეროვანი ნამსხვრევები — ნამსხვრევები და — მოტივტივე? ზარ-ზეიმური ტრაგიზმით ქმნილნი? —

უუჯილდოეს კამარაოვნებად, ჩვე-მკითხველებისა თუ შემაცქერლებისათვის, ადამიანებისათვის, ჩვე...

* * *

რამდენ-ხანია, „იქამდე“-სი და „იქამდე“-დან და „იქამდე“-თი აღარაფერი მოგიხვევიათ თავს — „ჩემი შენ გითხარიო“... — და ამიტომაც, სამაგიეროდ, ჩემით გამცნობთ, კი:

— გეიგეთ, გეიგეთ!!? — შორიდანვე შემოსძახით დეიდა ჭაპულა, — იმ შეჩვენებულს კიდო რაუქნიაააა...

— შემოდი ქალო ოთახში ჯერ...

— მევითქვა სული... რავა გაზრდილა, — და, გუშინდელსავე სანდროს კოცნის, – მისულა ის შეჩვენებული ბიძინა ალმასკომში თუ დაღმასკომია თუ რაცხა...

— მოდი აქ, ბოშო, ჩამოჯედი ჯერ... — და ღუმელთან იმასაც უდგამენ სამფეხა სკამს, ღულელებში კი ეხლა ალბათ თოვს, თოვს და საღამოს პირია, შეშას მუყაითად აპობს გოგი, პერანგისამარა, დეიდა ერმონა კი, თბილად ჩაცმული, ღაზლსა და ბამბოვანში, იცდის, იცდის და ათოვს, მერე ნეკნებზე იდაყვებმიდებულ, მართკუთხა ხელებს გაუშვერს და ქვასავით შეშას ულაგებს ქვეყნისამტან ხელებზე გოგი, თან უფრთხილდება: „გეყოფა, დეედ“... აქა კი, დეიდა კატუტასა და ძია ბესოს შტაბში, სანდრო მაშინ თუმც იქაა მაგრამ ახლა კი, 68 წელს მიტანებული, იმ სამზარეულოში როგორიღაც წარსულმონატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ მონადირესავით, ჭუჭრუტანაში იჭ-ვრიტება და ასე უცქერს და უსმენს ერთსაც ბიძინა-ლოღაბერიძისეულ იმე-ამბავს, რომ:

— ჰოდა, მისულა პირდაპირ გუნდის მე-ცადინეობიდან ბიძინა, უფროსობასთან მოკ-ლეთ, და იგენს, ხოიცი, თელიდღე რო აფერი აკეთონ დილა-საღამოობით უყვართ შეკრე-ფა... ჰოდა, დოუდვია თავი და, შესულა პირ-დაპირ იგენთან. ნასვამი კია პეტერე მარა რაუჭირს, ბიძინასას ყოლისფერს გუობენ...

„არ დაილალე, დეედ?... „არა". „მართალი მითხარ". „მორჩი". — გოგი რადგან უფრო-სია, შვილებში ყველაზე მკაცრად ექცევა. „მოვრჩე? ეგ რასა — შეშის დაპობასა?" „ყბე-ედ".

— ჰოდა, დოუდია თავი და, შესულა პირ-დაპირ იგენთან დაღმასკომში. ნასმია პატრა-თი მარა რა უჭირს, ბიძინასას ყოლისფერს გუობენ...

— გევიგეთ, გევიგეთ მაგი!.. მერე?

— ოო, ლოტბარს გაუმარჯოსოოც ვთქვი უკვე?

— არა.

— ძალიანკაი. ოო, ლოტბარს გაუმარჯოს ლოტბარსოო, უთქვამს იგენის თელათ მთა-ვარს, რასა ი,ქ,მ-ბიძინა, ხო-მშვიდობა�ა, შვი-დობა კიაო, ბიძინამ, თურმე, მარა სათხოვარი მაქვენ თქვენ ბატონო ძალიან ერთიო, ბიძი-ნას იგინი კომუნისტობიაზათი ამ თლათ-გლა-ხა სიტყვას, ბატონო-საც ქეპატიობენ... ორი იყოსო, რადარა სათხოვარებიაო, უმფროსს. რა სათხოვარიო და, ბატონო იმანო, კი ვარ ლოტბარი მარა გუნდი როარ მივარგანაო? არ გავარგანააო?, რატოო, რატოოდა, ბატო-ნო იმანო და, შოუხედავი ქალები მყავს ძალი-ანო. მღერით, იცოცხლე, ნამეტანი კარქათ კიმღერიან, მარა, რომელიმეზე ხოუნდა შოუ-ჩერდეს ხალხს თვალიო...

„დეედ, დე"... — ცბიერად ეკითხება გოგი, — ერთი კილო რკინა უფრო მძიმეა თუ, ერ-თი კილო მატყლი?" დეიდა ერმონა კი ჯერ გააგრძელებს: „ჰაიი, ჰაიი, — და მერეღა დას-ძენს, — ცარიალაღა ჭკვავ".

— მერედა, მე რა გიშველო ამხანაგო ბი-ძინაო. რაო და, ორი ისეთი ახალი კონსერ-ვატორიადამთავრებული ლამაზი კაიქალი უნდა გამიხერხოთო, სულე არ მინდა იმათი სიმღერა, ზდილობისათვის მარტო პირი და-აფჩინონ და სმენაც თუგინდა თლათ ანტუშა საკანდელიძისთანა კიარა აგერ მიშიკია და თენგულიკო ნოქრები ქერაა უნივერმაგში იმათსავითე ქერო აქვენ ისექონდეთო მარა ერთს ერთ კიდაროზე დავაყენეფ და მიორეს მიორეზე და, იარს სულმოთქმულათე აქით-იქით ხალხისი თვალიო. და, დაფიქრებულა პატარას ივენის თლათუფროსი. ახლა, ქუთე-ისში რომელს არ გვიყვარს ხუმრობა და, იგე-ნის თლათ კამანდირსაც შენაძლება და ასე უთქვამს საგანგებოთ რო მოუთვალიერებია აიბიძინა: მერედა, ამხანაგო ბიძინა, შენ თი-თონ როარ ხარ ლამაზი, რათ გინდა შენე ლა-მაზი ქალებიო. ახლა, რა დიდიიმდონიშვილი ხუმრობა ის იყო, მარა, რო ესიამუვნებიათ, უფროსიზა? ისეთი სიცილ-კისკისი ოუტეხი-ათ დანარჩენ იგენს რომ, იცინიან, იცინიან კვტნებიან თურმე სიცილით პირდაპირ და ძა-ანაცე უსიამოვნებიათ უმფროსი და, ძლივს ქერო ჩაშოშმინებულან, ძლივს... უიმე, ვუი... და ამას, ამას ამ შეჩვენებულს ჩვენსსას, რა უპასუხია თუ იცით... ვაიმე, ვუიმე, ვაი... დე-ვიხრჩვი ქალი! წყალი...

„მაგრამ დეიდა ერმონას შვილებმა მაინც იცოდნენ, დედაიმათი ჩუმ-ჩუმად რომ იფე-რებოდა. რომ იტყოდა, ვთქვათ: „საქონელი გარეკე, ბალღო", ბალღო— ძაანაც ფაქი-ზად ჟღერდა, დიდად განსხვავდებოდა „შე-შას აღარ დააპობ, ადამიანო?" — საგან, ხო-ლო როდესაც სინკომ კუჭის სამი ურთულე-სი ოპერაცია გადაიტანა და ქალაქში იწვა, დედათავისმა ერთხელაც ასე ჩაილაპარაკა: „ენაცვალოს დედილო" და იქვე ისე გაშრაა რომ „დედილო"-თი თავის თავსაც კი, უბე-დურ თავს რომ მოეფერა"...

და დღევანდელმა 67 წლისამ, ამ წარ-სულს-მონატრებულმა მონადირემ მთლად აღარ იცის, სხვადასხვაგვარი განწყობები-სადა-მიუხედავად, ამა-ორთა ადგილთაგან რომელ ერთს უჭვრიტინოსა და დატკბეს, მათით — აქაც კარგი, იქაც კაი-აა ორთავე-ესა მშობლიურები, მისთვის, და რიგ-რიგო-ბით არა სჯობიან? —

— რა უთქვამს ბოშო და, უთქვამს, ვაიმე ვუიმე მომკალით ვინცხამ, უთქვამს, მე რომ არ ვარ ლამაზი, მიტომაც ვდგავარ ხალხის-კენ ზურგით და ისე ვლოტბაროფ ჩემო ბა-ტონო იმანოვო, და, შეუთვალიერებია ი-უმ-ფროსი კარქათ...

„დეიდა ერმონას ხმა ჰქონდა ლმობიერი, ლმობიერების ერთი, და, დასდგომია ერთხე-ლაც თავთ შავკოპლება ბურკავს, რომელსაც რამე-რუმეებით პირთამდე სავსე ტაშტში ჩა-უყვია დინგი და თქვლეფს, თქვლეფს რომ, მეტი აღარ შეიძლება — დინგით სუ ტაშტის განგრევასა ჰლამობს, ხრუტუნებს, ღრუტე-ნებს, ჰქშენს. რალადროს იმისი ზედაც-მოფე-რებაა, ღორულის ჰაზრით, დიდებასაა და ეგ არი, მაგრამ — სწორედაც რომ საკვირვე-ლი — დეიდა ერმონა თავს დასდგომია და, იმ თავისი რბილად წელადი ხმით, დაჰლა-პარაკებს: „შეექეც, შეექეც შე ბეჩავო-შენა, შეექეცი"-ო, — ეფერება. და გაკვირვებული სანდრო რომ დაინახა, რომელიღაც შვილით

ხელში, განზე იბრუნა პირი, და თავი იმარ-
თლა თუ რა, თქვა:

— უენოაა.

და მაღალი „ჰ“-ც რომ დააყოლა, აფორია-
ქებულმა სანდრომ, რომელსაც ცოტა რამ გა-
ეგებოდა ბგერებისა, იმავ საღამოს სოფლის
კლუბის დანჯღრეულ პიანინოზე რომ შეა-
მოწმა ეს ეს-„უენოაა-ჰა“, კი, კი, ნამდვილად
ასე ულერდა: რე-სი-ქვემოთა დო — ისევ ის
სი-ლაა-სი-ჰ!.. — დეიდა ერმონა?:

მღერდა.

— და კიდორაში ყოფილა თუ იცით, საქ-
მე? — ძლივს ითქვამს სულს დეიდა ჭაპულა,
— ის-იმ-იგენის თელათე ვუმფროსი და გი-
ნირალი ჩვენბიძინაზეც ვარესადაც შუუხედა-
ვი ყოფილა თურმე!.. და მაინც პრაზდნიკო-
ბიას პირიზიდიუმეფში ხალხისკენ იმ-პირით
იჯდა! და მიტო შუუთვალიერებია ბიძინას
დაჟინებითე-ისთე მომკალით ვინცხამ!.. და,
თნლათ-თელათ ტყვილე-ტყვილა კიარ ვართ
ქუთეისლები და, ქუთათურებიო თუ რაცხა,
და – უნდათ თურმე მარა რას უნდათ კაპი-
ტან-ვუმფროსის იგინებს კაისიცილი მარა შო-
უკავებიათ მაინც ძლივსე თავი და ღრანჭი
ისეწვალებით ძალიან-ძალიან, როო, და დაღ-
მასკომს კიდო რა უჭირდა იმბუროიან (— იმ
ბიურაოინ) საღამოსვე თელათ სავატყოფოში
მოხვედრილარიან იშემია თუ რაცხა ჭირია
სწორეთაც იმით!.. ჩაწოლარიან, ყველა!!

დეიდა ერმონა სანდროსი ნათესავი თუმ-
ცა არ იყო, არამედ მაინც ძალიან ახლობე-
ლი; სანდროს პაპა, ფერშალი იოსები ერწოში
(რამდენიმე სოფელი შედის) დაუნიშნავთ და
სანდროს ბაბუშკა კიდე — ექთნად და, დეი-
და ერმონას, მთლად ახალგაზრდას ძალიან
სასტიკად რომ გადასჭრია უცაბედი ნამგა-
ლით, ხელი, სანდროს ბაბუშკას მოურჩენია,
ძლივს – ხელი ოლღამ მამირჩინაო თორე მე
და უხელო? ოთხბალღითაო, უქმაროსაო, რა
მეშველებოდაო და, დამეგობრებულან, მთლა-
დაც სიცოცხლის ბოლომდე, და, სანდრო-
საც ერგო თავისი წილი ღულელები, ოღონდ
მთლად მასპინძლების კისერზე კი არ იყვნენ,
თანაბრად იყოფდნენ ღულელური საქონლის
ბარაქასაც და ჩატანილსაც ქალაქურ სურ-
სათ-სანოვაგეს თანაც ბაბუშკამ უგემრიელე-
სი ნამცხვრების გამოცხობა იცოდა,

დაა, ერთხელაც, ღულელებში, ხუთის ნაც-
ვლად შინ ორნიღა არიან, და ახლა თუმც
იქ არაა მაგრამ სანდრო ამას გადმოცემით
და კარგად-ყოვლისშემძლე „ვითომ“-ით ნამ-
დვილად ხედავს, და, სწორედაც — ორნი-
ღა იმიტომ არიან, რომ — ყოჩაღი მაგრამ
ცურვის უცოდინარი ხარება ფლოტშია,
თენგიზა, მინინგიტიანი, და სინკო ქალაქის
საავადმყოფოში წვანან და ამიტომ გოგიც
ძალისძალათი, დედის გასამხნევებლად თავ-
სზემოთ ხუმრობს, თანაც ექიმი ძია პეტა
თავისი მეგობარ-ექიმებით — ძია შალიკო,
ძია ვახტანგი — რომელ-ერთ წამალს მოაკ-
ლებს და ბაბუშკათი გამზადებულ საკვებს
და საერთოდაც რას გაუჭირვებს, იმათ, და
შედარებითს-მშვიდს არიან, ხოლო დეიდა ერ-
მონას კერიის დატოვება არ შეუძლიან რა-
გინდ იწვალოს დედისიგულით, რა ქნას, ან-
და იქ რას გაუკეთებს, - ამითლა იმხნევებს
ბეჩავს-როგორ, თავს, გულიც თუმც ლბილი
და, მტკიცეც აქვს, და შვილისა-კი შეხუმრე-
ბებს თითო-ოროლა სიტყვითლა, იტანს,

ხოლო ძალისძალათი კი არა, მთელი თავი-
სი თავიანთურა-არსებით, გინდ არტიისტ-აკ-
ტრისკულად შენიღბულებივით არიან ახლა
დასავლეთ-საქართველოს-დამტიებელი გად-
მოთბილისელები და არის ერთი სიცილ-კის-
კისი ის მერე რა რომ ომია, უჭირთ,

და, სკეტჩს რომ ეხვეწებოდ-ეხვერწებოდ-
ნენ ნათესაობაში დიდად გამოჩენილ სკეტ-
ჩისტს, დასავლეთელებია და რა ქნან, თავი-
დან ვითომ ყველაფერს უარობენ და მათ
შორის რაღა თქმა უნდა, სკეტჩსაც — ძია
ვახტანგი: „რაცხა ვერ ვარ ხასიათზე“-ო, ბე-
ბია კი — „რაღადროს ჩემი ვინმესი გაცინ-
ვაა, დავბერდი ქალი“-ო, და, სანამ გურამს
დააფიცებენ, ეუბნებიან ასე:

— კაი ახლა ფაცა, რას იპრანჭები პუშკი-
ნი არ იპრანჭებოდა ამდენს,

და ეს-იმათი ესი-პუშკინი ასე ვთქვათ ძა-
ან ფიგურირებს „გაცინვისა“ და სკეტჩების
შესაკვეთად, ხოლო ერთხელაც ბებიამ რომ
უთხრა „ასე უნდა მაწვალო ბიჭო მე შენ, დავ-
ბერდი ქალი“-ო, რაღაც თორმეტიოდ წლისა
ვიყავ, რომ გავამხნევე ოღონდაც ასე:

— რა დროს შენი სიბერეა, ბებია, მთელი
ას-ერთი წლით ხარ პუშკინზე უმცროსი (ბე-
ბია 1900-სში იყო დაბადებული, ხოლო პუშკი-
ნის გოდ-როჟდენია მოგეხსენებათ იყო 1799
წ.), თანაც პუშკინი ასე ოცდათევსმეტი-ოც-
დაჩვიდმეტი წლის მოკლეს და იმაზედაც კი
თელი ას-ერთი წლით უნცროსი ამბობ იმას
რომ, დავბერდიო,

ხოლო ბებიამ კი-მითხრა ასე, რომ:

— დეიკარგე შენ რას ბუუტუროფ, — ო,

მაგრამ, ნათქვამი, ისთე-ძალიან მოეწონა,
რომ აშკარათე მოეფონა, გულს,

და რამდენჯერ გავბითურებულვარ ცხოვ-
რებაში, ვალოდიასი-იმ-ერთივით მართალია,
არა, მარა, კაიგვარიანად, ხოლო ორჯერ კი,
ნამეტანი, და ორივედ — ბებიას წყალობით;
ერთ-ერთს ახლავე მოგიყვებით, მცირე შესა-
ვალით:

ჩემი პირველი წიგნი რომ გამოვიდა, 1966
წელს, ალბათ ზედმეტია ბებიასი ჩემით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღფრთოვანებისა და თავმოწონების აღწერა, და, კარგა ფიქრის შემდეგ მაინც რომ მივიტანე ჩემს სკოლაში, სადაც 9 წელიწადს ვსწავლობდი, ჩემი წიგნები მასწავლებლებისათვის გადამეცა თუ არა რადგან ვერა ჩიტაიას, თამარა ქოიავასა და ოღღა შელიას გარდა ასე VI-VII კლასიდან გაწამებულები მყავდა ყველა, მაგრამ მაინც გავბედე და, იმდენი ხნის უნახავი, ისე მიმიღეს, ხელწიგნიანი, ისე მეფერნენ — შენისთანები უფრო გვიყვარსო რომ იმ ამბავს ეს-მეუღირსი როგორ შევედრები მაგრამ რაღაცა-ციცქნურ-პაწაწკინტელათი ჩვენი შეხვედრა უძღები შვილის მობრუნებასა, ჰგავდა, და გახარებული რომ დავბრუნდი, ბებიამ — კატუტას როდის მიუტანე წიგნი, ხომე არიან კარქათო? — დაა, ვაიმეეე, დამცეცხლა-ა, — შინაური და ახლობელი რომ გამოგრჩება სწორედ ადამიანს! — ვაიმე, გამომრჩა-მეთქი, და — ოოჰხ, შენ ნათესავი და მახლობელი როარ იცი რა უნდა გამოხვიდე მწერლის-მეტი,ო, ი-იქითურა ი-პაჭანიკეფს ხო-დოურიგე კარქ-კარქათო, წადი ახლა სადაც გინდა და როგორც გინდა უშოვე შენიწიგნი და ისე-მიბრძანდი კატუტასთანო. —

დეიდა კატუტა უკვე სხვაგან ცხოვრობდა, როგორი-ჩვენი რუსთაველის ორი ბედოვლათ-ყეყეჩებისაგან უკვე დანგრეული იყო,

და რა ვქნა, ვარ სასტიკ დღეში — მაშინ წიგნები, განსაკუთრებით პროზა ორ-სამ დღეში იყიდებოდა, მდარე პოეზია — ასე-კვირაში მაინც, ჰქონდა მაშინ ხალხს იაფი წიგნის შესაძენად ხელფასი იქნებოდა თუ პენსია, და დავიარე მაინც მაღაზიები და, აბაა, — სადღაა... და ერთმა კეთილმა ნაცნობმა კი მირჩია: „გურამ, ავლაბარში ორი წიგნის მაღაზიაა და იქ კი არ იქნება მაგრამ ავლაბრის გაგრძელებაზე, ნავთლული ქვია თუ რა, მესამე მაღაზიაცაა სადღაც და იქ უფრო ძლებს ქართული წიგნი რადგან ძირითადად არა-ქართველი მოსახლეობაა იქო და, გამხნევებულმა, მეორე დღესვე ტაქსით გავწიე — ტაქსი მაშინ კილომეტრი — ათი კაპიკი ღირდა, ავიარე, ჩავიარე ეს ნავთლულია თუ რაღაცაა ორჯერ მაგრამ სადაა წიგნის მაღაზია, ვაჩერებ მერე ტაქსს, ვეკითხები გამვლელს „ბოდიშით, აქ წიგნის მაღაზია სადაა"-მეთქი, დაა, პასუხად: „წიგნმა რაარი?" გრძელდება ასე, და, ტაქსის შოფერმა — იმათ მუშტრების ხშირ-ხშირა ცვლა ბევრად ურჩევნიათ — „სმენა მიცდის და წავიდე-უნდა გარაჯში"-ო, გამექცა ისიც, გადავჯექი ტრამვაიში და, ისევ: „წიგნმა რა არი?" და, თურმე რაღაცა წრიპა ქუჩა ყოფილა მთავარი ქუჩის პარალელურად და ის მიმასწავლა ვინცხანა კეთილინტელიგენტმა, შევედი იმ პატარა მაღაზიაში და, ახლაც ძალიან მიჭირს ჩემი სახელისა და გვარის წარმოთქმა — ამ ნაბეჭდში რომ დიდგულზე ვარ ისე კიარაა საქმე — და მაგრამ ჩემს წიგნთან დაკავშირებით მაგრამ მაინც ამოვუღერღე გამყიდველს — ასე 20 წლის გოგონას გუჰრამ დოჩსჩანაშვილის წიგნი თუ გაქვს-მეთქი, და, — იყო-გათავდაო, იმან; აუუ, ჯერ რომ მხოლოდ „არა" ეთქვა (გავინაწილებდი გულდაწყვეტას — ამსიშორეზე ეგებ ჯერ არც მოუტანიათ-მეთქი), და რომ მოვიწყინე ძალიანი, ისი-გამყიდველ-გოგონი კეთილი ადამიანი აღმოჩნდა ნამეტურ და, ასე მანუგეშა: „რას მოიწყინე რო მოიწყინე-თ ასე, მე წევიკითხე მაგიწიგნი და, სისულელეა თავიდან-ბოლომდე"-ო.

აქღაღა მაკლდა, დასავლეთელ-ქართველი... თუმც, შემოევლოს მათ დიდნაწილს, ეს ჩემითავი გინდაც გაბითურებული ისე რომ მხრებამხტნარი, სულაც — თბილისია-ეს, დაა ასეე? — საქართველოა, ვუმფრო...

დეიდა კატუტას კი როგორღაც როგორღაც მაინც ვუშოვე წიგნი... იმან გაიხარაა...

თქვენ გახარება კი ბებიასი უნდა გენახათ ცოტათი ადრე, 1961 წელს, IV კურსის ვითო-სტუდენტს (მე უნივერსიტეტი კი არა უნივერსიტეტის ბაღი უფრო მაქვს დამთავრებული სადაც ყოვლად უმანტიოდ მაგრამ მთლად-ერთპიროვნულ „რექტორად" პოეტი შოთა ჩანტლაძე იყო, ჩემი უფროსი მეგობარი და თანაც მელიქიშვილის 45-ს მეზობელი) ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ და ბატონმა გიორგი შატბერაშვილმა, მერე და მერე ჩემმა როგორ-უახლოესებმა და კეთილისმყოფელებმა ორი მოთხრობა რომ დამიბეჭდეს, რომელთაგან პირველი — „პირველი კონცერტი" ბებიაზე იყო, მაგრამ ბებიამ, — „გადახარებულ-გადადაღფრთოვანებული" ცოტასიტყვებია, აქ, — მაინც მისაყვედურა: „ასე უნდა ბიჭო? გაზარდე და გადაყევი-ახლა რამდენიც გინდა, შვილიშვილს, რატო მომკალი მოთხრობის ბოლოს შე უსვინდისო, ამცხოვრებაში რომკლავ ის არ მეყოფა"-ო? მე, ვანუგეშე-ვითომ: „არ ხარ ის-ბებია ბებია შენ, აბა როდის იყო მე რომ ვიოლონჩელზე ვუკრავ"-მეთქი (რაღაც მოსაზრებით, მოთხრობაში ვიოლინო ვიოლონჩელოზე გადავცვალე), დაა, ამაზე-ხომ, სუმთლად გადაირ-გადეირია: — „რააო? სხვის ბებიაში გამცვალე და ისმოკალი ჩემიმაგივრათ შე-შე მართლა უსვინდისო და სასიკვტილე"-ო?

და, დასავლეთითც, საქართველოსკენ მთლად, ვივსებოდი, ჯერ კიდევ ბავშვი, და ხოლო პროზისათვის კი ესაც როგორი კარგი იყო და რაღა თქმა ისიც, თავიდან ძალიანი-რომ ეხვერწებოდნენ ვახტანგ-ბიძიას, ახლობლობაში დიდად გამოჩენილ ის მერე რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მხოლოდ კამერულ-სკეტჩისტს, მაგრამ დავიწყებ სხვა შესავალიდან — :

მართლა, გიტარა!.. ეს ბაფთიანი დამქაში პატარა ნანას მკვირცხლ თითებში ისე ყოჩაღად აჰყვებოდა რატომღაც ნამეტურ-მხიარულად ნამღერ „შაქარივით დავდნები, სანთელივით ჩავქრები"-სა და „ცოლი გადამერია"-ს, სწორედაც რომ საკვირველი. როგორ საოცრად, რა ბუნებრივად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს პატარა ნანას და ლევანია ბიძიას ხმები, ჯერ გასუსულები უსმენდათ ყველა, მერე კი — „მეისპე შენ!", აღფრთოვანებით ამბობდა დეიდა მერია და ნანას ლოყაზე მაგრად ისე რომ, ნაკვალევიანად კოცნიდა, „რა გვაქვენ მეტი საქმე", ამაყად პასუხობდა პატარა ნანა და ორი წლით უმცროს სანდრიკას-მე შუბლზე წკიპურტს უტყამდა, ხოლო სანდროს კი, თავისა არ ეყოფოდა? — ძაან უშნოდ, კი, ჩახლეჩილურად ქსუტუნებდა ჯერ, მისი ციცქნა, ერთი-მეოთხედი ვიოლინო (— Четвертушка) და ამიტომაც, ამე-ყოჩაღად-გიტარისტკა ნანაზე მაშინვე ძაან იფეთქებდა და მაგიდის ქვეშ შემძვრალ ნანასკენ ძალიან მიიწევდა, მაგრამ ბებია ფრთხილად, მაჯა რომ არ ეტკენინებინა, ისე აჩერებდა: „კაი ახლა, გოგოს უნდა აყვე? ბიჭი ხარ"... „აბა პირველმა რატომ დამარტყა"... სანდრო, საერთოდ ისიც კარგა-გადარეული, ნათესაობაში ძირითადად მშვიდი და გარეგნულად ძალიანაც გატრუნული იყო, რა იცოდა თუ — რომ პირდაპირ საკვირველი! — მომავალი პროზისათვის ძალიან, კიი, რომ ემზადებოდა აქ,ც, და — „დაგარტყა თორე... — ანუგეშებდა დეიდა მერია, — რა ისეთი წკლიპურტი დაგარტყას უნდა მაგ გლახისიჭიამ ისეთი რომ... — და, უცებ ყოვლად მოულოდნელად, შესაძლოა ამ „გლახისიჭია"თი, ყელის ძალუმსა მოწიწკვნებზე გადადიოდა: — შენი ჭირიმე, შენი ჭირიმე რა, ვახტანგ"...

და, რომ აჰყვებოდნენ:

— კაი რა, კაი ახლა ვახტანგ,

— მიდი რა, შენი ჭირიმე, მიდი,

— გაფიცებ ყველაფერს, —

სანდრო შოშმინდებოდა, იცოდა კარგად, რა სანახაობაც მოელოდა — რა და, ვახტანგ ბიძიას გამოგონილი ერთ-ერთი „მინი-სოლო" სკეტჩი.

ვახტანგ-ბიძიას სიცილისას თვალები დეიდა ჭაპულასავით ძალიან ეჭუტებოდა, თუმცა მსუქანი სულაც არ გახლდათ. მაგრამ ახლა ნაძალადევად მოწყენილი იჯდა, იტყოდა:

— ვერა, —

დასავლელ-ქართველ, იყო? და აბადა იერთღ-კინკილათხოვნაზე დათანხმდებოდა პუბლიკას, ისი?

ფორიაქდებოდნენ:

— რატომ, რატო ვახტანგ!..

— რატო შეკაცო...

— რა დაგემართა?!

ვახტანგ-ბიძია რატომღაც იდაყვზე ნელა დაიხედავდა, აგრეთვე რატომღაც თვალებთან ახლოს შეძლებისდაგვარად მიიტანდა იდაყვს და, — დაჩერებოდა; მერე ხელს ისევ ძალიან ნელა გაშლიდა და, გაწვალებულ მომლოდინე საზოგადოებას იდაყვის გავლით მიმართავდა:

— ვერ ვარ ხასიათზე რაღაც.

მაშინვე მიაყრიდნენ:

— მოხვალ, მოხვალ!

— კაი ახლა კაცო,

— პუშკინი არ იპრანჭებოდა მაგდენს,

— ჭაპულა მოგიკვტნეს თუ არ...

და ის ყოვლად უბოროტო, ყოვლად — „მოგიკვტნეს", თავისას მაინც სჭრიდა, რადგან:

— რომელი გინდათ...

ოო, აურიამულდებოდნენ, გარსშემოხვეულნი, ყოველის მხრიდან ეხვეწებოდნენ, მხრებზე ეჯაჯგურებოდნენ, თავ-თავიანთკენ ექაჩებოდნენ და ერთმანეთის ხმები რომ გადაეფარათ, ზოგიერთები ლამის შიგ ყურში ჩასძახოდნენ სასურველ შეკვეთას, და იმ არეულ-დარეულობაში მხოლოდ დინჯი სილოვან ემხვარი იჯდა თავისთვის — გამართული, ღირსეულად და წყნარად.

მარა, რათ გინდა, მომავალში თურმე? — ვალოდიათი? — ცქნაფად მელელვე-ინჟირისტი.

— საპარიკმახერო, საპარიკმახერო ვახტანგ!

— საპარიკმახერო აგერ ახლა ამასწინეებზე არ დადგა?

— ვერის აბანოში მაშვინ!

— ბავშვებია აქ!

— მაშინ სტალინს უყვარდა ბოვშები, დადგი!

— გვიკრავენ საცხა თავს!

— მაშინ... ცალხელა მუზიკანტი?

და, ყველანი ერთხმად აიტაცებდნენ:

— ცალხელა მუზიკანტი დადგი!

და, ვახტანგ-ბიძიაც — გრძელი ხალათი ეცვა, — ჰქონდა ამას დიდმნიშვნელობა — განაცხადებდა:

— სანდრიკას ქუდი მომიტანეთ აბა.

და სანდრიკოსაც, ფაცა ბებიას ხათრით გამნიშვნელოვანებულს, სხვა რა უნდოდა — მაშინვე დერეფანში გამოვარდებოდა, დგრიალით ჩაირბენდა ხის კიბეს, თავისი სხვენისაკენ გზად გზაში კინალამ გადააქცევდა რომელიმე შემხვედრ მეზობელს — ან ოლია თაბაგარს, ან მარგო გეგუჩაძეს, ან ლიონია კოგანს, ან მარუსია ვოლკოვას-ქალს, ან ბეჩავ მერი მარშანიას — „რამ გადარია", „რამ

შეშალა"..., სორვალსა, შტო-ლი?" და დიდი, ძველი, დალოცვილი სახლის მიმოხვეულ დერეფნებში აწყვეტილი სირბილით შეიჭრებოდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, სისწრაფე რომ არ დაეკარგა მოსახვევებში ხელისგულს ურტყამდა კედელს, მერე ბოლო ხუთ საფეხურს ერთბაშად აახტებოდა და სხვენის ერთ-ერთი იმ უსამზარეულო ოთახის კარს, ის, ბებია და ბაბუა რომ ცხოვრობდნენ, იმ მუდამ უბოქლომო კარს, სანახევროდ შუშისა რომ იყო, ისე მოულოდნელად შეგლიჯავდა რომ შემკრთალი მონადირე ძლივს ასწრებდა მაგიდის ქვეშ დამალვას თუმცა ისედაც აბა როდი ჩანდა ხოლო სანდრო კი თავისი სასკოლო ფორმის ქუდს, რკინისნიშნება „თ1ს" — ანუ „თბილისის პირველი სკოლა" კოკარდად რომ ესვა, იღლიაში ამოიდებდა და რატომღაც ისე დინჯად და საქმიანად გაუყვებოდა აღმა-დაღმა კიბეებსა და დერეფნებს დეიდა კატუტას ბინისაკენ, რომ მონადირეს სხვა რა დარჩენოდა, უჩუმრად აედევნებოდა და უკვე მოხურული კარგი სამზარეულოს კარის ჭუჭრუტანაში გაფაციცებით იჭვრიტებოდა.

ხოლო ვახტანგ-ბიძია კი უკვე შემზადებულიყო — ფართო ქამარი შემოეხსნა და ნაკეცებჩაშლილი გრძელი ხალათი ლამის მუხლებამდე სწვდებოდა, ამონთავისუფლებული მარცხენა ხელი წელთან ჩაემალა და ცარიალა სახელო სუსტად უკონწიალებდა, მოკლედ, „ცალხელა" უკვე იყო, მაგრამ მთავარი რამ, „მუზიკანტობა", ჯერ კიდევ წინ ედო და გაფაციცებით ელოდნენ, დამხმარე საშუალებებს როგორ მოირგებდა. მხოლოდ დეიდა ჭაპულა იჯდა თავდახრილი, ქმრის წარმატების მღელვარე მოლოდინში, და ნეკა-თითით ტახტის ფარდაგზე უჩინარ წრეებს ნელა ხაზავდა, ის.

ვახტანგ ბიძია თმას შუბლზე ჩამოიშლიდა, სანდრიკას კოკარდიან ქუდს უკუღმა იხურავდა, ასე რომ „თ1ს" კეფაზე აჯდა, ქუდი ძალიან ვიწროდ ჰქონდა, და უკვე ცოტათი ესეც იყო ღიმისმომგვრელი, იტყოდა: „საკრავი მომიტანეთ, ინსტრუმენტი", და ყველანი ნანას დაუცაცხანებდნენ: „არიქა გოგო!.. მიდი-ჰე, ფანქარი!", ჭუჭრუტანისკენ მოკაკვული მონადირე კი ფიქრობდა: „რა საკრავია ნეტავ", „მიდი შე შეჩვენებულო შენ... არიქა, ვერ გადაადგა ფეხი!.. მიდი შე ბოთე" ...პატარა ნანა კი სუყველას ჯინზე ხაზგასმულად ნელა გამოაღებდა ოთახის კარს, მერე ასევე დინჯად მიიხურავდა, მიაძახებდნენ: „მაგრად ჩაკეტე, მაგრად... შემოგივარდებიან ყაჩაღები" — ერთი სული კი ჰქონდათ, მაგრამ, პატარა ნანა აღარ და აღარ ჩანდა. „სადაა ეს ლენჩი!, რასაა რომ შვება ამდენხანს", — თვალებს აბრიალებდა დეიდა მერია. „არ გადაგვაყოლა? უჰ", დასცდებოდა ბესო ბიძიასაც, ლია და მედიკო კი, დეიდაშვილები, ლამაზები, ჩუმის ყელმოღერებით ისხდნენ და თვალებს საზგასმულად აფახულებდნენ. „ხომ არ დაეძინა მაგ ლენჩ-მაკვარანცხს... მიდი და ერთი ნახე ბიჭო"... პატარა ზურიკო მაშინვე ყოჩაღად გაეშურებოდა კარისაკენ, მარჯვედ გამოაღებდა, თვალს მიეფარებოდა და, ვალმოხდილი, ამაყად გამოდიოდა მერე: „მიდის". „ვითომ, ვითომ?.. ნამდვილად?.. მართალს ამბობ, ბიჭო?" პატარა ზურიკო კი თვალს მოავლებდა ყველას, შინაურებში იყო, ამბობდა: „მამას გეფიცებით". დეიდა მერიას თვალები ძალიან მოუწყლიანდებოდა, მაგრამ უეცრად შვებით წამოიძახებდა: „აუჰ, აუჰ, ძლივს არ დაგვადგა საშველი? ბეჩა!.." მაგრამ პატარა ნანას, აბადა ვინაა თქვები ბოთეო, ისეთი ფერის ფანქარი მოჰქონდა რომ, საყოველთაო აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: „შე ბრმა, ბრმა... ვის გაუგია ლურჯი ფერის... რაა რომ მოგიტანია ეს!", „რაშია ნეტავ საქმე", — უკვირდა წელატკიებულ მონადირეს; „რაა რომაა ეს!.. სად გაგიგია ლურჯი სალამური შენ!", „ეს რა ხალხში მაქვს საქმე" — უწყინრად გაიფიქრებდა ვახტანგ ბიძია, გამოცხადებით კი ასე გამოაცხადებდა: „ჩქარათ თორე, გადამივლის აღმაფრენა", და: „მიდი ზურიკო ისევ შენ, მიდი!, არავინაა შენისთანა კაი ჩვენში!, მიდი ზურიკო, მიდი!", „მივიდეს რა", — ამბობდა ნანა, დაბალ სკამზე ჯდებოდა და ფეხს ფეხზე გადაიკვანტილებდა, გაყოჩაღებული ზურიკო კი ლია-მედიკოს იმდენად გრძელი და აპრეხილი წამწამების, ზედ ორი ცალი სიგარეტი ჩამოუვარდნელად რომ დაეტეოდა, იმ წამწამების ასე მეოთხე-მეხუთე შეტყუპებაზე მსწრაფლ მობრუნდებოდა და ფიცხი დეიდა მერია ყვითელ ფანქარს გზაშივე რომ გამოსტაცებდა შვილს და ვახტანგ ბიძიას შეაჩერებდა, გაკვირვებული მონადირე გაიფიქრებდა: „ეს რა საკრავია... რა საკრავია ეს", რა ხმა უნდა გამოეცა ამ ერთი ბეწო ყვითელ ფანქარს, საკრავიაო?, ჰეჰ, საკრავი აბა მართლაც ის იყო, გამოუწვავი თიხის კედელზე თუმც ყუჩად კი რომ მიეყუდებინათ, მაგრამ, მდუმარიც, დაგუბებულ რისხვად იკვროდა, ის ღონიერი საკრავი, ბრძენი ნინსუნას, გილგამეშის მაღალი დედის მორიგ წინასწარმეტყველებისთანავე თავისით რომ იშმუშნებოდა, ჭიდილის გზაზე დამდგარი გილგამეში კი, ნინსუნას სხივით ძალმიცემული, გალავნიანი ურუქის მაღალ ზღუდეზე განდგამდა ფეხებს, და თავის საკრავს, ვეება ბუკს ცას

მიაბჯენდა, ყველაზე დიდი ფილტვები ჰქონდა გილგამეშს, მეფეს, და ურუქულ ჰაერს ისე ძალუმად შეისუნთქავდა, მრავალქალ ნაგემი თითებიც კი ებერებოდა, და,

ბუკის ხმაზე აღამხედრებდა სამწყსოს, მაღალი ციდან დასდიოდათ ურუქის მკვიდრებს მოველურო და სისხლგამყინავი, ბუკგამოვლილი ბრძანება მისი, და სხვა რა გზა ჰქონდათ, იმ საზარელი ხმიანების ასატანად გული უნდა გაემაგრებინათ და, გილგამეშიც, უხვად თავნება, კუთვნილი ბუკის ხმა-ამაზრზენით სამწყსოს გულებს რომ განაქვავებდა, დასძრავდა, ლაშქარს, აი, საკრავი მართლაც ის იყო, აქ კი, აი აქ რა, რა ხდებოდა? — ვახტანგ ბიძია ქუდს ერთხელაც დაიმაგრებდა, თავს გადასწევდა, იმ ყვითელ ფანქარს, ანუ სალამურს რატომღაც მომუწულ ტუჩებზე მიიდებდა და, სალამურისებრ იწყებდა სტვენას.

ვახტანგ ბიძია სტვენდა აუცილებლად აღმოსავლურქართულ მელოდიას, ყველაზე ხშირად — „მთაში სალამურს ვაკვნესებ"-ს, იყო ამაში რაღაც მუდმივი და ბუნებრივი გამოწვევა თუ ქილიკი დასავლეთელისა აღმოსავლელისადმი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ღვიძლისმიერი მხარშიდგომაც ბლომად ერია, ვახტანგ ბიძია ღაღად ჭიკჭიკა ბგერებით სტვენდა, და მთელის ეშხით მიჰყვებოდა მელოდიას: ამ პირობითი, ცელქი და ვითომი ხელოვნებისგანაც, სახე წამდაუწუმ ეცვლებოდა და ნეტარებისგან ეჭმუხნებოდა, ცხვირამდე ჩამოშლილ თმაში შემოქმედებითი აღმაფრენისგან მილულული თვალები ილანდებოდა, სტვენას თუ დაუდაბლებდა, თავსაც ნელინელ დაბლა ხრიდა, წელშიც ორად იხრებოდა და ცალი ჩამოკონწიალებული სახელო ლამის იატაკს რომ შეეხებოდა, უეცრად ისეთი მკვეთრი ბიძგით გასწორდებოდა, სანდრიკას თუმც კოკარდიანი, მაგრამ პატარა თავსაბური ნაღდად ჭერამდე აფრინდებოდა, ცალხელა მუზიკანტს ის ფანქრიანი ხელი წამით ქუდზე რომ არ დაეჭირა, და, გამართული, ხალისიან სტვენაზე გადადიოდა, ვახტანგ ბიძია თავისი საქმის ოსტატი იყო: ისე წამიწამ ცვლიდა ამ უბრალო მელოდიაში სევდას და ხალისს, აღმას და დაღმას, საკვირველი იყო სწორედ, ხოლო დროებითი, სამიოდ წამიანი „უმუზიკო" სულისმოთქმით რაიმეს კი არ აკლებდა დადგმა-ნაწარმოებს, არამედ, აღავსებდა: უეცრად რომელიმე მსმენელისაკენ მოიკაკვებოდა და ჯიბეზე ძალიან შეაცქერდებოდა ხურდა ფულის ამოცნობის წყურვილით, და ფანქარსაც ჯიბეზე სულსწრაფად მიუკაკუნებდა, ანდა დეიდა კატუტას გაცვეთილ პორტმონეს თითებით მაინც უსწრაფესად გახსნიდა და ისე ძლიერ მღელვარედ ჩაიმზირებოდა შიგ, ოღონდ ამა დროს თვალებს ისე ნაღვლიანად იელამებდა, ყოველად უფასო მაყურებლები იცინოდნენ, იცინოდნენ რომ, — გულიანად; ვახტანგ ბიძიამ, როგორც ყოველმა ჭეშმარიტმა ოსტატმა, იცოდა განმეორების, ხაზგასმისა თუ სულისმოთქმის ერთადერთი სწორი დრო, რიცხვი და ფასი, ვახტანგ ბიძიამ კარგად უწყოდა თუნდაც ისეთი წვრილმანიც, თუ როდის უნდა აეწია ცალი მხარი, თანაც, როგორ — ნელა, ნელა თუ სწრაფად, და სტვენითი არიის დამთავრებისას, როგორ მიერტყა ქუსლზე ქუსლი და ოდნავ შემხტარიყო, და ყველანი ფაციცდებოდნენ, რადგან ცალკაციანი სკეტჩის მთავარი მარილი ახლა ელოდათ: ვახტანგ ბიძია გრძელ, მუხლებამდე ხალათის კალთას ყვითელი ფანქრის მეშვეობით აიწევდა და ფერდზე იდაყვით მიიკრავდა, მერე ყოფილ ინსტრუმენტს ხვანჯართან მიიტანდა, იქიდან კი მოულოდნელ თითს გამოჰყოფდა, ფანქარს იმითი ჩაბლუჯავდა, „აჰა, სად ჰქონია დამალული მარცხენა ხელი", გაიფიქრებდა მონადირე, ვახტანგ ბიძია კი მცირე ბოდიშით: „მაპატიეთ, ჩემო ბატონო, მარა, არ მაქ მეორე ხელი და ეს უნდა გამოვიყენო ისევ, აბა რა ვქნა", მარჯვენათი კი „თ1ს"-ს კოკარდიან ქუდს მოიხდიდა და, გადაფიჩინებულ საზოგადოებას ჩამოუვლიდა:

— უმოწყალესად გთხოვთ შემეწიეთ პაჟალუსტა! ნესკოლკო დასტურ კოპეეჩეკ...

„სულელებია?" — ჰფიქრობდა გაკვირვებული მონადირე, მაგრამ რაღაცას მაინც ხვდებოდა: „მე მგონი, არა", და ნელში რომ გაიმართებოდა, მაშინვე ხელახლა აფეთქებული ისეთი სიცილი ესმოდა, მსწრაფლ ჭუჭრუტანისკენ იხრებოდა, მაგრამ ვახტანგ ბიძიას ფანქრიანი თითისკენ გახედვა და მისი გაურკვეველი მიმართვა — ფანქარს ეხებოდა თუ თითს: „პატარაა, მაგრამ მუშა" — და ესინათქვამი მონადირეს რახან გამოტოვებული ჰქონდა, უცოდინრობით, დაასკვნიდა: „სულელებია", და არც ახლა ეწერა დიდხანს გამართვა, რადგან ესმოდა შეშფოთებული: „რა იყო ქალო... რა მოუვიდა... რა მოგვიდა"..., და ჭუჭრუტანისაკენ ეს მერამდენედ გადახრილი მონადირე კი გაოცებულიყო, ფიცხი და შემართული დეიდა მერია ისე შემძვრელად, კარგი ბავშვივით, უსუსურად და გულით ტიროდა, ახლა,

„აგერას, წელან არ იცინოდა?" — ახსენდებოდა დაბნეულ მონადირეს, რა იცოდა და, სწორედ ამასწინდელი სიცილი რომ ატირებდა დეიდა მერიას, ვისაც ნათესაობა შემოხვეოდა და,

– რა იყო, მერი...

– რა გეტაკა შექალო...

– მე მაინც მითხარი, მე...

დეიდა მერია კი მჯიღს თვალებში ამოისვამდა, იატაკზე დაიხედებოდა, იტყოდა:

– სადაა ახლა კაკო...

უგუბდებოდათ, სუნთქვა, დეიდა მერია კი, გულამომჯდარი:

– სადაა ახლა ჩემი კაკო და... მე აქ ვიცინი და ცეცხლთან ვზივარ და ვთბები.

თანაგრძნობით და ყურადღებით შესცქეროდნენ, სად იყო ახლა იმისი კაკო და, მჭრელ ყინულეთში, გადაკარგულ მოუსავლეთში და, ღუმელთან მსხდართ, ღუმელთან ჯდომა ერიდებოდათ, გული ძალიან ეკუმშებოდათ, ეს იმერლები და მეგრელები და, უგამოსავლოდ დაბნეულები? ეს უხერხულობაში ჩაცვივნული ცქიტიშვილები, ლომაიები, ღოლობერიძეები, კორძაიები, ცალი ემხვარი და — გამოსავლის ვერ მპოვნელნი? რაღა თქმა უნდა, თითოეული რაღაცას უთუოდ გაახერხებდა, მხოლოდ დროშიღა იყო საქმე, მაგრამ კვიმატი ნანა ყველას ასწრებდა:

— ტურ-ფავ, ტურ-ფაავ, — წამოიწყებდა და გიტარას გადასწვდებოდა.

— ურფავ-ურფაავ, — პირველს ყელმოღერებით აადევნებდა თვალდახუჭული ლამაზი მედიკო და ბიძათავისს მხარზე ნაზად და ძმაკაცურად გადახვევდა ხელს.

— აავ, აა-აავ, — დიდ თვალებს მილულავდა ბიძამისიც — ლევანია ბიძია და ნიკაპს კიტელის ღილზე დაიბჯენდა, სამხედრო არ იყო.

– რაად მემდუუ, რიიი, — აგრძელებდა ნანა და თან დეიდათავისს, დეიდა მერიას, ბაბთიან, ბრტყელთავა გიტარას ფერდში შეუჩხიკინებდა.

– გაჩერდი გოგო შენ!

– აად, მემდუუ, — მედიკო, ეს.

– უუუ ییییی, — ლევანია ბიძია და, ეს ორი ბავშვი და ბიძაიმათი, ორი თაობა, ისე მღეეროდნეეე,ნ,

– თქვენ რა გითხარით, — თვალებში მადლი ჩაუდგებოდა დეიდა მერიას, იღიმებოდა, — ვის არ აიყოლიებთ თქვენ, — და, აჰყვებოდათ, — მოა-ცურეეე, ჩეემსკენ ნაავიი,

„სულელებია, სულელებია, — ეჭვი აღარ ეპარებოდა მონადირეს, — აგერას, წელან არ ტიროდა?"

ვახტანგ ბიძია კი, ხალათზე უკვე კოხტად ქამარშემორტყმული, ახლა ორხელა მომღერლად გადაიქცეოდა, თითებს მაგიდაზე დააბჯენდა და ლევანია ბიძიას ბანს თავისას შეუამხანაგებდა:

— აა, ییییی, ییییی, — და უცებ სხაპასხუპა რეჩიტატივით მიაყრიდა: მევიცირამაც აგატირადაგაგახსენა კაკომერია შეییییენ...

— რამ... یییییی

15-20 წელი არ მომისმენია და დიდ გახარებასთან ერთად დიდად აღფრთოვანებულიც დავრჩი რადგან ნამდვილი, დახვეწილი პროფესიონალები არიან და თან შემოქმედებით, ურად ეს, და ამ ძნელ-გაჭირვებულ წლებში უცხოეთში არ მიმოფანტულან (იმათ რომელი შეგნებული ორკესტრი არ აიყვანდა) და თვით მოცარტიც კი თავად მოცარტის საკადრისად დაუკრეს და ჩემი ბედნიერება რომ გავუზიარე ერთსაც მუსიკოსს, დიდად მწუხარე ამბავი მეთქვა რომელიც შემდგომ თუ რაშიც გადაიზარდა, ახლავ მოგახსენებთ: დაიწყო იმით,

რომ,

მგონია შემცირებას უპირებენ კვარტეტსო, მეთქვა.

ძალიან მეწყინა; ალბათ მეორე ვიოლინოს თუ შეამცირებენ,-მეთქი.

და, წავიდ-დაიძრა ლაპარაკი ისეთი რომ, რომელმა რა ვთქვით ამერია მეც და რაუჭირს თუკი თქვენც აგერევათ, იქ-არდამსწრეს:

არა, უფრო შეკვეცავენ,ო,

მაშინ ალბათ ალტს შეამცირებენ,ო,

არა, უფრო,ო

მაშინ პირველ ვიოლინოს-ღა თუ დატოვებენ,ო,

არა, არამედ ამბობენ რომ ამ შემცირებით კვარტეტს მთლად არაფერი მოაკლდება,ო,

კი მაგრამ, ეს როგორ... როგორ შეკაცო!!-ო,

როგორ და, გუდუწყვეტიათ, ოთხივეს მოვაყოლებთ შემცირებაში მაგრამ ისეთი ერთი საკრავით შევცვლით კი-რომ შეავსოს ოთხივე,ო,

რანაირად ეს!!!-ო,

რანაირათო და, იმ ოთხი საკრავის ნაცვლად იმხელა კონტრაბას-ბასი გაუკეთებინებიათ, პალიროვკიანი თლათ, და ორი პეწუა შადრევანიც ამოუჩქეფსფს, ზედ, რო იმე-ყოფილი კვარტეტის ვიალანჩელი სუ თავ-თავის-თავის ალტ-სკრიპკებიანა თავისუფლათე ჩეეტევა-ო, შით, და მშვენიერი მარჯვე ორხელა მუზიკანტიც გოუმწესებიათ იმშუშხუნებიანსაც კონტრაბასზედ და მარა ნაკლი მაინცე ნაქონებარა თურმე კვარტეტულათე ი-სოლისტს იერთი.

რაისი ნაკლი,

რვა წლის ჰყოფილა მარტო ჯერე და ვერკი წვდება თურმე იმე-კონტრაბასს კონტრაბასისტულ მუხლამდეც კი რაცგინდა ორხელაური-მუზიკანტ იყვოს, და, მაი არაფერი და არასფერიო, ვინცხანა მინისტრს უთქომს, წამოუწვინეთ კონტრაბასი და სულე-სულე პიჩიკატოები (საიდამ იცოდა, რაცგინდ მინისტრმა, აესი სიტყვა, მარა ყველაფერს ხოვერ დავუფარამთ,) აკეთოს ზედო და მერე კი წამეიზრდება რა იქნება აბა და ხემსაც (— სმიჩოკს) ხრმალივით დეიჭირამს მარჯვენა გინა მარცხენაც ხელში ცაცია თუა მაკკარტნისავითო და, —

მაგრამ, ტყვილი რო უთქვამს, იმას? — თელათე მინისშტერს, იმ — იბოვში თურმე 8 კი არადა თელი-9,5 წლისა ყოფილან და, რატყვილი არი ჩემობატონო, ეს! — ამათ თუკიდო ასაკისი ჩამოკლება უნდათ გასათხოვარი ვორმოციწლის ქალიშვილივით დაა? — აღარ ჰყოფილა ჩვე-ჩქიმებისი საშველი მაშვინ ჩემო უჯინე-გოლუაფირო...

...

სასაცილოდ გვაქვს, საქმე, კი-კი...

***

— უუუ, ააა, ნაა-ვიიი, სიმღერაშენარიციდაარასფერი ამეიღე ორიღერისიტყვა მაინცბესოშეეეენ, რაა რო ზიხარ გატვრინულიიი, ეეე, ااااა...

— შპიონივითაა მაგიკაცი ჩვენში... — ძალიან მოულოდნელად იტყოდა აგრეთვე დიდად-უთქმელი ლევანია ბიძია და, რაღა უნდოდათ:

– მე არ დამაანანიმკო გაფიცეფ ყველაფერს ბესო...

– ნათესავები ვართ რაცგინდა იყოს, ბესო... ნუ გადაგვიშოფ ცივყინულეთში...

– ნათესაობა მაგათ არ იციან და არაფერი ბიჭებიაა ენკავედურსკი...

– არ დამასმინო და, ჭყინტ სიმინდს მოგიხარშავ და თანაც გაჭმევ...

– ერთი რამე გამაგებია და მომკლა თუ-გინდა მერე...

– რა!

– სად-აქვს გადამალული აპარატურა ან საანანიმკო ბლოკნოტები!..

ვიღას ახსოვდა, რაც-გინდ ღოღობერიძელომაია-ცქიტიშვილები ყოფილიყვნენ, მღერა.

– ასისტენტიც რო კაი შეხვთა, ჩემობატონო?

– რომელი ასისტენტი...

– აგერ, კატუტა... გატვრინულია ისიც!

– კიდო კაი რომ, ეს შეჩვენებული ნანა მაინც როარ გამოეგვანათ! არც ნაყვარება ჭყინტისიმინდი...

ძია ბესო კი, სევდიანად ამბობდა, უთქმელი:

— რა უნდა ამ შუა იანვარში ჭყინტისიმინდს...

ასე, ეჰ, ასე იცინოდნენ და, გარეთ კი, ქალაქში, გარეთ, მართლა სუსხი იდგა, ორმოციანი წლები, რა იყო იმასთან შუა იანვარი, მაგრამ ფაცა ბებია შიშის გამო კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გახევებულიყო, არა — პატარა სანდრო კეფით მიყრდნობოდა მხარზე.

ამა-დღევანდელ მონადირეს კი ერთობ-ნაკლებად გაეგებოდა (— ვითომ?..) ამ ხალ-ხისა, იმ კაცებისა, სანდრო ბიძიებს რომ ეძახდა და ვერც ვერაფერი ამ აკისკისებუ-ლი ქალებისა მიეხვედრებოდა-რა, და სან-დროს პირზე რახან წამდაუწუმ „დეიდა" ეკერა, უნებურად ეშლებოდა ხოლმე:

– თბილისში როდის ჩამოხვალთ, ერმო-ნა-დეიდა?

„დეიდა" ერმონა ოდნავ შეიჭმუხნებოდა და,

— აბა სადაური შენი დეიდა ვაარ, მამი-დად გეკუთვნი.

საბარგო მანქანას ელოდნენ, სოფლის გა-ნაპირას იდგნენ. ვინა და ვინა და ასე-7-8 წლის სანდრო და მამამისი პეტრე და დეი-და ერმონა თავის შვილებიანა.

უმეორებდა:

— თბილისში როდის ჩამოხვალთ, მამიდა ერმონა?

დეიდა (— ვაჰხ!!.) ერმონა თავზე დაადებ-და ხელს:

— ქალაქში რა მინდა, შვილო, ისედაც ბევ-რნი ხართ იქა.

პეტრე-ექიმი კი, სანდროთი სუნთქვაშეკრუ-ლი და გაბადრული ისე, თითქოს შემაღლე-ბულზე იდგა და აპლოდისმენტებს იღებდა, სანდროს ყოველ მოძრაობასა თუ ნათქვამს ისეთის დიდის სიხარულით აღიქვამდა, თით-ქოსდაც სანდრო იქამომდისინ მუნჯი იყო და — ალაპარაკდა, ხეიბარი იყო და, გამრთელ-და.

— აი, აქა ვართ ცოტ-ცოტაები.

დეიდა ერმონა თბილისში ნამყოფი როგორ არ იყო, მაგრამ უკვე სოფელ გლდანთანაც კი სუნთქვა და გული ეხუთებოდა, და ეცო-დებოდა სანდრო, უდანაშაულო ბალღი, ვი-ნაც, სოხუმისაც შემდგომ, ქალაქში მთელი ათი თვით უნდა ჩარჩენილიყო.

— შენც, რალა გინდა ემაგ ქალაქში, — ეუბნებოდა გოგი, — აი, დარჩი და, ინდაურე-ბითვი ისეთი წკეპლა გაგიხერხო, კამეჩსაც ეყოს.

სინკო, ცნობილი მეინდაურე, განზე იყუ-რებოდა.

— დარჩი ბიჭო და, — თვალები აუნაპერ-წკალდებოდა გოგის, — ისეთი გოგო გაგირი-გო, წითელლოყება. სუ ცეცხლი იყოს. მინავ-ლულები რო ხაართ იქა...

აქ პეტრე-ექიმიც ვერ იკავებდა თავს — სანდროს რომელი დამტოვებელი აბა ის იყო, მაგრამ თავად აზრი აღაფრთოვანებდა:

— ქორწილიც ვქნათ და კარგი პურიც ვჭა-მოთ!

მაგრამ მაშინვე მოიბუზებოდა, რადგანაც შვილი თვალებს დაუბრიალებდა. პეტრე-ექიმი ერთადერთი კაცი იყო, ვისთანაც სან-დროს მუდამ დიდი გული ჰქონდა, ეს I-II კლასელი სანდრო კი ერთადერთი ადამიანი იყო ქვეყნად, რომლის წინაშეც პეტრე-ექიმი ჩიავდებოდა.

— ის ენაძუა რაღა იქნა... — იმათი გულის-ყური სხვაგან გადაჰქონდა დეიდა ერმონას. საღამოვდებოდა.

— ვინაო, დეედ? ვინ ენაძუა...

— დამრეცი სიკა.

დამრეცი სიკა — მძღოლი იყო, მაგრამ „შო-ფერი" გაცილებით შეეხამებოდა. აი, ეს იმან წარმოსთქვა პირველად ქართულით წმინდა ღულელებში ისეთი უცნაური და უამო სიტყ-ვები, როგორებიც: კუზაო, მატორი, პაჩებ-ნიკი, კარბურატორი, ინსპექტორი, კარდანი ვალი, სიდენია... — რა უბედურებები იყო. თანაც — ამაყად ეჭირა თავი. ამრეზილად კი-შესცქეროდნენ, მაგრამ სჭირდებოდათ, ქა-ლაქიდან ზოგს რა ჰქონდა ამოსატანი და ზოგსაც რა, კენტი შოფერი კი თან ძაან წუნ-კალი იყო და თანაც ვაუკაცობდა, თან — მეზობელს ფულს როგორ გამოვართმევო და თანაც ტყუილად რატომ ვატაროვო და, გა-მოსავალიც, იპოვნა, და იმ თავის მაზუთიან ლექსიკასაც მშვენივრად იყენებდა:

— ვერა, ვერ ნაგიყვან, წინა პაკრიშკები ლისი მააქ.

— რა გააქ?

— წინა-მეთქი, რით ვერ გაიგე, — უკვირ-და სიკას.

ღულელებელი ერთხანს სდუმდა; მერე იტყოდა:

— ფულს მოგცემ, სიკოვ, უბრალოდ კი არ შეგაწუხებ.

— აბა ეს რა მითხარ, რა მითხრა ესა კა-ცოუ? — შეიცხადებდა შოფერი, — ჯერ ეს ეგ ერთი, მეზობელ ადამიანს ფულს აბა რო-გორ გამოგართმევ და მეორეც ისა, ფულით დაიჭერ შენ ტორმუზსა?

— რასა?

სამაგიეროდ, სიმონიანთხევსა თუ ხევსურ-თსოფელში ნაყოფიერად მოღვაწეობდა და მეზობლები ნაწყენ მზერას გააყოლებდნენ, ხშირხშირაობით როგორ ჩაატარებდა თავმი-ნებებულ ღულელებზე კარადასა თუ ტახტს. უყურეს, უყურეს და მერე ისედაც არცთუ დიდ-ღირსეული სახელი სიკო „სიკა"-თი შე-უცვალეს, არ აკმარეს ეს, და ვიღაცამ ეშხით „დამრეცი"-ც წაუმატა. ისე დამშვენდა იმის მოლენჩოდ ეშმაკურ გამომეტყველებას და სიტყვა-პასუხს ეს, — კოხტად — იმას, რომ ქალაქი ბევრად ქვემოთ იდო? იმას, საჭემ რომ ცოტათი მოჰხარა? ან, ხელიდან რომ

წავიდა, — იმას? სიკამა კიდეე — აბადათუ დამრეცი ვაარო და, რაღა შორიშორ ვეხეტოო, თავის სოფლელებს დააჯაყჯაყებდა ახლა და ფულსაც არხეინად ართმევდა — ბარიბარშია-ს იყვნენ ვითომდაც, რაღა. ახლაც, უცდიდნენ, აგვიანებდა; არადა, საშიში იყო საბადურზე ღამით გადასვლა. დღისით — კოლექტივებისეებში დახრიგინებდა და ადრიან საღამოობით კი იმ წამდაუწუმ გაფუჭებულ თიანეთის ავტობუსს სცვლიდა, და ახლაც, ჰაჰ, როდის-როდის შებინდებულზე გამოჩნდა და, ერთი პირობა, ამოისუნთქეს, მაგრამ რომ მოადგათ და მოვიდა, მობრძანდა მაგრამ რას მობრძანდა — კარგა ნასვამი! მთვრალი! კაბინაში კი ორი გაფითრებული დედაბერი ესო!.

ძარაზეც ბლომად იყო ხალხი, წინა ფიცარზე ჩაიწივნენ და ჩამოიწივნენ, სტუმრებს შუა ადგილი წინასწარვე გაუთავისუფლეს, მაგრამ დეიდა (— მამიდა!-მეთქი) ერმონამ თქვა:

— ეგება ხვალ წასულიყავით.

ეს დაბალის ხმით ნათქვამი რამ... ეს შეოკებული განგაში დეიდა ერმონასი... არადა, სწორად ღელავდა — ფლატეებიან ვიწრო მიმოხვეულებში ღამით მგზავრობა სახიფათო რომ იყო, ეგ არაფერი, დამრეცი სიკა კარგა ნასვამი რომ იყო, ეგეც კი არაფერი, არამედ ღამით საბადურზე ყაჩაღები იცოდა.

თან, პეტრე-ექიმს სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, და თუმცა სამხედრო-დ მხოლოდ-ღა ექიმი იყო, და იარაღი თავის დღეში არ უტარებია, ცხოვრებაში რა უკეთებია სხვათა მორჩენის მეტი, მაგრამ უცხო ყაჩაღი იმ ღამე-ბნელში რას დაგიდევდათ,

— ჰა? — წყნარად იკითხა დეიდა ერმონამ.

„რად ყოყმანობენ?“ — გაიფიქრა მონადირემ, ხოლო პეტრე-ექიმმა:

— წავიდეთ, სანდრო?

იმან კი, ვინც ყაჩაღებისა არა უწყოდა რა, თქვა:

— ბებია მიცდის დღეს.

ცამდე მართალი გახლდათ. ბებია უკვე ქუჩად, სახლის წინ დეიდა კატუტასა და დეიდა მერიაიანა გამოსულიყო და, ჯერ გულში მჯიღებს თუმც არ ირტყამდა, ბევრი არც არაფერი აკლდა, ზარ-განგაშ თვალებიანი, რუსთაველის პროსპექტს ამომწურავად გასცქეროდა.

პეტრე-ექიმსაც კარგად მოეხსენებოდა, ყოფილი სიდედრის ფოციანობა, მაგრამ თქვა:

— დილით სამსახურში უნდა ვიყო. აბა, კარგად იყავით.

დამშვიდობება, ეჰ: კარგად იყავი... ღმერთმა მშვიდობით გატაროთ... გაისად ჩამოდი და, ერთი ისეთი გოგო დაგახვედრო... გოგო არა ისა... გზად ქათამი არ გაგიფრინდეს, შვილო... თავისი ნებით თუ არ დაგვყაბულდა ის გოგო, არა? ბნელი ღამე, ცხენები და იმისი ჯანი... ტომარა ემანდ მიაყუდეთ... კარგა ბრძანდებოდეთ, პეტა-ძიოვ... ნახვამდის... სინკო დავნიშნოთ მოთავე მაყრად, თავის წკეპლითა... კარგა იყავ, პეტრე... კარგად იყავით...

და, ძარაზე ავიდნენ თუ არა, მონადირემ ძლივას მოასწრო კაბინის იქითა საფეხურზე ახტომა რადგან დამრეცმა სიკამ ისე ჯიქურ დასძრა მანქანა და, თანაც, კაბინაში მსხდარ დედაბრებს ლამის გულები დაუხეთქა, ისე დასძახა:

ტირიაან თუ-შის ქა-ლე-ბი!
არ მოგვიივიიდნენ ქმა-რე-ბი!!
ვაიაითუ დახ-ვდნენ ლე-კე-ბი!!!
დააყრეეი-ნეეს თა-ვე-ბი!!! +!
ჰაᲘ !!!+!!, ჰეჰხ!!!+!!!,
ტირი-აან თუ-უშის...

და, პირველსავე-მოსახვევზე, დედაბრები რომ გადმოუფერდნენ:

— რას მეხუტებით ქალებოოუუ, ეგება სხვა მიყვარს? — ვაჰ, ხახახახა-ჰხაა...

ბინდდებოდა და, ტყედ რომ შევიდა ოღ-რორჩოღრო გზა, დამრეცმა სიკამ შუქები ჩართო,

ეს ყველაფერი სა-მომავალო-პროზისა ღვიძლ-შვილივით იყო, კი, მაგრამ ამ მჭახე მოგზაურობაზე — ცოტათი შემდგომ, რადგან ჩემთვის მეტად გრძნეული სიტყვის — პროზის ამ მერამდენედ ხსენებაზე... და, ამაზედაც, ჩემ-ბოდიალასი მიხედვით, ამასაც ოღროდ-ჩოღროულ შესავალითღა თუ მივადგები, ამ რა-ძვირფასად წყეულსა და სათაყვანებელ და რა დიდ-ტვირთის, პროზის-ა გამო, გურამ რჩეულიშვილით თურა გადამხდა აი ისეთი რამ, რომ, რომ ახლა, დღესაც, იმ თავდაპირველი თავ-გზა-როგორად-აბნევისადა მიუხედავად, დღესაც თუ-როგორ მთლად გამუდმებით, მუდამ თავთ მადგას...

ჩემი ულმობლად დაჭრისა შემდგომ, რომელი დაჭრაც თავისი სისასტიკისა-და მიუხედავად კი არა, იმ სისასტიკით პროზისათვის რა ძლიერ კარგი ყოფილა შემდგომ — რადგან გადავრჩი და ხელმეორედ ისე დავიბადე რომ მთლად თავიდანვე გამოვიხედე და ავიდგი ფეხი და მთლადვ ახლიდან დავინახე წვიმა, ჰაერი, მზე, ქარი და რამდენი რამ — ქვეყანა მრთელი, რომელიცა რომ, როგორ წყალობად — გვაქვს უთვალავი ფერითა! — მაგრამ ჩვე-ბითურთ გვავიწყდება ასაკში ცოტას-ც რომ შევდივართ მე კი, წყალობად, 17 წლისამ, გადარჩენილმა, განახლებულმა

მაინც ჯიუტად დავასკვენი რომ არად ჩამეგდო ეს ყველაფერი... — თუმც მაინც როგორ ჯიუტად მდევდა — რომ იმ რამძაფრად დაჭრისა შემდეგ, როგორც კი ოდნავ ძალამოკრეფილმა? — გადავწყვიტე ვინმეს არ ეგონოს რომ დავშინდი-მეთქი და აბა რა დამაშინებს ისედაც ნაჩუქარი სიცოცხლე მაქვს-თქვა და, თუმცა ძალიან მინდოდა ერთი-რამ, როგორ ძალიან მეწადინებოდა მაგრამ ჯერჯერობითაკი ვერ-კი ვხვდებოდი, რა — თურმე ეს მისი დიდად-უმაღლესობა თვით პროზა იყო მაგრამ აბა რა ვიცოდი, ჯერ — აბორგვებებს კი ისე ხშირად და ძალიან ისე-ვსჩადიოდი ძმაბიჭებთან ერთად რომ, სამ დღეში თუ არა, სუცოტა ხუთ დღეში ერთხელ-მაინც მილიციაში ვიყავი ძირითადად ჩემს ოთხ აზავთებულსა მეგობართან ერთად (იმ სატელევიზიო გადაცემაში კი, მიუხედავად ჩვენდამი კეთილგანწყობისა რატომღაც ისე შეჭრეს-შემოჭრეს მასალა — რა ექნათ, ჟურნალისტტებია — რომ ვითომ პირველი სასამართლოს შემდეგ ერთმანეთს დავშორდით — რას იფიქრებდა მაყურებელი... რასა და — როგორ დაშინებულანო მაგრამ არა, არა, ჩვენი დიდი უმრავლესობა მართლა დღედაღამ, ერთად ვიყავით, ჯონდოსა და მე „კოლხურ კოშკში" რახშირად გაგვითევია სუფრასთან ანდაც მძინარეთ, ღამე,) მილიციიდან კი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას წყალობით გვათავისუფლებდნენ — „ცივ"-სა ანდაც „ცხელ" იარაღს ჩვენ არ ვხმარობდით (რა ჩამორჩენილები ვყოფილვართ, ჰხედამთ?) და „შედარებით ადვილი" იყო ჩვენი გამოთავისუფლება (სიტყვაა დია-პირობითი) და ოღონდ ამით კი შეკლული იყო ჩვენგან იმდროინდელი მიშოკალინინის სახელ-იობის რაიონის უფროსი — რის ამხანაგი... — თურმე ბატონი ბახვა თიკანაძე, ჩვენთან როგორი მრისხანე და, მერე კი, როგორც აღმოჩნდა, ბედნიერებად, ჩვენდამი თურმე რათბილი და გულით მყოფი, კაცი... არ გეგონოთ რომ, ჩემს დაჭრას ანდაც „კაგებეურსა"-დაჭერას გადავახტი, თავს თუ არ მოგაბეზრებთ საკმაოდ ვრცლადაც აღვწერ ამეებ-ამათს, ახლა კი, როგორ მივადექი, თვით თავად პროზას...

მაშინ, იმხანად, 20 წლისას, გონებისა-დახელისათვის... — მხოლოდღა გული, მაგრამ თვიით გული ქვეშეცნეულად მამოძრავებდა, მიმწიფებდა, კი, სალუქად-როგორ გოროზსა, პროზას იმ „პიონერთა" სასახლისეულ ბიბლიოთეკით მასთან შემხვედრ მეს, გაოგნებითა-აღტაცებულს, კი, კი — რაღაც ჩამრჩა კი არა, შემესისხლ... — მაგრამაც მაშინ, 20-ოდ წლისას არამცთუ ყოვლად მაინცშეუცნობი პროზა — როგორებკანონებიანი კი არა, მთლადაც პაწუა-ბალღობიდანვე ასე ვთქვათ „გაჩვეული" პოეზიაც კი აღარ მახსოვდა მაგრამ „ერთიც გოგონი" დავინახე და მე ისედაც მე-იქნამდისინაც მე-უთვალავჯერ მუდამ-ისე-შეყვარებულმა თავზარდაცემულივით-რომ — იმიტომ რომ მართლა მივხვდი რომ აახლაკი მართლა შეყვარებული, შევყვარებულდი-ვაარ, ხოლოკი ისი ჩემი კურსელი და-ქალის, ქეთინო რამიშვილის ყოფილი მეზობელი, ახლა კი ახლობელი აღმოჩნდა და, ძალიან ვთხოვე ქეთინოს, გამაცანი ეს-გოგო მეთქი და ქეთინო თუმცა კარგა ხანს არ მისრულებდა ხვერწნას — შენისთანა გიჟ-გადარეულს როგორ გავაცნობ ამ წესიერ ბავშვსო და აბა რომელი შენისთანა სამოსანოროსნის საქმეა ფრიადოსნურად წარჩინებული პირველი კურსის სტუდენტიო მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც გავიცანი და ერთხანს გულმოდგინედ ვესალმე და მერე კი გავბედე-ძლივას და დიდის მორიდებით ვთხოვე დღეს უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტია და თუ შეიძლებოდეს მობრძანდით-მეთქი და, იმდენად დიდად გაუკვირდა რომ მკაფიოდ დაემჩნა ეს — სად ესა და სად ამისთანასაგან კლასიკური მუსიკის მოსმენაო — ასეთი შეხედულება გვქონდა გამოდამსახურებული ჩვენი დიდათე-თვალსაჩინო შებერტყილობებისადა-გამო ჯონდოს, ზვიადს, ვოვასა და მე — ვინც იმ 9 ბიჭიდან უნივერსიტეტში ვსწავლობდით და, თან ისეთი მეგობრები და ძმაკაცები და თანამესუფრეები შემოგვემატა? — აუჰ... იმათზე, შემდგომ, ახლა კი იმან, გაკვირვებულმა დიდად, თქვა: ვეცდებიო და, ვდგავარ და ვიცდი და ვიცდი და ვიცდი და, რომ შესრულდა ულმობელ-დროით 8 საათი, და არ-არ მოვიდა, სხვა რა გზა მქონდა — ახლაკძნელი დასაჯერებელია მაგრამაც მაშინ დანიშნულ დროზე იწყებოდა ყველაფერი, გულდაწყვეტილმა დავადე თავი და ორკესტრიან სცენას მივაშურე, ხოლო ერთხელაც რომ გავიხედე დარბაზისაკენ და ისი-კი როგორც იქნა და რომ შემობრძანდა რავარციქნა, „სერალიდან მოტაცება"-სი შესავალს უკვე ვამთავრებდით ხოლო მე არცთუ მთელის-არსებით ვიყავ შეკედლებული თვით-თავად მოცარტს, და, მერე კიდევ და კიდევ რომ გავხედე ახლა უკვე სენ-სანსიანმა უცებ იმანაც დამინახა და, და აბადა-გაკვირვება აიიმისი თქვენ მაშინ უნდა გენახათ — მე ძალიან ძალზე იშვიათად თუ მინახავს ისეთი დაბნეული კი არა და, მთლადაც მიმოგადანცვიფრებული ადამიანი როგორც ასეთი — ეს მე და, II ვიოლინოების თვით-კონცერტმაისტერი?

მაშინ ვიოლინოები დირიჟორის აქეთ-იქით ვისხედით, მერე შემოვიდა მათი ცალფად წყება და წყობა, და, სამიოდ ნაწარმოების

შემდეგ რომ მივადექით ჰენდელის სიმებიანი ორკესტრის XII კონცერტს, სადაც პირველ-ვიოლინოსა და ვიოლონჩელოების თავკაცთან ერთად მრავლად გვქონდა სოლოდ-ტრიოები, ალბათ კარგა-ხანს მე ორეული თუ ვეგონე ჩემი, მაგრამ, ამა-ვრცელ ქვეყანად რაღა არ ხდება და, დირიჟორმაც ძლიერ გულთბილად ჩამოგვართვა სამთავეს, ტრიოსეულებს, ხელი,

დამიცადა, მან სანამ კულისებში სმოკინგს „შტაცკი-ადეუდით" გამოვიცვლიდი — უიჰო — მედა — სმოკინგი? — მართლა რა აღარ ხდება ქვეყნადც და ჩვენშიც, და უნივერსიტეტი კიდევ არაფერი — სმოკინგიანი-ღ ვაკლდი მილიციის პოდპოლკოვნიკ ნამდვილად ვერა-ამხანაგ ბახვა თიკანაძეს — ის, რაგინდ დიდად ვაუკაცი კაცი იმე-გაკვირვებას ნამდვილად ვერ გადაიტანდა ამან კი, შესძლო, ბარაქალა, პადპალკოვნიკი თუ ვერ შესძლებდა ამას ესა კიდენა? — შეძლებით-ურ? — გაპოლკოვნიკდა,

ხოლო რადენიმე დღის შემდეგ,

რომ დავინახე რა მოწიწებით მიჰქონდა შინ დიდ-მაესტროსი, ჰემინგუეის ახლადნაყიდი ორტომეული? და

რომ მივაჩერდი წიგნებს იმ უნაღდესი-მწერლისა რომლის წაკითხვაც გინდაც ისეარეულ წლებში როგორღაც მაინც რომ მოვახერხე? —

მე ძალიან ვიგრძენი რომ ეგებ დიდმხსნელად მომვლენოდა მისი, სიტყვისმიერი... — ქრისტესმიერი თურმე! — უუდიადეს-უუნიგნოესესოობად უუუუსიტყვისოებისობა — ჩემთვის-ისედაც როგორ-მრავალ-სახეობრივი პროზით ჩემი მთელ-წარსულს გადაფარულდა-გაჟღენთილი პროზა რომელიც ახლა რათვალნათლივად და შესაგრძნობად გადამქცეოდა რაღაცა სტაბილიზატორ-თუ-ლაკმუსიო-თუ-კატალიზატორიო თუ რას ეძახიან თუ რაღაც კიდე-დამაჩქარებლივითაც რომ ჰქვია და რაცგინდა ბევრი სახელი ერქვას — ერთია, მაინც, მრავალსიტყვება ძალიან-ზედაც-ნამეტანი როგორდაროგორ და მაინც — ცალ-კენტი პროზა მაგრამ უუუთვალავ სიტყვებ-სიტყვათ როგორ-მიერი,

და, მე-როგორ დიდად-განმზადებულს რაღაცა-მაინც რანაღდად მაკლდა, მაინც მაკლდა მე-გადაშინებულსაც და შემართულს რაღაცარწმენა და ერთდროულად მისავათებულსაც უ-იმრაღაცოდ და ამასთანავე მაინც-როგორსა ერთგვარ-ნაბულზე მაინც რა-მყისად, მთლად გულით, შემდგარს, მაკლდა, კი, რაღაც რადგანაც ვგრძნობდი, გული მიგრძნობდა რა სახიფათო და მტკივნეული და მწვალებლური და მჯიჯგნავი რომ იქნებოდა ეს-მომავალი მთავარი ტანჯვის-მიერულა რაცგინდა ვაი-ვუიდ-რავაგლახად და ჩასაჭიდი, ჩასაბღაუჭო მაინც როგორ, წვითა და დაგვით ბოძებული სუმთავარ ჯილდოდ-ნობათად საბოძვარი, ეს, სულიწმიდასი ძნელი ფეშქაში, სიტყვისმიერი უფრო-ყმა და თლად-უფრო — მეფე, მეუფე, ეს პოხიერი-

სრულიად პროზა,

მაგრამ რაღაცა მაკლდა კიდევ... რა და, გაბედვა, შებედვა, — მისი...

და ვინ-ოხერი ეს-მე შევეჭიდებოდი კი არა და, ლაციც-ლაციცით მთლად უცხოსი-საც ვერ შევბედავდი თვით იმდიად-მას, ს,

და აქ, რუსმა ბაბუშკამ როგორ მიშველა მე, ძალიანი.

...

აქ ჩემეული ბოდიალობა, შესავლითურა, ოუცილებელია ჩემობატონო, —

კ-კი.

რუს-ბაბუშკასი ძალიან ჭროღად მონაცრისფრო და მოლურჯოსავით თვალთა წინარე მე-ვაუბატონი — ისედაც რა-რანაირად აჭრილ-დაჭრილი და განსაკუთრებითკი მოხეტიალედ ცელქი კი არა მთლადაც ყოვლადუპარაშუტო ზღართანი ვიყავ დირიჟაბლიდან რაღაც-მიერი, კიი, ხოლო აბურდულ-მიმოწანწალედ? — რომელი მარკოც და პოლოც, ჩემთან.

მე უქნარა-ეს, ბაბუშკა კი როგორი შრომისმოყვარე იყო, მუდამ-სუმუდამ ტრიალებდა ოლონდ ჯარასავით კი არა არამედ დინჯად, მაგრამ უწყვეტლივ, ოჯახში რასაც ჩაუვლიდა როგორ ძალიან მყარდებოდა იქ წესრიგი, სისუფთავე, დალაგება და მართებულობა, და რომ შეგვიმოხუცდა, მის ოდნავ-მაინც დასასვენებლად, ჩასამუხლებელად ერთ-რამ ასეთი ხერხი გამოვიმუშავეთა და დაბეჯითებითც დავისწავლეთ, კი: ვითომდაც წინდები გვქონდა დასაკემსი — მაშინ სად იყო და აბა-სად გვქონდა ახალ-ახალი წინდების წამდაუწუმრად შესაძენი თანხა და თავი, და, განგებ ვხევდ-ვარღვევდითა წინდებს და შევეხვეწებოდით — „დაგვიშტოპკე (— ანუ დაგვიკემსე), რა"... და, ისიც, სიარულისას და ფეხზემდგომელა ხომ არ აგვისრულებდა თხოვნას და, ჯდებოდა და, კემსავდა როგორ საგულდაგულოდ, დიდის-კი მონდომებით ოლონდ გარეგნულად მაინც მკაცრივით, იყო, და აბა რომელი დღევანდელი ახალთ-ახალი წინდა შეედრება ამის დაკემსილს, თბილებს-როგორ, გინდაც იმდენად ჰავანგარდისტულმ-დღევანდელური რომ ერთსაც წინდაზე ერთსაც-ვინმე ჰამერიკანულ მომღერალ-ვეეუო-ს (—ვეეუო-ო... — ისემც...) საქსოფონი და ზვიგენი ეხატა, და ის-როგორ მკაცრი ბაბუშკა ჩემზე ხომ რა-რანაირად ამრეზილი, კი, იყო-იყო: თავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი რომ მის შვილს, პეტრეს ისე-ძალიან ვაწამებდი ჩემის ანცობით (ანცობ-მანცობა ვეძახოთ კი-კი...), და განუწყვეტლივ ჩემს-ფათერაკებს აწყდებოდა... ერთხელ, ბავშვობაში, 10-ოდ წლისა ღულელებისა ნაცვლად ესენტუკში, თავის ძმასთან, ნაკალაისთან წაგვიყვანა ლამარა და მე, რაც იმათ წყნარა-გაიხარეს, და იქ კი ჩემი „რეჟიმში მოყვანა" გადაწყვიტა ხოლო ამაში უცილობლად შედიოდა ისიც რომ ნასადილევს „მკვდარი საათი" უნდა დაგვეცვა მაგრამ მე ბავშვობიდანვე არმიყვარდა კი არა მთლადაც ძალიან როგორმძულდა დაძინებები, განსაკუთრებით ხომ — დღისით, მაგრამ ბაბუშკას ჩემი სიფხიზლე რომ შეეტყო? — აუცილებლად გამიხანგრძლივებდა „მკვდარ საათს" და იქ უნდა გენახათ ჩემი ტანჯვა — თვალებდახუჭული და დიდად-გატრუნული ვიწექ და თანაც მეტი-დამაჯერებლობისათვის ოდნავ-მკაფიოდ ვფშვინავდი და შემდგომა-კი დამსახურებულად გავრბოდი სათამაშოდ და საონავაროდ ხოლოკი მერე, რაღაც-რუღაცა გრანდ-ცელქობებით ძალიანაც რომ ავიკელი იქაურობა გარეთ-„სათამაშოდ" აღარ გამიშვა მთელი 2 დღე — 48 საათი!, კაცო, — და, როგორც იქნა — დიდ-ჰირობებისა დადებისა შემდგომ, გავედი რუსის ბიჭებთან ქუჩაში-სათამაშოდ ძალიანაც მყარი გადაწყვეტილებით რომ — აღარაფერი დამეშავებინა, და, ჯერ-კიდევ შორით რომ გამოჩნდა სატვირთო მანქანა, მაშინვე აკურატულად დავადე თავი და გზისპირა მორზე დავჯექ მუხლებზე ხელისგულებდადებული მანქანის ჩავლის წყნარ მოლოდინში, მაგრამ რუსისიბიჭებმა რომ ატეხეს: „Эе, грузин, грузин, трус!", — ეს უკვე მხოლოდ ჩემი კი არა, მთელ-ქართველობის ეროვნულობის ეროვნული დაკნინება იყო ეს და სახეალეწილს გადამავიწყდა მთლაყველაფერი და სხვები რომ უკლებლივ ჩამოეცალნენ მოახლოებულ მანქანას, მე ავიღე და დავაღირე თავი და გავვარდი და წინ გავუწექი მანქანას და ძლივს რომ მოასწრო დამუხრუჭება მძღოლმა, ისეთი გამწარებული ჩამოხტ-გადმოფრინდა მკვეთრ-დამუხრუჭებით მთლად მტვერ-მთლად-შლეიფად შემობურვილ-შემოსილსა ისე რომ თავზეც კი ამა-შლეიფით გადმოხურულ გასაუპატიურებელივით მანქანას და სიმწრით ისე-სახემობრეცილ-მოღრეჯილი გამოქანდა ჩემკენ რომ მე-„გულადმა" ვიკადრე და შინ შევვარდი და ბაბუშკას მაგრად ჩავეხუტე, მთლად გაფითრებულმა მძღოლმა კი, ბაბუშკას — ეს ვინაა და რა გყავს ასეთი მანქანის ქვეშ რომ შემივარდაო და მაგ-мальчишка-სი გამო ციხეში უნდა ჩამსვან-ჩავესვით და ვინღა მირჩენდა დოროგაია-ოჯახ-სემია-საო და, რა-დის-როდის ძლივსღა რომ გავიდა მანამდე ჩემმა როგორ ხანგრძლივად შემკედლებელმა ბაბუშკამ მაშინვე მკვეთრად მომიცილა და: კი-ო? კი-მეთქი, ვუთხარ, და, აჰაა, მაგიტომ გაგიშვი სათამაშოდ შე ბესსოვესტნო მანქანას ქვეშ-რომ შევარდნოდიო?

ეჰ, საქართველოვ, შენი ვიყავ და...

თბილისის ეზოში კი, ვერა-ვაკის საზღვარზე, მელიქიშვილის 45-ში, ძლიერ-სარდაფში ხელმოკლე ქურთები ცხოვრობდნენ და ბაბუშკა ლამარას ხელით მუდამ უგზავნიდა მათ ბავშვებს კამფეტებსა თუ ხილს, ჩემთვის-პირადად კი უშუალოდ არასოდეს უსაჩუქრებია კანფეტკა მაგრამ სამაგიეროდ საოცრად გემრიელი ნამცხვრების ცხობა რადგან იცოდა ერთ-ორჯერ შევატყე რომ რა-კმაყოფილი შემომცქეროდა თუ როგორ-გემრიელად შევექცეოდი მისმიერ „შუ"-ს, და ხოლო ახლა კი - „შუ არა, — ბერნარდ შოუ" (ჩვენი არქეოლოგიური ექსპედიციების მძღოლის მაგრა-მსმელ, კოლია გელაძის ამოსატატუირებელივით გამოთქმა...), როცა თან ბუნდოვნად და თან როგორ ცხადად ვგრძნობდი-ვიცოდი რაძნელი იყო ჩემისთანასათვის თვით-თავად პროზას, შეჭიდება, რარიგ მიშველა, შემეშველა ბაბუშკასაგან, ორად-ორ-სიტყვა, მაგრამ როგორი... —

რარიგ საოცრად კეთილი, სათნო ქალბატონი, ქსენია ნიკალაევნა ტუსიშვილი ხშირად გვსტუმრობდა, როგორი სითბო და წყნარმომფენი სიმშვიდე შემოჰქონდა, როგორ გვიხარო-და მისი მოსვლა თუნდაც იმიტომაც ბაბუშკა და ის „шестьдесят шесть"-ს თამაშობდნენ ხოლმე და მათი „კარტოუნიკობისას" ბაბუშკა აკი ოჯდა, და შეექცეოდნენ რბილ რძიან ყავას და, სწორედ მაშინ, რომ ვერ ვბედავდი ჩემი-არეულ ასავალ-დასავალით შორეულს როგორ, პროზას, ქსენია ნიკალაევნამ უთხრა ბაბუშკას რომ, რა ბედნიერი ქალი ხარ, ოლღა, როგორი წესიერები, კარგები და ფრიადოსნები გვყავს შვილიშვილი-გოგონები ლამარა, ლულუ და ნუნუო — ჩემი როგორი მახლობლები მამიდაშვილობის გარდაც, — და ხოლო ბაბუშკამ უცებ მოიწყინა-იყო თუ რა იყო ძაან წავიდა ფიქრებსა და გახსენებებში და, არასოდეს გამკვირვებია ისე არაფერი, არა-ამხანაგ არამედ თვით ბატონ ბახვა თიკანაძესაც არ გუუკვირდებოდა ისე სმოკინგობია-ჩემი: ბაბუშკა რადგან „ჭ"-ს საფუძვლიანა-სწორა ვერ ამბობდა, უცებ ასე თქვა, დაძირულმა, ფიქრში, სულ-ორი სიტყვა მაგრამ როგორი!: — „გურამი ნიჩიერია"... აჰჰ, გადავვოცდი — რა იყო მაინც ეს ჩემი ნიჭი, ჩემი ოროსან-სამოსნობა? ან, მილიციე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და დარდუბალა და მთვრლად-ყოფილება და ამდაგვარებ-დარდუბალა? თან, მაშინ ნიჭი მე-სულელს მხოლოდღა კერძო-ადამიანის დამსახურება მეგონა მე-ზედაპირულს, და, რაც მე ვიფიქრე — როგორ, ბაბუშკა როგორც თვით-ნიჭიერსაც კი მე ისე მიყურებს და აღმიქვამს თურმე, მეთქი, და, და, და, და,

და-ა, —

შევუდექ, პროზას...

...

პირველ ხანებში დღეში ხანდისხან შემეძლო ასე-3-და-4-ც მოთხრობა დამეწერა (ხომკი კაირამ იქნებოდა, ჰე? ამხრივ, „სტენდალსაც ვჯობდი და სხვაც-კალმოსნებს", რაღაც-როგორღაც გონდაბინდულად-მწყურვალივით კი არ მივადექ, მთლადაც ვებდღვენი, პროზას, იქნებ და ალბათ ეგებ ისედაც დავმონებულიყავი მაგრამ ჩემი მომავალი მეუღლით იმ ორტომეულის დანახვამ და ბაბუშკასი ამ-შეფასებამ დამაჩქარა და მაგრაც-მიბიძგა, კი, და, ვწერი და ვწერდი, ასე განსაჯეთ კარგა-მთვრალიც კი, სუყოველივემ რაღაც-სხვაგვარად ამაღლებული ფასი და წონა დაიდო ჩემში რადგან ყოველი-ყველაფერი? — იყო, კი, პროზა, დიდი მეუფე სიტყვისმიერი, და ის პირველი `მოთხრობები თუ შემსრულებლური უსუსურობით ჩემს პირველ ლექსებს: „მოდის წითელი არმია" და ასეშემდეგთ როგორ ძალიან წააგავდ-ჩამოჰგავდნენ, კი, მაგრამ მე — ვწერდი, მე მაინც ვწერდი რადგან, დიდად, და მიუხედავად სიბუნდოვანებისა ცხადადაც ვგრძნობდი რომ ყველაფერი ესი-ესი — ირგვლივითურა ცხოვრება იყო თვით სიტყვა, პირველ-მიერი, პირველითგან-ი,

და მე-უბირი მხოლოდ შეგეჭიდე კიარა მე-უსუსური — არა, მე შეგეკედლეც, შენ, თვით თავად შენ —

როგორ მტანჯველო, მაწვალებელო, ჩემო სულისთქმავ, და რაგინდ მყისი-განადგურებით მაშენებელო მაინც,

პროზავ,

ძვირფასო,

შენ — ყოველგან ხარ რადგანაც —

სიტყვავ,

შენია, პროზავ-სიტყვისმიერო, სუყველაფერი და შენითაა ყოველიფერი შენ — მხატვრობაც ხარ და მერე, როგორ — როგორი, შენი ნაგები არამცთუ როცა „გამოიღო ქვეყანამ მწუანვილი თივისაჲ, მთესველი თესლისაჲ, ნათესავობისაებრ და ხე ნაყოფიერი, მყოფი ნაყოფისაჲ, რომლისა თესლი მისი მის თანა ნათესავობისაებრ ქუეყანასა ზედა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ". —

და კიდევ „შექმნნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი" და

შექმნა კოღოც-მცირე როცა იობი სულაც არ იყო მასთან და მაშინ

და,

ესროგორ, მაინც, —

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა" —

რა მხატვრობაა,

რომელი-ერთი მხატვრობა მასთან,

სიტყუასთან-თვით,

პირველითგან-ის,

და რა მუსიკა, სიტყვისმიერი, რადგან —

„დასაბამად ქმნნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ.

ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფრსკულთა. და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა",

და როცა გამოეყო ნათელი ბნელსა და „იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ", „და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი" —

რა მუსიკაა...,

და ამ ეგრეთწოდებული ქაოსიდან ამაეების შექმნა, კეთილად, და სასიკეთოდ? – უმუსიკაოდ? — არა, აჰ — არა, ჯერ აი ისაც კი როგორ მხიბლავდა ეს დღევანდელი ჩვე-დაბლითურთა ორკესტრები მწყობრ ოპერამდე საკრავებს რომ წინასწარულად ათბობენ და სამშვინელსა და გულს გადასცემენ ასაწყობის-ურად-სათვის და თითქოსადა უთავუბოლოდ ხმიანებენ თითქოს მაგრამ იქა კი? იმა-სა, დროს? — ყველა, ყოველი თავისას დაეძებს, აი იქაც კი, აწყობისას? გრძნეული ლა-ა-თი, — რა ჰარმონია, აჭრილ-დაჭრილ-და-მაინცყველასი დამლაგებლურად-ყველას-თვის ისი-თავისთავისი ხოლო ცისა და ქვეყნის შექმნისას? — იმ ბნელისაგან თავად ნათელის გამოყოფვისას? — აჰ, რა დიადად იწელებოდა-ალბათ ღმერთის ბგერები და რა-თანხმოვანებით ლაგდებოდა თავად ქაოსი-ყოვლისმომცველი მთავარ-დიადი მთლად-წიგნთა-წიგნითაც, და აბა რომელი არქიტექტურა, სადაც რომ რაცგინდ „რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაჲ!" — მაგრამ, თვით იესუსაგან: „ხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს" — ეს ჩვენსა-მიერ გამონათალი, ქვები,

ხოლო ღმრთისამიერი ანაგებობანი კი? მიმოვიხედოთ და ავიხედოთც სადამდისაც კი მიგვიწვდება ადამიანის-მიერი, თვალი:

„და თქუა ღმერთმან: იქმენინ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა

განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა. და იყუნედ სასწაულებად დღეებად და ჟამებად და წელიწადებად.

და იყუნედ განმანათლებელად სამყაროსა ცისა, რათა ჩნდეს ქუეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ.

და შექმნა ღმერთმან ორნი მანთობნი დიდნი: მნათობი დიდი მთავრობად დღისა. და მნათობი უმრწემესი — მთვარობად ღამისა. და ვარსკულავნი".

გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა, მოკაშკაშენი, მოელვარენი, -

და, რა მუსიკა გაისმოდა ალბათ იმა-დროს — მთლად ანგელოსთამიერით — მიერ,

„და დასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა, რათა ჩნდნენ ქუეყანასა ცისასა, რათა ჩნდეს ქუეყანასა ზედა",

„და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ" —

და რომელი ჩვენგან შენებულება მაგრამ სულ სხვა ხარ შენ-ერთო და ერთისმიერო, პროზავ, როგორ-ერთო და ერთადერთო და, რადგანაც — სიტყვის —სიტყვით? — როგორ მრავალო, მრავალმხრივო, უუთვალავო, უკიდეგანოვ,

ამოუწურავო მარადის და — აწცა, ვერშებედვითო ამოხაპვისათვის როგორ-ძალიან რადგანაც, —

ღვთით,

და როგორ თამამს, მგონია მე-ულირსს ისეც რომ თეთრი ლექსიც კი არა არამცთუ ვერლიბრი ხომ – პროზისაა, პროზის არის, კი, ოღონდ ფარულად და შეფარულად და შენიღბული, — პროზისმიერო ჯურღმულებო! — ამისაგანნო ცისაკენ თვით მზით, მზით, მზეით,

და წიგნთაწიგნიც, წმიდა წერილიც ხომ პროზითაა დაწერილი მაგრამ — ლექსია, ლექსია ხალხნო — მარადი პროზა, დღისა და ღამისც მანათობლებით ჩვენთვის და ჩვენგან ტანჯვით შექმნილი მაგრამ უფრო — მზით, გინდაც ღამობით,

მზევ — ჩვენგან ხილული სამყაროს გული,-ი, და თურმე შენ კი-არ ამოდიხარა და ჩადიხარ ეს ჩვენ ვტრიალებთ, დედამიწა, შენსა გარშემო, სამყაროს გულო — და როგორც ბავშვისი-გული გიტევს თვით თითან თავად-შენ, ღმერთო,

ეს ჩვენი გულიც, გონების-წარმმართველი, რადგანაც პროზის თავო-მესაჭეე და, საოცრებავ, ალაგ უნდა — გრილსისხლიანიც იყო-უნდა-განგებ-ი დაშორიშორებისას თანაც როგორი უჟმურიც, კი რადგანაც უნდა დაადგინო-რომ აბა თუროგორ დაემორჩილა გონება თვით გულს. და ფლობერი ხომ როგორ ითვლიდა სიტყვების მარცვლებს, და ბგერებსაც კი მარცვლავდა როგორ „მადამ ბოვარი"ს და „სალამბო"-სი, და არც მშორდება და არც ვიცილებ და ვიმეორებ რომ რომელ მწერალს აუმეტყველებია ისე ნამდვილად თვით ადამიანი კი არა და ბალუ, ბაგირა, კაა, აკელა, თუმც —

გადადევითე განზე პაწა-ხნით ელტონიკ ჯონსი-ფიდარასტი და ჩვენს მშობლიურ ქართულ ხალხურ პოეზიაში წაიკითხევით თუ როგორ ნათლისნათლივ-ური პირუტყვაულიალსარებებით თუ როგორ ბაას-ბაას მეტყველებენ დათვი და მელა, მგელი და ვირი, კრავი, წრუწუნა, ირემი, ცხენი და მერე ეგებ ეგა-თქვენი მოამერიკანულ-ჰავანგარდისტობაც გადასდოთ განზე და ბოლო-ბოლო მიხვდეთ თუ რაა — საქართველო,

ხოლო რადგანაც ქართველი ვართ, თავად ღვთისმშობლის მკვიდრი ქვე-ყანის მიმოწანწალე გინდა, შვილი, და აბნეულად ყარიბებიცა ვიყოთე თუნდაც, არა ვართ, არა, ეულები რადგან ქართული — ეს ხომ მკვდრეთით აღმდგარის მარადიული ენაა, ჩვენი — ეს მისი ხელით-გადმონერა — ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი" — ხელოვნებაზე, დიადი ოდა და მისივ რომანი — „ზებულონი" — ინებოს ღმერთმა და ყველანი თუ წავიკითხავთ — საქართველოსი, გადარჩენის, დიადი-გზაი მართმადიდებლური ქრისტიანობის, ფერხთით და, როგორც აქამდე, ასევე შემდგომ — გადარჩენა-ეს, და ნეტა ყველასთან ერთად მეც მეთქვა რომ გმადლობთ ამისათვის გადასაწერო უფალ-ღმერთთანა მიახლოებავ, სამებავ-წმინდავ მოწყალეო, შენნ

და ჩვენ, წმინდასამებით სულჩადგმულები — მამა-ღვთითა და მისი ძის-სიტყვის და წმინდა სულით ჩვენც აკი ვითვლით, კი, როგორ არ ვითვლით თუნდ უნებურად შენს როგორ ფაქიზთ არამცთუ სიტყვათ და მის მარცვლებს არამედ მისსავ ბგერებსაც-კი,

და მერე და მერე, როცა მყარად მივხვდი რომ არავითარი მწერალი არ ვარ არამედ მხოლოდ — გადმომწერი მაგრამ შრომით-იმ, შენ რომ გინდ ოდნავ, წმიდა-სამებავ, მისხალის-ნამცეც-რო — თუ გეკადრება,

შემდეგ და შემდეგ როცა შევიცან სიტყვისა-ფასი, შევიგრძენი, შევითავისე სუცოტათი დიდი ხნის შემდგომ — ეს მე-მ, დიად-პროზისა ჯარისკაცისა გინდაცე-მხოლოდ ომებგამოვლილ-ყანყალა-ღილმა (ერითმება, მღილს...) როცა თამამმა, გადავწყვიტე რომ თავად მარიამ ღვთისმშობელი — რომელისა ხმაც ეკლესიაზე როგორ-რარიგად უფაქიზესურს დანაწვიმარს, კი, კი-ჰგავდა, ეს მეამ-ულირსმა გადავწყვიტე რაიმესათვის რომ-შემედარებინა თავად ღვთისმშობელი, ეს იმ-ამა-ამე ესი-ეს-მე მეეეე-მ და მე-ულირ-

სმა — რომელმა მე-მაც ჯერ არ ვიცოდი „დაუჯდომელი ღვთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელისა“ „ და რომ დავწერე მე-დიდადულირსმა, რომ, „ლამაზია რომ, როგორც რომ“... და, აქ გამიწყდა ყოველი ძარღვი რადგან აბა რიღასთვის შემედარებინა თვით ღვთისმშობელი, რომელიცა რომ, თავად იესუს? — „თვით ღვთისმშობელი გიგვიდა ეზოს“, არადა, მხოლოდ ორმარცვლიანი სიტყვით უნდა მიმეგნო ღვთისმშობლისადმი მიახლება როგორ-ძალიან მოწიწებლობითი, მე-კნინს რაღაცასთან უნდა-შემედარებინა ღვთისმშობელი მაგრამ ჰეე, ეჰ, — გაგიგონია?.. — თვენახევარი ვწვალობდი მთელი, ჩემთვის იმმნიშვნელოვან მოთხრობაში „ზღაპარი შედევრსა და იმის მასალაზე ანუ ჩვენი“, თვენახევარიიი, თავად ღვთისმშობლის შესაფერისს მხოლოდ-ორ მარცვლით, როგორია, და, უცებ, გონებით არა — თვით გულით მივხვდი მისსა საკადრის შედარებას — „ლამაზია რომ, როგორც რო... — თვითონ!“, — მგონი, მივაგენ იმისსა საფერს თავად იმისით, თვითონ ღვთისმშობელით, კი,

და, მერე და მერე რა შემამთხვია უდიადესმა (— იმასთან? ესი-„უდიადესი? — სიტყვაა-კნინი...), რომლი-რომლისგანაც რომ — „ვერასოდეს გამოიგონება ისეთი დაუჯერებელი ამბავი ცხოვრებაში რომ მეტი-უფრო არ მოხდეს“, და თუმცა ვიცოდი ისიც რომ მწერალი (ანუ გადმომწერი) მკითხველზე მაღლა ნუ დაიჭერს თავს რაცგინდა მკითხველ-კატასთან ის ვეფხვი იყოს რადგან ვეფხვია კატისებრთა ოჯახიდან და არა კატა — ვეფხვისმიერული, და ვიცოდი ისიც რომ მკითხველი უფრაა ნამყოფი ნიგერიასა და პერუში ვიდრე რომელიმე ჩიბუხგაჩრილი დასტურ-ლოცმანი რომელმაც მთელი მსოფლიო-ქვეყნებიური, შემოიარა და აი, თუ-რა შემემთხვა აგერ-მე თითქოს ამაეებისა თითქოურ-მცოდნესა, კი:

მე საქართველოს შემდეგ იტალია და ესპანეთი იტალიელ-და-ესპანელსავით? – თუმცა მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მე-„невыездной“-ს აბადა სად გამიშვებდნენ ბრეჟნევობისას ლ. ი. (ერთიღ „Польша-ГДР“-შიღა ვიყავ გაშობილი რადგან ისი-ქვეყნები მაშინ (1980წ) ჰადაჰა სსრკ-სი რესპუბლიკებისადამაგვარები, იყვნენ,) და, 1988 წელს, „отепление“-სას, ესპანეთის რომ დამერთო, ნება, იქამდე არ მჯეროდა ეს სანამ მადრიდის აეროპორტთან, ბნელიღამით, წინდები გავიხადე და დავდგი ასე, მოკრძალებით, ფეხისგულები ესპანურ მიწაზე და ხელისგულებითაც შევიგრძენი დიდი ცალხელათი-ხეიბარისა, სამშობლო, მე იქ ოთხ ქალაქში მეღირსა ყოფნა, იმათგან კი მადრიდის მეოთხე დღე ტოლედოს რვა დღეს დავუმატე, აღარ წავედი მადრიდში, არამედ ციცქნა ძველ-ტოლედოში ვირჩიე მეცხრე-დღეც ყოფნა და ტოლედოს რომ ვტოვებდით გული მიკვდებოდა მაგრამ რომ ვნახე კასერესი, ქალაქი რომლის სახელიც რომ ჩემს ერთ ბორცვს ჰქვია „ვატერ(პო)ლოო“-ში, კასერესმა მე თავად ტოლედოც კი გადამავიწყა და, რომ ჩამოვედი, ვიცოდი რომ მანამდე ჩემგან უნახაობით ესპანეთისადმი არაფერი დამიშავებია ისე დავწერე რაღაცეები სადაც რომ ესპანური ქალაქები და სახელებია და ვიყავი ერთხანს, მე ესპანეთით, სავსე, - ამჩემი ჭკუით, მაგრამ, რომ წავიკითხე ქალბატონ მანანა გიგინეიშვილით როგორ წყალობად ნათარგმნი ხიმენესის „პლატერო და მე“? — როგორ ძალიან კი არა, განუზომელად როგორ უფრო ვიგრძენ, შევიცან ესპანეთი ბედნიერებით გადაღვსებულმა აი ისე რომ ბოლო 10-ოდ ალბათ ისინიც-შედევრი „პლატერო.....“-ში არ წამიკითხავს. და არც ახლა მაქვს წაკითხული რადგან ჩემი ამ-მცირე მაგრამ მაინც გამოცდილებით ძალზედაც მეტად-ძალიან თუ მომენატრება ესპანეთი აგერ არ მართლა-მეგულება, აგერ არა მყავს (და არა — მაქვს, რადგანაც — სიტყვით) ყველაზე დიდი ესპანეთი — წიგნისმიერი?

და „თუმცა“ და „მაგრამ“ კი არა, რა-როგორ შვებად — ჩემი ქართული, მშობლიური, სუყველაფერულ სუუყოველივეზე ძვირფასი მეყო ჭკუა და შევისისხლხორცე იმა სისხლით, კი, გულში რომ მივლის და მტრიალებს რა-ძლიერ, ჩემში, რამდენი ვიცი დიდი მწერალი ანუ გადამწერი და კომპოზიტორიც ანუ გადმომღერებელი და მხატვრებიცა გადმომხატველები — სულიწმიდათი ყოველნივე, ეს, და როცა დიდხანს არ ვიცოდი რომ ყველაფერი წმიდა სამებით ნაღვაწია, ირგვლივ-თურა ხაზგასმულობით კი — სულიწმიდათი, ამპარტავნება მე-ცოტა არცთუ მთლად უჭკუოს არ შევუპყრივარ კი არა და არცკი გამიკარებია სიახლოვეს... — თუმცა ამის მონაცემები ბავშვობაში: სიყვარულის და მოფერების — თვით სიყვარულის როგორი როგო-ძალიან მდომი (თუ, მნდომი) ვიყავ მთლად იქამდე რომ, წამდაუწუმ ვიბუტტებოდი ეგებ იმიტომ რომ მომავალი სიყვარულისათვის მე მომევლინებოდნენ და როგორ წყალობად მეწყალობებოდნენ — მყვანდნენც და მყვანანც ჯილდოდ-მწერლები, და, ზედაც კიდე — მუსიკა და მხატვრობა და, არქიტექტურა მხოლოდ ჩემი თვით-ჯვრისა თვითებ სვეტიცხოველისა და კვეტარის და გელათის მხოლოდ კი არა, არამედ — სხვების, ც, მე შევისწავლე როცა დამჭირდა თვით „კომედია დელ არტე“ რომლის მთლად ნაღდი წინაპარი? — თითოდ-

კინკილა ჯამბაზი იყო, მაგრამ როგორი... — რომელიცა რომ? აი-ერთიცა შალვა-ქართველისაგან გადმოცემით? თავისი ძმებისადმი, ანუ ნათქვამი მისი აგრეთვ-ჩემთვისაც... საკმაოდ ვრცელი ამონაწერი გელით აქ, მოთხრობითგანა „ცალ-ცალკე და ერთად“:

„და, მოდით, აბა თქვენც, შეძლებისამებრ დაიძაბეთ და მეთერთმეტე საუკუნის იტალია წარმოიდგინეთ... ცხოვრება მხოლოდ ახლა კი არა, მაშინაც დულდა, ხოლო ქალაქის ფერადი გული მთავარ მოედანზე ღონივრად ფეთქავდა, ფეთქდა, რადგან სწორედ იქ ტარდებოდა დიდი ბაზრობა, და იქავ იყო ათასნაირი ქარვასლა-სახელოსნო, საიდანაც რომ კაკუნის, ქლიბვა-ხერხვისა და შრიალის ხმა მრავალფეროვნად გამოდიოდა, იდგა ზანზალაკების ერთი წკარუნი, დიდი ზარებიც – ეღერდნენ, მაღალშადრევნიანი აუზის ირგვლივ დაიარებოდნენ მოქალაქენი, სოფლელები და სასულიერო პირნი, გლეხები თავიანთ ჩარდახიან ურმებთან იდგნენ და ცინცხალ ჭირნახულს სთავაზობდნენ გამვლელ-გამოვლელთ, ჯერჯერობით სხვის ჯერაც გაუყიდავ პირუტყვს მოჩვენებითი გულგრილობით უტრიალებდნენ მამაკაცები, ქალებიცა და ქალწულებიც ერთნაირად სახეანთებულნი ჭვრეტდნენ ზღვისიქითიდან ჩამოზიდულ სამკაულსა და ტანსაცმელს, მსუბუქი თასები პირთამდე ივსებოდა და მძიმდებოდა ყოვლად უშაქრო ღვინით, სატკაცუნებლები იქაურობას იკლებდნენ, სახეს ცივი წყლით იამებდა გალახული დამწყები ჯიბგირი, ვერ იყო კარგსა-გუნებაზედ, დიდგვაროვანის მორიგ მითითებას სულ ტყუილ-უბრალოდ გაჰყვიროდა გულგრილად აღგზნებული ჯამაგირიანი მაცნე, აჰ, რია-რია და ორომტრიალი იდგა ისეთი, გადასარევი, მაგრამ ერთგან, სადმე ჩრდილიანში, ყველაზე მეტი ხალხი ქუჩდებოდა, და სწორედ იქიდან მოისმოდა გულიანი სიცილი და ბედნიერი შეძახილები, — იქ, მოყვარული ხალხის წინაშე, თავისუფალი მაწანწალა — თვით ჯამბაზი გამოდიოდა.

შემაღლებულზე უყვარდა დგომა... ჯერ ეს ერთი რომ, უკეთ მოჩანდა, დაა, მეორეც, ხელოვანთაგან გულის სიღრმეში ყველამ იცის ღირსია ამაღლებისა თუ არა, ჩვენი ჯამბაზიც კასრს, ან ცარიელა ყუთს-რასმე შეირჩევდა და, კოხტად შედგებოდა ზედ; ხალხის წინაშე ლაღი სიტყვისა და ქცევის კაცი — შვებად მოარული ჯამბაზი იდგა, მოხდენილ სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნოდა ჭყეტელა სამოსი, ქუდში უცხო ფრინველთა მბზინავი ფრთები გაერჭო, ზურგზე გიტარა ირიბად ჩამოეკიდნა, მხარზედ კი პაწია მაიმუნი ეჯდა, რომელიც დიდის მონდომებით ემანჭებოდა ხალხს, ჭეშმარიტ ჯამბაზს რთული მალაყებისა და ხტუნვა-თამაშის გარდა, სიმღერა, ცეკვა და დაკვრაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა — მაშინ ჯერ კიდევ სრულიად მარტოკინა იყო — და, რაც მთავარია — სიტყვა-პასუხი. იდგა იქ, კასრზე და ყოველნაირ მოულოდნელობას სხარტად, მახვილგონივრულად პასუხობდა, გაუჭირდებოდა თუ რა — თავისით-ნიჭიერიც იყო. სევდაც იცოდა: ბოლოს გიტარას გადმოიღებდა, მაიმუნს ფეხზე მიიბამდა — მხარზე რაღა ემაიმუნებოდა, რადგან გიტარის თანხლებით დამწუხრებული მღეროდა, თუ როგორ მოკვდა გმირი ჰექტორი.

— ვიინ? ჰექტორი?! — ძლიერ გამოცოცხლდა ვასიკო.

— აბა?! დამხმარე ლიტერატურაში წავიკითხე, რომ ერთი ჯამბაზი სიმღერით როგორც კი მიადგებოდა იმ ადგილს, სადაც ჰექტორი იმქუსლიანმა უნდა მოჰკლას, თურმე ერთი ვენეციელი თითო ოქროს უხდიდა ჯამბაზს მხოლოდ იმისთვის, რომ შეეწყვიტა სიმღერა.

— ეს ვითომ, რატომ?

— რატომ და, გრიშა, ერთი დღით კიდევ რომ გაეხანგრძლივებინა ჰექტორის სიცოცხლე... აი, ასე მძაფრად სჯეროდა ჯამბაზის მონათხრობისა“. —

ეს მერე იყო ჩემს-წილ ქაღალდზე, ხოლო იქამდე, 20-ოდ წლისა? — ვწერდი და ვწერდი ის მერე რა რომ – უთავ-უბოლოდ, და არ გეგონოთ რომ მაგიდისა ჭია გავხდი, სრულიადაც არა:

ჩემს ჯონდოსა და ჩემს ვოვასთან და ზვიადთან და მერაბთან და ახლადშეძენილ ბიძინა მინდაძესთან? — დავქეიფობდიც, ხოლო ერთხელ კი, მარინე რჩეულიშვილთან წამიყვანა ჯონდომ, ის და მარინე — კურსელები იყვნენ, და, ვინ დაგვხვდა იქ... „იქ“ კი არა და, თავის ბინაში, თავის ოთახში, შინ:

თვით დიდი გურამ რჩეულიშვილი, ჩვენთვის — ცოცხალი ლეგენდა, და, საერთოდაც, ნაღდი ლეგენდა ხოლო ლეგენდა, მოგეხსენებათ, სინამდვილეა ოღონდაც ისეთი მძაფრი ისე რომ, რომ... — გამძაფრებული, ისე? —

და, ზის გურამ რჩეულიშვილი თავის ოთახში და შევცქერი-ვართ გაოგნებულად დაბნეულები ამ დიდსა-დიად, უნაღდეს მწერალს ანუ კაცურად გადმომწერს, ის მერე რა რომ 24-საა მხოლოდ, — პროზის კაცია როგორი ნაღდი, მისი ოთახის კედლები კი მის-რომელიღაცა ძმაკაცის მიერ ნახშირითაა მოხატული, რაღაც-რაღაცა მძლავრი სახეები ზოგი განზეა მიქცეული ზოგიერთი კი ჩვე-ბეჩავებს — ჯონდო მეტრეველს და მე შემოგვყუ-

რებს, ნახშირულ წესით: მკაფიოდ, ფშვნადად და მყარად, საწერ მაგიდაზე ადამიანის თავის ქალა უდევს შექსპირისეულ მამა-ლორენცოსავით, „კაცისაა"ო მკაცრად გვითხრა თუ „ქალისაა"ო ნაზად თქვა ეს ეს აღარ მახსოვს შეცბუნებისაგან აღარა ვართ არცთუ-ისეთი მაინცდამაინც გამოუცდელები და უნახავები, ჩვენ, გვკვირიავს, მზერა, გურამს კი მუხლებზე გიტარა უდევს, და თუმცა დაკვრა არ იცის მაგრამ რად უნდა — თავისკენ ღონივრად ამოკენკილი სიმები ჩვენთვის, მასზე მთელ-გრანდიოზულ-5 წლით უმცროსებისათვის რაღაც უცნაურ ჟღერადობებს, ჟღერენ, მსჭვალავენ ჰაერს რაღაც-გურამი-სეულით, მისით, ესაც რაღაცა-აწყობასავითაა, ორკესტრისეული, სადაც მოცუღლუტოც კი — ოღონდ მაღლითურად — საკრავი როგორ-ძვირფასი ჩემთვის — ფაგოტი რაღაც თავისას, ცუღლუტურს, გვამცნობს, და ფლეიტასიც დატივტივებს ნატიფი, რბილად გამჭოლი, ხმები, ბგერებად ხმები კი ახლა გიტარაა ჩვენს თვალებსა და ყურთა წინარე, ესპანელებისა და ჩვე-ქართველთა საკრავი დია-დ მშობლიური, და გამომცდელად გვიყურებს, როგორ, ესი-მაესტრო და გვეკითხება:

— თქვენ ორნი, არ წერთ?

აქ ჩვეულებრივს წერა-კითხვაზედ რომ არაა ლაპარაკი — ვიცით მშვენივრად და ისე ვწითლდები რომ კიდევ კარგი ჯერ მხოლოდ ჯონდოს ათვალიერებს — მიჩერებიაც რა-როგორ-დიდად-გამომცდელურად, ჯონდო კი:

— არა.

— აბა ეს რაა, — ამბობს გურამი, ჯონდოსთან გიტარიანა მიდის და პერანგის ჯიბიდან წვერამოყოფილ ფანქარს არ ამოუღებს? — კი...,

ჯონდო წითლდება, — თურმე ისიც წერს, მაგრამ ჩემთანაცა-კი, რა-ნაღდ ძმაკაცთან თან ამა-ამ დარგშიც თურმე, არ დასცდენია ამაზე კრინტი ისევე როგორც ამ-ფარულსა მე-ს, ჯონდო კი, თურმე-როგორ-თვალთმაქცი, ახლა კი ამბობს, ასე:

— ეს... ლექციებისთვის... —

კი, კი, სულ ლექციების ჩამხატავია, კი, —

დაბნეულია, დიდ,

მაგრამ როდესაც როგორც იქნა და ჩემი პირველი მართლაც-ნაცოდვილარები ჟურნალში „ცისკარი" როგორც იქნა და რომ გავბედე და დიდის თრთოლვით მივიტანე — მაშინ „ცისკარი" ზემო სოლოლაკში იყო-მუშაობდა, ყოფილი მახარაძის — ვილაცა გვაგინებს — ქუჩაზე, და როგორც იქნა და რომ ავიარე რედაქტორისკენ რკინის რაცივი საფეხურები და რომ შევაღე ბატონ ვახტანგ ჭელიძის კარი, აღარ ვიცოდი როგორ დამედო მის მაგიდაზე ჩემი ნაწერები და ნამდვილად ნაღდი-სიკვდილის პირად ვიყავ რადგან თან ღრმად ვიყავი დარწმუნებული რომ ჩემი წერით რაღაც დიდ ცოდვას ჩავდიოდი და თან მაინც ვწერდი და ახლა თვით რედაქციასაც კი შევბედე მე-ამ თავხედმა-უსასტიკესმა უსასტიკისოებისებურად ხოლო როდესაც ბატონმა ვახტანგმა, ამ უაღრესად განათლებულმა თურმე და გონებამახვილმა როგორ, როგორ-ლამაზად სხარტმა კაცმა ჩემს პირველ გვერდს რომ დახედა და ამოიკითხა, ჩემი გვარი? — რა მკითხა უცებ:

— ელენესი რა ხარ, გურამ?

და ე-მაშინ კიი, ჰოიი, იქ მე სიკვდილი გავათავე... ელენე ხომ მამიდაჩემია, ხოლო მისი მეუღლე, დიდი ისტორიკოსი (ვაი... — ორმა დიდმა-პრეტენზიულმა ჰვისტორიკოსმა არ გამიგოს ბატონ გიორგის „დიდ"-ს რომ ვუწოდებ თორემ ვაითუ ამომილონ კალმურსა-ოხტში თუმც წერა-კითხვა ერთ-ერთმა ვუმფრო ძალიან ნაკლებად იცის... ვგულისხმობ ნამდვილ წერა-კითხვას). გიორგი მელიქიშვილი ბატონი ვახტანგის კლასელი ყოფილა როგორ-კარგ-კეთილ პოეტ რეზო მარგიანთან ერთად და, მეგობრობდნენ თურმე ახლაც და, მე-საბრალომ კი, ვაიმე ვაითუ მამიდაჩემმა გაიგოს ჩემი ესი-ამბავი, მოთხრობებული, მეთქი, და როგორ დავიბენი კი არა, დავიწვი, დავშრი, ფერფლადღა ვიქეც მაგრამ სიმართლე მაინც ჩავილუღლუღე — აბა იქამდე როდი ვიცოდი თუ ლაპარაკი შეეძლო ფერფლსაც, — მამიდაა-თქვა, და როგორც იქნა ავიმოძრავე ენის გარდა ხელ-ფეხიცა და „კარგად ბრძანდებოდეთ"-ისა შემდგომ სასწრაფოდ გამოვეშურე და გამოვაღე ვიდრე-შესვლამდეც რაძნელი კარი და რახან ისე ძალიან მინდოდა რომ იქაურობას ისე სასწრაფოდ გავცლოდი რომ რაც შეიძლებოდა შორს ვყოფილიყავი იმა-ჩემი თავმოსაჭრელისა შეხვედრ-შერცხვენისა ადგილიდან სულ კისრისტეხით და თავჩაღუნული — რადგან ძალიან გადარცხვენილი — დავეშვი იმ რკინის კიბის საფეხურებზე და უცებ ვიღაცას თავით დავეჯახე მე-მოკუნტული, გულზე, არადა ვიწრო კიბე იყო, გვერდს ვერ ავუქცევდი და, მოსაბოდიშებლად რომ გავიმართე და ძლივას ავწიე თავი, კიდე აეს მინდოდა?, ვინ დავინახე!:

ვინ და, ვინა დაა, გურამ რჩეულიშვილი!.. —

შემხედა, როგორ!

...

.....

მე ახლაც, მთელი 67 წლისა, სანამ მაგიდას მივუჯდებოდე მე სულ, მუდამ ვგრძნობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდაც არ მახსოვდეს მის იმ-იმ მზერას, გამომცდელს, როგორ, 26 წლის ვითო-ყმაწვილისას, გურამმა ამდენ წელიწადს იცოცხლა მხოლოდ ოღონდაც ეს კი — მართლაც ვითომ-მხოლოდ, რადგან რაც მან მოასწრო? არიან ადამიანები, რომლებიც ვთქვათ 84 წლის მიუხედავად 2-ოდ წუთიც ვერ იცოცხლეს „დაკაცებისას" ნაღდი-ცხოვრებით გურამს კი დღეში 24 კი არა სადღაც 365 საათი ჰქონდა, ეს მან იცოდა თუ იცოდა ყველაფრის მოსწრება და აგრეთვ-იცოდა ჯემალ ქარჩხაძის მსგავსად თუ აბადა რა იყო, რაა ნამდვილურ-პროზა, და თუ რაც იყო ის მუსიკა გიტარის მძლავრი ამოკენკვებით იმა-ორკესტრს რომ აწყობდა თურმე რომელსაც მერე, შედარებითულ-დალაგებისას უნდა შეექმნა მუსიკა-ისი, სიტყვისმიერი, პროზისეული, პროზირებული, გადმოიღევით „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე" — რა მინორია, ანდა — „ბათარეკა ჭინჭარაული" — რომელი-ერთი რომანტიკოსულ-კომპოზიტორები, მასთან, იმ შეხედვით კი, მე გინდ 80 წელი ვიცოცხლო გურამ რჩეულიშვილი 85-ს იქნება ჩემთვის, მარადუფროსი იმ შემოხედვითაც კი, კი,

და, მისი მზერის როგორ-აღმქმელი მე, მე-მ გადამწერმა ისედაც, კი, მის იმ მზერასთან ერთად როგორ ვგრძნობ ქაღალდს, ქაღალდს დავცქერი, რომელზედაც რომ, ძველ-ეგვიპტე-დან მოყოლებული, და იმ-სა დიადს შუამდინარეთში გილგამეშ-მეფიანა რა „მასალა"-ზე აღარ სწერდნენ, იქნებოდა ეს ქაღალდის დიდი წინაპარი სალუქ-ლერწამი თუ ქვა და თიხა, იმდროინდელი დიდი მწერლობის, დამწერლობის, გადამწერლობის დრეკად-ყალმითა თუ ბასრი-რამ ნივთით, ამოსაკვეთი, და მე, ვისაც-რომ მასულდგმულებენ დიადი წმინდა სამების გინდაც ძალიან დაბლა მდგარნი მაგრამ მაინც დიდი მოქმედი პირები — როგორმა დიდმა-წინაპრიანმა — თავად ჯამბაზით მრავალმხრივით — აჰ, და კომედია დელ არტემაც თავისის მხრიდან როგორ-ძალიან და მშვენივრად უწინაპრა ისეთ დიდ შემოქმედთ, როგორებიც იყვნენ... ჯერ მხატვრები — კალლო და ვატო, და აუარება სხვა, თუნდაც პიკასო, მერე — ჩიმაროზა, როსინი, და რომ წყალობად არსებობენ ისეთი დიადი ოპერები როგორებიცაა „დონ ჟუანი", „ფიგაროს ქორწინება", „სევილიელი დალაქი", და იქ ასახული კომედია დელ არტესი ბრიგელას მსგავსი მსახურებია და სახეგაბრუნდებულებმაც-კი ვიცით რომ თავად შექსპირის მსახურებიც — ამ კომედია დელ არტედანაა, არლეკინებიც, კოლომბინები, „ჯამბაზები"ც ხომ აკი გვახსოვს, და, რამდენი ვინმ—გოლდონი, ლოპე დე ვეგა, მოლიერი, დოდე, რასპე, და — თვით თავად სერვანტესის, კი, სანჩო პასა, ეს — დელ არტესი მსახურთაგან, კი, მხოლოდ, და, ახლა სხვებსაც აღარ იკითხავთ? — მეურვე-პანტალონე — როგო-ნუპაკი, ტრაბახა დოქტორი გრაციანო, რავალი-მძვინვარე კაპიტანი სპავენტო და სხვები, სხვები, იმა ვითომც-ეული ჯამბაზიდან წარმომდინარე,ნი, სუყველას იმათ, მომდევნოებს, ამ ნატიფსაც და ანწილსაც, ჯგროს, არ მოვიღლები და სუ-ვიძახებ რომ დიდ-წინაპრად, ერთნიც ყარიბად მიმოფანტულნი მოხეტიალედ სიტყვოსანი ჯამბაზი, ესოთ.

ხოლო ქაღალდი ჯერ ხედ იზრდება, შორეულ ტყეში რომელი ტყეც რომ რა ლამაზი და როგორ ჯანსაღად დაბურულია გინდაც დღისით და რა და როგორი იდუმალებით — მთლად დაბურძგვნამდე, ჩვენს — სავსეა, ღამით, მერე სადღაცას გადაამუშავებენა და მერე თეთრ სპეტაკი, სალუქი როგორ, თეთრად, ისეთი, ჩვენს წინარე, დევს,

და,

ქაღალდო, სუფთავ, ვერ-წაბილწულო, ჰოიი ქაღალდო,ვ, ყოვლად უბინოვ, გინდ სადამჭერო ანონიმური წერილებითაც კი რომ დაგადღაბნონ ზედ ე-მაშინაცკი ამტანო, როგორ, ქრისტესმიერო, სა-მიეროვ, და რაც-გინდ ჯღაბნონ შენზე უნიჭოურიც და ბოროტებისთვის,აც, გამოგიყენონ, შენ მაინც როგორ, რაროგორი სუფთა და ყოვლად ვერ-წაბილწული და უცოდველი ხარ, ხარა, ხაარ, შენა ხარ-სწორედ, ჩვე-ულირსთათვის მარადერთგულო, მაგრამ იქამდე, სანამ სუულ-ცოთატიკ გავხდებოდი მე შენი ღირსი მე ვწერდი, ვწერდი, და თუმცა ახლა, აიამ წუთას ტანჯვით კი არა მსუბუქადაც კი და მაინც იმა-წვეთის სიჯიუტით, ძაანდიდი ხნის განმავლობაში ლოდსაც რომ გახვრეტს ამოჩემებულ ადგილას-ზე დაწვეთებებით, მეთქი,

ხანდახან როგორ მიმართლებდა და ისე ყოვლად უსამკაულო ადგილების პროზად გადაქცევა ამ მე-გადამწერს მგონი შემეძლო, ხანდისხანობით და, ჩემი ის ჩამოსვლა, თბილისში, დამრეცი სიკვა მანქანითა, მგონი რომ შევძელ რომ თქვენთვისაც კი, სინამდვილედაც კი, რომკი მექცია აიი, ისე, რომელმა სიკამაც ჯერა-თავიდან ძაანაც-ხსწორა კიდაამღერა ლექსი იმა-ბეჩავა თუშის ქალებსზედ მაგრამ ისედაც ნასვამს არაყი ედო სადღაცას იქვე და დროდადრო იმა-თავისი კაბინისეული ორი დედაბრის გულგასახეთქად დროდადრო არაყს კრ-კრ-ობით ყლაპამდა იყო თუ რა იყო,

„უფრო და უფრო ნიაღვარდებოდა, მკვეთრ მოსახვევებს საეჭვოდ სძლევდა, და, გრამა-

ტიკაზედაც დაეტყო ეს:

— ტირი-აან თუ-შიის ქა-ლე-ბსა!

არ მოგვიი-ვიიდნენ ქმარ-რეე-ბო!!

ტახტის კიდეზე ჩამომჯდარიყო დეიდა ერმონა, და, სიბნელეში, გული ეწოდა, ჭაღებდანთებულ რუსთაველის პროსპექტს კი თან შიშითა და თანაც რისხვით გასცქეროდა ბებია ფაცა,

— ვაა-ითუ დააჰხ-ვდნეენ ლე-კეებზე!-ჰ!..

მამამ ჩანთიდან რაღაც თბილები ამოიღო და შეკუმშულ მხრებზე მოარგო სანდროს, იმან კიდე, შემთბარმა, მუხლებზე მოყუჩებული დეიდა ერმონასაგან ნაჩუქარ ღაბუა-ქათამს თავზე გადაუსვა ხელი, იყო რაღაცა სიბნელეში ავი, ავისმომასწავებელი, ნუგეშის საძებნელი,

„ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან; რომელსა დღესა მჭირდეს მე, მოყავ ჩემდა ყური შენი“,

— დააყ-რეე-იინეეს თავ-ზეე-და! — ჰეხ!,

და ერთიც ისეთი ალალბედობითი შეუხვია, პეტრე-ექიმმა კაბინაზე ორჯერ ღონივრად დაარტყა ხელი.

სიკამ, მანქანა შეაჩერა და, ღრეჭით ამოჰხედა:

— რა იყო, უმფროსო?

— დამიცადე.

გაკვირვებას დარჩენილი სანდრო ხედავდა, როგორ გამკაცრებული, როგორ სხვაკაცად ქცეულიყო მამა, სწორედ ის კაცი, ვინაც ყოველთვის რბილი და დამყოლი იცოდა. ის კიდე, მამა, ძირს გადასული, ღამე-ბნელიშიც კი ბრაზშესამჩნევიც, კაბინის სიკასკენა საფეხურზე შედგა, თქვა:

— წესიერად ატარე. გაიგე? მე აქ ვიდგები. გადასაჩეხი შვილი არ მყავს. მიდი.

დაიძრნენ, რაღა. არა, დაძვრით კი დაიძრნენ, მაგრამაც როგორ — დამრეცი სიკა იმ თავის საჭეს ნამეტურ თუ გააქეზებდა ან მიივიწყებდა, მამა მაშინვე სტაცებდა ხელს, არადა, მანქანის ტარება სულ ვერ იცოდა, დამრეცი სიკა ხანდისხან რომ ჩათვლემდა, მამა ქეჩოში ჩასჭიდებდა თითებს და აჯანჯღარებდა, ორი ჩუმი-რამ წყარო შემოხვდათ და, ორივეგან თუმც საგულდაგულოდ დააბანინეს ხელ-ცხვირ-პირი, — აბაა, გაგიგონიათ?:

— ტირი-აან თუშ-მაას ქა-ლეე-ბსო! — ჰეხ!!,

ის დედაბრები ჰაა, ჰა, გულისშელონებასა იყვნენ, შუბლზე თითები გადაისვა კვლავაც ტახტის კიდეზე ჩამომჯდარმა დეიდა ერმონამ, იქითა საფეხურზე მთლად მივიწყებულ ხეთა სიმრავლით გაოცებული მონადირე იდგა, აქეთა საფეხურზე — მამა,

„უფალი არს მწედ ჩემდა, არა შემეშინოს; რაჲ მიყოს მე კაცმან?“

კარგა მოზრდილი შელმართები დაიწყო და, ხეთა კენწეროებს აბჯენდა ხრიალა მზერას სათუო მანქანა, და ოდნავ თუკი გაივაკებდნენ, ზედმიწისპირა დიდი ფოთლები მყლავნდებოდნენ ბნელში, და წამდაუწუმა ღრმულებში რომ ჩახტებ-ამოხტებოდა მანქანა, ის ავად გაყუჩებული ტყეც ისეთ-ისეთად აზანზარდებოდა, ცის დიდ-ხეებად ჩამოქცევასა ჰგავდა, და მონადირე, ვისაც შორეულ ახალ-სამშობლო შუმერში ციცქნად გააჩნდა ხე, ვინაც თუ სადმე მიდიოდა, თანვე მიჰქონდა უზეუმდიდრესი ბედენა — ხის კარი, ღია სახლში კი დაუდევრად მიმოყრილი რჩებოდა ვერცხლის თუნგი თუ ოქროს ფიალა, და ეს მონადირე ორ დიდ და ტანად გმირთ იხსენებდა, კედარის-ხის წასაქცევად რომ გაემართნენ ამაზრზენ ტყეში, და სანდრომ, ბავშვი იყო, ძარელ მეზობელს მხარზე მიადო თავი და ჩათვლემამდე ძლივას აღიქვა ნაცნობი სუნის შეხება, ალბათ იმ ტყაპუჭს სუ რიგრიგობით იცვამდნენ აის კაცი და იმისი სახლეული, ისიც, გაიტრუნა, მასპინძელივით გლეხი, მხარ-დათმობილი, და, ვინა თქვა რომ, დასვენებაა ძილი, ჰოჰ, რა შვებაა, და რა ტვირთია, დღით დატენილი დამყოლი ტვინის მხოლოდ ღამითღა გასაღვიძებელ, ურჩ-ურჩ ნამცეცებს მთლად უცხო სული რომ შთაბერავს და ზე-გაუჯდება, რა მისჯაა ეს, ვერ გაექცევი, — ორი დევკაცი ისე სხარტად მიიჩქაროდა, გინდაც ხარისწონა იარაღით არ დატვირთულიყვნენ, „საიდან იცის... საიდან, იცის ამან ესე“, ფიქრობდა მონადირე, სანდრო კი სიზმრის ბნელი, მოლურჯო სარდაფებიდან ამოიხედებოდა და იმის კაცებს კი დიდრონ-დიდრონი ჩუგლუგები ჩამოეკიდნათ, და ისე მართლა მიაბიჯებდნენ, მაგრამ ერთვოდა: „კაი ახლა, კაი ახლა ფაცა“, ეს საიდან სად — დეიდა მერი; ეგებ ზურიკოს საბანი გადახდოდა, ანდა, ეგებაც, მარტო ყოფნა სურდა დეიდა მერიას და უნდოდა რომ ეგლოვა თუ, თუ-სად რომელსა მავთულხლართებში იყო ახლა ბედშავი კაკო, მაგრაამ, აბაა, ფაცა ბებია რას დაგიდევდათ, თანამგრძნობები გვერდით ნებავდა და, პატარა მჯიღებს სულ სხაპასხუპით იცემდა გულში, იმ გმირებთაგან ერთ-ერთი კი დამყოლ მეორეს სიზმარში ზღაპარს უყვებოდა: „ღრუბელი გასივდა და სიკვდილს წვიმდა“, ის მეორე კი, ანუგეშებდა და ამხნევებდა: „კეთილი არის შენი სიზმარი“, დაიძრნენ, ისევ, მაგრამ აქ სანდრომ, ვისაც მანქანის იმ ჯაყჯაყში რომ მაინც ეძინა, ზმანებებითაც კი, თვალი გაახილა, რადგან,

გაჩერებულიყო მანქანა. ცუდი სიჩუმე იდგა. რაღაც ლანდები ჩანდნენ. თვალები მოიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნიტა და — ოთხნი. ერთ-ერთი გამოეყოთ, მძიმედ ახლოვდებოდა. და ჩარაზულ ფანჯარასთან მივიდა დეიდა ერმონა, ბნელში დაჟინებით იყურებოდა,

„იყვირა ერთხელ მთელი ხმით ხუმბაბამ“,

მამამ მიწაზე ჩამოდგა ფეხი, მეორე ისევ მანქანის საფეხურზე შერჩენოდა, „ფაცა, ფაცა, რა დაგემართა გაიქეცი კატუტა და წყალია ეგერ ცხვირსახოცი დაასველე ვაიმე რა ვქნა ფაცა, შენი ჭირიმე შემომხედე ფაცა“, სიკას მანქანას კი თუმც წინისაკენ მიემართნა სინათლე, მამის გევრდითა სახება მაინც ბჟუტავდა, რადგან საჭისწინა ხელსაწყოების მკრთალი ციმციმი ეხებოდა; პირახვეული, მაღალბოხოხა და ნაბდიანი კაცი ბნელში შემოვიდა, ორიოდ ნაბიჯზეღა იდგა, ხმადაბლა და მკაცრად უთხრა:

— შუქი ჩააქრე. — სიკას.

ხომ ისედაც ხომ ღამე იყო და, უფრო ყოფილა?

„მძვინვარე ხარივით თავი რა შემართა,
მეორედ იყვირა მთელი ხმით ხუმბაბამ,
ხუმბაბა — ხმა მისი გრიგალი“,
პირი მისი — ცეცხლი, სუნთქვა მისი — სიკვდილ,
სიჩუმე იდგა, მაგრამ როგორი... — ბნელ ყალყზე იდგა!

— სად მიდიხართ. — იკითხა მოქუფრულმა აჩრდილმა, ნაბდის ქვეშ შეემალა ხელები.

— თბილისში. — თქვა მამამ, — რა შენი საქმეა...

ხოლო სადღაცკი თუმც მთლად უ-აჩკებოდ უკრავდნენ მაინც ისევ იმ შორეულ ამბავს იხსენებდა სანდრო, და იმედად ეწვეთებოდა გილგამეშის, ვინც ორი მესამედით ღმერთი იყო, ერთი ფორიაქა მესამედით კი — კაცი, მისთვის, სანდროსთვის, ყველაზე მეტად ღირსეული გამონათქვამი:

„თუმც მეშინია, უკან არ დავიხევ“,

და,

„მესამედაც რომ იყვირა მთელი ხმით ხუმბაბამ“,

— ცეცხლი გაქ? — იკითხა ბნელმა აჩრდილმა და ნაბდიდან ცალი, პაპიროსიანი ხელი გამოაძვრინა. მამამ მეორე ფეხიც ჩამოდგა, ასანთი მოიძია და გაუწოდა, მაგრამ უთხრეს:

— შენ მოუკიდე.

მამამ ასანთს გაჰკრა და ახლა კი, ჩანდა, ციცქნა ალისკენ გადახრილი, ტორტმანა შუქით ალივლივებული ჩრდილი თან როგორ უკიდებდა ცეცხლზე პირსახვევქვეშ შეჩხერილ პაპიროსს და თანაც მამას როგორ გულდასმით, რა ცუდი მზერით ამოჰყურებდა. მერე გაიმართა, თქვა:

— საღოლ.

და ამ ერთ-სიტყვაზე უფრო გამჟღავნდა რომ, ქართული მისთვის არ იყო მთლად-მშობლიური ენა, დიდი შეცდომები არ მოსვლია მაგრამ, რაღაცა ჭარბი თანხმოვნების მარაგი და შეოკება მაინც ეტყობოდა მცირედ ნათქვამებში. იმ სიბნელეშიც კი დაეტყო, როგორ ამაყად შეტრიალდა, თქვა: „წადით“, და თავისიანებისკენ გაეშურა, იმ სამთაგან კი რომელიღაცამ ნაღდი ქართულით დაიძახა: „მწყემსები ვაართა“,

მაგრამ ძალიან წვრილი ხმა ჰქონდა. ისევ საფეხურზე შედგა მამა, მაგრამ ეს ალბათ აღარც ესაჭიროებოდა ამ შეხვედრის თავზადაცემით ერთბაშად გამოფხიზლებულ სიკას, დამრეცსა, მანქანა ისეთის დიდის სიფრთხილითა და რუდუნებით მიჰყავდა რო, და ისე შეჰკროდა კრიჭა, რომ ყოჩაღურ „ტირი-აან თუ-შიის ქა-ლეე-ბსა!“-ს მთელის ეშხით დაამღერებდა კი არა, „იავნანა“-საც კი ვერ წაიღიღინებდა, კაბინისმიერი განაპირა, მონადირისკენა დედაბერი კი წინ გადაიხარა, სიკასკენ იქცია პირი, ამოხედა და, ინადით დაეკითხა:

— დაჰყუჩდი არაა, შე მიწებდასაყრელო...

— მიწები არა ისა... — წაიდუდუნა მესაჭემ. ცივი იყო რო, როგორც რო ზამთრის რკინა და ფხიზელი იყო? — როგორც რო წარჩინებული მესაზღვრე.

ძარაზეც ჯერ უბრად იყვნენ, მერე ერთმა მამისაკენ გაიხედა და მეზობელს გადაულაპარაკა: „აბა კაცი ეგა ყოფილა...“ გამოეპასუხდნენ: „მააშ“. სანდროს ესიამოვნა, ცოტათიც გაიპრანჭა ბნელში. მაგრამ ოციოდ ადამიანიც უკვე ხალხია, სხვადასხვა ჰაზრები წარმოაჩინეს: „მაგრამ, უარესებიც უნდა დაემართნა“... „რა ექნა, ქალო, ხიშტზე აეგო?“ „რატომაც არა“... „მერედა აბა განა სადა ჰქონდა, ხიშტი?“

— ასე არ ჯობია, ფაცა? — ეკითხებოდა დეიდა მერია და სველ ცხვირსახოცს ისევ სახესა და ყელზე უსვამდა, — აბა რა იყო შექალო, ამ შუაღამეზე რომ დაადე თავი და შეიწუხე გული? ბეჩა...

მამა უკვე ძარაზე იჯდა, სიკას რაღად უნდოდა თვალყური და შველა, ისეთი მშვენიერი-კარგად მიჰყავდა მანქანა? — მოწონებული... მაგრამ ის აღერღილი დედაბერი აღარ უსვენებდა:

— რათ ვეღარა მჰღერ, ჭანჭრობის ვირთხავ...

— ჭანჭრობი არა ისა... — ჩაილაპარაკა დამრეცმა სიკამ, სიჩქარე მაინც კოხტად გამოსცვალა და ამით იყო თუ რა, გული მოეცა: — ჩემი ნება არ არი? მინდა არ ვიმღერ და თუმინდ — ისე ვიმღერ როო...

მაგრამ დედაბერმა შეუჯამა:

— კიდეე დაჰმღერ? ისემც...

მამამ მხარზე გადახვია ხელი, მიიკრა, მაგრამ სანდროს ეხამუშა ეს. უცნაური იყო: მამა თუ მოეფერებოდა, სწყინდა, რადგან სულაც არ უნდოდა, ბავშვად ჩაეთვალათ, დიდობდა. არადა, ახლა მხარს ვერ აუკრავდა, და ვითომც გამოსავალი იპოვა — მხარზე თავისით მიადო თავი და, მიიძინა.

დეიდა მერიას კი აშკარად შეცდომა მოუვიდა — საბოლოოდ რომ დაემშვიდებინა ბებია, აკი არ დასცდა?:

— ჩამოვა, აბა არ ჩამოვა? გამხნევდი, ფაცა.

ერთხანს საკუთარი გულისწასვლით შეშინებულ ბებიას კი ერთბაშად გაახსენდა მთავარი და, ისევ რომ გადაებლიტა თვალები,

— ფაცა, არ გაბედო ფაცა! შუა რუსთაველზე ვართ... მოგვეჭრება თავი და ისაა, ვფიცავარ კაკოს!

არადა, გარეთ ვერ გაისვლებოდა, და ბნელში მზერაღა დარჩენოდა დეიდა ერმონას. ღულელებში ღამეული ქოფაკები ჰყავდათ რომ? — მტრისას, მაგრამ ისეც მომხდარა, მგლებს ეზოში სახედარი დაუგლეჯიათ. ზაფხულშიაც კი...

— ადამიანო, — ვეღარ ჩაშოშმინებულიყო განაპირა დედაბერი, ახლა თავის დობილს მიმართვდა, — გადასახლებამ ვერა მიყო და, აეს დამრეცი, არყითა მკლამდა...

— არყითა არა ისა... გამამივიდა ინსპექტორი.

ცხვარიჭამიას, თავს ევლებოდნენ, მიმოხვეული დაღმართები იყო ისეთები რომ? — წრედ ჩადიოდნენ ციმციმა ჭაში, ადამიანები, თან მათიანები, ცხოვრობდნენ იქა, ძირზე; და ჭრაქის შუქზე ძლივსღა ფხიზლობდნენ, ეძინა, სანდროს, მაგრამ ვიღაცა იხვეწებოდა: „ნუ მომკლავ, ნუ მომკლავ", მანამდე კი, ჰოხო, რაც იმას გული ჰქონდა — მესამედაც რომ იყვირა მთელის თავისი ძლიერებით, ხმა მისი — გრიგალი, დიდ ჩუგლუგიანებს შეეშინდათ, მაგრამ ბიჯითაც არ დაიხიეს, შედგნენ კია და, ერთიმეორეს ამხნევებდნენ: „სამოსელს შეეხე ჩემსას, მიგატოვებს სიკვდილის შიში... შენ ხომ გაგივლია ბევრი განსაცდელი?.. ძმობილო, მცოდნევ მრავალი ომის, სრულყოფილო ბრძოლის საქმეში... ომში დაცემულნი სახელს იმკვიდრებენ!.. ქვეყანას ამცნე, რაოდენ მძლავრი ხარ!.. სიკვდილი დაივიწყე, ნუ შეკრთები!.. შევიპყრობთ ხუმბაბას, მოვაკვდინებთ, „საიდან იცის, საიდან იცის ამდენი"... — ფიქრობდა თავისთავზე გაკვირვებული მონადირე, და უცებ ძალიან ბრაზდებოდა: „რა მინდა მე აქ!", — მართლაცდა, შორი მონადირე; ხაფანგთა დამგები, თავს ისე უცხოდ გრძნობდა ამ საფეხურზე, ამ უვალ ხალხში, მაგრამ რა ექნა, ადამიანები უნდოდა იმასაც, მსგავსები სურდა, და ერთადერთი, ვინც ემშობლიურებოდა, საკვირველი კი იყო, მაგრამ, სწორედ ის ამაზრზენი ხუმბაბა გახლდათ, მაგრამ ეგრეთწოდებულ სოფელ მამკოდას რომ მიუახლოვდნენ ტყე კანტი-კუნტა ხეებამდელა დავიდა და, მცირე ორმოში მანქანამ რომ ბორბალი ერთხელაც ჩაჰკრა, კინაღამ გაელვიძა სანდროს, მეორედაც რომ ჩახტიამოხტა, თითები სახელოში ჩასჭიდა მამას, საბოლოოდ კი მაშინ გამოფხიზლდა, მანქანა ასფალტზე რომ გავიდა და მსუყე-რამ ხმაც შემოიერთა, და მონადირესავით გაკვირვებული სანდრო ხედავდა თუ, აღარ იყო ტყე, ანდა, როგორღა იქნებოდა, მესამე დარტყმაზე დაემხო ხუმბაბა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იხვეწებოდა: „გამიშვი, გილგამეშ, ბატონად მეყავ", და კედარის ხეებს მრავლად ჰპირდებოდა, მაგრამ ახლა-ჟამს, რა იმისი ნაწყალობევი უნდოდა გილგამეშს, ჯერ ის ხუმბაბა მოაკვდინა და მერე იმისი მთავარი დიდი კედარი დასცა, და სხვა შრიალა ხეებიც წააქცია ჩუგლუგიანმა ენქიდუმ, ვეღარ იყო ტყე, და ეს ვარგოდაც, არ ვარგოდაც, სოფელ გლდანში თუ იშმუშნებოდნენ და ისიც ხეხილის მკრძალად მოშინაურებული ღობისიქითა სუსტი ხეები, მაგრამ აქა-იქ მუხაცა და კაკალიც იდგა, და ამან თუ შეაგულიანა მონადირისკენა, გადასახლებაგამოვლილი დედაბერი, რადგან ინატრა და თქო:

— ნეტავი ახლა ორი რამ მამცა? ეხ...

— რა და რა, დიდეედ? — შემრიგებლურად დაეკითხა დამრეცი სიკა, მაგრამაც უთხრეს:

— საღი ჭინჭარი და შენი ზადნიცი.

— ვეჰ...

აქა, ქალაქში, ხუმბაბას ნასახიც არ ჭაჭანებდა, — ლამპიონები იდგაა. და გარიჟრაჟისასღა ააღწიეს რუსთაველამდე, რადგან საბოლოოდ ჩამოდამრეცებულმა სიკამ სანაპიროზე გააჩერა თავისი ამტანი ტექნიკურული ვირგლა, ფული მოხიკა და უკანვე სწრაფად მოუსვა, თადარიგიანი იყო — ვინმე პატიოსანი ინსპექტორი ნაშოვნ ფულს თუ ძმურად არ გააყოფინებდა, სხვა მთლად უბინო ინსპექტორი მესამედს მაინც დაატოვებინებდა და ამს ჩვენს სიკას კი დიაღაც რომ არ უნდოდა ეს.

შეღმართს აუყვნენ, მამას ცალი ხელით კარტოფილიანი დიდი ტომარა მიჰქონდა, მეორეთი — ხილი, სანდროს კი ღაბუა-ქათამი მიეხუტებინა. ზემელზევე, უცდიდნენ:

დეიდა კატუტა,

დეიდა მერია და,

რაც მთავარია, ბეე-ბია ფაცა, რომელიც, სანდროს დანახვაზე მფეთქებადად გადარეული, ყოვლად შეუსაბამო რამეებს იძახდა:

— ჩემო სიცოცხლე, სად ხარ ამდენხანს შე სასიკვდილე, შენ კი მოუკვდი მაგშენ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშენს, შენ გენაცვალოს ბებიაშენი, ამდენს სად და სად დაეთრეოდი, ჩემი ჭკვიანი, ჩემი სიცოცხლის კლიტე!

მაგრამ, თავისი გულისწასვლისადა ასანაზღაურებლად, ვილაცაზე ხომ უნდა ეყარა ჯავრი, მაგრამ რა ექნა, მაგრამ ვის-ზე, ჰა... მამასთან — უმძრახად იყო, კატუტა-დეიდა და დეიდა მერია — თანამდგომები იყვნენ, არადა, იმ შუაღამით სხვა-ვილა ჩანდა თვითრუსთაველზე, — დღევანდელივით კიარ იყო... მაგრამ ბებია ფაცა აბა რიღასი ფაცა-ბებია იყო თუკი გამოსავალს ვერ იპოვიდა, და, თუ იცით აბა რაზე-ც იყარა თლათ-თელი ბრაზი :

— მაგ პაჭანიკების წიწილე-ში გამცვალეხომ, ბიჭო!!? — და, დააყოლა, — გაზარდე ახლა რაცგინდა ვინცხა-ბოვში შენ... — და, დააყოლა, — შვილიშვილი, გინდ...

ხოლო, ამ-ამე — შვილის, შვილზე?

აბადა რაღა მესანდროვება:

ჩამეხუტა და, მიმიკრა, როგორ, ბებიის გულზე, ბებიაჩემი? —

დიდათე იყო მოულოდნელი, ძალიან, კი, კი... —

და, გულმოცემულმაც, მეც:

— ნუ დავკლავთ, კარგი?

აქ, მომიცილა; ძალიან მკაცრად:

— მაგი გვაკლია... ცუცქნა-ოთახში...

და, დააზუსტაც:

— დავკლავ კი არა, თლათ გადავაგდეფ შუაგულ მტკვარში!

...

აქ, მოდით ისევ გავსანდროვდები:

კვლავადაც ეთქვა, სანდროს:

— მაგაში გამცვალე, არა? შეხედე, შეხედე-შეხედე მერია, რას გავს, რას გავს მერია, გაფიცეფ კაკოს... — ეს ქათამზე იყო ნათქვამი თუ სანდროზე, ძნელ-დასადგენი იყო ჯერ, მაგრამ ისევ რომ დაიკნინა: წიწილი... — აჰა! თუ-რომელს თუ-რომელს ჰგულისხმობდა, თურმე, მაგრამ, — ამაში გამცვალე ხომ, უსვინდისო შენ!

უსვინდისო და, სანდრო? — ბავშვიც იყო, ჯერ...

რუსთაველის დასაწყისისაკენ კი ასე გაეშურნენ: წინ — ბებია და იმისი სანდრო, მერე დეიდა მერია და დეიდა კატუტა — მთელი ამ დროის განმავლობაში როგორ-უთქმელი, სულ ბოლოს მამა მიდიოდა, ტომრებით ხელში; ბებიას იგი შუა-გზაში-ღა გაახსენდა, მოუტრიალდა:

— გამარჯობათ, პეტრე.

— გამარჯობათ. — თქვა მამამ. მონადირეზე უცხოდ იყო.

— რატომ წუხდებით. — უთხრა ყოფილმა სიდედრმა, — წამოვიღებდით ჩვენ.

— არა, — თქვა მამამ, — მძიმეა.

— კაი აპა... მზეზე დიდხანს ხომ არ იდექი, ბიჭო?

— არა. გზაში ყაჩაღები იყვნენ.

— ვინ?

— ყაჩაღები.

— რას-რას ბუუტტურობ თუ იცი ბიჭო შენ! — რატომღაც ძალიან მსუბუქად შეიცხადა ბებიამ, ალბათ იმიტომ, სანდრიკო გვერდით საღსალამათი რომ ჰყავდა.

— ვინეებიო, ბიჭო? — იკითხა დეიდა მერიამაც, და ბებია, იმის შემხედვარე, სიცელქის გუნებაზე დადგა: — ყაჩაღი, ბიჭო, მარტო ერთი კაკოა ჩვენში და, კალონიაშია ისიც...

— შენ დეილუპე, ფაცა... დავადო ახლა შენსავით თავი მეცდა, შევიწუხო კაკოზე გული?

— გული შემიწუხდა კიარა... ტყვილა ვქენი ის, ნეტავი როგორ ვუყვარვართ-მეთქი... შენ კარქათ იქცეოდი. კატუტაზე კაიძალ-ვუმფრო.

— სილოვანს ვეტყვი მაშინ, შვა-რუსთაველზე ხალხში სახალხოთ ტყვილა გაწვა-თქვა...

— დაგიჯერებს, კი... მართლა იყო ხალხი?

რიურაუდებოდა, და სოფლის განაპირისკენ, მცირე აღმართში ადიოდა დარდებშემოწოლილი დეიდა ერმონა, ცისკრის სისხამში მელიქიშვილის ქუჩისკენ მიაბიჯებდა გულდამძიმებული უსანდროო მამა, სანდრიკოსა და ბებიას კი გულის ძილით ეძინათ, და უკვე მესამეპირ სიზმრებში იყვნენ, და როგორც იქნა და სიკვდილ მანქანის ხმა ჯერ რომ თითქოს მოსაჩვენებლად გამოილანდა სადღაც იქიდან, ტყიდან, მერე იყო და, ძალი მოიცა, მოახლოვდა და, შვებით ნაოჭებშეხსნილ დეიდა ერმონასთან რომ შეჩერდა, სიკა ცოტა არ იყოს დამორცხვებული გადმოვიდა და, მაინც ვითომ ყოჩაღად ჰკითხა:

— წუხელ ცოტათი ხომ არ დაგაშინე, ძალუა ერმონ?

და თუ ბებია ამ თავის დიდად გამამწარებელს ლოყებს საფუძვლიანად არ ჩამოახოკავდა, სულ წყევლა-კრულვით მაინც აიკლებდა და, დეიდა ერმონამ კი ერთი ახედ-დახედა და, თვალებში არა, სადღაც განზე უთხრა:

— ჰეეე, საბრალოდ აშენებულო.

როგორ განსხვავდებოდნენ, —
ქართველები იყვნენ.

აქაა, ცოტათიც დავისვენოთ.

III თავის დასასრული

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ვიოლეტა ვიკასური

ამღერებული ცრემლი

წარწერა ტარიელ ხარხელაურის ერთტომეულზე

მე რას გიწოდებ უკეთესს,
მესაიდუმლევ ლექსების,
დანაკვერჩხლებულ გულმკერდზე
ფრთებს გაფარებენ მერცხლები.
აშენებ დარდის ციხეებს,
ამაღლებ ერთიათადა,
მთები ნისლს თავშლად იხვევენ,
ეს ნისლიც აღარ გათავდა...
მოუხელთებელ მოსისხლეს
ვერ მიწვდი,
და ეს გაღელვებს,
ტკივილი მუჭში მოსრისე,
ცრემლებად ამოამღერე.
ბოლო არ უჩანს საწუხარს,
მოერეოდი, მეგონა,
ბედის ფრთა გექცა მარწუხად,
შეგჩქვიფა,
შეგკრა,
შეგკონა!..
სალამურს მაინც ახელებ,
რიტმი გაქვს თავისთავადი,
ცრემლიც კი ამოამღერე,
სევდის აღმართზე ავარდი.
... ანვიმდა ბიჭის სამარეს,
ხანდახან მეხიც კვესავდა,
მალე და ვეღარ დამძლიე
ლექსი, ქცეული კვნესადა!

უცანური ერთობა

ჩემი მთა, შუქის მთოველი,
გათენება და დაისი,
ყველანი ერთად მოვედით,
არვინ მოსულა თავისით.
შეცოდება და შენდობა,
უცნაურობა ერთიან,
ერთიმეორეს ენდობა,
მერე ერთმანეთს ერთვიან.
სევდაც აქ არის, მოლხენაც,
სიტყვა თბილი და ხალასი,
მომკვლელი ყელის მოღერა,
მოლაქუცება ქალასი...
სიყვარული და ტკივილი,
სიამე, წყენა, სიავე,
წყალს მიჰყვებიან ტივივით,
შუბლები გაინიავეს.
დარდიმანდულად მიდიან
ცხოვრების ნაწილაკები,
ჩაუქთა გზები დიდია,
მოკლეა ლაწირაკების...
სიხარული და მოწყენა,
ქველობა, თავგასულობა,
ამ გზებზე ტალღად მოღელავს,
ერთად მართავენ პურობას!
ეს წესი ვერვინ ალაგმა,
ვერავინ შეძლო მისნობა,
ამოუხსნელი ქარაგმა
მიჰყვება მარადისობას.

ფრთამოტეხილი

განცდამ ნაღველი ცრემლში გარია,
აღარ დამთავრდა ეს მოლოდინი,
ფიქრი ტყვიაზე უფრო მწარეა,
წუთი მძიმეა ოქროს ზოდივით.
შენთან შეხვედრის იმედი კოჭლობს,
ის სილამაზე გაჰყვა ქარწვიმას,
ცალ ფრთას აფარებს სიმღერის კოცონს
ფრთამოტეხილი ჩემი არწივი.

მაშინ

როს ქარი ლეწდა ლერწამის კალოს
და ნიაღვრები ხრავდნენ სანახებს,
შენ მაშინ რწმენა შემმატე, ქალო,
ღრუბლიან ცაზე მზე დამანახე.
როცა უნდოდა ეშმაკის ნაშობს
ჩემთვის ჩაექრო იმედი ხვალის,
არ დამაცადე მოქნევა, ვაჟო,
შენ შეაგებე პირველმა ხმალი!
რა დამავიწყებს...
ეს იყო მაშინ,
როს ვაჟკაცობის ნერგი ყვაოდა,
იმედის შარას კეცავდა რაში
და მზე კოცნიდა ვეფხისტყაოსანს.

თქეში

მივყვები ჭალას ისლიანს,
წვიმამ არ გადაიკარა,
ისეთი სქელი ნისლია,
თოთო თოვლივით მივკვალავ.
ვაბიჯებ წვალებ-წვალებით,
ქვიან ბილიკებს ვედავე,
წამონთებული თვალები
შამბნარს ხმალივით კვეთავენ.
თქეშით მდინარეც მთვრალია,
აჯანყებული ნისლებიც
და უკუნეთის გალიას
ლეწავენ ელვის ისრები.
ლემადე შემომეხვია,
მღვრიე ტბორისკენ მიმათრევს,
მომკერძეთ, როგორც მესია,
მონატრებული სინათლე.

სურათი

ბაღი იმშვენებს ყვავილთა წყებას,
აღაღანებულს ქალის ხელებით,
ხეთა მწკრივებიც დალაგდნენ წლებად,
გულით შევხარი და ვეფერები.
მთვარის ფერია ფერი შაფრანის,
აისის ფერი-მწიფე გულაბი,
შემოვარდება ნყარო ჩქაფანით,
ნერგებს ჩასწვდება გულისგულამდის.
ზაფხულის სიოს,
ფოთლებზე მძინარს,
გამოაღვიძებს სხივთა წკრიალი,
ორომტრიალით იწყება დილა,
მზისა და მიწის ორომტრიალით!

გამოდარება მეღირსოს, იქნებ

ჭიუხში დაძრწის ფხიზელი თვალი,
კლდეზე დაეძებს ჯიხვის ნაკვალევს,
გავითავისე საუფლო დალის,
დალის კარავი გავიაკვანე.
დღეებს ვაღამებ
მზის სხივთან ერთად,
მთვარესთან ერთად
ღამეებს ვათევ,
— უშველე მამულს, —
ვაბარებ ღმერთთან
წვიმაში ცისკენ გაფრენილ ხატებს...
მიწაზე ცეცხლის ეშვება სვეტი,
ნაღვერდლის ენას შოლტივით იქნევს, —
იქნება, ამცდეს გაწყრომა ბედის,
გამოდარება მეღირსოს, იქნებ.

თბილისი

თბილისი ჩემთვის
წმინდა კვრივია,
დასალოცი და დასაფიცარი,
შურისციხეზე შურთხნი ყივიან
და ფრთებს მეტეხზე კეცავს ციცარი.
დავითის ხმალი
კვეთავს უკუნეთს,
დაუგლეჯია თეთრონს აღვირი, —
ამ საოცრებას როცა ვუყურებ,
დამიამდება სული დაღლილი.

სიტყვის კურატი

შენი სიქველით გავხდი გულადი,
წინ მიმიძღვება შენი სინათლე,
აჰა, გეწვიე სიტყვის კურატით,
შენს სალოცავთან დავიბინადრებ.
შუქიან ტაძრის გაღებულ კართან
ვდგავარ...
სურვილი უფრო გახელდა...
თუ უშურველად გამიშლი კალთას,
შიგ სიყვარულის გავხვევ ნაღვერდალს.

გაფრენა ცისკენ

სიცოცხლე დნება სიკვდილის გვერდით,
მკვდრის მზემ მაღრიბის კალთა გაფერა,
რაკი ზეცაა საუფლო ღმერთის,
ნუ შეგვაშინებს ცისკენ გაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი

ოი, რა ხშირად გიგონებ
შენ, სხვაზე უფრო ველურო,
მზე მხრებზე გადაიგორე,
გინდა, მზეს ესიყვარულო.
შენ სხვაზე მეტად ძლიერო,
ამაყო მუხის ტევრებით,
მზემ შენთვის უნდა იელვოს, —
სამეფოს თავზე ევლები..
მოგეფერები გოლიათს,
აბორიგებულს და ახოვანს,
შენამდე თუმცა შორია,
ახლობლისათვის ახლოა.
თავზარს სცემ ლაჩრად შობილებს,
უშიშრებს დაემოყვრები,
ერთმანეთს დაუძმობილე
შენი და ვეფხვის ბოკვრები...
ბებერი ლომიც ლომია, —
კვლავ პირველობას იფერებ,
მე მოგონილი მგონია
ლომის წლები და სიბერე!

ოთხმოცი წლის მეგობარს

ოთხმოცი წელი,
ცივიც და მწველიც,
ზოგჯერ "კუთხური",
ზოგჯერ "გოლია",
ცოტა ყოფილა ოთხმოცი წელი,
თუმცა ყმაწვილებს ბევრი ჰგონიათ.
დალოცე...
როცა დაიზრდებიან,
გაუკვირდებათ წელთა სიმცირე...
ვაი მას, ვისაც წილად რგებია
წერა - მწერელის მღვრიე სიცილი.

ლელას

ბრიალა ბაღის კართან,
ბლებსა და ბიებს შორის,
მზემ გაგიფინა კალთა,
სავსე სხივების ბროლით.
გლოცავს ვარდი და დაფნა,
ალვა, აჭრილი ზეცად,
რომ სიყვარულის აფრას
წმინდა კერაზე კეცავ.
ამ გზით იფრენ და ივლი,
შვლის ნუკრად, გინდაც, გედად,
ჩემი ლამაზი შვილი,
დედა,
კაი ყმის დედა.

შემოთვნება

ცისკარი გაწვა ჭიუხის ქიმზე,
ღამეს ფარ-ხმალი უცებ აჰყარა,
ჯიხვი ისეთი სიამით მიმზერს,
სულში ნათდება მთელი სამყარო.
თეთრმა ორბებმა კლდიდან იხუვლეს,
ჩანჩქერის ჩქერში ლაღობსს კალმახი,
ქარი ნაბადად წამოვიხურე,
ბილიკს გავყევი უფლის კარნახით...

უზნეობა

ქონიან ნაგავის იქეცი გროვად,
შენში მეტწილად ბუდობს სატანა,
შენ დაცემულის არ იცი გლოვა,
არც განწირული კაცის გატანა.
გაჭირდეს,
შვილსაც გაჰყიდი ფულზე
და შეელევი სულის ცხონებას,
ცხოვრებას შავი სათვალით უმზერ,
თუმცა რა იცი,
რაა ცხოვრება...
მშიერიც ვიყო,
ვიყო მწყურვალიც,
მაინც ვიქნები შენზე ძლიერი,
მე არ გავიყოფ შენთან პურმარილს
მწყურვალიც ვიყო,
ვიყო მშიერიც!

ჭრელი გზები

ხან აისი,
ხანაც ღამის უკუნეთი...
ჭრელი გზები მოგვივლინეს ბედად,
გათენებას შენი თვალით ვუყურებდი,
დაღამებას ჩემი თვალით ვხედავ.

ნუნუ ქადაგიძე

ჯადოქარი

თითქოს გუშინ მომხდარიყოს, ისე ცხადად მახსოვს ჯადოქართან ჩემი პირველი შეხვედრა: მე და დედაჩემი სოფლის ორლობეში მოვდიოდით, უცებ დედაჩემმა ხელი მაგრად ჩამავლო და წინ დამიყენა, ვიღაცასთან წარსადგენად მომამზადა.

—ესაა ჩვენი ბარტყი? — მომესმა მაღალი, საკმაოდ მკვეთრი ხმა. ერთი კი ავხედე ცნობისმოყვარეობით. ძალზე ხნიერი ქალი დავინახე, ალბათ, ჭალარა კავები ქმნიდნენ ამ შთაბეჭდილებას, მავი თავსაფრის ქვემოდან ბარაქიანად გადმოშლილები. წარბებს შუა ღრმა ღარიც მომხვდა თვალში. თუმცა ეს ღარი ახალგაზრდობაშიც ჰქონოდა, როგორც სოფელში ამბობდნენ. თვალები ახალგაზრდული ჯანით და ენერგიით უბრწყინავდნენ. თვალების უჩვეულო ელვარება სიმკაცრის ნიშნად მომეჩვენა, წარბებს შუა ღრმა ღარიც აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას. მივტრიალდი და დამალვა ვცადე დედაჩემის კალთის უკან. დედაჩემმა მიბიძგა, ისევ წინ დამიყენა. ჯადოქარმა შემათვალიერა, შემაფასა და, მგონი მოვეწონე, ღიმილით უხმოდ დაიქნია თავი.

დედაჩემმა წუწუნი გააბა, ღამით ცუდად სძინავს, ძილში ყვირისო; რაც მოვიზარდე, ბებიასთან მეძინა ღამღამობით. დიდი მეზღაპრე ქალი იყო, ჩამიწვენდა ლოგინში და ეს ჭინკაო, ის ოჩოპინტრეო. მანამდე არ გაჩუმდებოდა, სანამ ავსულების მთელ არმიას არ ჩამომითვლიდა სათითაოდ. მეც ყურდაცქვეტილი ვუსმენდი, ხანდახან შიშისგან ბალიშქვეშ შევყოფდი ხოლმე თავს, მერე ძილში დამესეოდნენ ხოლმე ის ჭინკები და ოჩოპინტრეები, თავს მაბეზრებდნენ, მაშინებდნენ. ხშირად, გამოღვიძებულს, თვალი გამიხელია ღამით და ყოვლად უცნაური არსება დამინახავს საოცარი სიცხადით. რამდენჯერ მარულა გაუჩაღებიათ ჩემი საწოლის გვერდით. ყირაზე გადადიოდნენ, ათასნაირად იგრიხებოდნენ და იმანჭებოდნენ. უნებურად თუ შევყვირებდი ხანდახან, თორემ შიშისგან ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი.

დედაჩემის წუწუნზე ჯადოქარმა ბამბის ძაფით შეკრული ქაღალდის პაკეტი ამოიღო ჯიბიდან.

—ეს წყალში გაულესეთ და ძილის წინ დაალევინეთ, ზღაპრებიც ნაკლები მოუყევით.

ამ სიტყვებმა ეკლესიის ზარებივით დარეკეს, ჯადოქარი ძალიან ახლოს იდგა ჩემთან, თავზე ხელს მისვამდა. შუბლზე რამდენიმე წამით შეაჩერა ხელი. ვიგრძენი საფეთქლებზე როგორ შემომეჭდო ბალახბულახის ჩხრეკისა და ხარშვისგან გაუხეშებული თითები. ახლაც, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, საოცარი სიცხადით ვგრძნობ შუბლზე და საფეთქლებზე მისი თითების შეხებას.

— ანგელოზები დაუდგებიან დარაჯად შენს ძილს, — მომესმა ისევ ის მკაფიო, მაღალი ხმა.

იმ ღამეს, როცა ისევ გამომეცხადა ბებიაჩემის ზღაპრიდან გადმოსული ჭინკა, მაშინვე გამახსენდა ეს ნათქვამი და გულმაგრად შევხედე, არ მეშინია შენი, ანგელოზები მდარაჯობენ-მეთქი. ჭინკამაც გადმომხედა, სრულიად უბოროტოდ, უწყინრად გამიღიმა. სულაც არ აღმოჩნდა საშიში, არც მახინჯი იყო, კარგად რომ დავაკვირდი.

თანდათან სულ უფრო იშვიათად მეცხადებოდნენ. ბებიაჩემსაც იმდენად აღარ შემორჩა ზღაპრების მოსაყოლი ძალღონე და იშტა, შუა თხრობაზე ეყვინთებოდა, მეც

სულ უფრო და უფრო ნაკლებად მეშინოდა ჭინკების. საბოლოოდ სულაც დაიფანტნენ.

შემდგომ წლებში, მხოლოდ მაშინ თუ გამახსენდებოდა ჯადოქრის არსებობა, როცა შემთხვევით მოვკრავდი თვალს, სოფლის ორღობეში ტუსტუსით მიმავალს. ხელში თითქმის ყოველთვის რომელიმე სამკურნალო ბალახის კონა ეჭირა. ანდა დედაჩემი დამიდგამდა წინ ჩემთვის საყვარელ, ნუგბარ საჭმელს და მეტყოდა, ბოლომდე უნდა შეჭამო, შელოცვილიაო. მეც ბოლომდე მივირთმევდი იმ საჭმელს და დარწმუნებული ვიყავი, ჯადოქრის შელოცვის მადლი ჩემზე გადმოდიოდა. ბავშვი არ გაზრდილა ჩვენს სოფელში, მისი გალესილი წამალი რომ არ დაელია, ანდა მისი გულიანი ლოცვა-კურთხევა არ მიეღო. ჭიპი ხომ ყველას მისი ოქროხელებით ჰქონდა შეკრული.

ერთხელ აბრეშუმის პარკს ვარჩევდით. დედაჩემმა მეზობლის ქალებს დაუძახა მოსახმარებლად. დასხდნენ ქალები, თან პარკს არჩევდნენ, თან ცისა და ბარის ამბები გაიხსენეს. ისე გაერთნენ, სულ დაავიწყდათ, მეც რომ იქ ვიჯექი, ათასნაირ საჩოთირო საკითხებზე ალაპარაკდნენ. მერე ერთმა ფაშფაშა, ფართოსახიანმა ქალმა ელისაბედი ახსენა /ჯადოქარს ასე ერქვა/; რძალი მოსალოგინებელი შეგვექნა და ელისაბედს დავუძახეთო, ყვებოდა ფაშფაშა ქალი. მიუჯდა გვერდით მშობიარეს, უსვამს ხელს მუცელზე, თან ეფერება, რას ეფერება, ენაც კი მოუჩლიქა; ამაზე აღარ იფიქრო, შვილო, აღარ იფიქრო, ვითომ არც ყოფილაო, ეუბნება. ახლავე ყველაფერი სიზმარივით გაივლის, გაისად ამ დროს მოვალ და ანგელოზს ჩაგიგორებ კალთაშიო. გაგვიკვირდა ყველას ეს ნათქვამი. ჰოდა, როცა დაიბადა... არც კი ვიცი, რა ვთქვა, ბავშვს არც კი ჰგავდა. ორი საათიც არ უცოცხლია, მისმა შეხედვამ შემზარა... მაშინ მივხვდით, თუ რატომ ეუბნებოდა ასე, გესმით? ქალებო, ერთი მოუსვა ხელი მშობიარეს მუცელზე და უკვე იცოდა, რაც იყო... ნამდვილი სასწაული ვიხილე. საკუთარი თვალით რომ არ მენახა, სხვას არაფრით არ დავუჯერებდი.

(1) იქ შეკრებილ ქალებს ეს ამბავი სულაც არ გაკვირვებიათ. ოქროს ხელი აქვს ჩვენს ელისაბედსო, ერთხმად თქვეს. ჯერ მაგას მშობიარე არ შეშფოთებულა. თვითონ ფაშფაშა ქალი სტუმრად იყო ჩვენს კუთხეში, ჯადოქარი პირველად ენახა.

—ელისაბედის იმედით ვარ, ღმერთმა მაგის თავი მიცოცხლოს, — თქვა შავტუხა, ახალგაზრდა ქალმა, რომელიც წინსაფრის ქვეშ მალავდა წამოზრდილ მუცელს.

—ელისაბედისგან რა უნდა გიკვირდეს, ნამდვილი კუდიანია, - მოისმა ხმა სადღაც კუთხიდან. კარგად ვერ გავარჩიე, ვინ იყო ამის მთქმელი. ზოგიერთებმა ამაზეც დაუმოწმეს, ღამღამობით ცოცხზე გადამჯდარი დაფრინავს, ტყეში სულ მარტო დადის და ხეებს ადამიანებივით ელაპარაკებაო, ატყდა ლაპარაკი.

—მაგისთანას ახლოსაც არ უნდა გაეკაროს ადამიანი! — წვრილი ხმით წამოიძახა ვიღაც ცხვირწაწვეტებულმა ქალმა. მას მგონი აქამდე ხმაც არ ამოეღო, თავჩაღუნული არჩევდა პარკს.

—შენ არ იყავი, ბავშვს რომ მიარბენინებდი მასთან? — პირზე დაადგა შავტუხა.

—ეგ იყო და ეგ, მეტად აღარ მივსულვარ.

—არ დაგჭირვებია, ჩემო დაო, თორემ საკუთარ ფეხებს გაასწრებდი.

—გინდა ხეებთან ილაპარაკოს, გინდა ქაჯებთან. რას დავეძებ, მე თუ რამეში გამომადგება, — დააზუსტა ფართოსახიანმა ქალმა.

და საერთო შეთანხმებით ქალებმა მოწყალედ დართეს ნება ელისაბედს, ხეებთან კი არა, თუნდაც ეშმაკების უსტაბაშთან ელაპარაკა, ოღონდ მათი სატკივარისთვის ეწამლა.

მე არასოდეს მინახავს ხეებთან მოლაპარაკე ჯადოქარი, ერთი შემთხვევა კი კარგად მახსოვს: ვიღაცამ ჩამავლო ხელი, ზურგიდან შეუმჩნევლად წამოპარულმა. მივიხედე, ჯადოქარი დავინახე, სინათლე კიდევ უფრო შემატებოდა მის ელვარე თვალებს და საითკენღაც მითითებდა; ერთი შეხედე, როგორაა გაოცებული, ეს სად ამოვსულვარო. მეც გავიხედე იქითკენ, საითაც ჯადოქარი მითითებდა და ბებერი, გამოფულეროვებული ხე დავინახე. ფულეროში ჭიოტა ყვავილი ამოსულიყო. ჯადოქრის სიტყვების დასტურად, თითქოს მართლა გაოცებით შემომხედა იმ ყვავილმა. გაოცებას თუ ჭვრეტდა, ალბათ, ბევრ სხვა რამესაც დაინახავდა მწვანე მცენარეებში ჩვენი ჯადოქარი. მგონი, ხანდახან ეფერებოდა კიდეც მათ. საკუთარ შთაბეჭდილებას ისევ მათ გაუზიარებდა, თუ გვერდით ვინმე არ ჰყავდა მოსაუბრედ. აკი ასედაც იყო, სულ მარტო დადიოდა ტყე-ველად, რათა სამკურნალო მცენარეები შეეგროვებინა. ამ დროს შეიძლება ვინმეს მოეკრა მისთვის თვალი. ჰოდა, მეტი არც უნდოდათ.

მგონი ყველაზე კარგად ისევ ჯადოქარს ესმოდა, რა ფასიც ჰქონდა მის საქმიანობას. გუშინდელ ღლაპთან არ დაიწყებდა ამაზე ჩივილს და ლაპარაკს, მაგრამ ერთხელ ისეთ სცენას შევესწარი, რამაც ცხადად დამანახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გულისტკივილი. დედაჩემმა ნამცხვარი გამატანა მასთან. მალამოს საფასური იყო, თვალებზე ისვამდა. თვალს ვერ ვახელდი და როგორ მიშველა, ღმერთმა უშველოსო, დედაჩემი ამბობდა. სახლამდე რომ მივატანე, ჯადოქრის გაავებული ხმა მომესმა, უჩვეულოდ მაღალი, საყვედურებით უხვად შეზავებული. მივხვდი, უდროო დროს მომიწია მისვლამ. ვეღარ გავბედე გამოჩენა, ხეს ამოვეფარე და უნებურად თვალ-ყურს ვადევნებდი ჩემს წინ გადაშლილ სურათს. თუმცა არც ისე საინტერესოდ მეჩვენებოდა, რასაც იმ წუთში ვხედავდი. მიწაზე გაფენილ ფარდაგზე ბალახულახის კონები ელაგა. იქვე იდო ხისგან გამოთლილი ქვიჯა. კეცზე რომელიღაც მცენარის თესლი შრებოდა. "...ისედაც ცეცხლი მიკიდია, წვიმამ არ მომისწროს, თქვენ კიდევ უარესს მიკეთებთ", — ბობოქრობდა ერთიანად გაალმასებული ჯადოქარი, — "ყველა ასე გამოუსადეგარი რანაირად გამიჩნდით, ერთი ბალახის ღერი ვეღარ მოგიტანიათ. რამდენჯერ დაგანახეთ, რამდენჯერ გითხარით, ესაა-მეთქი ლომისპირა ბალახი..."

სახლიდან ვიღაცა გამოეპასუხა: ~~გარეთ გამოუსვლელად:~~

—შენ რომ დაგვანახე, ის სულ სხვა იყო, მაგას არ ჰგავდა.

—ჰო, ცოტა შეცვლილია, — მიაყვირა გულმოსულმა ჯადოქარმა, — ცოტა ფერი გაკრთომია, ფოთოლიც უფრო წამახული აქვს. გაიგეთ, ხალხო, მცენარეც ცოცხალი არსებაა. როგორც ადამიანი არაა ყოველთვის ერთნაირი, ისე არც მცენარეა უცვლელი. ხევში და კლდეში ამოსული სხვანაირია, ტყეში კიდევ სხვანაირი. წლის რომელი დროა, ამასაც მნიშვნელობა აქვს. ამან როგორ უნდა შეგაცდინოს. ამ ხნის ქალი ვცნობ, აღარც თვალი მიჭრის ძველებურად, აღარც მუხლი, ახალგაზრდები რამ დაგაბრმავათ. ვფიქრობდი, ლომისპირას მაინც მომიტანენ-მეთქი. ეგეც ჩემი საძებარი გახდა...

ველოდი ჯადოქრის დაწყნარებას, რათა ჩემი ძღვენი მიმერთმია. ვერა და ვერ დაწყნარდა. ჩანდა, დიდი ხნის დაგროვილმა ჯავრმა ამოხეთქა მაშინ. მის ხელობას ფასი ეკარგებოდა, არ აგდებდნენ რამედ. არც საკუთარი ნაშიერი უსმენდა, აღარც სხვა. მთლად მათი ბრალიც არ იყო, დრო შეესწროთ ასეთი. სოფელში ხალხს სატრაბახო ჰქონდა, ქალაქში ვიყავი და იქ შლიაპოსანი მეცნიერი კაცი ვნახეო. ასე ეგონათ, იმ შლიაპოსანმა მეცნიერმა ყველაფერი იცოდა ამქვეყნად, მისათვის აღარაფერი იყო დამალული და შეუძლებელი. ბუნდოვანი წარმოდგენა მეცნიერებაზე სულაც არ უშლიდათ ხელს, რომ მისი რიდი და მოწიწება ჰქონოდათ.

აღარ აპირებდა ჯადოქარი გაჩერებას, მეც მომბეზრდა იმ ხის უკან დგომა, უცბად მივირბინე, ნამცხვარი ფარდაგის კიდეზე დავდე და უკანმოუხედავად გავიქეცი. მივრბოდი და ჯადოქრის სიტყვები მიმაცილებდა: მცენარის კი არა, ერთმანეთის ცნობას დაკრგავთ, ასე უგულისყუროდ თუ ივლითო.

მეტწაკლები სიცხადით დგანან ჩემს თვალწინ ჯადოქრის ახლობლები. მისი თანამეცხედრე ყველაზე უფერული ფიგურაა. რა სახე ჰქონდა, რა საქმიანობას ეწეოდა, ერთიანად ბურუსშია ჩემთვის დანთქმული. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივე ქვიჯასავით მკვრივი და ჩადგმული. მგონი გამძლეობაც ქვიჯის შესაფერისი უნდა ჰქონოდათ. ორივე სადღაც მოშორებით გათხოვდა. მხოლოდ მაშინ თუ მოაკითხავდნენ დედამისს, როცა რაიმე წამალი დასჭირდებოდათ. ძალზე ყოჩაღი ქალები გამოდგნენ. ისეთი ოჯახები მორთეს, ჩვენს სოფლამდე მოაღწია მათმა ქებამ, მაგრამ მაინც ქვიჯად დარჩნენ ჩემთვის. ორ უგრძნობელ, გულამოღრეტნულ ქვიჯად. ვაჟიშვილი იასონი, თავმომწონე, ყმაწვილი გახლდათ. ~~თავზე~~ მაღალ ბოხოხ ~~ცხვრა~~, სწორედ მასზე იყო ნათქვამი, მიწაზე ფეხსაც არ აკარებსო, ლამის საკუთარ ეზოშიც კი ცხენით დაბრძანდებოდა. რძალი, სულით ხორცამდე ბაზრობისთვის დაბადებული. პირველი ის იყო ჩვენს სოფელში, ვინც ჩურჩხელა ძმრიან შაქარწყალში ამოავლო გასაყიდად. შემოიგდებდა მხარზე კალათას და ჰერი, გაენთებოდა შარას. ბაზრობაზე სიარული იასონსაც უყვარდა, ოღონდ ისე, გულის გადასაყოლებლად. ერთი ძირი ნიახურიც არ გაუყიდია თავის დღეში, არც თანამეცხედრეს მიხმარებია მძიმე კალათის თრევაში. სწორედ ბაზარში აჰყვა ვიღაც-ვიღაცებს, ქალაქში გაემგზავრა. იქ ორიოდე თვე დაჰყო და ისევ გამოგვეცხადა...

ერთ ნამეხარი მუხა იდგა ჩვენი სოფლის შუაგულში. ისე უცნაურად ჩასდევდა მუხის ნაკვალევი, თითქოს ვიღაცას მისი მიწაზე მიჯაჭვა უცდიაო. სხვა ვერაფერი დაეკლო მისთვის მეხს, ყოველ გაზაფხულზე ბარაქიანად იმოსებოდა სიმწვანით. სხვა ხეებს თითქოს მოკრძალებით დაეხიათ უკან მის წინაშე და ასე ეულად მდგარი, ძლევამოსილად ტოტებგაბარჯღული, იშვიათი სანახავი იყო. როგორღაც გაგამხნევებდა, ძალას შეგმატებდა მისი ხილვა. მიწასაც უფრო მკვიდრად შეიგრძნობდი ფეხქვეშ. ხალხს თავისებური რიდი და მოწიწება ჰქონდა იმ

მუხის, ზეციური ცეცხლი შეხებიაო. ყოველთვის ნახავდი მის ტოტებზე შებმულ ფერად-ფერად ნაჭრებს, მძივებს, ყვავილების გვირგვინებს. ყველაფერი ეს უმეტესად გასათხოვარ გოგოებს ანდა ჩვილი ბავშვის დედებს ეკუთვნოდათ. ვერცერთი ბავშვი ვერ გაბედავდა, თუნდაც კენჭი ესროლა მუხის ტოტზე შემომჯდარი ჩიტისთვის, ვერც ჩიტის ბუდეს ახლებდა ხელს. მთლიანად ის მუხა პატარა ნაკრძალი ~~ტყე~~ იყო.

იმ ნამეხარ მუხას შეუჩნდა ქალაქიდან ახლადჩამოსული იასონი, ეს ცრუმორწმუნეობაა, გაიძახოდა. არ ვიცი, რას მოჰკრა ყური ქალაქში ყოფნისას, რა ჩაუტენეს თავში. თუმცა ცარიელ ადგილას, რასაც გინდა, იმას ჩატენი. მგონი თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა. ან რა უნდოდა. ყური არავინ ათხოვა მისი ენის ~~ჭარტალს~~. გაბრაზდა ამაზე და ღამით ჩუმად ცეცხლი წაუკიდა მუხას. თვითონვე დაიტრაბახა მერე მასავით თავცარიელ ძმაკაცებთან. ჯერ გული გამოუღრეტნია მუხისთვის, უნდოდა მთელი ხე ერთბაშად აეფეთქებინა ყუმბარასავით. ნაშალს ვაგროვებდი და ვყრიდი, რომ ვერავის შეემჩნიაო. მთელი ორი კვირა უღრღნია ასე მუხის გული, კარგა დიდი ფუღურო გაუკეთებია და ცეცხლი მერე მიუმარჯვებია. შიგნიდან უჩუმრად გაღვივდა ცეცხლი. როცა გამოაღწია და ხალხმაც დაინახა, უკვე შეუძლებელი იყო მისი ~~ჩაქრობა~~ ხე კვარივით ერთბაშად აბრიალდა. ეს მართლაც აფეთქებას ჰგავდა. მთელი სოფელი მოგროვდა მის ირგვლივ. რაღას უშველიდნენ. ერთნი იმასღა ცდილობდნენ, სხვა ხეებსაც არ გადასდებოდა ცეცხლი. ვედროებით მოარბენინებდნენ წყალს და ახლო-მახლო ასხამდნენ. თვალიც ფხიზლად ეჭირათ, თუ სად დაეცემოდა ალმოდებული ტოტი, შორს ისროდა მუხა ნაპერწკლებს და ალმოდებულ ტოტებს.

ახლაც თვალწინ მიდგას ის ალმოდებული მუხა, ძალზე ძლიერად იმოქმედა ჩემს ბავშვურ წარმოსახვაზე. კარგა ხანს პანიკურად მეშინოდა ცეცხლის. რამდენი იტირა მაშინ რუსუდანმა, ჩემმა დამ. თურმე მასაც შეება მუხის ტოტზე წითელი ნაჭერი. ეშინოდა საწყალს, ბედი დამეწვებაო. დედაჩემი ამშვიდებდა; იმისთანა წუპაკის ხელით დანთებულ ცეცხლს შენს ბედთან რა ხელი აქვს, რომელი ღმერთი მიაქცევსო ყურადღებას. მაგრამ, ვატყობდი, გულში იმასაც ხინჯად ჰქონდა ეს ამბავი. კიდევ კარგი, იმავე შემოდგომაზე ბედნიერად გათხოვდა ჩვენი რუსუდანი, ბავშვიც მშვენიერი, ჯანმრთელი ეყოლა.

საყვედური არავის უთქვამს მაშინ იასონისთვის იმ ჭიაკოკონის მოწყობის გამო, რა უნდა ესაყვედურათ, კაცი ცრუმორწმუნეობას ებრძოდა... ზიზღით კი ყველა ერთნაირად არიდებდა პირს. აღარც გაჩერებულა ჩვენს სოფელში, მე დიდი ასპარეზი მელის და აქ ვერ ჩავკვდებიო, ასე უბრაძენებია. ისევ გაემგზავრა ქალაქად, იქ ზედსიძედ შევიდა და მეორე წყება ცოლ-შვილი გაიჩინა, თავისი ერთადერთი გოგო თინია უპატრონოდ დააგდო. მერე მისი აღარაფერი სმენიათ სოფელში. არავინ იცის, რომელ ასპარეზზე გააჩაღა მოღვაწეობა იმ თავცარიელმა მღრღნელმა.

ისევ თინია გამოისკვნა კუდში ჯადოქარმა, როგორც ჩვენს სოფელში იცოდნენ ხოლმე თქმა, თან დაჰყავდა სამკურნალო ბალახ/ბულახის ძებნისას, რათა მათი გამოცნობა ესწავლებინა. რაიმე სხვა საქმისთვის არც იყო მაინცდამაინც გამოსადეგი თინია. ვერც სიმარჯვით დაიკვეხნიდა, ვერც შეხედულებით. ~~ელამი~~ იყო, თვალები აქეთ-იქით გაურბოდნენ, მგრძნობიარე ბუნების კი იყო თინია, უყვარდა ~~ლამაზი~~ ყვავილები. მაისის თვეში მუდამ ვარდი ჰქონდა თმაში ჩაბნეული. ტურის ბეწვივით ულალი თმა ჰქონდა. ცდა არ დაუკლია თინიას, თვითონაც ჯახირობდა თავისი ~~ჭკუის~~ კვალობაზე. ისწავლა ზოგიერთი სამკურნალო ბალახის ცნობა, წამლების ხარშვა. ყველაზე უკეთესად მაინც შელოცვა ისწავლა. საერთოდ, ბოლო დროს უფრო მორწმუნეობისკენ გადაიხარა, უფრო საამისო მიდრეკილება აღმოაჩნდა.

ის დროც დადგა, როცა ბოლომდე უნდა გაეგო ჯადოქრის ხელობის საიდუმლო უკვე მოწიფულ ქალიშვილს. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ მისი გათხოვებისთვის დაეცადა, მაგრამ მაინცდამაინც არ ჩანდა თინიას გათხოვების იმედი, მაჭანკლები არ უმტვრევდნენ ~~ჭიშკარს~~. გარდა ამისა, თავზე წამომდგარი სიბერის შიშიც ექნებოდა ჯადოქარს. დრო აღარ ჰყოფნიდა, სიცოცხლის მეგზურობა დროულად უნდა გადაეღოცა ვინმესთვის. სიცილით ~~კვდებოდნენ~~ მერე ქალები იმ ფათერაკზე, რაც თინიას შეემთხვა. როგორც კი სისხლი დაუნახავს, წასვლია გული და ბრახვანი გაუდენია ძირს. ელისაბედი მშობიარეს ადგა თავზე. ბრახვანის გაგონებისას, გადმოაბრიალა თვალები, ხედავს, თინია გდია გულწასული.

—მომაშორეთ აქედან ეს ღვთის გლახა. არაფერში არ უქნია ღმერთს, არც ამ საქმეში ივარგებს.

სტაცეს ქალებმა თინიას ხელი და სასწრაფოდ გაიყვანეს მეორე ოთახში. ასხეს წყალი თავპირზე, ძლივს მოიყვანეს გონს. ერთი დარბაისელი ქალი დაადგა თავზე უკვე გონსმოსულს და დარიგება დაუწყო:

—აბა რამ შეგაშინა თინია? სისხლის დანახვამ რანაირად დაგაფრთხო? ყველანი ასე მოვსულვართ ამსოფლად, შენც ასე გაჩნდი...

სწორედ ამ დროს გვერდითა ოთახიდან ახალშობილის ~~ლნავილი~~ ჩხავილი გაისმა.

—აი, ხომ გესმის. მოვა დრო, შენც ასე გააჩენ შვილს და ყველაფერი დაგავიწყდება, — სიცილით უთხრა იმ დარბაისელმა ქალმა.

სანამ ის ქალი ლაპარაკობდა, თინია თავგადაგდებული, თვალდახუჭული იწვა. ბოლო სიტყვებზე გველნაკბენივით წამოიწია, თვალები ფართოდ დააჭყიტა.

—არასოდეს, არასდროს, არასდროს... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა დაზაფრული ხმით, თან ხელებს ასავსავებდა უარის ნიშნად.

შეასრულა ვიდეც თავისი სიტყვა თინიამ. თითქოს განგებ, იმ დღეებში მოუვიდა სწორედ მუშტარი, თანაც ორი ერთად. ცივი უარი სტკიცა თინიამ ერთსაც და მეორესაც. ბევრი არიგეს, უჩიჩინეს, შეაშინეს კიდეც, მაინც არაფერმა გაჭრა. დედამისმა თმითაც კი ითრია, რაზედაც თინიამ ცივი ხმით მორთო კივილი და მთელი სოფელი შეყარა.

ამან ის შედეგი გამოიღო საბოლოოდ, რომ თუ აქამდე სამკურნალწამლო ბალახებს მაინც ეძებდა თინია, ახლა იმაზეც აიყარა გული. ათას რამეს მოიმიზეზებდა, ოღონდ როგორმე თავი აერიდებინა და თან არ გაყოლოდა დედაბერს ბალახ/ბულახის საძებრად. ახლა უმეტესად ისევ მარტოკას ვხედავდი ჯადოქარს, ოღონდ უკვე ჯოხი ეჭირა ხელში და იმას დააკაკუნებდა. ადამიანთაგანი არავინ არ ამოუდგა მხარში, ისევ მცენარემ გამოუწოდა ხელი, ერთგული მეგობრის ხელივით სანდო და ღონიერი.

ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით და რიგით. ბალღები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, ხანშიშესულები კიდევ უფრო ბერდებოდნენ. წარბებ/შუა ღრმა ღარი კიდევ უფრო ღრმავდებოდა ჯადოქრის შუბლზე, იერი უფრო გაუმკაცრდა, უკვე წელშიც მოიხარა. მაინც არ ღალატობდა ერთხელ არჩეულ გზა-კვალს. როცა არ უნდა გამევლო მისი სახლის წინ, სახლის სვეტებზე ყოველთვის ეკიდა ბამბის ძაფით შეკრული ბალახ-ბულახის კონები. ~~გახაშრობად.~~ თუმცა იმდენი კი ვერა, როგორც უწინ. დალოცვა კი ძველებურად გულიანი იცოდა, მკაფიო და ჯავარიანი ხმით. ჯადოქრის მაღალ, გულიან ხმას სიბერემ ვერაფერი დააკლო. თათულიც გულიანად დალოცა, როცა პირველად ნახა...

მე და თათული ჩვენს ნისლა ძროხას მივდენით. ნისლა მაკედ იყო, თათული ტირიფის ~~მოქნილ~~ ტოტს უცაცუნებდა ფერდებზე და ისე მიერეკებოდა. მეც ვეხმარებოდი. ერთი უფერული, ჩხინკორა გოგო იყო თათული, როცა პირველად შემოვიდა ჩვენს ოჯახში. სულ თავჩაღუნული დადიოდა, როგორც მორცხვ პატარძალს შეეფერება. ყველას გვიკვირდა, მისი რა უნდა მოსწონებოდა ბესოს, ჩემს უფროს ძმას. თავი მოიკლა, სანამ ცოლად მოიყვანა. შემოდგომამდე აღარ დაიცადა, აპრილის თვეში გავაჩაღეთ ქორწილი, დედაჩემი გულნაკლული დარჩა, მართლა ბრმაა ბედიო, ბუტბუტებდა თავისთვის.

გავიდა სამი თვე და თათული სასწაულებრივად გარდაიქმნა. ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მენახა; თითქოს რაღაცა აინთო მასში და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ძალით ასხივებდა ის რაღაცა. უფერული პირისკანი გაუმქრქალდა და თითქოს გამჭვირვალე გაუხდა. თვალებიც საოცრად მეტყველი და შუქიანი გამოუჩნდა. თუმცა თვალები შეიძლება ადრეც ჰქონოდა ასე შუქიანი, მაგრამ ვინ შეიწუხებდა თავს მათში ჩასახედად მისი ჩხინკორა ტანისა და უფერული პირისახის დანახვისას. ალბათ, ბესომ მოახერხა მათი ხილვა. ქალი გაივსო, გაიბადრა, მისი დანახვისას ჩვენს ეკლესიაში ხატზე გამოსახული მარიამ ღვთისმშობელი მაგონდებოდა. ოღონდ ჩვენს თათულის ჯანსაღი, ცოცხალი ელფერი ედო სახეზე, ღვთისმშობელს კი სანთლისფერი.

—ნიამორივით იმშობიარებ, ნიამორივით! — რიხიანი ხმით შეუძახა ჯადოქარმა თათულის, — შენი ნაშიერიც ნუკრივით ხტუნვა-ხტუნვით აგედევნება.

მადლიერი ღიმილით გაეღიმა თათულის ამ სიტყვების გაგონებაზე. მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო თათულის სხივმოსილების მიზეზი.

უცნაური ის იყო, თინია რომ შეეთვისა თათულის. არ ვიცი, ასე რამ მოაჯადოვა. შეიძლება თათულის ქალურმა სილამაზემ, დღითი-დღე რომ იფურჩქნებოდა, მისმა მომავალმა დედობამაც მიიზიდა, ალბათ. იქნებ ამ სიახლოვით იმის შევსებას ცდილობდა, რაც თვითონ მას დააკლო ბუნებამ. როგორ შესციცინებდა თვალებში! რა უნდა ენატრა თათულის, რომ თინიას არ ეშოვნა და არ მოერბენინებინა: ეს მჟავეო, ის ხილიო, ზოგი მწიფე, ზოგიც მკვახე. მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, თუ თათული მადიანად შეჭამდა მის მირთმეულ ხილს. გაფაციცებით შეჰყურებდა და ლამის ცრემლი ადგებოდა თვალებზე! როგორი მონდო-

მებით ცდილობდა მის გვერდით ყოფნას. სულ ახლო-მახლო ტრიალებდა. თავკერძა და დიდგულა რომ ყოფილიყო ჩვენი თათული, ალბათ ფეხის ტილოდ გაიხდიდა თინიას, მაგრამ ამდაგვარი არაფერი ყოფილა მის ბუნებაში, უწყინარი და თავმდაბალი ხასიათისა იყო. ეს სახეზეც ეწერა, მტრედისებური სიმშვიდე გამოკრთოდა მისი სახის ყოველ ნაკვთში.

თვითონაც რომ გალამაზდა თინია... თითქოს იმასაც მოეფინა ის შუქი, რაც თათულის წიაღიდან ასხივებდა. ახლაღა შევამჩნიე, რა მეტყველი და შუქიანი თვალები ჰქონოდა იმასაც. სახეზე მოფენილმა ჭირფლმა, ადრე ციცრის კვერცხს რომ მაგონებდა, ახლა ყვავილის ფურცლებზე დარჩენილი წინწკლები გამახსენა. ულალ თმებში ყოველთვის რომელიმე ყვავილი ებნია.

ერთ დღეს თინია აღარ გამოჩნდა ჩვენთან. გაგვიკვირდა, ხმამაღლაც გამოვთქვით ჩვენი გაკვირვება, მაგრამ არ შევშინებულვართ. ალბათ, რაიმე საქმე გამოუჩნდა და მერე ისევ მოგვაკითხავს-თქო, ასე ვიფიქრეთ. მართლაც საღამო ხანს მოირბინა ჩვენთან. ხმის ამოღებაც არ გვაცალა, ისე გვკითხა აჩქარებით:

—ელისაბედი ხომ არ არის თქვენთან?

—არა, ჩვენთან არ არის. რა იყო, მოხდა რაიმე? — მიაყოლა კითხვა დედაჩემმა, როცა თინია ამის გაგონებაზე საჩქაროდ გატრიალდა და გაიქცა.

—მგონი რაღაც ამბავი უნდა იყოს, — ჩაილაპარაკა დედაჩემმა. ერთი პირობა დააპირა გადასვლა და ამბის გაგება, მაგრამ ამ დროს მეზობელმა შემოგვძახა, თქვენს ნისლას მიხედეთო. მაშინვე გავიქეცით. ეზოდან ცოტა მოშორებით გვება ნისლა, ამიტომ ვერ გავიგონეთ მისი ბღავილი. თეთრლაქებიანი ხბო დაგვახვედრა ჩვენმა ნისლამ, უკვე ლოკავდა ხაოიანი ენით. ამით გამოწვეულმა სიხარულმა ყველაფერი დაგვავიწყა. ბავშვებმა მაინც ერთი ურიამული ავტეხეთ. მაშინვე შევურჩიეთ ხბოს სახელი, ნიშა დავარქვით. შუბლზე ჰქონდა თეთრი ნიშანი. ხეირიანად არც იყო გამშრალი, ფეხზე რომ წამოდგა. ჯერ კარგა შესამჩნევად უკანკალებდა მუხლები. ერთი-ორჯერ ჩაიჩოქა კიდეც, მაგრამ მალე გამართა ნაბიჯი.

მეორე დღეს მთელ სოფელს მოეფინა ჯადოქრის ამბავი: თურმე რომელიღაცა ბალახის საძებრად წასულა და უკან აღარ მობრუნებულა. მთელი სოფელი გამოეფინა მის საძებრად. სულ გადაჩხრიკეს სოფლის ახლო-მახლო შემოგარენი ტყე-ღრე, კლდის ნაპრალები, ჯადოქრის სიტყვით, იმ ნაპრალებში იშვიათმა მცენარეებმა იცოდნენ ამოწვერვა. მისი კვალიც კი ვერსად ნახეს. ყველა გაოცებით იჩეჩავდა მხრებს, ასე როგორ გაქრა, რომ კვალიც კი არსად დატოვაო.

შერცხვა ჯადოქრის ოჯახი, ერთ მოხუცს ვეღარ მოუარეს. თავჩაღუნულები დადიოდნენ და ისე აცეცებდნენ თვალებს, თითქოს ჯადოქარი სადმე ღობის ძირას შეიძლებოდა ყოფილიყო დამალული. თავს იმართლებდნენ: „სულ ვუშლიდით, ნუ დადიხარ იმ ბალახ-ბულახის საძებრად, ნუ დადიხარ, ჩვენი არა და არ ესმოდა. ამ სიბერეში ჭკუა სულ გამოელია საცოდავს“. ეს ისე ულერდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ჭკუანაკლები ყოფილიყო და სიბერეში უარესი დაემართა.

რაღაც წესების შესრულება კი სცადეს პირის მოსაწმენდად, მღვდელს წააკითხეს ლოცვა სულით-ხორცამდე ერთიანად უხილავი მიცვალებულისთვის.

ყველაზე მეტად თინია შეწუხდა ჯადოქრის გამო. ისე იყო დარცხვენილი, თითქოს თვითონ ყოფილიყო რაიმეში დამნაშავე. თავი მაღლა ვერ აეწია. რამდენიმე დღე არ გამოჩენილა ჩვენთან. მერე გულმა არ მოუთმინა, მაინც მოირბინა და ველურ არსებასავით დამფრთხალი თვალით შეხედა თათულის. შემდეგშიც ხშირად დამიჭერია თინიას შეშფოთებული და თან უცნაურად მავედრებელი მზერა; ვერ იყო მშვიდად, როცა თათულის შეჰყურებდა. თათული, როგორც ყოველთვის, ახლაც მტრედივით მშვიდად გამოიყურებოდა, ნაზი, მწყაზარი სახით.

საშემოდგომოდ კიდევ უფრო გაივსო და გასხივოსნდა ჩვენი თათული, სახეც თხუთმეტი დღის მთვარესავით შეევსო. დედაჩემი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მზეთუნახავი რძალი შემხვდა, ხასიათითაც უწყინარი და დაუზარელი, თან ლამაზ შვილიშვილსაც უმზადებდა. ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, თათულის შვილიც მასავით ლამაზი უნდა ყოფილიყო. ჩემი უფროსი ძმა ბესო ნეტარი სახით დაბრძანდებოდა. ოჯახის საქმეებზე გული მოიცა. ადრე მაინცდამაინც არაფერზე იწუხებდა თავს, ახლა უქმად მყოფს ძვირად ნახავდი. ხერხს და შალაშინს ხელიდან არ იშორებდა, სულ რაღაცას ჩხირკედელაობდა. ჩვენი ოდა-სახლი შეაკეთა, აივანი გააფართოვა, რას ვიფიქრებდი, თუ ასეთი ხელმარჯვე იყო. თავის ღვიძლ შვილს, რუსუდანს არ ევლებოდა დედაჩემი თავზე ისე, როგორც თათულის, სხვისი შვილია, მეტი მორიდება მმართებსო. საერთოდ კი, ისე ირჯებოდა დედაჩემი, როგორც დღესასწაულის მოლოდინში იცოდა ხოლმე; სახლ-კარი და ეზო-ყურე დააკრიალა. სიმინდის ნაქურჩალს ვერ დავაგდებდით ბავშვები

სადმე, მაშინვე გამოიძიებდა, ვინ დააგდო და მისთვის ადგილს მაგვაჩენინებდა. ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, ჯამ-ჭურჭელი, ყველაფერი გამოამზეურა და გადაახალისა. აკვანიც მოვიძიეთ, სახლის სახურავზე წლობით შენახული. ამ დროს აზრი წამოიჭრა, ახალი ხომ არ შევიძინოთო, მაგრამ ხანმოკლე ბჭობის შემდეგ, ყველანი ამ აკვანში გავზრდილვართ, ბედნიერად დაცდილი აკვანიაო, ისევ ძველი, ნაცადი აკვანი ვარჩიეთ. გაწმენდით კი ისე გავწმინდეთ, სარკესავით გაჰქონდა ლაპლაპი. ლამაზი, ჭრელი მძივი შევაბით, ბესოს ეყიდა ბაზრობაზე.

ასეთ საამურ, მშვიდ მოლოდინში გაილია შემოდგომა. დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ვხედავ, თავისი საუკუთესო ტანსაცმელი ჩაიცვა ბესომ და სადღაც გაემგზავრა. ორიოდე საათის შემდეგ მობრუნდა, ბებიაქალი ახლდა, მეზობელი სოფლიდან მოეყვანა. ტანმაღალი, ცხვირკეხიანი ქალი იყო. გრძელი შავი კაბა ეცვა. ეზოში რომ გაიარა, ჩვენი შავი ინდაური გამახსენდა, გაფხორილ ფრთებს რომ ჩამოუშვებს და მინაზე გააოკიალებს ფეხების მრავალმნიშვნელოვანი ფხაკუნით. თინიაც იქვე ტრიალებდა, გვერდიდან არ შორდებოდა თათულის. ოჯახის დანარჩენი წევრები წინა ოთახში შეგვრეკეს. ზამთარი იყო, გარეთ, ეზოში ხომ არ გავჩერდებოდით.

ფანჯარასთან ვიჯექი და მოწყენილი ვიყურებოდი ეზოში. ცაზე დეკემბრის უძალო მზე ენთო. მზე, რომელიც სინათლეს ასხივებს, სითბოს კი ვეღარ... გვერდით ოთახიდან კანტი-კუნტად მოისმოდა თათულის წამოკივლება. მესმოდა ქალების ხმამაღალი ლაპარაკი. მათში ბებიაქალის ხმა გამოირჩეოდა. ასეთ ამბებს მე უკვე შევესწარი ერთხელ, რუსუდანის მშობიარობისას.

გავიდა დრო, მიიწურა დეკემბრის ხანმოკლე დღე. ლამპა აანთეს და შეიტანეს გვერდით ოთახში. იქ რაღაც ჩემთვის გაუგებარი ამბები ტრიალებდა. მგონი ყველაფერი ვერ იყო რიგზე. ქალების ლაპარაკიც სულ უფრო აღელვებული და შფოთიანი მეჩვენებოდა. ხშირად რაღაცაზე დაობდნენ. მესმოდა კარების ჯახუნი, აჩქარებული ფეხის ხმა. შუაღამემაც მოატანა, მაგრამ იმ შფოთიან ამბავს გვერდით ოთახში დასასრული არ უჩანდა. რაღაც მეტისმეტად გაგრძელდა, უსაშველოდ და უსასრულოდ გაჭიანურდა, სანამ ბოლოს ნამდვილ ჯოჯოხეთად არ იქცა. ჩემს სიცოცხლეში მგონი ჯერაც არ მსმენია ისეთი ხმა, რაც იმ ღამით გავიგონე იმ კედლის მიღმა. ახლაც კი, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, როცა საკუთარი თვალითაც ბევრჯერ მინახავს, თუ როგორ შეიძლება გარდაქმნას აუტანელმა ტკივილმა ყველაზე სათუთი, ნაზი არსება და რა ხმით აიძულოს ყვირილი, მაინც ვერაფრით ვერ დამიკავშირებია ერთმანეთთან თათულის მტრედივით მშვიდი, სათნო იერი და ის საზარელი ხმა, გვერდითა ოთახიდან რომ მოისმოდა. ასე მეგონა, ვიღაცა სხვა ყვიროდა აუტანელი ტკივილისაგან. სულ სხვა, ჩვენთვის სრულიად უცხო არსება, თვალითაც რომ არ გვენახა.

ოთახში ვეღარ ვძლებდი. ათიოდე წუთით თუ გავჩერდებოდი, ისევ გარეთ, ეზოში გავრბოდი. ამ დღეში იყვნენ სხვებიც, ბრმებივით ვაწყდებოდით ერთმანეთს. უმთვარო ღამე იყო, მოწმენდილი. მახსოვს, თვალი რომ შევაჩვიე სიბნელეს და პირველად ავიხედე ზევით... რა საოცარი ძალით ბრდღვიალებდნენ ვარსკვლავები ზამთრის ცივ, სარკესავით კრიალა ცაზე! ასე მომეჩვენა, თითქოს ჩვეულებრივზე უფრო დაბლა იყვნენ ჩამოწეულები. თითქოს იმათაც გაეგონათ ის უჩვეულო ხმა და ამბის გასაგებად მოიჩქაროდნენ. იმ წუთში სულაც არ მიმაჩნდა შეუძლებლად, რომ ვარსკვლავებამდე აეღწია იმ არაადამიანური ტანჯვით სავსე ხმას. არც ის ვიცოდი, თუ ასე უსაშველოდ შორს იყვნენ ჩვენგან ვარსკვლავები. ერთი იყო მაინც, ისე ბრწყინავდა, ნამდვილი პატარა მზე გეგონებოდა. ის სამი ვარსკვლავიც, ერთ სწორ ხაზზე გამწკრივებულები, სამი მოგვი რომ ჰქვია სახელად, მაშინ შევამჩნიე პირველად. გამაოცა მათი ურთიერთდაშორების სიზუსტემ, რა ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან, თითქოს აღლუმზე მიიჩქარიან-მეთქი, ვიფიქრე.

მახსოვს ბესოს უცნაურად გამოთაყვანებული თვალები, ვერაფრით ვერ შეკაზმა ცხენი, ვიღაცის მოსაყვანად სჭირდებოდა სასწრაფოდ. ხელები უკანკალებდა. ლამპის შუქით დამფრთხალი ცხენი თავს უკმაყოფილოდ აქნევდა და ფრთხვინავდა. გომურის კედლებზე ლანდები მიმიმორბოდნენ. გამოართვეს ხელიდან მოსართავი, ჯარა-ექიმი მოიყვანეს საიდანღაც. მერე კიდევ აფრინეს კაცი შორს. ყველა ისე იყო სახეშეცვლილი, ცნობა მიჭირდა. ალბათ, მეც ასე ვიქნებოდი, დედაჩემმა რამდენჯერმე ჩამიარა ცხვირწინ და ვერ მიცნო...

მერე, როგორც იქნა, შემამჩნია დედაჩემმა და მეზობლის ქალს პირდაპირ ხელებში მიუგდო ჩემი თავი, ერთი ეს ბავშვი წაიყვანე და დააძინეო. წამიყვანა იმ კეთილმა ქალმა, თავის შვილებთან დამაწვინა. იმათ უკვე ეძინათ. თავი ხეირიანად არც კი დამედო სასთუმალზე, რომ ჩამეძინა, ღრმა და უშფოთველი ძილით. ხუთი მოსახლის იქით

ცხოვრობდა ის მეზობელი, იქამდე ვერ აღწევდა ის საშინელი ხმა.

სამაგიეროდ, დიდით ადრე, როგორც კი გამოვერკვიე ბურანიდან, მაშინვე გამახსენდა, რა ამბებიც ტრიალებდა ჩვენთან წინა ღამით და თვალები ხელად ვჭყიტე. საჩქაროდ წამოვხტი. ჯერ ისევ ბნელოდა, ყველას ეძინა. ჩუმად ჩავიცვი და ჩვენი ეზოსკენ გავქანდი.

ჩვენს ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ყველაფერი მიწყნარებულიყო, ნაცრისფერი ღრუბლების ჯგრო მძიმე ფარდებივით ეკიდა ცაზე, მათ მიღმა მიჩქმალული ლეგა განთიადი უღონო შუქს ჰფენდა იქაურობას. ასეთი უცხო ჯერ არასოდეს მომჩვენებია საკუთარი კარმიდამო. ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, იქიდან ვიღაცის შავი ლანდი გამოფართხუნდა და შარაგზას გაენთო. თავი ისე წაელუნა, თითქოს მიწაში ჩაძრომას ლამობსო. კინაღამ შევყვირე შიშისგან და უცბად ვიცანი: ბებიაქალი იყო.

ალბათ, ყველაფერი დამთავრდა, გავიფიქრე შვებით. ფეხაკრეფით შევედი წინა ოთახში, არც იქ აღმოჩნდა ვინმე. ორიოდე წამს დავიცადე და იმ ოთახის კარები შევაღე, სადაც თათული უნდა ყოფილიყო. რუსუდანმაც ღამით იმშობიარა, დილით შევედი სანახავად. თვითონ რუსუდანს მშვიდად ეძინა... ნაჭრებში გამოხვეული ახალშობილი გვერდით ეწვა, მე იგი პირველად მუთაქა მეგონა.

ოთახში ისეთი ქაოსი სუფევდა, გამიჭირდა რაიმეს გარჩევა. ხუთიოდე წამს მაინც ვაცეცე თვალები, სანამ თითულის დავინახავდი. თვალდახუჭული იწვა, ჩემსკენ სახემობრუნებული. ეს უკვე სულ სხვა თათული იყო. ერთიანად გამქრალიყო ის ჯანსაღი ელფერი, რაც ადრე ჰყვაოდა მის სახეზე. მისი ადგილი სანთლისფერს დაეჭირა. თვალები ჩამუქებული ჰქონდა. და ეს სიმშვიდეც, ახლა რომ ეფინა სახეზე; სულ სხვა სიმშვიდე იყო. არც ის ჰგავდა წინანდელს. ახლა უკვე ძალიან ჰგავდა ჩვენი თათული მარიამ ღვითსმშობელს. ახალშობილს თვალით დავუწყე ძებნა, მაგრამ არსად ჩანდა. მის ნაცვლად სულ სხვა რაღაც დავინახე, შაქრის თავივით თეთრი და წოწოლა, ბოლოში მოგლუვებული და წაფერდებული, სისხლით მოსვრილ ძონძებს შუა ქათქათებდა. ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო. უცბად ვხედავ, შეთრთოლდა ეს წაფერდებული შაქრის თავი, ცოცხალ არსებასავით შეძიგძიგდა და ერთ მხარეს გამოიბურცა. მაშინვე იმ ძონძების გროვიდან სასხლში ამოსვრილი ხელები გამოცოცდნენ და იმ შაქრის თავს მიეფერნენ, ზელვა დაუწყეს. თვალი გავაყოლე ხელებს და თინიას ულალი თმა დავინახე. სოფელში ხალხი გულმტკივნეულოდ ყვებოდა მერე, დედა უკვე აღარ იყო ამსოფელს, ბავშვი კი ისევ ფართხალებდა მუცელში, დაბადება უნდოდაო. იმის ყურებას ვერავინ ვერ გაუძლო, ყველა მიმოიფანტა. თინია ერთი წამითაც არ მოშორებია, მუცელს უზელდა თათულის, სანამ ბავშვმა საბოლოოდ არ შეწყვიტა ფართხალი.

თინიას ხელებმა მიმახვედრეს, რა უნდა ყოფილიყო ის რაღაცა, ასე გაოცებით რომ შევყურებდი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ბავშვზე ამისმა შეცნობამ. მაშინვე გამოვტრიალდი და უმისამართოდ გავიქეცი. დედაჩემი შემომხვდა ეზოში და რაღაცა მომაძახა. უკან არც მომიხედავს, კისრისტეხით გავრბოდა და მგონი არც მესმოდა რაიმე, ვერც ვერაფერს ვხედავდი. ისე ვირბინე, სანამ უღელში შებმული დაღლილი ხარივით არ დავიწყე ქოშინი.

როცა შევჩერდი, სოფლის გარეთ ტყისპირას აღმოვაჩინე ჩემი თავი. ზამთრის ძილში ჩაფლული, ტანგაშიშვლებული ხეები მდუმარედ შემომეჯარნენ ირგვლივ. კუნძზე ჩამოვჯექი. ვისვენებდი და ხანდახან თავს ენერგიულად გავაქნევდი ხოლმე სახლიდან გამოყოლილი კოშმარული ზმანების მოსაცილებლად. გულისრევის მსგავსი გრძნობა ჟამიდანჟამს მაწვებოდა ყელში.

ნელნელა დავწყნარდი, გულისრევამაც გამიარა. ირგვლივ უფრო ყურადღებით მიმოვიხედე... და პირველად მაშინ გავიგონე ხეთა დუმილი. მაშინ ვიფიქრე, რა უმოწყალოდ ჩუმად არიან-მეთქი. იქნებ რაიმე ეთქვათ, ლაპარაკი რომ შესძლებოდათ. ანდა, უფრო სწორად, მე არ შემეძლო მათი მოსმენა, ჯადოქარს შეეძლო. ახლა აქ რომ ყოფილიყო, ალბათ დაელაპარაკებოდა ამ მდუმარე ხეებს. ვინ იცის, იქნებ ამ წუთშიც დააბიჯებს სადმე მწვანე ბილიკზე, თავისებურად კოპებშეკრული. ჯადოქარი ხომ არავის უნახავს მკვდარი, მიწა არავის მიუყრია მისთვის...

ამ ფიქრებში გართულს, ერთი კანდანაოჭებული ხე მომხვდა თვალში. ჯადოქრის პირისკანს მიუგავდა მოგლუვებული ქერქი. ჯერ ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, მერე იმ ხეს ხელი ფრთხილად მოვუცაცუნე მოგლუვებულნაოჭიან ქერქზე და ხმადაბლა შევეხვეწე:

„უშველე ჩვენს თათულის, უშველე...“



ქემერ ჩახავა

* * *

მე მიყვარს შენი ლამაზი სახლი,
იმ ლამაზ დღეთა დარდი ფარული...
ცხოვრებასავით მე ასე დაღლილს
გამახსენდება ის სიხარული.
ო, რა დრო იყო, ისევ ვიხსენებ
გიტარას, ლექსებს, ღამეს მთვარიანს
და ამ ასაკშიც ველარ ვისვენებ,
თვითონ არ ვიცი, რა მიხარია.

მოდის ზამთარი

ეს შემოდგომა მიბრძანდება
მოდის ზამთარი,
პირდაღრენილი შემოგვიტევს
როგორც აფთარი.
ჩაგვიქრობს შუქებს, გაზს გამორთავს
და ჭრაქს აგვინთებს...
კვლავ მოგვანატრებს შემოდგომის
ძვირფას ამინდებს.
თოვლი მოხატავს სიცივეში
ჩარჩენილ სახლებს,
და ააყეფებს შიმშილისგან
სულწასულ ძაღლებს.
გასაკვირველი მიპასუხეთ
რაა ამაში,
ზამთარიც წავა, დრო რომ მოვა
თამაშ-თამაშით.
ცხელი ზაფხული ვიცი
აღარ დააგვიანებს,
რა ცოტა რამე გვახალისებს
ადამიანებს.

* * *

აქ, ნაძვებს არხევს ნიავი ნელი,
ზღვა არის ლურჯი და ცა კამკამა,
მწვანე მინდორზე გამორბის შველი,
შეიფრთხიალა სადღაც კაკაბმა.
აქ, ვარდს ბულბული ისევ უგალობს,
ჩაისრიალეს ტბაში გედებმა,
რა ლამაზია და რა უბრალო,
უფალო, შენი შემოქმედება.

წავალ

ეს ცხოვრებაც დასრულდება უბრალოდ,
დავიხურავ ჩემი მიწის საბანს,
თუ კი ცოდვებს, მაპატიებ უფალო,
იქ, ჩემ ძმებთან სიხარულით წავალ.
ველარ დავთმე მიწიერი სიამე,
დღესაც ასე დაბნეული დავალ,
ეს ცხოვრებაც უცნაურად ტრიალებს
და მახსენებს, ჩემს შეცდომებს მრავალს.

მალთაყვა

ვიგონებ ზღვას და მაისის წვიმებს
და ურუანტელი მხიბლავს დილისა,
შენი თითებით აკინძულ მძივებს
ვინახავ, როგორც ძვირფას თილისმას.
აქ ტბაში ისევ ეშვება მთვარე,
დაჰქრის სიო და ველი ბიბინებს,
ის სიხარული და სიმწუხარე
არ ვიცი ახლა თუ რას მიპირებს.
შენზე ფიქრებმა ძლიერ დამღალა,
გავყურებ ჩემს გზას,
სწორსა და მრუდეს,
და გადმოვარდნილ ყვავის ბახალას
კვლავაც ვუბრუნებ მშობლიურ ბუდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიგონებენ

ამქვეყნად შენ ხარ მგოსანო გმირი,
რადგან ლექსს აძლევ
ძალას და ღონეს,
და ეგ ცხოვრება მიჯდება ძვირად,
ყველაფრისა და არაფრის მქონეს.
მოგეფერება სამშობლო შენი,
როცა ზეცაში შეინავარდებ...
შენ ყველაფერი რარიგად გშვენის,
რა ლამაზია შენი სავარდე.
და როს ვარსკვლავად იელვებ ცაზე,
მოგიგონებენ ოცნებით დაღლილს,
იმ შენს ურთულეს ეკლიან გზაზე
ილოცებს შენი მშობელი ხალხი.

თენგიზ არჩვაძეს

თვითონ არ ვიცი ვის დაგატოლო,
მიწის ხარ, მაგრამ უფრო ცისა ხარ,
შენმა ძმობილმა, ზურაბ ბატონმა,
ვის შეგადარა, სწორედ ისა ხარ.
უფროსო ძმაო, მზისებრ თბილი ხარ,
შენ მყვირალი ხარ, როგორც ირემი,
ქვეყნის ლამაზი დიდი შვილი ხარ
და წინაპართა დანაპირები...
შენი ვარსკვლავი ცაში ანთია,
დიდი ვარსკვლავი, განა მომცრო ხარ,
მსურს შეეგებო მრავალ განთიადს...
აბა, მე რაღა სასიცოცხლო ვარ.

გურამს

შენ დამიდექი გვერდით,
როს გამიჭირდა მაშინ.
და სიხარულის წვეთი,
სულ ერთი წვეთი ზღვაში...
ბევრმა მიგანა, რადგან
მე ჩემებურად ვმღერი...
და ვით დასაკლავ ბატკანს,
ასე მიყურებს ბევრი.
ვისწორებ მგოსნის სამოსს...
ბედთან, იღბალთან ვდავობ.
უკვე გადავცდი სამოცს,
რა დრო მოსულა ძმაო.
დღეები, დღეებს მისდევს
ჯებირს მივარღვევ მკერდით,
და მიყვარს ჩემი ქრისტე
ჩემი უფალი ღმერთი.

მეგობრებს

გაზაფხული მიილია თითქმის,
ავსებულა ღვინით ჩემი თასი,
ჩემს სუფრაზე ყველაფერი ითქმის,
რადგან მხარზე ანგელოზი მაზის.
უკანასკნელ უზალთუნებს ვხარჯავ,
თქვენთვის ხშირად
ლამაზ სუფრას გავშლი,
და ყანწს ვიქნევ ისე, როგორც ხანჯალს
ეს ბებერი, პოეტი და ბავშვი.

ასეა

არ მომიშალო ღმერთო იმედი,
მძლეველიც ვიყავ, ხანაც ძლეულიც,
ჩარეცხილი მაქვს ჩემი წვიმებით
სახე დაღლილი, სარკედ ქცეული.
მე შენ საფლავთან ისევ მოვედი,
ყოვლის მცოდნეც და
ყოვლის არმცოდნეც,
უპირველესად მე ვარ პოეტი
და ჩემი ლექსის ჯადო მაცოცხლებს.

თბილისი

შემოსვლა მიყვარს მაისის დილის,
სასწაულია მისი ფერები,
დავიჩოქებ და ჭაღარა თბილსს
ჩემ დედასავით მოვეფერები...
ასწლოვან ხეთა ქათქათა ნისლით,
ციხის გუმბათთა მტკივან შუბლებით,
საქართველოსთვის დაღვრილი სისხლის
მემკვიდრეობის დიდი უფლებით,
ავმხედრებულვარ ცხენზე ყიჟინით,
შენსკენ მოვქრივარ ჭენებ-ჭენებით,
როგორც სიცოცხლეს
სიკვდილმისჯილი,
მოვალ და ისე მოგეფერები.



ნინო ჯორჯაძე

შემოდგომა

მე ვარ შემოდგომა, ჭრელი მოზაიკა... უხვად მოხატული ფერთა გალერეა, ღრუბელთ სინოტივე, სულში ლოცვად მიკრავს, თუკი, რა თქმა უნდა, გზა არ ამერია.

მე ვარ შემოდგომა, მტევნის გაფიცხება, სისხლის ადუღება ბადაგ-შარბათებით, ვიწყებ ენკენისთვით, მერე სიცივით და მერე წვიმებით და ზამთრით გავთავდები.

მე ვარ შემოდგომა, უხმო გაშიშვლება, უხმო გადაჭკნობა, ფოთოლთ სინანული, ქარში ყვავილების სუნთქვა გაიშლება ბოლო სიმძაფრით და ბოლო სიყვარულით.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ფოთოლცვენა, შუქი გაქრობის და ფერფლად მინავლების, ერთ დროს დამდაგველი მწველი მხურვალება, ბოლოს ფიფქებით და სევდით ვიმალები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ განშორება, მე ვარ მონატრება, მე ვარ სიმარტოვე, ხეებს ფოთლები და მინდვრებს ყვავილები, სივრცეს მერცხლები და შენ მე მიგატოვებ.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გარინდება, მე ვარ ჩავლილი და მე ვარ ნაწარსული, მე ვარ მოფერება, მე ვარ დაბინდება, მე ვარ ანარეკლი ყველა გაზაფხულის.

მე ვარ შემოდგომა, უცხო სიმბოლიკა, კვნესა გარეული ხიბლი ამინდების, მე ვარ ოქროსფერი ფერის გაგიჟება, მე ვერ დავდუმდები, მე ვერ დავმშვიდდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაღლილი, მზერაგამცვდარი და თრობამორეული, მე ვარ აუხსნელი, მე ვარ ასახსნელი, მე ვარ ახლობელი, მე ვარ შორეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გაფითრება, მე ვარ სასწაულის მკვეთრი ნაბიჯები, მე ის სიკეთე ვარ, რომ არ გაითვლება, მე ის ბავშვობა ვარ, რომ არ დავდინჯდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ღვინობისთვე, მე ვარ ამურისგან ტერფებდამსხვრეული, მე ვარ გატაცება, უხმო გატაცება, მე ის ყვავილი ვარ მტვერში წაქცეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაფრენა, ჯებირმორღვეული სივრცე ტკივილების, მე ვარ თვითმკვლელობის არსის გამართლება, თუმცა ულაზათოდ მე არ მივილევი.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ მოძახილი, მე ვარ გახსენება ძარღვში მოვარდნილი, მე ვარ მოდარდება, მე ვარ მოლანდება, ალი დამლუპველი ყველა მონადირის.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაბნევა, მე ვარ გადანერგვა სხივთა პალიტრების, მე ვარ სიცოცხლე და მე ვარ სიკვდილი და მე ვარ მოლოდინი დიდი დაფიქრების.

მე ვარ შემოდგომა, ფერთა მოზაიკა, ფერთა ჯადოსნური ხილვის გალერეა, თითქოს მომიყვანეს სულ სხვა სამყაროდან და ამ სამყაროში გზები ამერია... არის შემოდგომა... დენთი — ღვინობისთვე და ეს ღვინობისთვე ჩემი მფარველია.

* * *

არ ვიცი რატომ მოვიდა თოვლი...
რატომ თოვს ასე წყნარად და მშვიდად...
მე დაღლილი ვარ დამღლელი როლით...
და ღიმილს შენ რომ ჭკუაზე გშლიდა,
დღეს ბედისწერა უსწორებს ნაკვთებს.
ნუ სიცოცხლეო! ნურაფერს მკითხავ,
(რატომ მიყვარდი, ან რატომ დაგთმე),
ნუღა ამიშლი დაწყობილ დავთრებს,
სიყვარულისას.
ამაღამ უნდა ლამაზად დავთვრე...
უნდა მოვირთხა.
ამ სიჩუმეში. ამ სიცივეში.
და უნდა გავთბე.
რადგან შენთან ყოფნა მომინდა.

ჩემს თორნიკეს

დიდი ხანია ველოდები შენს დაბადებას,
მზეზე გამდნარი მიმოზები ყვაოდა უწინ.
ჩემს სულში თუ რა სასწაული დაიარება,
თითქოს ვხვდები და
უფრო უკეთ უფალმა უწყის.
შენი თითები
მელანდება ტაძრის სიმშვიდედ,
ო, ჯერ არნახულ,
არ განუცდელ ტკბობას მპირდები,
ო, გეფიცები,
ჩემს უხილავ ფრთებს მოვიშიშვლებ
და ალიონზე
მზესთან ერთად ამოვბრწყინდები.
ჩამომეღვენთე დაღლილ სულზე
ცისფერ სანთლებად
გამინატიფე სიცოცხლე და
ამავსე კდემით,
ჩემს სულში თუ რა სათნოება დაიბადება,
იცის უფალმა,
მეც ქალური გუმანით ვხვდები.
ჩვილის თითები მელანდება
ტაძრის სიმშვიდედ,
ო, ღმერთო ჩემო,
მზეზე დაღვრილ სივრცეს მპირდები.
ო, გეფიცები,
ჩემს უხილავ ფრთებს მოვიშიშვლებ
და ცისკიდურზე
მზესთან ერთად ამოვბრწყინდები.

* * *

ვერ აგიცხადე სასწაული
ვერც ერთი ზღაპრის,
ყავის ჭიქაში დაეძებენ ქალები ილბალს,
იშლება კარტი,
საპატარძლოდ ირთვება მარტი,
დათუთქულ სხეულს უსინჯავენ
ცარიელ ფინჯანს.
ცა დაბურულა უამური, უჟმური ფიქრით,
საკვამურებში გამურული ჭინკები სხედან,
ზღვა რამდენჯერაც მომაწყდება
თვალღია შიშით,
მე სიცოცხლესთან
ლანდი შენი მაბრუნებს დედა!
ბავშვობა ჩემი რიგ-რიგობით
დაცხრილეს წლებმა,
ათასი ტყვია დაახალეს
სიმართლის მძებნელს,
შენ გამიყუჩე იარები ძვირფასო დედავ,
და მაპატიე,
რომ ასეთი სიცოცხლე შევძელ.
ვერ აგიცხადე სასწაული
ვერცერთი ზღაპრის...
და ყოველლამე გვიმარხავენ
საყვარელ ცხედარს,
ზღვა რამდენჯერაც მომაწყდება
სიცოცხლით დაღლილს,
იმდენივეჯერ მოგაწყდები
ნატვრებად დედა.

თგილისს

ისევე შენზე ლექსით ვივსები,
ერთგულ ბრწკარედებს მთავაზობს ზეცა.
ისევ შენთან ვარ... და სამარემდე
ერთ უსახელო ლაბირინთს ვკეცავ.
ვისწავლე ჭკუა და ცალმხრივ ქარებს
აღარ ვუგზავნი ტრფობის ბარათებს,
ჩავჩერებივარ მტკვრის მტკივან სარკეს,
ჩემი ცხოვრების მაცდურ ანარეკლს.
ო, ყველაფერი წაიღე მტკვარო,
სადღაც ხომ ძარღვში გიჩქეფს არაგვი...
გასალეწია ცოდვილთა კალო
და სუნთქვა ყელში აღარ გადამდის.
მე მაინც შენზე ფიქრით ვივსები,
ზეცა კვლავ გზავნის
რითმულ ბწკარედებს...
სავსე ვარ შენი ტრფობის ღირსებით,
ისევ შენთან ვარ და სამარემდე
მხოლოდ და მხოლოდ შენი ვიქნები.

* * *

რა არის სიკვდილი?!
ისეთი არაფერი...
თვალებს დახუჭავ და...
მოვა...
მერე დაიწყება...
ვისთვის ნაცრისფერი...
ვისთვის ვარდისფერი თოვა...
დარდი გაბევრდება...
ცრემლი დაბერდება,
ლოცვა დაიღვრება გლოვად...
რა არის სიკვდილი?!
ისეთი არაფერი...
თვალებს დახუჭავ და...
მოვა...

ალბერ კამიუ

დაბრუნება ტიპასაში

„შენ შორს გასცურე მშობლიური ნაპირებიდან
მშფოთვარე სულით;
გადალახე ორმაგი მწკრივი ზღვის კლდეებისა
და ახლა ცხოვრობ უცხო მიწაზე".

„მედეა"

ხუთი დღე განუწყვეტლივ აწვიმდა ალჟირს. ბოლოს ზღვაც დაასველა. მაღალი ცა ამოურწყავი ჩანდა და ყურეს შეუსვენებლად ასხამდა ღვართქაფს. ნაცრისფერი, დუნე ზღვა, უზარმაზარი ღრუბელივით ჩაქუფრულ ყურეში გაფუებულიყო. წვიმა არც უმატებდა და არც უკლებდა — თითქოს არც კი მოძრაობსო, ისე დიოდა. ის იყო მხოლოდ, ზოგჯერ მღვრიე ნისლის ოდნავ შესამჩნევი ტალღა გადაუვლიდა ზღვას და მილივლივებდა ნავსადგურისაკენ, რომელსაც სველი ბულვარები ერტყა გარს; ქალაქიდან კი, ნისლების შესახვედრად, თეთრი, ნესტიანი კედლებიდან წამოსული ორთქლი მოემართებოდა. საითაც უნდა გაგეხედა, ყველგან წყალი იდგა, გეგონებოდა წყალსა ვსუნთქავდი და წყალთან ერთად ჰაერს ვსვამდი.

დავეხეტებოდი მიმხრჩვალი ზღვის პირას, დეკემბრის თვის ალჟირში, რომელიც ჩემთვის მუდამ მარადიული ზაფხულის ქალაქი იყო და მოლოდინით ვიყავი შეპყრობილი. ევროპის ღამეს, ადამიანთა დაზამთრულ სახეებს გამოვექეცი, ამ მარადიული სიცილის ქალაქს კი დავიწყებია სიცილი და დამრგვალებული, დასველებული ზურგი შემოუქცევია ჩემთვის. საღამოობით გაკაშკაშებულ კაფეებში ვპოულობდი თავშესაფარს, სადაც ჩემს წლოვანებას ვკითხულობდი კაფეს მეინახეთა სახეებზე, ჩემი ძველი ნაცნობები რომ იყვნენ, თუმცა მათი სახელებიც აღარ მახსოვდა. მარტო ის ვიცოდი, ოდესღაც ჩემსავით ახალგაზრდები იყვნენ, ახლა კი აღარ არიან ახალგაზრდები.

მე მაინც ჯიუტად ველოდი, თვითონაც არ ვიცოდი რას. იქნებ ტიპასაში დაბრუნების სურვილი მქონდა, რაც, ცხადია, იმგვარი დიდი სიგიჟე იქნებოდა, რისთვისაც ადამიანი ყოველთვის ისჯება: დაუბრუნდე იმ ადგილებს, სადაც ოდესღაც ახალგაზრდა იყავი, ორმოცი წლისამ მოისურვოხელახლა გაცოცხლება ყველაფრისა, რაც მაშინ გიყვარდა ანდა რაც ოცი წლისას გსიამოვნებდა და გიხაროდა?! ჰო, წინასწარ ვიცოდი, რომ ეს სიგიჟე იყო: ერთხელ უკვე ვიყავი ტიპასაში, ომი რომ დამთავრდა და ის-ის იყო ჩემი ახალგაზრდობაც მთავრდებოდა. იმედი მქონდა, იმედი კი არა, მჯეროდა, ტიპასაში სწორედ იმ ნანატრ თავისუფლებას ვიპოვიდი, რომლის დავიწყებაც ვერა და ვერ შევძელი. დიახ, თითქმის ოც წელზე მეტი ხნის წინ დავეხეტებოდი ამ ადგილებში, ამ ნანგრევებს შორის, დილდილობით ვსუნთქავდი აბზინდის სუნს, ვთბებოდი ქვებზე, ვაგროვებდი გაზაფხულის ვარდებს, სწრაფად რომ სცვივათ ფურცლები, შუადღისას კი, როცა გადაქანცული ჭრიჭინებიც კი ჩუმდებოდნენ, ვემალებოდი ვარვარა მზეს, რომელიც ყველაფერს ერთიანად ნთქავდა. ხანდახან, ღამლამობით, ვარსკვლავებით გაკაშკაშებული ცის ქვეშ ვიწექი თვალღია. მე მაშინ ვცხოვრობდი.

თხუთმეტი წლის მერე კვლავ მოვინახულე ზღვის ტალღებიდან ორიოდე ნაბიჯით დაშორებული ჩემი ნანგრევები. ხეებით მოფენილ დაბლობში მივიწყებული ქალაქის ქუჩებს ვეძებდი. ყურის თავზე გადმომხობილ ბორცვებზე ხორბლისფერ სვეტებს ვეფერებოდი. ახლა კი ნანგრევები ეკლიანი მავთულით შემოუღობავთ და შიგნით შესვლაც რამდენიმე ნებადართული შესასვლელიდან თუღა შეიძლება. ალბათ მრავალგვარი მოსაზრებით ღამით სეირნობაც აუკრძალავთ, დღისით კი შეიარაღებული მცველი დგას. იქნებ შემთხვევითაც, იმ დილასაც შეუწყვეტლივ აწვიმდა ნანგრევებს.

უკაცრიელ, ნაწვიმარ მინდორში გზააბნეული დავეხეტებოდი, ვცდილობდი ის ძალა მაინც მომეკრიბა, რამაც დღემდე მაცოცხლა და რაც მეხმარება — ცხოვრება იმგვარი მივიღო, როგორიც მართლა არის, რადგან ერთხელ უკვე მივხვდი, რომ მისი შეცვლა არ შემიძლია. და მართლაც, დროის მდინარებაზე ამაღლება ვერ შევძელი, რათა ქვეყნიერებისათვის ხელახლა მიმენიჭებინა ისეთი სახე, რომ მიყვარდა და ერთ მშვენიერ დღეს, დიდი ხნის წინათ, გაქრა. 1939 წელს საბერძნეთში არ წავედი, თუმცა კი ვაპირებდი. სამაგიეროდ ომი თვითონ მოვიდა ჩვენთან, მერე კი თვით საბერძნეთიც გადაყლაპა. ის დრო და წლები, რომელიც ამ ცხელ ნანგრევებსა და ეკლიან მავთულხლართებს შორისაა გაწოლილი, კვლავ ჩემთანაა, და დღეს, ჩაშავებული წყლით სავსე სარკოფაგების წინ ერთხელ კიდევ ვიგრძენი. მე სილამაზის სიყვარულით გამზარდეს, სილამაზის ერთიანი, სრული აღქმაც იმთავითვე დავიწყე და ეს ერთადერთი სიმდიდრე იყო ჩემი. მერე გაჩნდა ეკლიანი მავთულები — ტირანიას, ომს, პოლიციასა და შფოთს ვგულისხმობ. ღამის წესრიგს უნდა დამორჩილებოდი. დღის სილამაზე მხოლოდ მოსაგონებლადღა დარჩა. ამ ტალახიან ტიპასაში კი ეს მოგონებაც ტალახში ჩაიძირა, რომელ სილამაზეზე, მის სრულ შეგრძნებასა და ახალგაზრდობაზეღა შეიძლებოდა ლაპარაკი! ხანძრების ალზე ერთბაშად უფრო ნათლად გამოჩნდა მსოფლიოს დაღარული ნაოჭები და ჭრილობები, ძველიცა და ახალიც. თითქოს მსოფლიო უცბად დაბერდა და მასთან ერთად ჩვენც დავბერდით. მშვენივრად ვიცოდი, ის აღმაფრენა, რის იმედითაც აქ ჩამოვედი, მხოლოდ იმას ხვდებოდა წილად, ვინც არ ელოდა. მთლად უცოდველი სიყვარული არ არსებობს. მაგრამ რა არის უცოდველობა? ინგრეოდა იმპერიები, ერები და ხალხები ერთმანეთს ყელს ღადრავდენ. სახე შებილწული გვქონდა. თავიდან უცოდველნი ვიყავით, ისე, თვითონაც არ ვიცოდით, ახლა დამნაშავენი ვართ, ისე, რომ არ გვინდა დამნაშავენი ვიყოთ. რაც უფრო განვითარებულნი ვხდებოდით, მით უფრო მრავლდებოდა ჩვენი საიდუმლოც და ამიტომაც, ოო, რა დაცინვაა, მორალი მოვიგონეთ. უცოდველობის ხანაში არ ვიცოდით მორალი თუ არსებობდა. ახლა ვიცი, მაგრამ ძალა აღარ შემწევს მის მოთხოვნათა სიმაღლეზე ვიცხოვრო. იმ მაღალ კონცხზე, ოდესღაც რომ მიყვარდა ტაძრის ნანგრევთა ნესტიან სვეტებს შორის სიარული, მომეჩვენა, რომ ვილაცის ნაკვალევს მივდევდი, რომლის ფეხის ხმაც ფილაქანზე და მოზაიკაზე ახლაც ჩამესმოდა, მაგრამ რომელსაც ვერასოდეს დავეწეოდი. მაშინ პარიზში დავბრუნდი და რამდენიმე წელი დავრჩი, ვიდრე საკუთარ თავს კვლავ ვიპოვიდი.

მთელი ეს დრო ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა. თუ ერთხელ ბედმა გაგიღიმა და ძლიერი სიყვარული გამოსცადე, მაშინ მთელი ცხოვრება ძებნაში ჩაგივლის, რათა ისევ და ისევ მოიხელთო სადმე ის ძველებური მგზნებარება და ის ნათელი, მაშინ რომ შენი საკუთრება იყო. სილამაზეზე რომ უარი თქვა და მასთან ერთად სიყვარულის ბედნიერებაზეც, მერე თავი გადასდო და ემსახურო დაჩაგრულთ, ამისთვის სულის სიდიადეა საჭირო, მე კი ეს არ გამაჩნია. მაგრამ ჭეშმარიტება აღარ არის ჭეშმარიტება თუ რაღაცა დათმე. მარტოსული სილამაზე სიმახინჯით მთავრდება, სხვათაგან განრიდებული სამართლიანობა კი — უსამართლობით. თუ პირველს ისე ემსახურები მეორე დაივიწყე, არავისაც არ ემსახურები — არც სხვას, არც შენს თავს, საბოლოოდ კი უსამართლობის მსახური ხარ და სამაგიერო მოგეზღვება. ერთი მშვენიერი დღეც დადგება და — აღარაფერი მოგხიბლავს, ყველაფერი ნათელი გახდება, ასე გეგონება, ცხოვრება მეორდებაო. ეს ის დროა, ყველაფრისგან რომ გაგაძევეს, ცხოვრება ერთ ადგილზე გაიყინა და საცაა სულიერი სიკვდილიც გეწვევა, მკვდრეთით რომ კვლავ აღდგე, ან შენდობა გჭირდება, ან თავდავიწყება, ან სამშობლო. ერთ მშვენიერ დილას კი ქუჩის რომელიმე მოსახვევში, რაღაც მომხიბლავი ნამი მკერდზე დაგეცემა და მაშინვე აორთქლდება. აორთქლდება, მაგრამ იმ სინორჩეს დაგიტოვებს, გულს რომ ასე სწყურია.

ისევ გზაზე დადგომა მჭირდება.

და კვლავ ალჟირში ვარ. ამჯერადაც უკვე მეორედ, ისეთივე ღვართქაფში მოვხვდი, ვიფიქრე, ჩემი გამგზავრების მერე, რომელიც მაშინ საბოლოო მეგონა, არც კი გადაუღია-მეთქი. და მაინც, მიუხედავად საშინელი მელანქოლიისა, რომელიც წვიმითა და ზღვით იყო გაჟღენთილი, მიუხედავად ამ ნისლიანი ცისა, ამ წვიმით დასველებული ზურგებისა, ამ კაფეებისა, რომელთა ჭახჭახა სინათლეც სახეებს ამახინჯებდა, ჯიუტი იმედი არ მმორდებოდა და ველოდი. განა არ ვიცოდი, ალჟირში წვიმა ერთ წამში შეწყდება ხოლმე, თუმცა ასე გგონია, არასოდეს გადაიღებსო; ისე, როგორც ჩემი ქვეყნის მდინარეებმა იციან, უცებ ადიდდებიან, ორიოდ საათში წალეკავენ ჰექტრობით მიწას, მერე უცბადვე იწრიტებიან. ერთ საღამოს წვიმა მართლაც შეწყდა. მე ახლა დაღამებასღა ველოდი. მეორე დღეს მოკამკამე ზღვას ნათელი დილა დაადგა. კოკისპირული წვიმით გადარეცხილი, ლურჯი, კამკამა ციდან გადმოღვრილი მთრთოლვარე სინათლე ყველა სახლსა და ხეს ეღვრებოდა და დიდებული სიახლის დაბადებას გვაუწყებდა. ალბათ, იმ დილასაც ასეთივე ნათელი იდგა, როცა სამყარო შეიქმნა. და მე კვლავ ტიპასას გზას დავადექი.

ამ სამოცდაცხრამეტ კილომეტრში ერთიც არ არის იმგვარი, ჩემს მოგონებებთან და ადრეულ შთაბეჭდილებებთან რომ არ იყოს დაკავშირებული: ანცი, ბავშვური წლები, ჭაბუკური ოცნებები ავტობუსით მგზავრობისას, დილა, ქორფა გოგოები, პლაჟები, ახალგაზრდული კუნთები, რომელიც მუდამ მზად იყო რა გინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სიძნელეს შებმოდა, მსუბუქი სევდა, საღამოობით თექვსმეტი წლის ჭაბუკის გულს რომ აწვება ხოლმე, სიცოცხლის წყურვილი, დიდება... და მთელი ამ ხნის მანძილზე — იგივე უცვლელი ცა, უსაზღვროდ გადმოღვრილი სინათლე, რომელიც თავით-ბოლომდე, ერთიმეორეზე მიყოლებით ნთქავდა პლაჟზე ჯვარივით გართხმულ თავის მსხვერპლთ, შუადღის ჟამი გულუხვად რომ სთავაზობდა. როცა გზამ გადამწვანებული ვენახებით მოფენილ გორაკებს ჩაუარა და სანაპიროსკენ დაეშვა, დასალიერზე მაშინდელივით უცვლელ ზღვას მოვკარი თვალი, მაგრამ აღარ შევჩერებულვარ, მინდოდა ერთხელაც მენახა შენუა, ეს ვეება, მასიური მთა, ერთ მთლიან ქვისგან გამოთლილს რომ ჰგავს. იგი ტიპასას ყურეს დასავლეთით გადმოჰყურებს და ზღვაში მძიმედ ეშვება. შორიდან კი მსუბუქ ცისფერ ღრუბელში ამაღლებული ჩანს და რამდენადაც უახლოვდება ცას, უფრო ვიწროვდება, ბოლოს კი წყლის ფერს იღებს, ისე მოჩანს, თითქოს მშვიდი ზღვის თავზე ერთი დაკვრით გაქვავებულია ყალყზე შემდგარი უზარმაზარი ტალღაო. უფრო მიუახლოვდები ტიპასას შემოგარენს და თვალწინ ერთბაშად წამოიმართება მოყავისფრო-მომწვანო მასა. აი ისიც, ბებერი, ხავსმოკიდებული ღმერთი, რომლის სიდიადესაც ვერაფერი შეარყევს, თავშესაფარი და ნავსაყუდელი მისი შვილებისა, რომელთა რიცხვს მეც ვეკუთვნი.

როგორც იქნა მავთულხლართები გადავლახე და ნანგრევებთან აღმოვჩნდი... და დეკემბრის ამ დიდებულ, თბილ დღეს ვიპოვე სწორედ ის, რისთვისაც აქ ჩამოვედი, რაც დრომ და სამყარომ მე მომცა, მხოლოდ მე, ამ უდაბურ ქვეყნიერებაში. ამგვარი რამ კი ერთხელ ან ორჯერ თუ ხდება ცხოვრებაში. ამის მერე ადამიანს შეუძლია თქვას, რომ ბედნიერია, და ეს ბედნიერება ბოლო დღემდე გაჰყვება. ზეთისხილის ხეებით მოფენილი ფორუმიდან ქვემოთ გადაშლილი სოფელი მოჩანდა, საიდანაც ჩქამი არ ისმოდა. მარტო მსუბუქი კვამლი ადიოდა გამჭვირვალე ცაში. ზღვაც ისე დუმდა, თითქოს მარად ელვარე სინათლის ქვეშ გარინდულიყო. მხოლოდ შორეული ყივილი ისმოდა მამლის, დღის სინათლის სადიდებლად. ამ გამჭვირვალე ამინდში, ამ მართლაცდა დიდებული ნანგრევებიდან სადამდეც თვალი მისწვდებოდა, დახვეწილად ჩამოთლილი ქვები და სვეტები მოჩანდა. ერთი წამით თითქოს დილა გაიყინა და მზე შეჩერდაო სამარადჟამოდ. ამ სინათლეში და ამ სიჩუმეში ნელა დნებოდა ხსოვნას შემორჩენილი სიძულვილისა და წყვდიადის წლები. საკუთარ თავს ყური მივუგდე და თითქოს უკვე მივიწყებული ხმაური დავიჭირე, თითქოს დიდი ხნის წინათ შეჩერებულმა ჩემმა გულმა ხელახლა დაიწყო ნელი ფეთქვა. და უკვე აღგზნებული, ერთიმეორის მიყოლებით ვცნობდი იმ უჩინარ ბგერებს, რომლისგანაც იქმნებოდა მთელი ეს მდუმარება: ფრინველების ჟივილ-ხივილი, მსუბუქი და ხანმოკლე ოხვრა კლდეთა ძირებში გართხმული ზღვისა, ხეების შრიალი, სვეტების მუნჯი სიმღერა, აბზინდების შრიალი და ხვლიკების სრიალი... მესმოდა ყველაფერი და იმასაც ვგრძნობდი, როგორ იზრდებოდა და იზრდებოდა ჩემში ბედნიერების ტალღა. ასე მომეჩვენა, ბოლოს და ბოლოს, დავუბრუნდი-მეთქი ჩემს ნავსაყუდარს, ერთი წამით მაინც დავბრუნდი, და რომ ეს ერთი წამი ამიერიდან აღარასოდეს დამთავრდებოდა. ცოტა ხნის მერე მზე საკმაოზე აიწვერა ცაზე, რომელიღაც შაშვმა ყოჩაღად მოისინჯა ხმა და მაშინვე, ყოველი მხრიდან, ჩიტების აღტკინებულმა ქორომ იგრიალა. დღემ თავისი დიდებული სვლა დაიწყო. ამ დღეს საღამომდე უნდა მივეყვანე.

შუადღის ხანს, სილიანი ფერდობიდან, წინადღეთა მძვინვარე ბრძოლების შედეგი, — წყლის ქაფი ისევ შემორჩენოდა, ქანცგამოლეულ ზღვას გადავხედე. ზღვა ზანტად აგორებდა მსუბუქ ტალღებს და მე ორმაგი წყურვილით ვივსებოდი, იმ ორმაგი წყურვილით, უსასოოდ რომ აშრობს სულს, თუ კარგა დიდი ხანია არ მიუღია საზრდო — სიყვარულსა და სიხარულზე გეუბნებით... თუ ქვეყანაზე არავის უყვარხარ, ეს მარტო უიღბლობას შეიძლება დააბრალო, მაგრამ შენ თვითონ თუ არავინ გიყვარს, უკვე უბედურებაა. დღეს ყველას ამ უბედურებისგან გვეღება ბოლო. ჩვენს გულებს სიძულვილი ფლეთს. ეს ამოდენა ლაპარაკი სამართლიანობაზე ფიტავს სიყვარულს, რომლისგანაც სამართალი არის ნაშობი. იმ ვაი-ვაგლახში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ სიყვარული შეუძლებელია და სამართლიანობაც არ არის საკმარისი. აი, ამიტომაც სძულს ევროპას დღე, და მარტო ის იცის, უსამართლობას კვლავ უსამართლობა დაუპირისპიროს. მაგრამ უსამართლობა სამართლიანობას როგორ ავარიდოთ, ამ დიდებულ ფორთოხალს, რომლის შიგნითაც მწარე, მშრალი სილბილეა მხოლოდ? სწორედ ეს აღმოვაჩინე ტიპასაში ხელახლა: თავად შენშივე უნდა შეინარჩუნო ნორჩი, პირველქმნილი გრძნობა, როგორც წყარო სიხარულისა, შეინარჩუნო სიყვარული დღისა, რომელიც უსამართლობისგან გადაგარჩენს, და ამ ნათელით შეიარაღებული კვლავ დაუბრუნდე ბრძოლას. მე ისევ ვპოვე ძველთაძველი სილამაზე, ჭაბუკი ცა, და ეს ბედს დავუმალე, რადგან მივხვდი, ჩემი სიგიჟის წლებში ამ ცის მოგონებებს არასოდეს მივუტოვებივარ. სწორედ ამან გადამარჩინა დამღუპველი სასოწარკვეთისგან. მე მუდამ ვგრძნობდი, რომ ტიპასას ნანგრევები უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ჩვენი ახალშენები, ანდა ჩვენი ნანგრევები. აქ, ამ მარადიულ ნათელში, სამყარო ყოველდღე ხელახლა იბადებოდა. ოი, ნათელო! ასე უხმობდნენ სინათლეს ბედისწერის წინ მარტოდშთენილი ანტიკური

ტრაგედიის გმირები და ჩვენთვისაც ეს იყო გადარჩენის უკანასკნელი საშუალება. ახლა ეს უკვე ვიცოდი. შუა ზამთარში, მე, ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ მარადიული ზაფხული თავად ჩემშია.

●

ისევ დავტოვე ტიპასა, ისევ ევროპას, მის გაუთავებელ შეხლა-შემოხლას დავუბრუნდი. მაგრამ იმ დღეთა მოგონება ჩემში დარჩა და ძალას მმატებს — ერთნაირად მივიღო ისიც, რაც ჩვენს სიხარულს იწვევს, და ისიც, რაც გვაბეზრავებს; არაფერს განვერიდო, ვისწავლო შავი და თეთრი ძაფის გაბმა ერთ, გაჭიმულ თოკად; სხვა რაღა შეიძლება ვისურვოთ იმ მძიმე დროში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ. ყველაფერში, რაც დღემდე გამიკეთებია ან მითქვამს, მგონი, ნათლად გამოვკვეთე ეს ორი ძალა, თუნდაც ისინი ერთმანეთს გამორიცხავდნენ. არ შემიძლია დავიწყება იმ კაშკაშა სინათლისა, რამაც დამბადა, და არც იმ მოვალეობაზე მინდა უარის თქმა, ეპოქა რომ გვკარნახობს. არც ისე ძნელი იქნებოდა, ტიპასას ნაზი სახელის საპირისპიროდ სხვა სახელები დაგვეყენებინა უფრო მძლავრად მჟღერი და უფრო მკაცრიც. დღევანდელი ადამიანის შინაგანი სამყარო ჩემთვის კარგადაა ცნობილი, იმიტომ, რომ მე თავიდან ბოლომდე გავიარე ორი გზა, სულიერი აღზევების მწვერვალებიდან — დანაშაულებათა სიღრმეებამდე. ალბათ, ყოველთვის შეიძლება ამ გორაკებზე ჩათვლემაც, დანაშაულზე თავის დადებაც... მაგრამ სინამდვილის ერთ მხარეზე უარი რომ ვთქვათ, მაშინ ჩვენს არსებობაზეც მოგვიხდება უარის თქმა, თვით მთელს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს სიყვარულზე. და კიდევ ამგვარად ცხოვრებაც შეიძლება: არაფერი უარყო ამქვეყნად, სინამდვილე მიიღო ისეთი, როგორიც ნამდვილად არის. ამქვეყნად ასეთ სათნოებას ვაყენებ ყველაზე მაღლა. დიახ, ზოგჯერ ამგვარად ცხოვრების სურვილიც მებადება, იმიტომ, რომ ჩვენი დრო თავად მოითხოვს ამას: ერთნაირად გავუსწორო თვალი ცუდსაც და კარგსაც. მე სწორედ ასე მინდა, არც ერთს არ მოვერიდო და მუდამ მახსოვდეს სინამდვილის ეს ორი მხარე. დიახ, არსებობს სილამაზე და არსებობს სიმდაბლეც. და როგორადაც ძნელი უნდა იყოს, არასოდეს ვუღალატებ არც ერთს, არც მეორეს.

მაგრამ ესეც მორალს ჰგავს! ჩვენ კი ვცოცხლობთ იმ რაღაცისთვის, რაც მორალზე მაღლა დგას. ეჰ, ნეტავ შეგვეძლოს სახელი ვუწოდოთ ამას. ნეტავ სიმუნჯე ამის საშუალებას გვაძლევდეს. ტიპასას აღმოსავლეთით, სენ-სალსის გორაკზე, საღამო მეფობს. კაცმა რომ თქვას, ჯერ ისევ ნათელი დგას, მაგრამ მისუსტებული დაისი დღის დასასრულს იუწყება. საიდანღაც ნიავი უბერავს, მსუბუქი, როგორც თავად ეს ღამე. მდორე ზღვა ერთბაშად ერთ მხარეს გაილალა, ვეება მდინარეს დაემსგავსა, რომელიც დასალიერის ერთი ბოლოდან მეორესკენ დაძრულა. ცა ჩამუქდა. და აი, სწორედ ამ დროს დადგა საიდუმლოებათა ჟამი, ჟამი ღამეულ ღმერთთა, წრეგადასულ ტკბობათა... მაგრამ როგორ გამოიხატება ეს ყოველივე? პატარა მონეტის, აქედან რომ მიმაქვს, ერთ მხარეზე, მკვეთრად ჩანს ქალის მშვენიერი სახე, რომელიც დღევანდელი დღის ყოველ განცდას მახსენებს. მონეტის მეორე მხარზე ნახევრად წაშლილ გამოსახულებას მთელი გზის მანძილზე თითებს შორის ვგრძნობდი. რა შეიძლება მითხრას ამ უტუჩო პირმა, იქნებ იგივე, რასაც სხვა იდუმალი ხმები მეუბნებიან, ჩემში რომ ხმაურობენ და ყოველდღე მახსენებენ ჩემს უვიცობასა და ბედნიერებას?

„საიდუმლო, მე რომ ვეძებ, ზეთისხილის ველზეა დამარხული, ბალახისა და იების ქვეშ, ვაზის ლერწის სურნელით გაჟღენთილ ძველ სახლთან. ოც წელზე მეტი ვიარე ამ ველზე და ბევრ ამის მსგავს ველზე თხების სიტყვაძუნწ მწყემსებს ვეკითხებოდი, დაცარიელებული ნანგრევების კარზე ვაკაკუნებდი და ხანდახან, პირველი ვარსკვლავის ამობრწყინების ჟამს, როცა ჯერ ისევ ნათელი ციდან წვიმასავით თხელი სინათლის ჩქერი იფრქვეოდა, მჯეროდა, ვიცოდი ეს საიდუმლო. ნამდვილად ვიცოდი და შეიძლება ახლაც ვიცი, მაგრამ არავის სჭირდება იგი. ალბათ, არც მე მჭირდება. მე ხომ არ შემიძლია ჩემიანებს დავშორდე. მე ჩემს ოჯახში ვცხოვრობ, რომელსაც სჯერა, რომ ქვისა და ნისლისგან ნაგებ მდიდარსა და სიბილწით გაჟღენთილ ქალაქებზე მეფობს. იგი დღედაღამ ხმამაღლა ლაპარაკობს, ყოველივე მუხლს იყრის მის წინაშე, თვითონ კი არაფრის წინაშე არ იხრის ქედს. იგი ყრუა ყველა საიდუმლოებისადმი. ვაღიარებ მის ძლევამოსილებას, მაგრამ ნაღველს მგვრის და მისი ყვირილით ზოგჯერ ვიქანცები კიდეც. მაგრამ მისი უბედურება ჩემი უბედურებაა. ჩვენ ერთი და იგივე სისხლი გვიდუღს. მე - მისი ორეული ვარ, მასავით დავრდომილი და ხმაურიანი. განა მეც არ ვყვიროდი ნანგრევებს შორის? ახლა კი ვცდილობ დავივიწყო ყოველივე. დავდივარ ამ ჩვენს რკინისა და ცეცხლის ქალაქებში, ყოჩაღად ვულიმი ღამეს, ვუხმობ ქარიშხლებს, ამიერიდან ერთგული კაცი ვარ, დამავიწყდა დამემატებინა — საქმიანი და ყრუ. მაგრამ შეიძლება ერთ დღეს, როცა უძლურებისა და უვიცობისგან ძალაგამოლეული, განვემზადები სიკვდილისათვის, შევძლო კვლავ უარი ვთქვა ამ ჩვენს მყვირალა საფლავებზე, რათა გავიქცე და დავისვენო იმ ველზე, იმ მზის ბრწყინვალების ქვეშ, რათა უკანასკნელად, კიდევ ერთხელ, ვისწავლო ის, რაც ვიცი“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ფრანგულიდან თარგმნა

ნატო ხევსურიშვილმა



ნათელა ურუშაძე

ხსოვნის სახეში

სერგო ზაქარიაძე

სცენაზე ნანახი მყავდა, ცხოვრებაში არ ვიცნობდი. გვყავდა საერთო მეგობარი — ეკონომისტი ქეთევან დადიანი. ერთხელ მან მითხრა — სერგო ზაქარიაძესთან მივდივარ და შენც წამოდიო. წავედით. გზაში შეგვხვდა მსახიობი იაკობ ტრიპოლსკი, რომელიც აგრეთვე ბატონ სერგოსთან მიდიოდა. იმხანად ის წამოსული იყო მარჯანიშვილის თეატრიდან და მასთან ცოტანი დადიოდნენ. ცხოვრობდა ვ. ბარნოვის სახელობის ქუჩის დასაწყისში, პატარა ბინაში, შესასვლელი ეზოდან. ამ ეზოში ნავთის გასაყიდი წერტი გაეხსნათ რის გამოც ნავთის სუნი და რიგში მდგომთა ყაყანი არ წყდებოდა.

დაუპატიჟებელ სტუმრად მისვლა ძალიან მერიდებოდა, მით უმეტეს, როცა შევნიშნე, რომ მასპინძელი უგუნებოდ იყო. მაგიდაზე ილია ჭავჭავაძის ტომები ელაგა. ეტყობა, მუშაობდა. ი. ტრიპოლსკიმ წარმადგინა — ეს ნათელა ურუშაძეა და ისიც თქვენი მეგობარიაო. პასუხი აშკარად ჩემი გამამხნევებელი იყო — რა კარგია რომ მოიყვანეთ, ახლა სწორედ უცხო თვალი მჭირდებაო. დაგვსვა და წაგვიკითხა გიორგის სიკვდილის ეპიზოდი „ოთარაანთ ქვრივიდან". მართლა სჭირდებოდა თურმე მისი მოსინჯვა მსმენელთან. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ხმას ვერ ვიღებდით. უხმოდ გადმოგვხედა და თითქოს გვიბრძანა — არ გაბედოთ ჩემი შებრალება იმის გამო, რომ უთეატროდ ვარ და ესტრადაზე მხატვრული კითხვით უნდა დავკმაყოფილდეო.

...გავიდა დრო. 1956 წლიდან ბატონი სერგო რუსთაველის თეატრშია ვიდრე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ცოტა ხანში თანამშრომლებიც გავხდით — მე ამ თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე და სარეჟისორო კოლეგიის წევრი ვარ, მის რეპერტუარში კი უკვე ცოცხლობენ: ოიდიპოს მეფე სოფოკლეს ტრაგედიაში, მოსამართლე პ. კოჰოუტის დრამაში „როცა ასეთი სიყვარულია", ბაყბაყ დევი გ. ნახუცრიშვილის ზღაპარში „ჭინჭრაქა", შაქრო ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში", შექსპირის „მეფე ლირი", ბეკინა სამანიშვილი დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში", კრეონი ჟ. ანუის „ანტიგონეში" და სხვ.

ყოველდღიურ და ხანგრძლივ საქმიან ურთიერთობაში, ცხადია, ახლოს გავიცანი როგორც შემოქმედიც და როგორც ადამიანი. ჩვენი ურთიერთობა ძალიან მალე მხოლოდ თეატრალური საქმიანობით აღარ შემოიფარგლებოდა — ორივე ფეხოსნები ვიყავით, ორივეს გზა თეატრიდან შინისკენ ვაკის მხარეს მიემართებოდა. სასტუმრო „საქართველომდე" ერთად მივდიოდით, შემდეგ გზას ის მარტო განაგრძობდა ვაკის პარკამდე, რადგან ახლა იქვე მდებარე სახლში ცხოვრობდა. ძალიან ბევრის მომცემი იყო ჩემთვის ეს თითქმის ყოველდღიური მარშრუტები. ვფიქრობ, როგორც პიროვნება ამ დროს გავიცანი.

მთელი არსებით სწამდა ხელოვნების ზნეობრივი ზემოქმედების ძალა და დანიშნულება. მსახიობის შემოქმედების ფასი იცოდა და ამაყობდა საკუთარი პროფესიით. მიღწეულს კრიტიკული თვალითაც ზომავდა. ეს არაა ხშირი. თუ რამის სწამდა, სწამდა ყველაფრის მიუხედავად. ვინმეს მიმართ შურის გრძნობა არ შემიმჩნევია. ქმნადობის სურვილით შეპრყობილი იყო. ეს ბადებდა შემოქმედებითი მუშაობის სურვილს. სულ ამ სურვილით იყო აღსავსე. მასთან ურთიერთობა არ იყო იოლი. სიტყვა "მეზარება" მისგან არ მსმენია. ჰქონდა საკუთარი ნებელობისა და ენერგიის კონცენტრაციის განსაცვიფრებელი უნარი და მუშაობდა აზარტული გაშმაგებით. გარეგნულად დინჯი იყო, აუჩქარებელი, მაგრამ შინაგანად დაუოკებელ რიტმში არსებობდა. აუ-

ცილებლად დაგაინტერესებდა იმით, რაც მას აღელვებდა. ავადმყოფობას არ ეპუებოდა, რადგან სცენისაკენ მიმავალ გზას უკეტავდა, მისთვის კი მსახიობობა არსებობის წესი იყო. საკუთარ ძალებს წარმოუდგენელი დაუზოგავობით გაიღებდა... ნუთუ გრძნობდა, რომ ხანგძლივი სიცოცხლე არ ეწერა და ყველაფრის მოსწრება სურდა?! ბევრს წერდა. აქვეყნებდა კიდეც, მაშასადამე, სხვათათვის გასაზიარებლად. რაც პირად არქივში დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ოჯახმა საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა. აქ დაცულის ნაწილი მუზეუმის თანამშრომლების მიერ დამუშავდა და 1982, 1985, 1987 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში". ბევრი რამ გამოუქვეყნებელი დღესაც ელოდება მკვლევარს.

ცნობილია, რომ პიროვნება ძალიან კარგად ჩანს თავის ნაწერში, როგორც გამოქვეყნებულსა, და, მით უფრო, გამოუქვეყნებელ ხელნაწერებში — დღიურებში, უბის წიგნაკებში, პირად წერილებში...

ვნახოთ, როგორ ჩანს მსახიობი სერგო ზაქარიაძე მის წერილში „მეტი მოვთხოვოთ ჩვენს თავს", რომელიც ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში" გამოქვეყნდა (1970წ. 6).

სათაურსა და წერილის დასაწყისს შორის წვრილი შრიფტით აწყობილი ყურადსაღები სტრიქონები: „მიყვარხარ ყოველო ახალო დღევ, მიყვარხარ ყოველივე იმისთვის, რასაც გვანიჭებს ცხოვრება, და კიდევ იმისთვის, რომ დანამდვილებით ვიცი, ისევე როგორც გუშინ, გაგაცილებ ჩემსავე თვალის წინაშე განუწყვეტელი დანაშაულის გრძნობით. იმდენი ვერ გავაკეთე, რამდენიც მინდოდა, ის არ ვთქვი, რაც უმთავრესი იყო, ვერ დავეხმარე ყველა მათ, ვისაც მხარდაჭერა სჭირდებოდა".

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი, აღსარებისა და მონანიების მსგავსი საქვეყნო განაცხადი? განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომდევნო წლის აპრილში დასრულდება მისი ამქვეყნიური სიცოცხლე?

რამდენიმე ამონარიდი თვით წერილიდან:

„მსახიობის ცხოვრება თავის მწვერვალს აღწევს, როცა მისი პულსის ფეთქვა განსაზღვრავს ასეულ ადამიანთა გულების რიტმს, მაგრამ ეს მეტად იშვიათი, თითზე ჩამოსათვლელი წამებია.

თეატრში მუშაობის უფლება მხოლოდ მაღალი ზნეობის ადამიანებს აქვთ. პროფესიონალიზმი უბრალოდ ცოდნისა და ჩვევების ჯამი კი არ არის, არამედ თავისი ცხოვრების საქმისადმი ადამიანის დამოკიდებულების სერიოზულობის ხარისხი, პასუხისმგებლობის საწყაო საზოგადოების წინაშე. მე ყველაზე მეტად ვაფასებ და პატივს ვცემ ადამიანში იმ თვისებებს, რომლებიც მან თვითონვე გამოსჭედა თავის თავში.

თუ მობილიზებული და შემოქმედებითად მომზადებული ხარ, შენ შეძლებ ხელი სტაცო ღიბალს იმ მომენტში, როცა იგი შენ გვერდით აღმოჩნდება — წმინდა და წკრიალა ხმას მაშინ გამოსცემს სიმი, როცა იგი დაჭიმულია".

განსაკუთრებული იყო სერგო ზაქარიაძის ინტერესი მხატვრული სიტყვისადმი. მის მოგონებაში ვკითხულობთ: „ქართულ პოეტურ სიტყვასთან მიახლოება ყოველთვის მიჭირდა, თუმცა კი უსაზღვროდ მიზიდავდა. ჩემთვის სიტყვას ფერიც აქვს და სურნელიც. მჯერა, რომ სიტყვაზე დიდი ძალა არაფერს არა აქვს ცხოვრებაში. არც არაფერია მასზე უფრო მეტყველი, მრავალფეროვანი და სახიერი. სიტყვის სამყაროში ჩაღრმავება უდიდესი სიხარულის მომტანია როგორც წარმომთქმელის, ისე მსმენელისათვის. მსახიობის მიერ ლიტერატურული ნაწარმოების საჯაროდ კითხვა, ასე თუ ისე, მაინც ავტორთან შეჭიდებას ნიშნავს. დიდი გამბედაობაა!" (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება". 1987წ. 9).

მრავალმნიშვნელოვანი და წონიანი იყო არა მარტო სიტყვა მისი, არამედ განსაკუთრებით მდუმარება. მისი მონათხრობიც კი, საერთოდ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ თქმულით, არამედ უთქმელითაც. ლიტერატურული ნაწარმოების მისეულ წაკითხვაში იგრძნობოდა მსახიობის ოსტატობა ინტონაციათა ფერადოვნებაში, პაუზებში, როდესაც გადახედავდა ხოლმე დარბაზს და გაიყოლიებდა იქით, საითაც თავად სურდა — სიტყვითაც, მდუმარებითაც, შიგადაშიგ თითო-ოროლა ძუნწი მოძრაობითაც. სცენაზე მსახიობობით მოპოვებული ესტრადაზე გამოჰქონდა, ესტრადაზე მოპოვებული კი — სცენაზე, ოღონდ ისე, რომ არც ერთის თავისებური ბუნება არ დაურღვევია.

თეატრში ყოველთვის ცდილობდა განესახიერებინა ისეთი ადამიანი, რომელიც მისცემდა საშუალებას საკუთარი სათქმელი ეთქვა იმის შესახებ, რაც მას აღელვებდა. თუ როლი ამის შესაძლებლობას აძლევდა, მაშინ სერგო ზაქარიაძე ამ ადამიანის შინასამყაროს მაყურებელს გადაუშლიდა განსაცვიფრებელი სიღრმითა და სისავსით. ამიტომ იგრძნობოდა ხოლმე მის სცენურ ქმნილებაში მსახიობის მოქალაქეობრივი მრწამსი. ცხოვრების სინამდვილესთან ასეთი სიახლოვე ზოგჯერ შეიძლება გადამეტებულადაც მოგჩვენებოდა, თვითონაც ამბობდა — ზედმეტი მომდის ხოლმეო, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, სულ მუდამ მიწაზე მყარად დგომა უნდოდა. თუ ამას აღწევდა, მაშინ ნებისმიერი, თუნდაც უბრალო და ნაცნობი წვრილმანი დეტალი, შემაშფოთებლად თვალსაჩინო და ცხადი ხდებოდა. ყველა თავის ძალას უშურველად გაიღებდა. ძალა კი დიდი ჰქონდა ძალიან. უმოწყალოდ ხარჯავდა ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

ძალიან უყვარდა საუბარი იმაზე, თუ რა განუზომლად რთული არსებაა ადამიანი, რამდე-

ნად წინააღმდეგობრივი, რამდენი უხილავია მის ხილულში.

რადგან ნებისმიერი სცენური სახე სინამდვილესთან, მოვლენებთან და ადამიანებთან შეხვედრა. შეჯახებებში ყალიბდება, ცხადია, პიესის მოქმედ პირთა შორის უნდა არსებობდეს ურთიერობათა გარკვეული სისტემა, ნათელი უნდა იყოს ის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოველი მათგანის სცენური ცხოვრების მიმართულებას წარმართავს. ამის შესანიშნავი ნიმუში იყო სერგო ზაქარიაძის ოიდიპოს მეფე — მან უნდა იპოვნოს მეფე ლაიოსის მკვლელი, რომელსაც ეძებს ყველგან და ყველაში, გარდა საკუთარი თავისა... ის კი, თურმე, თვითონ ყოფილა!

და ფიქრობდა მსახიობი — რა შეიძლება დღეს აღელვებდეს მსახიობსა და მის მაყურებელს მეფე ოიდიპოსის მხატვრულ სახეში? ან ამ ანტიკური ეპოქის ტრაგედიაში?

სცენაზე პირველად სასახლის სვეტებს შორის გამოჩნდებოდა — ხალხმა უხმო. ხელი აღმართა. უმალ დადუმდა ხალხი. მაყურებელმა ირწმუნა, რომ ასეთ ოიდიპოსს შეუძლია სძლიოს ურჩხულს და ხალხი გადაარჩინოს. ეს მეფე თავის ხალხთან ერთად განიცდის ქვეყნის უბედურებას და სურს იხსნას შავი ჭირისაგან, მაგრამ არ იცის სადაა ხსნა.

დაბრუნდა კრეონი და ოიდიპოსმა შეიტყო, რომ მისი ხალხის გადარჩენისათვის მეფე ლაიოსის მკვლელის აღმოჩენა და სამშობლოდან მისი განდევნაა აუცილებელი. ამ წუთიდან ზაქარიაძის ოიდიპოსის აქტიურობა მკვეთრად იზრდებოდა — მას გაუჩნდა კონკრეტული მიზანი: რადაც არ უნდა დაუჯდეს, აღმოაჩინოს მკვლელი! და დაიწყო ძებნა ისეთი დაჟინებით, რომ შედეგი ჩვეულებრივი არ შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ საკუთარ თვალთა დათხრის თავისთავად შემზარავი ფაქტი ამ მსახიობის შესრულებით ოიდიპოსის ცხოვრების რიტმულად სწორად მოძებნილი წერტილის მნიშვნელობას იძენდა. მისი ოიდიპოსისთვის თვალთა დათხრა სასჯელი კი არა, ერთადერთი გამოსავალი იყო — დაიბრმავე თავი, რათა განიწმინდო უნებლიე დანაშაულისაგან, განშორდი აქაურობას და ამით შენი ხალხი გადაარჩინე.

თვალთა დათხრის შემდეგ ზაქარიაძის ოიდიპოსმა, მაღალი ზნეობის ადამიანმა, უდიდესი სიხარული იგრძნო. ეს იყო განწმენდის სიხარული. განწმენდამ მას დაკარგული სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა. ამიტომ საკუთარ ხალხს ის ტოვებდა არა როგორც განკიცხული, არამედ როგორც მეგობარი, რომელმაც გამოისყიდა თავის უნებლიე დანაშაული. კითერონის ტყისკენ მიემართებოდა გაღიმებული — მან ხომ შეასრულა ყველაფერი, რაც სურდა: იპოვნა მეფე ლაიოსის მკვლელი, ხალხი იხსნა დაღუპვისაგან და განიწმინდა საშინელი ცოდვისაგან. დეე, ნუ იქნება მეფე, სამაგიეროდ არის წმინდა, პატიოსანი ადამიანი.

როლის ამგვარი ინტერპრეტაციით სერგო ზაქარიაძემ წინ წამოსწია და ბრწყინვალე შესრულებით ნამდვილი ტრაგედიის სიმაღლემდე აიტანა ის პრობლემა, რომელიც ახლაც უნდა აღელვებდეს ყოველი ადამიანის გრძნობა-გონებას — პრობლემა პატიოსანი ადამიანის წმინდა სინდისის შესახებ.

...იმერელი კაცი იყო სერგო ზაქარიაძე და თანდაყოლილი იუმორიც ჰქონდა. იმასაც უთუოდ არკვევდა — ამ შემთხვევაში როგორია სასაცილოს ბუნება. ხშირად იშველიებდა ჩარლი ჩაპლინის ხელოვნებას — ტრაგიკული თემა აწუხებს და მას კი კომედიური საშუალებებით წარმოადგენსო. ურთულესიაო კომედიის ხელოვნება. თვითონ ერთი შტრიხით შეეძლო ეპიზოდისთვის კომიზმი მიენიჭებინა. ეს თვისება სრული სისავსით წარმოჩნდა მაშინ, როდესაც რუსთაველის თეატრში დაიბადა ზღაპარი „ჭინჭრაქა“ და მისი, მართლაც, ზღაპრული გმირი — ბაყბაყდევი სერგო ზაქარიაძე.

1963 წლის ივნისში რუსთაველის თეატრის შესასვლელთან უჩვეულო აფიშა გაიკრა: რუხი ფერის ფონზე, თითქოს სათამაშო ფარდის უკან, პატარა ბიჭის თავი მოჩანდა თუშური ქუდით. ფარდის ქვემოთ ბიჭის ფეხები, ჭრელი ხევსურული წინდა-ქალამნებით და პაჭიჭით შემოსილი. ეს აფიშა იუწყებოდა, რომ სულ მალე რუსთაველის თეატრის ახლად გახსნილ მცირე სცენაზე წარმოდგენილი იქნება გ. ნახუცრიშვილის პიესა „ჭინჭრაქა“ — პირველი ზღაპარი რუსთაველის თეატრის სცენაზე. წარმოდგენა ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ პირველად იგი უფროსებმა იხილეს. მათ შეიტყვეს ამბავი მეფის ასული მზიასი, რომელიც მუხანათმა ვეზირმა ტყეში დამალა, რომ შემდეგ ქვეყნის დამპყრობი ბაყბაყ დევისათვის ტყვედ გადაეცა. მაგრამ მზიას ბედი სხვანაირად შემოტრიალდა გლეხი ბიჭის ჭინჭრაქას წყალობით, რომელმაც შეშინებულსა და მარტოდ დარჩენილ მეფის ასულს მეგობრობის ხელი გაუწოდა. სამშობლოც გათავისუფლდა დამპყრობლისაგან.

მცირე სცენის დარბაზში შემოსული პირველი მაყურებელი ოდნავ გააოცა მისთვის ნაცნობმა დარბაზმა, რომელსაც ადრე საკონცერტო ეწოდებოდა. სცენა თითქმის ემიჯნებოდა მაყურებელთა დარბაზის პირველ რიგს. ამ სცენის მოედნის გასწვრივ თოკი იყო გაჭიმული ზედ მიმაგრებული ჭრელად ამოქარგული ხავერდის ფარდით. უნებლიეთ გაგონდებოდა ზაფხულში აგარაკზე გამართული წარმოდგენები, დეკორაციად ვისაც რა აქვს წამოღებული, იმას რომ იყენებენ. ასე იყო ჩაფიქრებული ეს წარმოდგენა რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის მიერ — როგორც სპექტაკლი-ხუმრობა, გასართობი იმპროვიზაცია, ქართულ ხალხურ სანახაობებსა, წეს-ჩვეულებებსა, ჩქარა გამოსათქმელებსა და

საცეკვაო ილეთებზე აგებული. ამავე დროს, სპექტაკლი დასცინოდა მლიქვნელობას, ჭორიკანობას, ბრიყვი მბრძანებლისადმი მონურ მორჩილებას, ჩარლსტონითა და ტვისტით გადაჭარბებულ გატაცებას.

გასაოცარი ის გატაცება იყო, რომლითაც ოიდიპოს მეფის, ჰამლეტის, ოფელიას და სხვა მათგვარ გმირთა სცენური სახეების შემქმნელები ასახიერებდნენ ბაყბაყ დევსა და დათვს, მგელს, მელასა და ტურას. მსოფლიო რეპერტუარის საუკეთესო როლებით განებივრებულ მსახიობებს იტაცებდა ქართულ ზღაპარში ჩაქსოვილი ადამიანური კეთილშობილებით აღსავსე იდეა, მისი სცენური განხორციელების მსუბუქი ფორმა, აზრის სიმახვილე, განცდის სიმართლე და მისი გამოხატვის ფერადოვნება. ამ სცენაზე ზედმიწევნით მართალი და გულწრფელი უნდა ყოფილიყავი, რადგან თითქმის ხელისგულზე ეჯექი მაყურებელს.

მცირე სცენა არ იყო რუსთაველის თეატრის დიდი სცენის ფილიალი, მას თავისი, ძალზე მნიშვნელოვანი დანიშნულება ჰქონდა — ის ჩაფიქრებული იყო როგორც ახალი სათეატრო ასპარეზი, რომლის უმთავრეს მიზანსაც მსახიობის მაყურებელთან უახლოესი კონტაქტი შეადგენდა. ამის საშუალებას იძლეოდა რამპის არარსებობა და მაყურებელთა რაოდენობის სიმცირე. აქ უნდა აღმოცენებულიყო სცენის ხელოვანთა მაყურებელთან ურთიერთობის ახალი ფორმები. მსახიობთან ზედმიწევნითი სიახლოვე შესაძლებელს ხდიდა ჩაგვეხედა მის თვალებში, გვეგრძნო მისი ადამიანური ბუნება, ამოგვეცნო მისი ფიქრები და ფარული სურვილები — „მსხვილი ხედი" მაყურებელთა ცოცხალ საპასუხო ემოციურ გამოძახილს ბადებდა.

იყო საქებარი რეცენზიები. იყო ასეთიც: „რუსთაველის თეატრში შემოიჭრა საეჭვო ღირსების ტენდენცია როგორც წმინდა მხატვრულ, ისე იდეოლოგიურ სფეროშიც. საბჭოთა ხელოვნებისათვის უცხო იდეურმა პოზიციამ ნათლად იჩინა თავი „ჭინჭრაქაში", სადაც ბოროტი სოციალური მოვლენა დაახლოებით ისეთ თავშესაქცევ, სახუმარო ასპექტში გვხვდება, როგორც ეს საზღვარგარეთულ ფილმებში — „ბაბეტა მიდის ომში" და „მისტერ პიტკინი". „ჭინჭრაქა" ეს არის ხუმრობა, პაროდია და ვისზე? ეს არის თანამედროვეობა? ასე უნდა დასცინო შენს ერს?"

სპექტაკლს დამცველებიც ჰყავდა, მათ შორის — ნიკო ყიასაშვილი, კოტე მახარაძე, რობერტ სტურუა, მედეა ჯაფარიძე... და თვით სერგო ზაქარიაძე.

რას ნიშნავდა მისთვის ოიდიპოს მეფისა და სხვა მისთანათა შემდეგ ბაყბაყ დევის განსახიერება?

ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი ახალი, ასე თუ ისე, მაგრამ მაინც განპირობებულია მანამდე არსებულით. ოღონდ ხელოვნების სხვა სახეობებში ის ადრინდელი და ახალი ერთდროულად არ არსებობს. მსახიობის ხელოვნებაში კი შეიძლება ერთდროულად არსებობდნენ, თუ თეატრის რეპერტუარში ადრე შექმნილი სპექტაკლიცაა და ახალიც. ეს წმინდა თეატრალური ვითარებაა, ძალზე საინტერესო სწორედ მსახიობის ხელოვნებასთან დაკავშირებით.

გავბედე და ვკითხე ბატონ სერგოს ამის შესახებ. როგორც ყოველთვის, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, მითხრა: საინტერესო შეკითხვაა, პასუხისთვის დრო მჭირდებაო. დრო, მართლაც, გავიდა. თვითონ შემახსენა — ვიცი, ჩემგან პასუხს ელიო. პასუხი მოკლე იყო: თუ ნამდვილი მსახიობი ხარ, უნდა კარგად გაიაზრო ორივე, შემდეგ კი ერთშიც და მეორეშიც მხოლოდ მხატვრულად ღირებული შეინარჩუნო. ეს იმიტომ, რომ შენი დღევანდელი ბაყბაყ დევი ხვალინდელი სცენური გმირის წინაპარი გახდება და ეს პრობლემა ისევ ხელახლა გექნება გადასაწყვეტი. ასეთია ჩვენი პროფესიის სვე-ბედი. თანაც ჩვენ თვითონ ხომ არ ვიცით ვინ იქნება ის შემდგომი? რამდენად ახლობელი ან რამდენად განსხვავებული წინა მხატვრული სახისაგან? ან რამდენად მნიშვნელოვანი ჩვენი შემოქმედებისთვის?

ის შემდეგი, ძალიან განსხვავებული და ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეფე კრეონი ჟ. ანუის დრამაში „ანტიგონე". ისევ ანტიკური სიუჟეტი, ოღონდ თანამედროვე ფრანგი ავტორის მიერ მოწოდებული. ისევ მ. თუმანიშვილის სპექტაკლში. ისევ მცირე სცენაზე.

ამ პიესის დადგმით მ. თუმანიშვილი დიდ ომში მიდიოდა საბრძოლველად — ძალიან ხმამაღლა უნდოდა ეთქვა „არა", ყველას გასაგონად!

სპექტაკლის პროგრამა უჩვეულოდ გაიაზრა: ის იწყებოდა მოკლე ინფორმაციით ავტორის შესახებ. მაყურებელს უნდა სცოდნოდა, რომ ცნობილი ანტიკური სიუჟეტი ფრანგი დრამატურგისათვის საშუალებაა, კომპრომისის დამღუპველობაზე ილაპარაკოს. იმასაც გვატყობინებდა, რომ წარმოდგენა ბერძენ პატრიოტებს ეძღვნება. მოხმობილია ამონარიდი მელორ სტურუას სტატიიდან იმის შესახებ, თუ როგორ გაუსწორდა ხუნტა თავისუფლებისათვის მებრძოლ მსა-

ხიობ მელინა მერკურის — საბერძნეთის მოქალაქეობა ჩამოართვა. გამოჩენილ რუს მოღვაწეთა მოწოდება — „ჩვენ მოგიწოდებთ საკუთარი ხელოვნებითა და სიტყვით ხელი შეუწყოთ იმ დღის მოახლოებას, როდესაც ნეოფაშიზმი საბერძნეთში დამარცხებული იქნება და გათავისუფლებული პრომეთე — ბერძენი ხალხი თავისი ბედ-იღბლის საჭეს, ბოლოს და ბოლოს, ჩაიგდებს თავის საიმედო, ძარღვიან და ნაზ ხელში“ (ურ. „Театральная жизнь“. 1967წ. 12).

რატომ ასეთი პროგრამა? პოლიტიკური თეატრი? პასუხს სპექტაკლი იძლეოდა: სცენაზე გაჩაღებული იყო ბრძოლა განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ორ ადამიანს შორის. ერთი მათგანი, ანტიგონე, ძალიან ახალგაზრდაა, მეორე — უკვე ხანდაზმული, ბიძაა მისი კრეონი, ქვეყნის უმაღლესი მმართველი. მათი მძაფრი და ხანგძლივი დიალოგი ნამდვილი ორთაბრძოლა იყო.

ზინაიდა კვერენჩხილაძის ანტიგონესა და სერგო ზაქარიაძის კრეონის ეს დიალოგი აქტიორული ხელოვნების ნიმუში იყო. სცენაზე გულისცემასავით უწყვეტი მოქმედების ნიმუშიც. სულიერ ძალთა დაუზოგავი ხარჯვის ნიმუშიც. აზრისა და შეშფოთებული სულის ოდნავ შესამჩნევი ვიბრაციის მთრთოლვარე ნიმუშიც. ეს 45 წუთიანი დიალოგი სიტყვებით ფარიკაობა იყო. ისეთი ბრძოლა, როდესაც ორივე მხარისათვის ახლა არავინ და არაფერი არსებობდა, გარდა მოწინააღმდეგისა, რომელიც მის წინაშე იდგა. ორივე ერთმანეთში იყო ჩაძირული, ცდილობდა ამოეცნო მოწინააღმდეგის ყოველი სიტყვის, ყოველი ოდნავ შესამჩნევი მოძრაობის ფარული შინაარსი და საპასუხო დარტყმა შეემზადებინა. დარტყმა სიტყვით. ჟ. ანუის პიესა ინტელექტუალური დრამაა და სიტყვას განსაკუთრებული ყურადღება ეკუთვნის. მით უფრო, რომ ადამიანის ცხოვრებაში, მართლაც, არ მოიძებნება ისეთი წუთი, სიტყვა რომ არ იყოს მასთან. ის ჩვენთანაა მაშინ, როდესაც მას წარმოვთქვამთ და მაშინაც, როდესაც არ წარმოვთქვამთ. წარმოთქმული სიტყვა ხან ამჟღავნებს იმას, რაც ახლა ხდება ადამიანის სულში, ხან პირიქით — ფარავს. ანტიგონესა და კრეონის ეს წარმოუდგენლად ხანგრძლივი და გაცხოველებული დიალოგიც ხმოვანი სიტყვისა და ფიქრის ბინადარი სიტყვის მონაცვლეობა იყო და ასე, მანამ იგი დასრულდებოდა.

„ანტიგონე“ იყო ჭეშმარიტად თანადროული სპექტაკლი, რომელიც გამოჩენილმა რეჟისორმა, ანატოლი ეფროსმა გენიოსად აღიარებული პიანისტის — სვიატოსლავ რიხტერის ხელოვნებას შეადარა, მე კი ჩამჩურჩულა — „ნუთუ ისე წავალ ამქვეყნიდან, რომ ამისთანა წარმოდგენას ვერ დავდგამო?“ აღტაცებას ვერ ფარავდა მ. თუმანიშვილისა და მსახიობთა ჭეშმარიტად მხატვრული ქმნილებებით. იმით, რომ ისინი პიროვნების თავისუფლებას ქადაგებენ, ადამიანურ მაღალზნეობას და ამით გაბატონებულ ძლიერთა მიერ დამკვიდრებულ ცხოვრების წესს უპირისპირდებიან, თან როდის? — 1968 წელს, პრაღის მთელ მსოფლიოში გახმაურებული ტრაგიკული გაზაფხულის წელს!

სპექტაკლის ბედი ბეწვზე ეკიდა. მახსოვს, მისი ჩაბარების დღეს როგორ განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა — ეს წარმოდგენა ყოველნაირი ხელისუფლების წინააღმდეგია, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგიცაა. ჭკვიანი კაცი იყო მინისტრი და სწორად ამოიკითხა ის, რაც ამოძრავებდა „ანტიგონეს“ დამდგმელ რეჟისორსა და წარმოდგენის მონაწილეებს. სწორად ამოიკითხა ის „არა!“, ყველას გასაგონად რომ ითქვა სცენიდან, მაგრამ რამდენს ნიშნავდა იმ დროს ამ ამოკითხულის გაცხადება ხმამაღლა, ისიც იდეოლოგიის დარგში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანდასწრებით!

დასაღუპავად განწირული შემოქმედის პასუხი მოკლე იყო — „თუ ასეა, მოხსენით წარმოდგენა“. მოხსნა თავს არავინ იდო — ვიღაცას ხომ უნდა ეგო პასუხი იმაზე, რომ მისი ხელმძღვანელობის დროს ანტისაბჭოური წარმოდგენა დაიდგა რესპუბლიკის აკადემიურ თეატრში!

„ანტიგონე“ იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მისი დადგმით, არსებითად, დასრულდა რუსთაველის თეატრის ის ფერისცვალება, რომელიც ახალგაზრდა მსახიობთა ერთმა ჯგუფმა მ. თუმანიშვილის თავკაცობით, ჯერ კიდევ 50-იან წლებში წამოიწყო სპექტაკლით „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ (იულიუს ფუჩიკი). ახალი პრინციპების დამკვიდრებას წლები დასჭირდა. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, 60-იანი წლების დასასრულისათვის ეს თეატრი უკვე აღარ იყო ღია რომანტიკული პათოსის გმირული თეატრი. ის გახდა ცხოვრებისეული სიმართლის სიღრმივ მწვდომი ანსამბლის თეატრი, რომლისთვისაც საინტერესო იყო ყოველი ადამიანის შინაგანი სამყარო. ფუძისეული პრინციპი — ორკესტრი. იდეალი — სოლისტების ორკესტრი. სათქმელის გამოვლინების გზა — ყველანაირი ადამიანური ხასიათის სიღრმივი წვდომა, მათ შორის რთული ურთიერთკავშირების ამოხსნა და მათი წარმოჩენა ავტორის მწერლური ინდივიდუალობის შესატყვის სახეობრივ ქმედებათა ენით.

სერგო ზაქარიაძე არ იყო იმ ე. წ. „შვიდკაცას“ წევრი, მაგრამ შემოქმედებითი რწმენა მათ ერთი ჰქონდათ. ახალგაზრდულ ანსამბლში მისი ბუნებრივი ჩართვა იყო სწორედ იმის მაუწყებელი, რომ შემოქმედებაში მთავარი არაა ასაკობრივი ნიშანი — მთავარია რწმენა. ის განსხვავებული ასაკის ადამიანებს აერთიანებს და ამით რწმენასაც აძლიერებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ის იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ სერგო ზაქარიაძე არა მარტო

ბუნებრივად ჩაერთო ახალგაზრდა ერთმორწმუნეთა ანსამბლში, არამედ განასახიერა ის ძალა, რომელსაც ებრძვის ანტიგონე. ებრძვის ადამიანის უფლებისათვის იცხოვროს იმ ზნეობრივი კანონებით, რომლებსაც თვითონ აღიარებს აუცილებლად ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის და გოგონა უფლებამოსილ ხელისუფალზე ძლიერი აღმოჩნდა — მიუხედავად აკრძალვისა, მან მკვდარი ძმა მიწას მაინც მიაბარა! რომ არა სერგო ზაქარიაძის შინაგანი ძალის მსახიობი, ანტიგონეს გამარჯვება არ იქნებოდა ნაწარმოების დედააზრის გამომხატველი — ასეთს უნდა სძლიო!

რაში იყო ამჯერად სერგო ზაქარიაძის, როგორც ხელოვანის ძალა? — ისევ გულწრფელობაში. მის კრეონს ნამდვილად სწამდა, რომ წესრიგი, ყველაფრის თავის ადგილზე ყოფნაა უდიდესი ძალა. ანტიგონემ კი აჯობა, რადგან დაგვანახვა, რომ ყველაფერზე დიდი ძალა ზნეობაა!

ჩვენს მიერ სერგო ზაქარიაძის მრავალ მხატვრულ სახეთა შორის სანიმუშოდ შერჩეული ეს სამი სახე — ოიდიპოს მეფე, ბაყბაყ დევი და კრეონი, ვფიქრობ, საკმაოდ ნათელყოფს, რომ ესოდენ განსხვავებული სირთულის როლები მსახიობისგან სცენური სახის კომპოზიციის, მისი აღნაგობის ოსტატობასაც მოითხოვენ. ს. ზაქარიაძე არ დაინყებდა როლზე მუშაობას, სანამ არ ჰქონდა სრული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მისი მზა ქმნილება. თუ არ ჰქონდა ნათელი ჩანაფიქრი ანუ ურთიერთდაკავშირებულ აზრთა, სურვილთა და მიზანთა სისტემა, აღნაგობა თავისი მომავალი მხატვრული ქმნილებისა. თუ ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული — რა მიზნით იწყებს მუშაობას, რის სათქმელად!

სერგო ზაქარიაძის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის სამი ასპარეზი იყო უმთავრესი: თეატრი — საოცარი მისი სცენური ქმნილებანი: ბახა (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“), ბესიკი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), თინიბეგი (მ. მრევლიშვილის „ზვავი“), კავალერი რიპაფრატა (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), ფიროსმანი (გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“). და სხვ. ესტრადა: ინდივიდუალურად, საკუთარი ხმით გაცოცხლებული საყვარელ ავტორთა ლიტერატურული ქმნილებანი — შოთას, ილიას, ვაჟას, გოეთეს... კინო: თორღვაი (ს. დოლიძის ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“), შადიმან ბარათაშვილი (მ. ჭიაურელის ფილმში „გიორგი სააკაძე“), ფოსტალიონი (ს. დოლიძის ფილმში „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“) და საქვეყნოდ ცნობილი, ყველა ჯარისკაცის მიერ საკუთარ მამად აღიარებული გიორგი მახარაშვილი (რ. ჩხეიძის ფილმში „ჯარისკაცის მამა“)... კინომცოდნეთა ცნობით, არ დარჩენილა ქვეყანა, სადაც ეს ფილმი არ ეჩვენებინოთ და არ ჰქონოდეს მას წარმატება განსაკუთრებული... და კიდევ, ისევ კინომცოდნეთა მიერ დადგენილი — იშვიათია თურმე ქანდაკება კინოგმირისა. ჩვენში კი არსებობს — მერაბ ბერძენიშვილის მარჯვენის ძალით ქანდაკებაში მარად ცოცხალი ჯარისკაცის მამა სერგო ზაქარიაძე!

მსახიობის შემოქმედების ეს სამსახეობა იმდენად მდიდარი და ძლიერია, რომ ერთ გახსენებაში მკითხველისათვის მათი საკადრისი მიწოდება შეუძლებელია. ყოველი მათგანი ცალკე და სერიოზული შესწავლის საგანია. სამივე ერთად შექმნის იმის ნათელ სურათს, თუ რამდენის თქმა შეუძლია ერთ ადამიანს მრავალთათვის.

ის იყო არა მხოლოდ მსახიობი — ის მოღვაწე იყო. ყველაფრის ვალდებულად მიიჩნევდა თავს. ამიტომ თეატრშიც თამაშობდა, კინოშიც იღებდა, ესტრადაზეც გამოდიოდა, რადიოშიც თანამშრომლობა, ტელევიზიაშიც. პასუხობდა ყველა წერილსა და მომართვას. მიდიოდა ყველგან, სადაც უხმობდნენ. გამოდიოდა სიტყვით, კამათობდა, იბრძოდა. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობაც იტვირთა... და ყველგან იყო მუშა, მაშვრალი, ნებიერა არასდროს არაფერში ყოფილა.

მიჭირს მსგავსი ვინმე დავასახელო მისი თაობის მსახიობთაგან, ვინც საყოველთაო აღიარებისკენ ასე დიდხანს, ასეთი რთული გზით მიემართებოდა. მიაღწია მწვერვალს. ძალიან მაღალი მწვერვალი დაიპყრო, მაგრამ იმ ტვირთისგან, რაც თვითონ აიღო თავის თავზე, არ განთავისუფლებულა. პირიქით. და ვერ გაუძლო გულმა...

ან ამდენ ხანს როგორ გაუძლო...

მანანა გეგეჭკორი

„მსახიობი თავისი როლის ავტორი უნდა იყოს“

მურმან ჯინორიას 60 წელი შეუსრულდა. ეს ამბავი ბევრს გაუკვირდება, ზოგი — არც დაიჯერებს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი მშვენივრად გამოიყურება და ჩინებულ არტისტულ ფორმაშია, მან მაინც ექვს ათეულს მიუკაკუნა.

მისი, როგორც პროფესიონალი აქტიორის ცხოვრება 1971 წელს თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო. თავიდანვე ბედმა გაუღიმა, დიდი მაესტროს, მიხეილ თუმანიშვილის ექსპერიმენტულ, სამსახიობო-სარეჟისორო ჯგუფში მოხვდა. თავად მურმან ჯინორია თვლის, რომ ეს ღვთის წყალობა იყო. განგების ეს საჩუქარი მსახიობმა არა მარტო ღირსეულად მიიღო, არამედ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ იგი ასეთ წყალობას ნამდვილად იმსახურებდა. თუმცა თეატრალურ ინსტიტუტში პირდაპირ სკოლიდან არ მისულა.

არტისტობა ბავშვობიდანვე უნდოდა. პიონერთა სასახლის დრამატულ წრეშიც დადიოდა, ბატონ ვახტანგ სულაქველიძის (ეს ის მსახიობია, ყველასათვის საყვარელ მოკლემეტრაჟიან ფილმში, კომიკურ გარემოებათა უცნაური დამთხვევის გამო ქვევრში რომ აღმოჩნდება) ხელმძღვანელობით აქტიორული ხელოვნების ანბანს ეუფლებოდა. მშობლებს მიაჩნდათ, რომ ეს მათი შვილის ბავშვური გატაცებაა. ეგონათ, რომ ამ ჟინს ადრეულ ასაკში მოიკლავს და მომავალ პროფესიად სხვა, უფრო სერიოზულ საქმიანობას აირჩევს.

„დედაჩემს თეატრი ძალიან უყვარდა. სპექტაკლებზე ხშირად დავყავდი. იმ შეგრძნებას ახლაც მკაფიოდ განვიცდი: გაიხსნებოდა ფარდა, წამოვიდოდა დაგუბებული ჰაერი, თეატრში მისული ქალბატონების სუნამოთი გაჯერებული. ამ სურნელებით მახსენდება, რა ხდებოდა სცენაზე.“ ასე იხსენებს მურმან ჯინორია ბავშვურ თეატრალურ შთაბეჭდილებებს.

ჯინორიებს ოჯახში მსახიობი არავინ ჰყოლიათ. მიუხედავად ამისა, მშობლები თვლიდნენ, რომ თეატრალური შემოქმედება რთული საქმიანობაა. ბევრი რამ გამართლებაზე, იღბალზეა დამოკიდებული. ამიტომაც აბიტურიენტი შვილის არჩევანს დიდი სიფრთხილით, შეიძლება ითქვას, შიშითაც შეხვდნენ. ურჩიეს, ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარე, დაამთავრე და თუ ისევ სცენისკენ გაგიწევს გული, მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში გააგრძელე სწავლაო. როგორც ჩანს, იმედი ჰქონდათ, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის მანძილზე არტისტობის სურვილი გაუქრებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, კიდევ უფრო გაუძლიერდა სანუკვარი პროფესიის დაუფლების ჟინი. მთელი ეს 5 წელი თეატრალური ინსტიტუტისთვის ემზადებოდა, კითხულობდა წიგნებს ხელოვნებაზე, სპექტაკლებზე დადიოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მომავალში ღირსეულად წარმოეჩინა საკუთარი სამსახიობო შესაძლებლობები საგამოცდო კომისიის წინაშე. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო თეატრმა, რომლის მაშინდელი ხელმძღვანელი ბორის წიფურია იყო, წამყვანი მსახიობი კი — მურმან ჯინორია. ასე რომ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩარიცხვამდე გარკვეული აქტიორული გამოცდილება უკვე ჰქონდა. 1971 წელს პოლიტექნიკური

ინსტიტუტი დაამთავრა და თეატრალურში ჩაირიცხა.

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსახიობის შემოქმედებაში, მის აქტიურულ ნიჭთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვისი ხელმძღვანელობით ეუფლება იგი ამ ურთულესი პროფესიის საიდუმლოებებს. თავისთავად სასიხარულოა, როდესაც ოცნებას აისრულებ და თეატრალურ ინსტიტუტში მოხვდები. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა, როდესაც მსახიობის ოსტატობას მიხეილ თუმანიშვილი გასწავლის — დიდი რეჟისორი, თეატრის თეორეტიკოსი და პედაგოგი. მურმან ჯინორია ისეთ დროს აღმოჩნდა მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტი, როდესაც იგი რუსთაველის თეატრიდან წამოსული იყო, მხოლოდ ინსტიტუტში და ტელევიზიაში მუშაობდა. მთელ თავის ენერგიას, გამოცდილებას, შემოქმედებით შესაძლებლობებს პედაგოგიკას, სტუდენტების აღზრდას ახმარდა. მურმან ჯინორია იმ ექსპერიმენტულ ჯგუფში აღმოჩნდა, სადაც რეჟისორები და მსახიობები ერთად სწავლობდნენ. მომავალი არტისტები მომავალი რეჟისორების მიერ დადგმულ ეტიუდებში, თეატრალურ ნაწყვეტებსა და სპექტაკლებში მონაწილეობდნენ. შეიქმნა თავისებური, პატარა სტუდენტური თეატრი, რომელსაც „მე-11-ე აუდიტორიის თეატრს" უწოდებდნენ (ამ ჯგუფის მეცადინეობა ინსტიტუტის მე-11-ე აუდიტორიაში მიმდინარეობდა). მიხეილ თუმანიშვილი თავის სტუდენტებს მხოლოდ მსახიობის ოსტატობას არ ასწავლიდა. იგი მუდამ ცდილობდა, რომ მისი მოწაფეები მრავალმხრივ განათლებულ, საინტერესო ხალოვანებად აღეზარდა, თეატრისადმი უზომო საყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულ პიროვნებებად.

მურმან ჯინორია თავისი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, ნიჭთან ერთად, ბევრი რამ მისმა პიროვნულმა თვისებებმა — პროფესიის სრულყოფილად დაუფლების უდიდესმა სურვილმა, საოცარმა შრომისმოყვარეობამ, საქმისადმი სერიოზულმა დამოკიდებულებამ, პასუხისმგებლობის გრძნობამ და მსახიობისათვის აუცილებელმა სხვა მრავალმა თავისებურებამ განაპირობა.

პირველ კურსზე იყო, როდესაც მიხეილ თუმანიშვილმა სატელევიზიო სპექტაკლი „გზაჯვარედინზე" დადგა და თავის სტუდენტს მთავარი როლი მიანდო. ასე გაიცნო იგი მრავალმა ტელემაყურებელმა. დებიუტანტმა მსახიობმა, ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეიგრძნო პოპულარობის არაჩვეულებრივი ხიბლი. ცოტა მოგვიანებით, რეჟისორ გიორგი კახაბრიშვილის ტელესპექტაკლმა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", მას უზომო პოპულარობა მოუხვეჭა. სერგოს როლი მის პირველ სერიოზულ წარმატებად იქცა. იგი ღირსეულ პარტნიორობას უწევდა დიდ ქართველ არტისტ ვასო გოძიაშვილს და შესანიშნავ მსახიობ ზაზა ლებანიძეს. ალბათ ბევრს ახსოვს უჩვეულო გარეგნობის, გამხდარი, გრძელთითება სერგოს ნახევრად წამღერებული მიმართვა შეყვარებულისადმი: „მაშიკოოო... სულიკოოო..."

მესამე კურსელი მურმან ჯინორია, თანაჯგუფელებთან ერთად, მონაწილეობდა მიხეილ თუმანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლის „იულიუს კეისრის" მასობრივ სცენებში, შესანიშნავ მსახიობთა — ეროსი მანჯგალაძის, გიორგი გეგეჭკორის, ედიშერ მალალაშვილის, გურამ საღარაძის, კარლო საკანდელიძისა და ზინა კვერენჩხილაძის გვერდით. მაშინ ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ მომავალში მათი პარტნიორი გახდებოდა.

მურმან ჯინორია მიხეილ თუმანიშვილის საყვარელი მოწაფე იყო. შემდეგ კი მის მიერ შექმნილი კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნოს (ამჟამად მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი) არა მხოლოდ ერთ-ერთი დამაარსებელი, არამედ რეპერტუარში აქტიურად დაკავებული მსახიობიც. საკმარისია დავასახელოთ მის მიერ ამ თეატრის სცენაზე განსახიერებული საუკეთესო როლები, რომ ყოველივე ნათელი გახდება: სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, თავგანწირული ჭაბუკი ვანია ზემნუხოვი (ალექსანდრე ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის სახელით"), რწმენისათვის შეწირული დედოფალ შუშანიკის ერთგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარი და მოძღვარი იაკობ ხუცესი (მიხეილ მრევლიშვილის „წამება დედოფლისა“), მკვეთრად სახასიათო პერსონაჟი, გროტესკულ მანერაში განსახიერებული გაიძვერა, კორუმპირებული ბიუროკრატი ვარავინი (ალექსანდრე სუხოვო-კობილინის „საქმე“), ნიჭიერი სკეპტიკოსი და, ამავე დროს, რომანტიკოსი, ქალების გულთამპყრობელი დონ-ჟუანი (მოლიერის „დონ-ჟუანი“).

ამ მრავალფეროვან რეპერტუარში ჩინებულად გამოვლინდა მურმან ჯინორიას როგორც დრამატული, ასევე კომიკური და ტრაგი-ფარსული მონაცემები. საინტერესო სამუშაო არ აკლდა. დიდი მაესტროს ხელმძღვანელობით, მის გვერდით მოღვაწეობდა ახლადშექმნილ, ძალიან კარგ და წარმატებულ თეატრში. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდა. და აი, მურმან ჯინორია თეატრალურ სახელოსნოს ტოვებს და რუსთაველის თეატრში გადადის მიხეილ თუმანიშვილის ბრწყინვალე მოწაფესთან, თუმცა მასწავლებლისგან შემოქმედებითი ხელწერით მეტად განსხვავებულ, უკვე საქვეყნოდ ცნობილ რეჟისორ რობერტ სტურუასთან. არც ერთ თავის ინტერვიუში მსახიობი ამ მკვეთრი ბიოგრაფიული შემობრუნების კონკრეტულ მიზეზებს არ ასახელებს. მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. თვლის, რომ მის ასეთ საქციელს ობიექტური და სუბიექტური საფუძველი ჰქონდა. ალბათ ასეც იყო.

მურმან ჯინორიას შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო. მსახიობი ასე იგონებს იმ ხანას: „რობერტ სტურუასთან მივედი. გადავწყვიტე, ყველაფერი ნულიდან დამეწყო. შევეცადე, ჩემი თავი ახლად ინსტიტუტდამთავრებული მსახიობის მდგომარეობაში ჩამეყენებინა. ვითომ არც პროფესიულ სცენაზე მითამაშია და არც კინოში. ამან ძალიან მიშველა. პატარა, ეპიზოდური როლებით დავიწყე. შეიძლება თავიდანვე მთავარი როლი არ მოგცენ, მაგრამ ეპიზოდური და მეორეხარისხოვანი პერსონაჟის განსახიერებითაც უნდა შეგეძლოს დაამტკიცო, ვინ ხარ. შეიძლება მაშინვე მიიღო საოცნებო სამუშაო, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ამისთვისაც მზად უნდა იყო. პატარ-პატარა პერსონაჟებმა შეიძლება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სცენური გმირები შემოიყვანონ არტისტის ბიოგრაფიაში.“

მურმან ჯინორიას შემოქმედებითი ცხოვრება რუსთაველის თეატრში სწორედ ასე აეწყო. ამ ბრწყინვალე დასში მუშაობის თითქმის 25-წლიანი პერიოდი როლების სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ ყოველი მათგანი კარგად გახსოვს, მყარადაა ჩაბეჭდილი მაყურებლის მეხსიერებაში, როგორც მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე, მუდამ მაძიებელი ნიჭიერი შემოქმედის ქმნილება — 1832 წლის შეთქმულების მონაწილე რუსი პაუშენკო (გურამ ბათიაშვილის „შეთქმულება“), სამშობლოდან განდევნილი, მშობლიური თემიდან მოკვეთილი ბახა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მეფე ლირისგან შერისხული, მაგრამ მაინც მისი ერთგული კენტი (უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“), ვიქტორი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, ირინეს თავს უბედურება არ დატრიალებულიყო, თუმცა ვერაფერს გახდა (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), მკვეთრად გროტესკული პერსონაჟი, თამაზ ჭილაძის “ნახვის დღიდან“, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ჯეიკობ მარლის სული, ფაქტობრივად, მისი მოცეკვავე ჩონჩხი (ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიზმარი“); ორი, სრულიად განსხვავებული პერსონაჟი — ცივსისხლიანი, გულგრილი აბესალომი, რომელიც სისასტიკით, იარაღის ძალით მკვიდრდება ამ ცხოვრებაში და ვიოლინოს ფუტლიარიანი კაცი, გულუბრყვილო, უმწეო ინტელიგენტი, არარეალური, აბსურდული არსებობის წესით რომ შორდება ამ სამყაროს (ირაკლი სამსონაძის „იქ, სადაც ღვარად მოედინება...“); დაბოლოს, მისი მე-

სამე მსაჯული რეჯინალდ როუზის შესანიშნავ პიესაში "თორმეტი განრისხებული მამაკაცი" — საკუთარ შვილთან სერიოზული კონფლიქტის გამო, იგი თითქოს შურს იძიებს იმ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც მამის მოკვლა ედება ბრალად. მურმან ჯინორიას პერსონაჟი თვლის, რომ შვილი ყოველთვის დამნაშავეა. ამიტომაც ყველაზე ძნელია მისი დარწმუნება ბრალდებულის სიმართლეში. ობიექტურად ხედავს, რომ ეს ასეა, მაგრამ ამის სიტყვიერი აღიარება უჭირს, არ უნდა, რომელიმე შვილი უდანაშაულო იყოს. ამით ხომ მისი, თითქოსდა შეურყეველი მსოფლმხედველობა ინგრევა.

ყველა თავის როლში მურმან ჯინორია მისი, როგორც მსახიობისა და მოქალაქის სათქმელს გამოხატავს. კინოში ამის გაკეთება უფრო რთულია, იმის გამო, რომ აქ მსახიობი კიდევ უფრო მეტ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, ვიდრე თეატრში. თუმცა მურმან ჯინორიას კინოშიც მრავალი როლი აქვს შესრულებული: თამაზ იაშვილი ("თვალი პატიოსანი"), სოსიკო ("სინემა"), თამაზ ენგური ("ჩაკლული სული"), კარტუზო ("ბესამე"), მამა იორამი ("მარადისობის კანონი"), მაიორი ქარდავა ("დაპირისპირება") და სხვა. აქვე მინდა გაგახსენოთ, რა მშვენივრად ახმოვანებს იგი გიორგი დანელიას ცნობილი ფილმის "პასპორტის" მთავარ გმირს. და, მიუხედავად კინოში შექმნილი არაერთი დასამახსოვრებელი სახისა, მურმან ჯინორიას უმთავრესი შემოქმედებითი ასპარეზი დრამატული თეატრია. და არა მხოლოდ რუსთაველის თეატრი.

"ჩემი აზრით, მსახიობი რეჟისორზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. თუ პროფესიონალი ხარ და შენი საქმე გიყვარს, რისკზე უნდა წახვიდე და არ დაელოდო, როდის გიპოვის და აღმოგაჩენს რეჟისორი. ვცდილობ, ყველა როლში ჩემი სათქმელი, ჩემთვის საინტერესო პრობლემა დავინახო და ჩემებური გასაღები მოვარგო."

"მიხეილ თუმანიშვილი სულ ამბობდა: "მსახიობი თავისი როლის ავტორი უნდა იყოს." სათქმელი უნდა გქონდეს და უნდა იცოდე, რისი თქმა გინდა ამ როლით. ესაა მთავარი. როდესაც შენს სულში ამას ემოციურად ჩამოაყალიბებ, გამოსახვის ფორმებსაც იპოვი, ქცევათა პარტიტურასაც. მთავარია იმის აუცილებლობას ხედავდე, რომ დაგროვილი სხვას გაუზიარო."

"არსებობს დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის პარტიტურა. დრამატურგმა დაწერა სიუჟეტი, დიალოგები. რეჟისორმა შექმნა მიზანსცენები, ატმოსფერო, განწყობილება. მათზე დაყრდნობით მე მესამე, ჩემი პარტიტურა უნდა შევქმნა. საერთოდ, ყველა საქმეში თავისუფალი მინდა ვიყო, ჩემს პროფესიაშიც."

ამას ამბობს ერთ-ერთი ყველაზე დამოკიდებული პროფესიის ხელოვანი. ერთი შეხედვით, პარადოქსული აზრია. შეიძლება ზემოთ მოყვანილ მის მოსაზრებათაგან ზოგიერთი სხვაც უჩვეულოდ მოგეჩვენოთ. მაგრამ ეს, მხოლოდ ერთი, ზედაპირული შეხედვით. მურმან ჯინორია გამოცდილი პროფესიონალია და შესანიშნავად იცის არა მარტო თავისი საქმიანობის თავისებურებები, არამედ აქტიორული შემოქმედების ბევრი საიდუმლოც. როდესაც იგი მსახიობის თავისუფლებაზე საუბრობს, ალბათ, მის მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას გულისხმობს ავტორისა და რეჟისორის მიერ შეთხზულ ვითარებებში. მხოლოდ ამ მოცემული პირობების გათვალისწინებითაა შესაძლებელი მაქსიმალური აქტიორული თავისუფლების მიღწევა და საინტერესოდ იმპროვიზირება. სწორედ ეს არის მურმან ჯინორიას შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, რომელიც უკანასკნელ წლებში საუკეთესო სახით გამოვლინდა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში. იგი ამ 20 წლის წინ შესანიშნავმა არტისტმა, კოტე მახარაძემ დააარსა, 1995 წელს კი იქ მურმან ჯინორია მიიწვია.

„ეს თეატრი ჩემი სიმშვიდეა. მე აქ შემიძლია ავაგო გემი, რომელიც მერე ზღვაში უნდა გავუშვა. კოტე მახარაძემ დაუბრუნა მსახიობს თავისი პირვანდელი ფუნქცია — მასხარას ფუნქცია. ვინ არის მასხარა? ადამიანი, რომელსაც ძალუძს პრობლემა მიიტანოს ხალხთან, მმართველთან." თვლის მურმან ჯინორია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჩვენი ქვეყნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ეროვნული კულტურისათვის უმძიმეს ხანაში, მურმან ჯინორიამ შექმნა ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი "ბედისწერა გვიხსნის მარად," ქართველ პოეტთა ლექსების მიხედვით. ამ წარმოდგენაში ნათლად გამოვლინდა მსახიობის შემოქმედების კიდევ ერთი წახნაგი — მხატვრული კითხვის ოსტატობა. ოღონდ ამ სიტყვის არა ტრადიციული გაგებით, არამედ მეტად თავისებური კუთხით. მურმან ჯინორია, მის მიერ წაკითხულ ლექსში არა მხოლოდ სიტყვებს მილმა დაფარულ სათქმელს ეძებს, არა მხოლოდ საჭირო განწყობილებასა თუ ატმოსფეროს გადმოგვცემს. მის შესრულებაში პოეტური შინაარსი პოეტურ ფორმას ორგანულად ერწყმის. იგი ყოველი ლექსით რაღაც სიუჟეტს მოგვითხრობს, ერთ დრამატურგიულ ქარგად აწყობილი, ლექსად თქმული ამბებით კი სპექტაკლის მთლიან სათქმელს გვიზიარებს. ამ შემთხვევაში მურმან ჯინორია საკუთარი სამსახიობო ქმნილების ერთადერთი და სრულუფლებიანი ავტორია.

როგორც ჩანს, პირველ რიგში სწორედ ამით მოიხიბლა ბატონი კოტე მახარაძე და მურმან ჯინორიას ამ სპექტაკლის ერთი მსახიობის თეატრის სცენაზე გადატანა შესთავაზა. ასე გაჩნდა რეპერტუარში მონოსპექტაკლი „...და სიმღერით ვკვდები." მას მოჰყვა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების მიხედვით შექმნილი წარმოდგენა „ზღვა ძალიან ღელავს," შემდეგ კი — "დროთა კავშირი დაირღვა" (შექსპირის "ჰამლეტისა" და სონეტების მიხედვით). გარდა ამისა, მურმან ჯინორია სოფიკო ჭიაურელთან ერთად სპექტაკლ "დედა-დედოფალშიც" თამაშობს. შეიძლება ითქვას, რომ იგი თეატრ "ვერიკოს" შემოქმედებითი სახის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

კარგად ვიცი, რა დიდ სიამოვნებას იღებს მურმან ჯინორია საკუთარი საავტორო მონო სპექტაკლების თამაშის პროცესში. საქმე ისაა, რომ ამ წარმოდგენების ინსცენირებისა და მუსიკალური გაფორმების ავტორი, რეჟისორი, მხატვარი და ერთადერთი შემსრულებელი მხოლოდ მურმან ჯინორიაა. იგი მარტო გამოდის სცენაზე და მაყურებელს თავის სათქმელს, მრავალი წლის ნაფიქრსა და განცდილს უზიარებს. სათქმელი ბევრი აქვს. დიდი ხანია, საკუთარი მაყურებელიც ჰყავს, უმთავრესად — ახალგაზრდები.

გაზეთში "ქართული თეატრის დღე" 60 წლის მურმან ჯინორიას დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა შესანიშნავი წერილი მიუძღვნა. ძალიან საინტერესოა, როგორ აფასებს მსახიობის შემოქმედებას, განსაკუთრებით მისი, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის მოღვაწეობას მწერალი: "იგი ქართული პოეტური სიტყვის დარაჯია. ხოლო ის, ვისაც დღეს ქართული პოეტური სიტყვა მიაქვს ჯეობარ-შოუბრენდებით მზერააჭრელებულ გოგონებთან და ვაჟებთან, ეროვნულ საქმეს აკეთებს — საქართველოს მომავალს ემსახურება, რადგან მჯერა: ნათელი ქართული პოეზია სძლევს ჯეობარის ბანგს — ქართველი ახალგაზრდობის ეს ნაწილიც ეროვნულ ფესვებს მოიძებნის და ამ პროცესში გადამწყვეტ სიტყვას მაინც ქართული პოეტური სიტყვა და მისი მოამაგენი იტყვიან. მურმანი იმას კითხულობს და ისე კითხულობს, რომ შეუძლებელია ამ ახალგაზრდობის ფიქრში, სააზროვნო სისტემაში თავისი ადგილი არ ჰპოვოს. იგი კეთილშობილურ მისიას ასრულებს ქართულ სცენაზე."

მურმან ჯინორიამ კიდევ ერთი კეთილშობილური მისია იკისრა — სამეგრელოში, მშობლიურ სოფელში ეკლესიას აშენებს, საკუთარი ჰონორარებითა და მეგობრების შემოწირულობებით. საოცრად გატაცებულია ამ საქმით ისევე, როგორც ყველაფრით, რასაც აკეთებს — როლების თამაშით, სპექტაკლების დადგმით, პედაგოგიკით.

ერთი წლის წინ მურმან ჯინორიას უდიდესი ბედნიერება ეწვია — ქალიშვილი შეეძინა. ბავშვის დაბადება ძირეულად ცვლის მშობლის ცხოვრებას, არაჩვეულებრივად ამდიდრებს მის ემოციურ სამყაროს. დარწმუნებული ვარ, პატარა ნინიკო ახალ შემოქმედებით იმპულსებს აძლევს ისედაც მუდმივად მაძიებელ ხელოვანსა და მოქალაქეს — მურმან ჯინორიას, რომელიც, იმედია, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს და დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს სცენიდან.

მარო თარხნიშვილი

ძველი მელი

„ქართული სიმღერის დედა“

მარო თარხნიშვილი

ტრადიციული ქართული სიმღერის ერთ-ერთი დიდოსტატის, ჭეშმარიტად სახალხო მომღერლის, მარო თარხნიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულმა მასალებმა საკმაოდ მოზრდილი დასტა შეადგინა: ძველი დროის კულტურული ქრონიკა, თუ ამონარიდები საბჭოთა პერიოდის პრესიდან, ფოტოები, ჯილდოები, სიგელები, მისალმებები, მომღერლებისადმი მიძღვნილი ლექსები, თუ თვით მისი ორიგინალური პოეტური ცდები, აღტაცებულ თაყვანისმცემელთა უთვალავი სამადლობელი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, — ელისაბედ ჩერქეზიშვილი, თუ შალვა დადიანი, მაროს სიმღერით მოჯადოებული ჰამლეტ გონაშვილი, თუ "კავთისხეველი იადონებით" — მარო და ეკატერინე თარხნიშვილების სიმღერით მოხიბლული ჭაბუკი იოსებ ნონეშვილი, ალექსანდრა ფოცხვერაშვილი, ნადეჟდა ხარაძე, თუ ქსენია სიხარულიძე, რომელიც მიმართვაში გალაკტიონის სიტყვებით ("დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ") ხელოვნების დედაღვთისას ადარებს მას.

მარო თარხნიშვილის სახელი ქართულ ხალხურ სიმღერასთან ასოცირდება და მისგან განუყრელი ცნებაა. აკაკის თუ დავესეხებით, "უზენაეს განგებით საგანგებოდ მოვლენილი" ეს სანაქებო ქალბატონი თითქოს თვით სიმღერასთან ერთად დაიბადა. ეროვნული ჰანგები მარო თარხნიშვილის ხანგრძლივი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე — ლამის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი თავდავიწყებით ემსახურა ქართულ კულტურას, ერთგულად უდარაჯა უმაგალითო მუსიკალური თავისებურებებით, თვითმყოფი მხატვრული კანონზომიერებით აღბეჭდილ მრავალათასწლოვან ფოლკლორულ მემკვიდრეობას და წინაპართა მიერ შეუბღალავად შემონახული მშობლიური სიმღერების პოპულარიზაციის საქმეში ფასდაუდებელი სამსახური გასწია.

ხალხური სიმღერა მის მოწოდებასა და მიზანს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ მარო თარხნიშვილი "ხალხურობის სკოლის" ტიპური წარმომადგენელი, თვითნაბადი ტალანტი იყო, რომელიც ხალხის წიაღში იშვა და აღიზარდა. ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი მისი მუსიკალური შემეცნება, თუ მხატვრული აზროვნება ჩამოყალიბდა სოფლური მუსიცირების გარემოში, სადაც იგი პატარაობიდანვე ჩაწვდა ხალხური შემოქმედების ბუნებას, შეისისხლხორცა მშობლიური კილო-ჰანგები, მასთან დაკავშირებული ტრადიციების თავისებურებანი, ეზიარა ქართველი გლეხკაცის გონიერებასა და მაღალ ზნეობას, ხალხური მუსიკალური აზროვნების საიდუმლოებებს. ყოველივე ამან გარკვეული მიმართება მისცა მის შემოქმედებით უნარს, მკვიდრი საფუძველი შეუქმნა მომავალი ხელოვანის ჩამოყალიბებას, რაც თვალსაჩინოდ არის გაცხადებული თვით მომღერლის სიტყვებში: "სიმღერა ჩემი სუნთქვაა, ჩემი სიცოცხლე და სიხარული. მასში ვაქსოვ სიყვარულს ერისას, მიწისას, ადამიანებისას... ბედნიერი ვარ, რომ უსიმღეროდ ერთი დღეც არ მიცოცხლია".

შემთხვევითი როდია, რომ მარო თარხნიშვილის შემოქმედებით ბუნებას უპირატესად ქართლ-კახური სამუსიკო დიალექტი ასაზრდოებდა. იგი 1891 წლის 21 დეკემბერს, ქართლის გულში, სოფელ კავთისხევში ნატალია მექანარიშვილისა და თავად ესტატე თარხან-მოურავის ძირძველი ტრადიციების მქონე ოჯახში დაიბადა. მაროს მამა გიორგი სააკაძის შთამომავალი ყოფილა. მოურავობის ბოძების შემდეგ თარხან სააკაძიდან მოკიდებული, მისი მონაგარი თარხან-მოურავის გვარს

ატარებდა. აქედან წარმოდგა თარხნიშვილების გვარიც.

კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესიის შემოგარენში გამართული გიორგობის, ანდა "კავთობისა", თუ ქვათახევის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში მარიამობის აღნიშვნისას, თუ საშობაო, საახალწლო, სააღდგომო და სხვა საოჯახო დღესასწაულებზე სიმღერა-მოლხენით განთქმული თარხან-მოურავების ოჯახში დიდი სტუმრიანობა იმართებოდა. აქ თავშეყრილი თავადაზნაურობის-ნათესავების, ახლობლების, საპატიო სტუმართა-თარხან-მოურავების, ამილახვრების, ციციშვილების, ერისთავების, გედევანიშვილების, მაღალაშვილებისა თუ კავსაძეების გვარის წარმომადგენელთა ლხინსა და ნადიმს ქართული სიმღერა-გალობა ახლდა თან. ესტატეს ოჯახში ყველა მღეროდა, მაგრამ ცხრა და-ძმათაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეკატერინე და ნაბოლარა მარო. ცეროდენა გოგონამ ახლობლების ყურადღება პირველად ოთხი წლისამ მიიპყრო ხალხური სიმღერის ერთ-ერთი ვარიანტის გამართული შესრულებით. ქართლელი გლეხის ღიღინსაც კავთისხევში მიუგდო ყური. მარო თარხნიშვილის გადმოცემით, მის მეხსიერებაში უძლიერეს მუსიკალურ შთაბეჭდილებად შემორჩა მიხეილ ყორღანაშვილის მიერ "ურმულის" შესრულება. სწორედ ეს სიმღერა იქცა მაროს, როგორც შემდგომში "ურმულის" უბადლო შემსრულებლის უსაყვარლეს ნაწარმოებად სიცოცხლის ბოლომდე.

ბავშვობის მოგონებებიდან მომღერალი განსაკუთრებული სიამაყით იხსენებდა სახელოვან ნიკო სულხანიშვილთან შეხვედრას, რომელმაც გოგონას ჩინებული მერმისი უწინასწარმეტყველა. სწორედ მაშინ შეისწავლა შვიდი წლის მარომ ქვაბულიძის არია "დაიგვიანეს" ოპერიდან "პატარა კახი", რომელსაც გულისშემძვრელი მგზნებარებით ასრულებდა თავისი ტრიუმფალური საკონცერტო ცხოვრების მანძილზე.

ცოდნის წადილით აღვსილი მარო პატარაობიდანვე აქტიურად იყო ჩართული კავთისხეველი გოგო-ბიჭების მხიარულ ფერხულში. იგი სახელდახელოდ აყალიბებდა ცეკვა-სიმღერის ჯგუფებს და მათთან ერთად თვითონაც სიამოვნებით მღეროდა. ამგვარ იმპროვიზირებულ გამოსვლებს ცეკვა-თამაშის თანხლებით ფანდურზე დამღერებას შაირობაში პაექრობასა, თუ ძველებური საგუნდო სიმღერების შესრულებას თანასოფლელებმა „მაროს ლხინი" შეარქვეს.

მარო ადრეულ ასაკში, თოთხმეტი წლის გაათხოვეს. მაგრამ ოჯახური მდგომარეობისა და მოვალეობების მიუხედავად საყვარელ საქმიანობასთან კავშირი არ შეუწყვეტია. თავდაპირველად რამდენიმე მოყვარულთაგან საეკლესიო გუნდი შეადგინა ახალქალაქში. ჯერ თავად აითვისა, მერე კი გუნდსაც შეასწავლა საწესო სიმღერები და საგალობლები. ამას მოჰყვა გადაწყვეტილება — მცირე გუნდით წარმდგარიყო გორელი საზოგადოების წინაშე. იმდროინდელი გორი პატარა პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ ამავდროულად ქართული კულტურის მოწინავე კერაც იყო, სადაც ნაყოფიერად იღწვოდნენ ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური. 1910 წლის გაზაფხულზე როგორც ლოტბარი და შემსრულებელი, მარო თარხნიშვილი პირველად წარსდგა აუდიტორიის წინაშე. მისი სასცენო-საშემსრულებლო დებიუტი დაემთხვა პერიოდს, როცა ცარიზმის იმპერიულ-თვითმპყრობელური რეჟიმი სასტიკად ავიწროებდა ნაციონალურ კულტურულ ტრადიციებს, ახშობდა ეროვნულ სულს, მეობას. ამ სავალალო ვითარებას ქვეყნის შიდა პრობლემათა სიმრავლეც ერთვოდა: იმდროინდელი საზოგადოების ეროვნული თვითშეგნების არასახარბიელო დონე, გულგრილობა, სიმღერა-გალობის უპატრონობა, კულტურული მემკვიდრეობის გულშემატკივართა უნუგეშო მდგომარეობა. ამასთანავე, რევოლუციამდელ სინამდვილეში მაღალი წოდების წარმომადგენელი ქალის სცენაზე გამოსვლა უჩვეულოდ და საძრახისადაც კი ითვლებოდა. მარო და ეკატერინე არა თუ შეუშინდნენ გადაგვარების გზაზე მდგარი თავადაზნაურთა ნაწილის მხრიდან მოსალოდნელ წოდებრივ ბოიკოტს, არამედ ნაციონალურ სამოსელში გამოწყობილნი უყოყმანოდ და გაბედულად წარსდგნენ ფართო მსმენელის წინაშე.

თარხნიშვილის ასულთა მიერ შესრულებულმა "ჭონამ", "ურმულმა", სიმღერამ "დაიგვიანეს" და სხვ. გორელები აღაფრთოვანა. საგულისხმოა ისიც, რომ მხცოვანი აკაკის გორში სტუმრობასთან დაკავშირებით ადგილობრივი ინტელიგენციის მიერ გამართულ საღამოზე მგოსანმა ახალბედა მომღერალ-დებიუტანტს გზა დაულოცა ხელოვნების მაღალი მწვერვალების დაუფლებაში.

გაუმართავ ფიცარნაგებზე სასცენო ნათლობასა და საშემსრულებლო სარბიელზე პირველ ნაბიჯებს მოჰყვა თბილისის, ბაქოს, მოსკოვის, ერევანისა, თუ სსრკს სხვა რეგიონების, საქართველოს დაბა-ქალაქებისა, თუ პერიფერიების მრავალრიცხოვანი მიპატიჟებანი, ანშლაგები, პრესაში გამოხმაურება, რამაც თანდათან გაზარდა დების პოპულარობა. თარხნიშვილების საკონცერტო არეალი მოგვიანებით კავკასიის კარიბჭესაც გასცდა. „კავთისხეველმა იადონებმა" სამშობლოს საზღვრებს გარეთაც წარმოაჩინეს და ასახელეს ქართული სასიმღერო ხელოვნება. მარო თარხნიშვილის გუნდი უდიდესი წარმატებით გამოვიდა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის საღამოზე მოსკოვში.

1917წ. მარო თბილისში გადასახლდა. უკვე სამშვილიან დედას, უსახსრობის, უბინაობისა

და ცხოვრებისეულ სხვა დაბრკოლებათა მიუხედავად არ შეუწყვეტია საკონცერტო საქმიანობის გაგრძელებაზე ფიქრი. დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე, მან საგუნდო წრე ჩამოაყალიბა. დების გარდა ამ უკანასკნელში გაერთიანებული იყვნენ დიმიტრი თარხნიშვილი, გიორგი ფალავანდიშვილი, რევაზ მალალაშვილი, თედო თურქაძე, ვასილ კობახიძე. 1918 წლის 18 იანვარს ქართულ კლუბში გამართულმა კონცერტმა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, ფეხზე წამომდგარი მაყურებლის დაჟინებით საკონცერტო ნომრების განმეორებასა და ტაშის გრიალში ჩაიარა. ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს თან მოყვა სასცენო გამოსვლები. მაროს ინიციატივით იქმნებოდა საგუნდო წრეები, მცირე გუნდები ტრამვაის, წყალსადენის, რკინიგზის მუშამოსამსახურეთა მონაწილეობით. პარალელურად იგი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის საშუალო სკოლებში, ჭრა-კერვის ქალთა სკოლაში. მუშაობდა მომღერლებთან, სოლისტებთან, ხელმძღვანელებთან თბილისსა თუ სხვა რაიონებში.

მარო თარხნიშვილის მიერ დაარსებულმა ქართლ-კახური სიმღერების გუნდმა (რომლის უცვლელი სოლისტი და ხელმძღვანელი თვითონ იყო) ოცდახუთი წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე დებმა არაერთი სიმღერა გამოსტაცეს დროთა სრბოლის ორომტრიალს. შეკრიბეს, დავიწყების საფრთხეს გადაარჩინეს და მსმენელამდე მოიტანეს ქართლ-კახური სამუსიკო დიალექტის ნიმუშთა დიდი ნაწილი, სიმღერა-შედევრების "ჩაკრულო", "შაშვი-კაკაბი", "ბერიკაცი", "ზამთარი", "მრავალჟამიერ", "ოროველა", "ურმული", "ჭონა", ასევე საყოველთაოდ გავრცელებული მუსიკალური ნიმუშების "არაგვული ლაშქარი" (არაგვისპირული), "გლესავ და გლესავ, ნამგალო", "სოფლელი გლეხის ბიჭი ვარ", "ცანგალა და გოგონა", "თეთრო ბატო" და სხვათა გვერდით რეპერტუარში შედიოდა ნაკლებად ცნობილი სიმღერები, როგორც მაგალითად, "ღმერთო, მეც გადმომხედე", "ბიჭო, მამალმა იყივლა", "მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით", "წავალ და წავალ", "თამარის ქოში" და სხვა მრავალი.

სიმღერასთან შეჭიდებულმა მარო თარხნიშვილმა თითქმის 60 წელი იღვაწა ქართული სიმღერის სამსახურში. მისი საშემსრულებლო საქმიანობა ორგანულ კავშირში იმყოფებოდა მრავალხმიანი ქართული სიმღერის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებთან, მუსიკალური სტილის თავისებურებებთან. როგორც ცნობილია, ქართველ ქალთა ტრადიციული სასიმღერო შემოქმედება მოკლებულია ჟანრული ციკლების და თემატურ რკალთა სიმდიდრეს, მრავალფეროვნებას. იგი უმთავრესად ლირიკულ-ინტიმური და საწესო ჟანრებითაა შემოფარგლული. ქალთა ვოკალურ-საშემსრულებლო სფეროს უმჭიდროესი კავშირი ლირიკულ საწყისთან მასში მელოდიური მუღერადობის გაბატონებას განაპირობებს. მარო თარხნიშვილი კი, რომლის მუსიკალური თვალსაწიერი მთლიანად ხალხური აზროვნების თვითმყოფადობით იყო გაჯერებული, მამაკაცთათვის განკუთვნილ ნიმუშებსაც საუცხოოდ მღეროდა. მის რეპერტუარში ვერ წავაწყდით "ნანის" ცალფა ვარიანტს, თუმცა ცნობილია, რომ იგი შესანიშნავად ასრულებდა სააკვნო სიმღერათა ორიგინალურ სახეობებს. შრომის ჟანრის ნაწარმოებებიდან კი „სადედაკაცო საქმესთან" (ვაჟა ფშაველა) დაკავშირებულ, ვთქვათ, საფეიქრო ან სხვა ტიპის ლექს-სიმღერებს კი არ მღეროდა, არამედ მის რეპერტუარში შედიოდა მაროსეული ბრწყინვალებით აჟღერებული მონოლოგიური ფორმის "ურმული", "ოროველა", თუ მრავალხმიანი შრომის სიმღერები: "მუშური", "გლესავ და გლესავ",, ქართული საგუნდო მუსიკალური კლასიკის უჭკნობი ნიმუშების გვერდით იგი ქალაქური სამუსიკო ფოლკლორის სოლო სიმღერებსაც ასრულებდა, რომელშიც საინტერესოდ იყო შეხამებული მხატვრულ სახეთა სიფაქიზე და დრამატული სიმძაფრე, ნატიფი გემოვნება და ტრადიციული აზროვნების თავისებურებანი. მისი სიმღერის შთამბეჭდავი, დარბაისლური მანერა სილრმისეულ შინაგან განცდებს ემყარებოდა. იგი ხან სულისშემძვრელ გოდებად გაისმოდა, ხან კი ომახიან, ვაუკაცურ შეძახილად სჭექდა.

მაროს წარმატებანი არც ქართული სამუსიკო ხელოვნების კლასიკოსებს — ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძესა და დიმიტრი არაყიშვილის ყურადღების მიღმა დარჩენილა. დიმიტრი არაყიშვილის ინიციატივით 1921წ. იგი, როგორც ქართული ხალხური სიმღერის მასწავლებელი და სტუდენტური გუნდის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში იქნა მიწვეული. პედაგოგიურ მუშაობას თან სდევდა სისტემატური საკონცერტო გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეების მხარდამხარ. შეუნელებელი წარმატება ფრთას ასხამდა, თუმცა ბევრსაც ავალებდა ქართული სიმღერის მოამაგეს. სიმღერით ტყვედქმნილი, მსმენელსაც ატყვევებდა იშვიათი სილამაზის ხავერდოვანი ტემბრით, სისადავით, გულში ჩამწვდომი შესრულებით.

სამამულო ომის პერიოდში მარომ ათეულობით (400-ზე მეტი), მათ შორის, უფასო და საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა მოქმედი არმიის ნაწილებში, საზღვაო ფლოტის მებრძოლთათვის, სამხედრო ჰოსპიტალებსა და პატიმართა კოლონიებში. სახელოვანი მომღერალი გულმოწყალებისა და ქველმოქმედების უანგარო მაგალითებსაც იძლეოდა, ურიცხვადრა ათეულობით კონცერტის შემოსავალს უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს, თავდაცვის ფონდსა და ა.შ. მის არქივში სამხედრო-სამეფო მუშაობისათვის ურიცხვი მადლიერებით აღსავსე მრავალი წერილი თუ ჯილდო ინახება.

მარო თარხნიშვილი (ცენტრში) თავის ანსამბლთან ერთად, 1919 წელი.

1949 წლამდე იგი სათავეში ედგა ქართლ-კახური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლს, ხოლო შემდეგ 1956 წლამდე იგი საქართველოს სარეწაო კავშირის კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ამაგდარი ხელოვანის მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა მომღერალთა და ლოტბართა კადრების აღზრდა-დაკვალიანება. მან არაერთი პიროვნება აზიარა ქართული ფოლკლორული სასიმღერო შემოქმედების უმდიდრეს მემკვიდრეობასა და სალოტბარო პრაქტიკის საფუძვლებს. მათ შორის, გიორგი ვარდიაშვილი, ვასო კობახიძე, რეზო თურქაძე, თამარ თარხნიშვილი, ავთო სარავჯიშვილი, შალვა კოვზირიძე, ილო კაპანაძე და სხვ.

მარო თარხნიშვილის შთამომავალთაგან უკლებლივ ყველა — დიდ-პატარის ჩათვლით სიმღერის მოტრფიალე, ან მისი მსახურია. წლების განმავლობაში დედის გუნდში მღეროდნენ ვაჟიშვილი ვანო, ქალიშვილი თამარი, რძალი ბაბულია. ქართულ სამუსიკო კულტურას თავდადებით ემსახურება მარო თარხნიშვილის შვილიშვილი – კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი, რომლის პროფესიულ-შემოქმედებითი ფორმირება მუსიკითა და ხალხურობით გაჟღენთილ ატმოსფეროში მოხდა. მარიკა კვალიაშვილის შემოქმედების წამყვანი ჟანრია სიმღერა, რომელიც ეროვნული სულით სუნთქავს და ფოლკლორული აზროვნებისათვის ნიშანდობლივი კანონზომიერებებითაა აღბეჭდილი. მარიკა კვალიაშვილმა, როგორც ეთნომუსიკოლოგმა, ნოტირება გაუკეთა სიმღერის მოჭირნახულე დიდედის თითქმის მთელ რეპერტუარს, რომელიც ორმოცდაათამდე სიმღერას მოიცავდა. კრებულის სახით მომზადებული ეს ძვირფასი მასალა გამოსაცემად თითქმის მზადაა.

განუმეორებელი მარო თარხნიშვილის შვილთაშვილობა იშვიათი ხვედრია ქართული ესტრადის პოპულარული მომღერლის ეკა კვალიაშვილისათვის — ერთდროულად იღბლიანიცა და უაღრესად საპასუხისმგებლოც. გამორჩეული მუსიკალური მონაცემების წყალობით ამ უკანასკნელმა შეძლო წინაპართაგან ნაბოძები ტრადიციული ესთეტიკის ძირფესვიანი გარდასახვა-განახლება. იშვიათი გამომსახველობითა და ტემბრული მრავალფეროვნებით, ემოციურად მძლავრად დამუხტული საშემსრულებლო მანერით, მდიდარი ტექნიკური შესაძლებლობებით ქართული საესტრადო სიმღერა ეკა კვალიაშვილმა ნამდვილი ოსტატობის სიმაღლეზე აიყვანა.

მარო თარხნიშვილმა ეროვნულ ხელოვნებას ანაცვალა თავი, სიმღერის სიმბოლოდ ქცეული მარო ქართულ სიმღერასავით დარბაისლური, ამაღლებული და შთამაგონებელი იყო. იგი ხელოვნების ქურუმია, რომელშიც ქართველი ქალის ზნეობრივი სიწმინდის, პატრიოტიზმის, მაღალნიჭიერების უზადო ფენომენია განსახიერებული. სწორედ ამ ღირსებათა გამო განადიდა ქართველი მანდილოსანი ნიკოლოზ ბარათიშვილმა:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
დიდება თქვენდა, ტკბილსახსოვარნო“.

მარო თარხნიშვილმა ღრმა კვალი გაავლო ქართულ ხალხურ ვოკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში და "ქართული სიმღერის დედის“ ღირსსახსოვარი სახელი დაიმკვიდრა.



ყალბი სიმაძე

ქანდაკება _ სულიერი გზის ანაბეჭდი

„მშვენიერება, ეს არის **ხასიათი და გამომეტყველება,** ბუნებაში კი, ადამიანის სხეულზე უკეთ ვერაფერი გადმოსცემს ხასიათს". მივაქციოთ ყურადღება ხაზგასმას: **ხასიათი და გამომეტყველება.** ეს არის ის ორი უმთავრესი ნიშან-თვისება, რითაც ადამიანს შეუძლია თავისი სულიერი გზა განვლოს. თუ **ხასიათით** ადამიანის ნებისყოფა იძერწება და სულიერი ხერხემალი ყალიბდება, **გამომეტყველება** უკვე მაღალ მისტიურ საფეხურზე აღსვლის ნიშანი და დამღაა, ანუ დასტურყოფაა, რომ სულმა თავისი განვლილი გზა, სულიერი სინათლე და მოძრაობა ახალ სახედ და შინაარსად გარდასახა.

ხასიათი, გამომეტყველება და ნებისყოფა — წარმოადგენს უხილავი სამყაროს ზღვარს. ქანდაკების ენა ხილულ სამყაროში ამ ზღვრებს ადამიანის სხეულით გამოხატავს. პლასტიკური გამომსახველობა იძულებულია აირჩიოს სხეულის ერთი სტატიკური მდგომარეობა, რისი მეშვეობითაც ადამიანის შინაგანი „მე", მისი სულიერი გზის ანაბეჭდი გადმოიცემა.

მოქანდაკემ უნდა შეარჩიოს ის მომენტი, ან სიტუაცია, როცა ადამიანი თავის თავს ჰგავს, ანუ როცა ის საკუთარ თავში იკრიბება. მხოლოდ მაშინ აღებეჭდება მას სახეზე მისეული **ხასიათი,** ხოლო **გამომეტყველება** კი მისი სულიერი გზის სარკედ შეიქმნება.

როგორ დარჩა ის მოქანდაკედ, ანუ როგორ შესძლო ხასიათის შენარჩუნება იმ ეპოქაში, როცა ამის არანაირი საფუძველი და არანაირი წინაპირობა არ არსებობდა. რადგან ის ერთდროულად ორი სამყაროს ზეწოლას განიცდიდა.

პირველ სამყაროს საბჭოთა იმპერია წარმოადგენდა, რომელშიც თოჯინების „ჰუმანური" აღლუმებით ნებისმიერ ღირებულებათა ნიველირება ხდებოდა და ადამიანის ხასიათის ნაცვლად, მხოლოდ და მხოლოდ ყალბი სიკეთით მომღიმარი თოჯინის, უცვლელი ნიღაბი გვეწოდებოდა... **მეორე სამყარო — თანამედროვე ხელოვნების სამყაროა,** რომლის ფარული აზრი მაშინ გაცხადდა, როცა მან **ორი მოურიგებელი რამ ერთდოულად ისურვა — წმინდა არსის გამოსახვა** და **ღმერთის უარყოფა,** და მას საბოლოოდ არაფერი უწოდა.

XX-XXI საუკუნე, რომელიც ფერწერისა და სკულპტურის უარმყოფელ ნიმუშებს ქმნის, მერაბ ბერძენიშვილის სახით გამონაკლისს დაუშვებს. მისი მონუმენტური, სკულპტურული ძეგლები, თავისი დამთავრებული და დაუმთავრებელი ფორმებით, სიბრძნისეულობის განცდით, ამაღლებული პოზით, ეპიკური ხასიათებით, სათნოებისა და რწმენის გამოსახვით საპირისპიროს გვისაბუთებენ.

ხელოვანის მჭვირვალე ცრემლში მოქცეული „წმინდანის" მოძრაობა

„ღმერთებთან დიალოგი მიზიდავს გამუდმებით... მწყურია მათთან საუბარი, რათა ჩამოვცილდე ყველაფერს, რასაც მინიერი ჰქვია".

მერაბ ბერძენიშვილი

„პოეტის ნამდვილი ბიოგრაფიები **ჩიტებისას** ჰგავს. ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ჭეშმარიტი ფაქტები მათი ხმის ყღერადობაშია. პოეტის ბიოგრაფია მის ხმოვნებასა და თანხმოვნებაშია, მეტრებში, რითმებსა და მეტაფორებში..." ი. ბროდსკი.

ის, რასაც ი. ბროდსკი **ჩიტად** მოიხსენიებს, უფრო ზუსტ სახელს შევურჩევდი, ეს ხომ ხელოვანში, სულიერი, მეორე მზის სხივს მიყოლილი **„წმინდანი" მოძრაობს.**

რას გვეუბნება ი. ბროდსკი, როცა წერს ბიოგრაფია და ფაქტი ხმოვანებაშია, ან თანხმოვნებაშია, ან რითმებსა და მეტაფორებში?

მეტრები, რითმები, თანხმოვნები, მეტაფორები... მასში ვგუმანობთ ხელოვანში **წმინდანის მოძრაობას.** ის, ვინც გაავლებს სამყაროში კვალს,

ვინც ქრისტესთან ერთად ზღვის ზედაპირზე მარად ივლის და არასოდეს ჩაიძირება. ისინი, — ბროსდკის ჩიტები — ჩემთვის კი, შემოქმედთა მჭვირვალე ცრემლში მომწყვდეული "მოძრავი წმინდანნი", ყოველთვის ხელიდან დაგვისხლტებიან, — მუსიკის მოსმენისას მუსიკას წაშლიან, ფერწერულ ტილოზე საგნებს გააქრობენ, მათ ნაცვლად კი შეუცნობლის სინათლეს გვისახსოვრებენ. ეს სინათლეა, რომელიც იქცევა კაცობრიობის გარდამსახველ აზრად? იდეალი, რომელსაც ის სთავაზობს კაცობრიობას მისი განვითარების საფეხურს წარმოადგენს?

ისინი, ხელოვანში მოძრავი „წმინდანნი" ერთიანი სამყაროს წესრიგში ისე დგანან, როგორც **მარადუცვლელი და თვითიგივეობრივი არსის მარადიული განმეორებანი.**

თუმცა კაცობრიობა იცნობს ხელოვანთა სახელებს — ეს დანტე ალიგიერია, ეს შოთა რუსთაველია, ეს ლეონარდო და ვინჩია, ეს უილიამ შექსპირია, ეს პაბლო პიკასოა... და ეს ხომ ჩვენი საუბრის გმირია — ჩვენი ეპოქის გენიალური მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.

მართალია ჩვენ ვიცნობთ სახეებს, მაგრამ მათ მიღმა მყოფ „წმინდანებს" ვერ ვცნობთ. ხელოვანი მუდმივ დაუწერელი კანონის თანახმად იძულებულია „წმინდანი" მიწიერობის სამოსელით შემოსოს, ენითუთქმელი თქმად — სიტყვად გარდასახოს.

იშვიათად შემოქმედის არჩევანია უერთგულოს თავის მჭვირვალე ცრემლში „მოძრავ წმინდანს". ეს ნიშნავს, რომ ხელოვანი მაღალ მისტიურ საფეხურზე ასულ „წმინდანს არ დაავალებს თავისი ეპოქის სამოსით შეიმოსოს და შეიბღალოს მიწიერებით. მაშინ, ჩვენ უხილავი სამყაროს მიჯნაზე აღვმოჩნდებით, სადაც მიჯნას ადამიანის სხეული გაამყღავნებს, თავისი ხასიათითა და გამომეტყველებით.

„წმინდანი"-ის მოძრაობის უბინოება მოსჩანს მერაბ ბერძენიშვილის სამყაროს გმირებში:ეს შოთა რუსთაველია, ეს დავით გურამიშვილია, ეს ქეთევან წამებულია, ეს ილია ჭავჭავაძეა...

დავით გურამიშვილის ძეგლი (ბრინჯაო. 1959-1965)

ვინც გურამიშვილის „დავითიანში" ირონიულ-გროტესკული ტონი მოისმინა, — მისთვის გაოცებისა და ოდნავ გაღიზიანების საგნად იქცა ამ ძეგლის გამუსიკალურებული ლირიზმი, სულის სიფაქიზე — ლამის ვრუბელის "დედოფალ-გედის" ასოციაციას რომ გვიქმნის, და ამ სითეთრის უსასრულო სინაზეში შევყავართ, სადაც ფრენის განცდა ცის დაუსაბამობაში გვაგდებს და ვარსკვლავთა გამთოშავი სიცივის მარადიულობას გვისახსოვრებს.

ირონიულ-გროტესკული ტონი „დავითიანისა" მიგვანიშნებს, რომ მიუღებელი და უცხოა თავად შემოქმედებაში შოპენისეული მანერა, სევდიანი და ცრემლიანი სახით მსმენელის წინაშე წარდგინება. ის არასოდეს უკუბრუნდება საკუთარ ტკივილთან, თუ ეს მაინც ხდება, მხოლოდ იმისთვის, რათა იგი გაამასხროს. ამით ის, თავის უმნიშვნელობასა და უბადრუკობას უსვამს ხაზს. არა მარტო გაიცნობიერებს ღვთის წინაშე ადამიანის არარაობას, არამედ ისეთი სიღრმიდან ამოიტანს გროტესკულ-ირონიულ ინტონაციას, რომ შეგვაშინებს და გამოგვაფხიზლებს. ჩვენ აღმოვაჩენთ კაცს, რომლისთვისაც ყველაზე უცხო კეკლუცობა და პრანჭიაობაა სარკის წინაშე, რადგან კარგად უწყის, რომ ყველა სარკე მხოლოდ იმ ერთადერთი სარკის ანარეკლია, რომელსაც უმაღლესი სამჯავროს სარკე ეწოდება.

მერაბ ბერძენიშვილი გურამიშვილს — პოეტს სულიერ გზაზე, მძიმე და უსასრულო გზაზე მავალს გამოსახავს, რომელიც შთაგონების დიადი და იდუმალი კარების წინ ჰყოვნდება.

ამიტომაც ასე უჩვეულოა პოეტის სახე. ერთდროულად ის უძრავად გაშეშებულიცაა, და თან, მარადიული სწრაფვით მიექანება იგავმიუწვდომელი გზით. ის თავის შთაგონებისკენ მიისწრაფება. მისი თვალებიდან, ამ დუმილითა და სასოწარკვეთით აღვსილი ორი უფსკრულიდან, ხან სასოწარკვეთის უძირო ჭას ვჭვრეტთ, ხან კი სიხარულის აღმასვლას და კაშკაშა მზეც შემოგვეფეთება, რადგან მარად ასე ენაცვლება ერთმანეთს მელანქოლია და აღმაფრენა პოეტის სულში.

მისი სახე თუმცა ასე ძალუმად გიზიდავს, თვალს ვერ აშორებ, მაგრამ ამავ დროს მის მიმართ დიდი კრძალვა გიპყრობს და უზომო სევდა გეუფლება. მისი სახის ყოველი ნაკვთი იდუმალებით არის მოცული. ეს გამოუთქმელი და დაუსაბამო სევდა, თითქოსდა შავი ღამის უსასრულობაში დანთქმას გიპირებს, აქედან ჭვრეტ სულიერობის მეორე მზეს.

თუ კიდევ ერთხელ ახლოდან დავაკვირდებით გურამიშვილის სახეს, ის მეტისმეტად ბავშვური მოგვეჩვენება და „მოვისმენთ" საშინელ გულდაწყვეტას. ის ჩვენ წინაშე დგას, როგორც დაუცველი და ობოლი ბავშვი, რომელიც მშობლებსა და სამშობლოს მოსწყვიტეს. აქ იკითხება მისი მწარე სიტყვები: „მოწყალების კარო შენს ზღურბლს მოვეკარო, უსახლკარო ვარო, ვითხოვ, შემიფარო"

პირი მოუკუმავს, თითქოსდა დასძლია დიდი ტკივილი და ჩაგვესმის მისი უხმო ლოცვა:„აწ ნუ გძინავს, ადექ ილვიძე!" შუაღამეს მოვალს ის სიძე."

ლოცვის პროცესი იკითხება მის ნაწამებ, თითქოსდა გამხმარ მარჯვენიდან, უსასოოდ რომ გამოუწვდია სამყაროსაკენ — ეს სამყარო ერთდროულად — სამშობლო — საქართველო და იესო ქრისტეა.

მისი ჩაცვივნული თვალის უპეებიდან და სახის რაღაც უცნაურ — შემაკრთობელი გამომეტყველებიდან ბერძენიშვილი თავისი ტალანტის შემწეობით „გვაკითხებს", რომ პოეტმა ცხოვრების

ყველა სიმწარე არა მარტო იცის, არამედ იწვნია კიდეც და, ამის მიუხედავად, მან თავისი სულიერების სიმაღლიდან, სინანულის ამ დაუსრულებელი წყურვილიდან ამოიტანა სულის სიფაქიზე და სულის უბიწობა — ამიტომაც მოქანდაკე გვიჩვენებს, გულზე რა სათუთად აქვს მიკრული მარცხენა ხელით თავისი სულიერი გზის ნაყოფი — „დავითიანი".

ერთნაირია **სამოსი და წიგნი,** ორივე სისადავის, უბრალოებისა და სიმკაცრის ნიმუშია. სამოსის ეს ხაზგასმული სიმკაცრე, სისადავე და სიმარტივე სხეულს სავსებით ძარცვავს მიწიერებისაგან.

ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები აღსარებაა. თუმცა უმეტესწილად ხელოვანი თავისი აღსარების მხოლოდ რამდენიმე აბზაცს თუ ჩამოწერს გარკვეული კალიგრაფიით.

გურამიშვილის — „დავითიანში" კი ზღვარი აღსარებასა და მხატვრულ ტექსტს შორის სავსებით წაშლილია. ისეთივე სიმაღლიდან იწერება მისი მონანიება, — როგორც წმინდა მამათა აღსარებანი. „დავითიანში" პოეტს მორწმუნე ცვლის, ხელოვნების შედეგრს — კი ფსალმუნი და საგალობელი.

უცნაური სინათლე გვეფინებნა ამ სევდიდან, რომელსაც ამ ძეგლის ჭვრეტა გვისახსოვრებს, თითქოსდა სამყარო უფრო ნათლდება და ახალ აზრს იძენს.

ქეთავან წამებული
(ბრინჯაო. 1989 წელი)

„ვინც თავის სულს პოულობს, დაკარგავს მას,
ხოლო ვინც თავის სულს ჩემთვის კარგავს,
ჰპოვებს მას".

მათე

განწყობას ამძაფრებს, ტონალობას ზეასწევს ქეთევან დედოფლის მოკვეთილი ფეხის კიდურები. ის ასე განმატოებით ძევს პიადესტალზე, ეს არ არის უბრალოდ ქეთევან დედოფლის ფეხები. უფრო მეტიც ეს ადამიანის ფეხებიც აღარ არის. თუმცა მოქანდაკემ ერთგვარი კვალი წამებისა მაინც დატოვა მათზე, ეს მოყვითალო-შავი ტონია ფრჩხილებზე. ამ ფეხებმა კარგად უწყიან, თუ რა არის ტანჯვა-წამება და დათმენა. ამ ფეხებმა გამოიარეს ქეთევან დედოფლის ცხოვრების გზა, ვიდრე წამებამდე. ნახეს დიდება სამეფო კარზე, ფუფუნება, იხილეს დიდებულთა ამაო სიამაყე, პატივმოყვარეობისგან მოქსოვილი ცხოვრების ფერადი სურათებიც, იხილეს ქართველთა მძვინვარება და გაბოროტება, ნახეს პირმოთნე ნიღბების მიღმა სიძულვილი და შური, პატრიოტული სიტყვებისა და დაპირებების იქით კი სიმხდალე, სარწმუნოებისა და სამშობლოს ღალატი... მაგრამ მან ეს გამოიარა — და ის მოკვეთილია იმ ცრუ სოფლისაგან, რომელიც მარად უცხოა ამ ფეხების პატრონისთვის, რაზეც, მოციქული იოანე წერდა:„ვიცით, რომ ღვთისგანა ვართ და **მთელი წუთისოფელი კი ბოროტებაშია ჩაფლული".**

სამოსელი, სადღაც წყდება... და ასე უფრო გამოიკვეთება სულიერი მზით გაბრწყინებული ფეხები, რომელიც პიადესტალზე „განმარტოებით" ძევს. მოკვეთილ ფეხებსა და სამოსელს შორის მოსჩანს სიბნელე, სიბნელე ღამისა და კვალი იმ სიბნელისა, რომელიც არა მარტო ქეთევან წამებულს ებრძვის. ეს იმ ბოროტების სიბნელეა, რომელიც სამყაროში სიკეთეს უპირისპირდება, და როცა ამ ბოროტი ღამის სიბნელის ფონზე ქეთევან წამებულის მოკეთილი ფეხები მზისებრ ბრწყინდებიან, მათში ღვთის გზის ჭეშმარიტების გაცხადების ნიშანს ვჭვრეტთ.

ხელები მაჯებთან არის გადატეხილი, წამების ნიშნად, მაგრამ სწორედ ამ ფიზიკურობისგან მოწყვეტილობისა და წამების შემდეგ იქცნენ ისინი ორ უნაზეს და უმშვენიერეს ყვავილად. ეს ხელები ისე ანათებენ, თითქოსდა მოცარტის ცისკენ აღმავალი ოქროსფერი მუსიკით იყვნენ შემოსილნი. ეს ხელები უნაზესნი, უფაქიზესნი და უბიწოებასავით სულისშემძვრელნი არიან. მათ ატყვიათ დათმენისა და სასოების კვალი.

ძეგლი ჩაფიქრებულია, როგორც მართლმადიდებლური სულის სიმბოლური ხატება, მართლმადიდებლური სულისა, რომელშიც მამა ღმერთი, იესო ქრისტე და სულიწმინდა გამთლიანდა და აღსდგა, შეიმოსა ნათლით, თავისი უკვდავი და ჭეშმარიტი სიცოცხლით.

ღვთაებრივი სიცარიელიდან
ამოდენილი ქაოსი
„შიშველი ქალი"
(ბრინჯაო. 1986 წელი)

არაფერი ისე ზუსტად არ გამოსახავს თანამედროვეობის სირთულეს, როგორც პარადოქსი, ანუ ორი შეუთავსებლობის განთავსება ერთი და იგივე სამყაროს ფრაგმენტში.

ამ პარადოქს ასეთ კომენტარს უკეთებს ერთი რუსი კრიტიკოსი: „გარკვეული აზრით უიტმენის შემოქმედება დოსტოევსკის შემოქმედებასთან შედარებით უშინაარსოდ და უქმ სიტყვათა გროვად გამოიყურება, მაგრამ უიტმენში აღმოჩენილი სიცარიელე აბსტრაქტული სულაც არ არის. ეს უფრო ღვთაებრივი სიცარიელე არის, ანუ ის სიცარიელე გამოუთქმელის თვისება რომ გახლავთ, და რომლისგანაც იბადება ქაოსი".

თანამედროვე ხელოვნების ასეთ ნიმუშად მესახება, **1986 წელს შესრულებული, ბრინჯაოს ქმნილება — „შიშველი ქალი".**

ქალი გაშლილი ხელებით ჩვენს წინაშე დგება, **ბუნებრივად და ურცხვად,** აკი მისი შეფასებისთვის რუსი კრიტიკოსის პარადოქსი მოვიყვნე — **ღვთაებრივი სიცარიელიდან ამოდენილი ქაოსი.** ეს სხეული ცდაა დავინახოთ კოსმოსი, ისე, როგორც ამას უიტმენი თავისუფალი სულითა და ენერგიული ხმით გვესაუბრება ლექსში „კოსმოსი": „იგი, ვინც შეიცავს ნაირსხვაობას და

ვინც თავადაა ბუნება, ვის არსობაშიც ვლინდება დედამიწის ამპლიტუდა, მისი სიმქისე, სექსუალობა, მისი დიადი შემწყნარებლობა, წონასწორობა იგი, ვისთვისაც მარად უცხოა არარაობის თვალთა ღიად შთენილი სარკმელები ან, ვისი ტვინიც წილნაყარია არარაობის მაცნეებთან".

ღვთაებრივი სიცარიელე მიიღწევა, გამოსახატავი ობიექტისადმი ერთგულებით — ანუ, აქ შიშველი ნატურის დაუნდობელი ჭვრეტა გვაქვს მოცემული. არც ერთი დეტალი და ნიუანსი არ არის ოდნავ მაინც შელამაზებული და გამუსიკალურებული. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს ქალი, ყოფიერებაშია ჩავარდნილი. მისი მიწიერების ხაზგასმა იმით ხდება, რომ ეს ბრინჯაოს ქმნილება, შიშველი ქალი, ასოციაციით ტალახისა და თიხის გორმახებისგან შექმნილ არსებას მოაგავს.

თუ მას დავაკვირდებით, ის მუხლიდან ტერფამდე ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე მისი ხორცსავსე და ამაზრზენი ბარძაყები. ამ ქალს საკმაოდ დიდი და უსახური ფორმის მუცელი აქვს. თითქოს ცხოვრების დინება და მისი რიტმი აქცევს თავის ობიექტად, რადგან კარგად ჩანს, რომ გამოსახატავი ობიექტი — ქალი სულაც არ ისწრაფვის თავის თავის ასამაღლებლად. მას სულ არა აქვს მოთხოვნილება ამ საზღვრებს გადააბიჯოს.

ავტორი გამოსახტავი ობიექტის ნატურალური პლასტიკისადმი სრულ მორჩილებას იჩენს. სახე კიდევ ერთხელ აზუსტებს უკვე შექმნილ შთაშეჭდილებას. ის საინტერესოს არაფერს არ გვთავაზობს, მისი პოზაც უბრალოა, ზეაწეული ხელებით უფლებას გვაძლევს ის გამოვსახოთ.

საბოლოოდ კი ჩვენ ვხვდებით, რომ ყოფიერების თავზარდამცემი სიშიშვლე დგას ჩვენს წინაშე, რომელიც კი არ გვაკრთობს, ან კი არ გვაღელვებს. ის არც ინტერესს არ აღძრავს ჩვენში, რადგან თავს გვეხვევა, როგორც მოურიდებელი და ურცხვი არასრულყოფილება.

მახსენდება ერთი ფილოსოფოსის სინანულით წარმოთქმული ფრაზა: **„ჭეშმარიტება გულწრფელობამ შეცვალაო."** შევყურებთ არსებას, რომელიც ცხოვრების დინებას მინებებია და მას ანდობს თავისი არსების ფორმადაქმნას.

მერაბ ბერძენიშვილმა ამ ქალის სახით ცხოვრებას მინებებულის არსება გამოსახა, იძულებული შეიქმნა ის გამოესახა, „თანამედროვე **ადამიანის ცხოვრების დარად, რომლის ქმედებაცა და უმოქმედობაც სწორედ ამ შუალედურ საფეხურზე მიედინებოდა" (როდენი).** ამ შუალედური საფეხურის განმარტება, უკვე ორი ფრაზით შევეცადე: პირველი, ფილოსოფოსის ფრაზაა: **ჭეშმარიტება გუნრფელობამ შეცვალაო,** ხოლო მეორე — **ბუნებრიობა და ურცხვობა ძეგლის.**

რადგან ცხოვრების შუალედური საფეხური გვეწოდება, არც ის გაგვაკვირვებს, რომ სხვადასხვა მხრიდან დანახული "შიშველი ქალი" უსასრულო ვარიაციას გვთავაზობს. ჩვენ ვხვდებით, რომ მერაბ ბერძენიშვილმა ის გამოსახა, როგორც: **თანამედროვე ეპოქის შეკვეთაცა და სასჯელიც.**

უნივერსალობის საიდუმლო (თანამედროვეობის ახლებური გასაღები — სამყაროთა უსასრულო რიგი)

„თვითეულ გრძნობას მისთვის დამახასიათებელი ჟესტი, ინტონაცია თუ მიმიკა შეესაბამება. ყველა ეს რიგიანი თუ ურიგო, სასიამოვნო თუ უსიამოვნო თანაფარდობა გახლავთ იმის მიზეზი, რომ ადამიანები გვიზიდავენ, ან ზიზღს გვრიან".

ლაროშფუკო

ერთმა საინტერესო რუსმა ხელოვნებათმცოდნემ ზუსტად შენიშნა: „მერაბ ბერძენიშვილი პოლიგლოტია", ანუ ის ერთნაირად სრულყოფილად ფლობს უამრავ ენას. მისი შემოქმედება არ გამოხატავს ერთგულებას ერთი სტილისას, ან ერთი მანერისას. ის ქმნის არა ერთ სამყაროს, არამედ ის ქმნის სამყაროთა რიგებს. ამით ის თანამედროვეა, რადგან სწორედ თანამედროვე ეპოქის მაჯისცემამ უკარნახა ხელოვანთ არ ჩაკეტილიყვნენ ერთ ფორმაში, ერთ სტილში, ერთ სისტემაში.

პირველ შთაბეჭდილებაშია ჭეშმარიტება — ის არასოდეს გვატყუებს. პირველი შთაბეჭდილება ეს პირველი შეხება, საგანს ერთმთლიანობად რომ გვახილვინებს, ანუ აღქმის პირუთვნელობა და სიმრთელე გვეწოდება. ამ დროს, თუ ამ შემთხვევაში უზენაესი ძალა გვეხმარება, ანუ ჩვენი ინტუიცია ფხიზლად დარაჯობს აღქმის მთლიანობას და უცთომლად იკვლევს გზას ყოფიერების უღრმეს შრეში, სადაც ამ აღქმის ცნობა ხდება.

მერაბ ბერძენიშვილი სიცოცხლის მარადმედინ სუნთქვას ყურს უგდებს, მას მიუყვება, ემორჩილება. **ის უსმენს „ამორჩეულ" ობიექტს, რომელიც თავის მხრივ ასევე ირჩევს მას.** მერაბ ბერძენიშვილი „ობიექტთან" დარჩენილი მასვე გამოსთხოვს **შინაარს, ფორმას და მასალის რაგვარობას.**

ქმნის ისევე ძალუმად, როგორც ბუნება, რომელიც ყველა საგანში თავის თავს დებს, თავის თავს სრულყოფს, მაგრამ ისე, რომ არც ერთი საგანი არ მოაგავს სავსებით მეორე საგანს, — ყველა მათგანში დევს დიადი ძალმოსილება და მისი უბინო სუნთქვა.

ერთი შეხედვით მარტივია მისი ამორჩეული გზა, რომელმაც ის უნივერსალური ენის მფლობელად და ამ ენაზე ამეტყველებულ ქმნილებათა ავტორად აქცია. სიმარტივე და უბრალოება, განა იმ სრულყოფილი სულის თვისება არ არის, რომლითაც ბუნება და განგება ასაჩუქრებს თავის რჩეულთ?

შოთა რუსთაველი (ბრინჯაო. 1958ნ.)

რა ამაღელვებელია და გულისწამღები შოთა რუსთაველის პორტრეტი. პოეტის მკაცრი

ჩამზერა საკუთარ სულში სადღაც მიგვაქანებს და სუნთქვას შეგვიკრავს, რადგან იმ სივრცეში შეგვაყოვნებს, სადაც კოსმოსის უსასრულობა და უუმცირესობა ხაზს გადაკვეთენ. ჩვენ შევისუნთქავთ ღმერთების ნაბოძებ სუნთქვას, რომელიც ვარდის უნაზეს, მთრთოლვარე და სურნელოვან ფურცლებს შორის მოქცეულ სივრცეში მოგვამწყვდევს.

აქ იმ სიბრძნის დაუსაბამო ჭის საიდუმლოებას ვეზიარებით, სადაც ღვთებრივსა და ადამიანურს შორის ხიდი გაიდება და დარღვეული უფსკრული ამოივსება.

პოეტი, რომელიც თავისი სიმაღლით ერთდროულად განასახიერებს **წმინდანს, ბრძენს, მიჯნურს, ფილოსოფოსს,** თავზე დამაგრებული აქვს უკვდავების გვირგვინი, რომელიც მშვენიერიც არის, ამაღელვებელიც და ძნელად სატარებელი ტვირთიც.

„ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი — მსუბუქი“ (მათე). ამაზე მიგვანიშნებს თვალების მკაცრი და ტკივილისგან ოდნავ დახრილი მზერა, ცხვირის ნესტოები ოდნავ თრთიან და სულშეგუბებული ბაგე, მშვენიერი ბაგე ღვთაებრივი სიტყვების მფლობელი. ამ ღვთაებრივ გზაზე მავალი პოეტი გვიმჟღავნებს, რომ ადამიანურობისაგან მთლიანად განიძარცვა და ღვთაებრივის უკვდავი სხივით გაბრწყინდა. მისი წვერი მუსიკალური ფრაგმენტია, ულვაში კი უფრო ორნამენტს მოაგავს, თმის ვარცხნილობა ისეთ მოხაზულობას გვთავაზობს, როგორსაც ნაზი და სევდიანად გაშეშებული მუსიკა. სინაზე არის ამ ქანდაკების უმთავრესი თვისება. მერაბ ბერძენიშვილი თითქოს შეგვახსენებს, თუ რა მძიმეა, რა სერიოზული და რა დიადია პოეტის მოვალეობა ამ სამყაროში. ისევ შინაარსმა განსაზღვრა მოქანდაკის არჩევანი, პოეტის ღვთაებრივი სუნთქვის გამოსახატავად მან ბრინჯაო შეარჩიო.

ქვევრის ბნელ ფსკერზე განთავსებული ენიგმა (ქართული სულის მიჯნა)

ხალხურ ფოლკლორში დევს ქართველი ერის მისტიკური კავშირი ცასთან, რომელსაც მიწის საუფლოდან ვეჭვრეტთ. ეს მიწის საუფლო ის იგავმიუწვდომელი ქვევრია, რომლის ბნელ და იდუმალებით მოცულ ფსკერზე ხდება სულიერი მზის დაბადება, ქართველი ერის ღვთაებრივ სასმელად რომ იწოდება. ეს ღვინოა — სიცოცხლისა და სიყვარულის წყარო, სხვადყოფილი მზე, რომელიც მოგზაურობს ერთი ქართველიდან მეორე ქართველში. ამდენად, ქართველი რომ შეიცნო, ქვევრის ბნელ ფსკერზე დაწურული ყურძნის იდუმალ ურჟოლვასა და მის გიჟმაჟ მოძრაობას ყური უნდა მიუგდო. ქვევრის ჩაჟამებულ ფსკერზე უნდა შეიგრძნო სიბნელის იდუმალება და გამოუთქმელობა, უნდა იწვდომო ყურძნის სუნისაგან წამომდგარი უცნაური თრთოლვა, და ასე საცნაურჰყო ქართველის მისტიკური კავშირი სამყაროსთან, ხალხურ სიმღერაში რომ გაჟღერდება. ქართველი ღმერთისადმი მოწიწებით წარმოთქმულ ლოცვას, საგალობელს თუ ქართულ გულუბრყვილო ხალხურ შაირს ამ ქვევრიდან ამოიძახებს და ეს ისე ხდება, როგორც ბავშვი, რომელიც დედის ძუძუდან დაიგემოვნებს ყოფიერების უსამანობას, მის სიტკბოებასა და ტკივილს ამ რძით შეიცნობს და ვარსკვლავთა იდუმალი მუსიკაც მისწვდება მის უბინო სულს.

მზე არის სიცოცხლის თესლი. ამ მზის მოგზაურობა სხეულიდან სულში ქმნის ქართველის იმ უჩვეულო და დიდბუნოვან ხასიათს, რითაც ის ასე გამორჩეულია სხვა ერებისაგან. უნდა დააკვირდე თუ როგორ ეხვევა ქართველი ქართველს, თითქოსდა მათი სხეულები ზღვრებს კარგავენ ამ ურთიერთმოხვევაში, მაგრამ ქართველის ამაყი ხასიათი და დიდებული მოწიწება საკუთარი თავისადმი ამ ვითომცდა ზღვარგადაცლილ ერთობაშიც, არ შლის საკუთარ პიროვნულობას, მაშასადამე, თავისი განსაკუთრებულობის შეგრძნებას. კიდევ ერთი ნიშან-თვისება იხაზება ქვევრის ბნელ ფსკერზე, რაზეც მერაბ ბერძენიშვილი წერს: **„გლოვა ქართველ კაცს დიდ სანახაობად გადაუქცევია. სილამაზისა და მშვენიერების გარეშე გლოვაც არ სურს მას.“**

მერაბ ბერძენიშვილის გენიალობა ქართული სულის მოძრაობას უსმენს დ მის ქმნილებებში „მეორდება“ ქართულ ცეკვაში ქალსა და კაცს შორის ჩადებული თანასწორობა და „ღირსების ის დიადი განცდაც, რომლის გამოც ქართველი შვილსა და ოჯახსაც გასწირავს“ (მ. ბერძენიშვილი).

ამიტომაცაა, მისი ქმნილებების შემხედვარეს ის განცდა გეუფლება, რომ ის ხალხმა წარმოთქვა, ან ხალხმა გამოაქანდაკა.

ადამი და ევა (ქვა 1971 წ. სოჭი)

ეს ძეგლი უპირველესად ქართულ ხალხურ ფოლკლორთან ასოცირდება, რადგან მასში ხალხის გულუბრყვილო და მიამიტური სიბრძნე გამოსჭვივის. თითქოს ეს იმ ბავშვმა გამოაქანდაკა, რომელმაც არაფერი იცის ადამ და ევას შეცოდებაზე.

მერაბ ბერძენიშვილი იქ ჩერდება, სადაც ქართული ცნობიერება ყოვნდება. ეს ცნობიერება ყოველთვის „ჰოს“ ეუბნება სამყაროს. და სიცოცხლეს იღებს, როგორც დიად დღესასწაულს, ღვთის საჩუქარს. ისე არ არის, როგორც ზერელედ და გარეგნულად სჯის ზოგიერთნი, როცა ფიქრობენ, რომ ქართველისთვის უცხოა თვითჩაღრმავება და თავისი ცოდვის გაცნობიერება.

არა, მისი სულისთვის ნიშნეულია მარად იხსენებდეს თავის უცოდველ ბუნებას, თავის უბინო სულს, რომელიც მას სამოთხეში ყოფნის დროს ჰქონდა, როცა უფალს ის პირისპირ ჭვრეტდა.

მოქანდაკე ამ გზას მიუყვება და ადამსა და ევას პირისპირ ურთიერთცქერისას, ურთიერთჩამზერისას გვიჩვენებს, ჩვენ ორი უცოდველი სულის ჰარმონიული ურთიერთშერწყმის თანამონაწილე ვხდებით. მათი ოდნავ მოშვებული და ნებიერი დაყრდნობა მკლავებზე გვიმეღავნებს ურთიერთისადმი ლტოლვას და ერთმანეთით ვერ გაძღომას იმ სიხარულით, რასაც ერთმანეთთან ყოფნა და ჭვრეტა ჰქვია. ევროპული კულტურისთვის ეს მეტისმეტად უცხოა. აი, რას წერს სენტ-ეგზიუპერი: **„სიყვარული ერთი მიმართულებით ხედვაა“.**

ანუ ევროპული ცნობიერებისთვის ქალი და კაცი დამოუკიდებლად ქმნიან სამყაროს და ერთმანეთს ერწყმიან უპირველესად გონებით, თავიანთი სულიერად შემოხაზული გზით. ბერძენიშვილის შექმნილ „ადამ და ევა“-ში კი ქალსა და კაცს ისე უზაკველად უყვართ ერთმანეთი, როგორც ეს ადამ და ევას ედემის ბაღში.

ევას ოდნავ ზეაწეული აქვს მარცხენა ფეხი, მაგრამ ეს ისე ბავშვურად და მიამიტად, როგორც გაზაფხულზე ბუნიაობის ჟამს ცხოველი ზეაწევს ფეხს, ისე, რომ თავად არ უწყის, თუ რა არის ცოდვა, რათა შთამომავლობა გაამრავლოს.

ილია ჭავჭავაძის ძეგლი
(1987წ. თბილისი)

„მამულო, საყვარელო
შენ როსღა აყვავდები?“
ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის პორტრეტის გამოსახატავად, მოქანდაკემ კომპოზიციის საფუძვლად დედაბოძი გამოიყენა. საქართველოს **დედაბოძი,** მარტო ამ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს ილია ჭავჭავაძის პიროვნება. ყურადღებას იქცევს, ამ სახის უკან ორგვარი ბუნების წრეწირი, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც ფონი ამ პორტრეტის ხასიათის უფრო ნათლად გამოსაკვეთად. ეს წრეწირი, ერთი მხრივ — **ფარია, რითაც** ქართველის ბრძოლის უნარი, მისი ეროვნული გრძნობა გამოიკვეთება, მეორე მხრივ კი ეს **შარავანდედია,** — ნიშანი, რომ ჩვენს წინაშე წმინდანად შერაცხული დიდი პოეტი ილია ჭავჭავაძეა.

აქ ისევ შემოიხაზა, ქვევრის ბნელ ფსკერზე განთავსებული საიდუმლოს — **ეროვნული გრძნობისა და რწმენის ერთმთლიანობა ქართველში.** ილია ჭავჭავაძე თითქოსდა ჟამიერობიდან შემოგვყურებს, ამ იდუმალ სახეში ჩვენ ვცნობთ ქართულ გენს. მას შუბლზე როგორც ტვიფარი ატყვია ქართველი ერის სინდისი. ეს ტვიფარი ერთდროულად პაწია ნერგისა და გამსხვილებული ძარღვის შთაბეჭდილებას გვიქმნის. ილია ჭავჭავაძეს პირი მოკუმული აქვს და პირდაპირ გვიმზერს. ეს მზერა ისეთი გამჭოლია, რომ მას ვერსად გაექცევი. ეს ყოვლისმხედველისა და ყოვლისმცოდნის მზერაა, ღრმა ტკივილით, რომ განჭვრიტა თავისი ერის ყველა ავადობა, უბედურება და სატკივარი.

მის სახეზე ოდნავ გამოკრთის ოქროსფერი კვალი, ნიშანი მისი ნათელი სულისა. შეუძლებელია ტირილის გარეშე შეხედო სამშობლოზე მწუხარე ამ ღიმილიან და კეთილ თვალებს, რადგან გრძნობ, რომ შენი მოდგმის სინდისი შემოგყურებს დინჯად და უღრმესი სერიოზულობით. ეს მზერა ბრძნულიცაა და დიდბუნოვანიც. მის მზერაში ის ღიმილი გამოკრთის, რომელიც ტირილის ზღვარს გაავლებს, რათა სამყაროს თავისი კეთილმოსურნეობის მადლი მოჰფინოს.

ილია ჭავჭავაძე

გამსხვილებული ძარღვი და პაწია ნერგი. სწორედ ამ ძარღვით, სინდისის ხმით უკავშირდება ის საქართველოს — თავის სამშობლოს, რომელიც იგივე პაწია ნერგია, ყოველი ქართველის სულში, მის მიერ დანერგილი, რათა აღორძინდეს, გაიზარდოს და გაიფურჩქნოს. თითქმის ჩაგვესმის სანატრელი და მშობლიური ხმა: „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

დედობა (ბრინჯაო 1985)

მეტისმეტად არაორდინალურია მისი ეს ქმნილება, თუმცა ეს სიტყვა მის ყველა ქმნილებაზე შეიძლება გავავრცელოთ. ჩვენ ვხედავთ დედის ფიგურას, რომელიც ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაშია. ეს, სულაც არ არის მოშვებულობა, არა, ეს უფრო ის ბუნებრიობაა და სილაღე, რაც ქართული სულისთვის არის ნიშნეული. მას თავსაბურის ნაცვლად, **ყურძნის მტევანი** ჰკიდია, — **მარადიულობისა და უკვდავების სიმბოლო.**

დედის უზარმაზარი მკერდი, ორი უზარმაზარი ჯიქანია, წყარო სიცოცხლისა, დედამიწის შვილთა მასაზრდოებელნი და სიცოცხლის მიმნიჭებელნი. თუ დედის სახეს კარგად დავაკვირდებით, ეს არ არის კონკრეტული სახე. ის უფრო ნიღაბს უახლოვდება, რადგან მასში არ იხაზება არც სევდა, არც თანალმობა, არც სინაზე, სიყვარული, ის რაც ჩვეულებრივ ამ ჟანრის ნაწარმოებებში გვხვდება. მისი თვალების მიმართულებას თუ გავუყვებით, ვერაფერს დავინახავთ. თუ მათ ჩავხედავთ, ვიპოვით ქვევრის ფსკერზე არსებულ სიბნელეს და იმ გამოუთქმელ ჟამიერობას, საიდანაც დედის თვალებიდან მოჩანს მზერა გარე სამყაროსადმი, ხილულ სამყაროსადმი არ არის მიმართული. ყურძნის მტევანი მიგვანიშნებს, რომ ის **მარადიულობის სარკეში** იმზირება და იქიდან ჭვრეტს თავის პირმშოს, რომელიც მკერდზე კი არა ჰყავს აკრული, როგორც ეს საზოგადოდ არის მიღებული, არამედ მუხლზე ჰყავს წამომჯდარი. ისიც უკვე რაღაც საქმიანობისთვის ემზადება, რადგან მხარზე სამუშაო იარაღი აქვს წამოკიდული.

„დედობა“-ს შეიძლება „მარადისობის **სარკე**“ ვუწოდოთ, რადგან მასში დედა თავისი უკვდავების გზას გვაჩვენებს, — ჟამიერობის იდუმალ გზას — და იმას, რომ ამ გზაზე შვილის დაბადებით, ის თავისი თავის განგრძობას, თავისი სიცოცხლის აზრსა და იმედს ჰპოვებს. ეს ძეგლი ნათელი მაგალითია იმისა, რომ გენიალური შემოქმედი უდავოდ თავისი ერის სულიერების ენიგმური ზღვარის **მცნობელი, მატარებელი და გამომსახველია.**

მუზა (ბრინჯაო 1972წ. თბილისი)

ჩვენი თვალი შეეჩვია ამ ძეგლს, და არ ახსოვს ის უჩვეულო განცდა, რაც მისი პირველი ხილვისას დაგვეუფლა. ეს თავისუფალი და არაორდინალური აზროვნებაა პლასტიკის ენაზე, რაც ქართული სულის, ქვევრის ფსკერზე განფენილ ენიგმას, მის მიჯნას მიუყვება.მუზის უზარმაზარი დეკორატიული ფიგურა გვიმჟღავნებს ხელოვნების სიდიადეს. მისი სამოსელი სხეულს ისე ერწყმის, რომ ვერც კი გაავლებ ზღვარს, სად იწყება **სხეული** და სად იწყება **სამოსელი. სად იწყება შინაარსი და სად იწყება ფორმა.** მოქანდაკე ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ **შინაარსი და ფორმა დაუცილებელია.**

მუზის მიერ გონის ნიშნით, მარჯვენა ხელით ტრაგედიის ნიღბის ზეაწევით მერაბ ბერძენიშვილი თავისი ერის სულიერი მამოძრავებლის სახელს ასახელებს. გრ. რობაქიძე წერდა: „რაღაც **მიწიერ დიონისურს,** „რომელიც მას **გონებრივ სურათს** ღვინით აღტყინებაში პოულობს“. ყოველგვარი ზღვარის დიონისური მდინარება გადამლახავია და ამ თრობასა და ამ ზღვრებდაკარგვაში ქართველი ერი თავის ხასიათს, თავის თავს პოულობს. ერის გენია ზღვარგადასული — უკიდურეს წერტილში მოქცეული, მწუხარების დიად განცდას განწონის, თავისი მხიარულებისა და სიხარულის მიზეზსაც აღმოაჩენს და ხან ხალხურ სიმღერაში, ხან ქართულ ცეკვაში, ხან კი საერო მწერლობაში გადმოსცემს.

„მუზა“ შორიდანვე მოჩანს, მკლავებგაშლილი გვეგებება, როგორც ხელოვნება, რომელიც ყოველთვის მზადაა ჩვენთან შესახვედრად და მოსახვევად. მუზამ გაგვიმჟღავნა თავისი სახელი **ტრაგედია,** მაგრამ მის უზარმაზარ მკლავებს შორის ჯაჭვზეა განთავსებული დანარჩენი სხვა რვა მუზის ნიღაბი, ანუ ყველა სხვა მუზა მისი ქვემდებარეა. ნიღბებს შორის მოქცეულია ბურთები. ეს სიმბოლოა იმ სამყაროებისა, ხელოვნება რომ ქმნის. ერთი ასეთი ბურთი მას ყელთან აქვს გამოსახული, რადგან სწორედ ხმიდან, ტრაგედიიდან შობილი მუსიკის სტიქიიდან, იბადება ქართველი ერის ბუნება.

მუზა

ცხადია, მუზის სახე ნიღაბია, ამას ხაზს უსვამს ტუჩების თითქოს ბავშვური და მიამიტური გაბუტვა, რომელიც სინამდვილეში ხელოვნურია. თუ დისტანციიდან მუზა ქართული რასისთვის დამახასიათებელი ნუშის თვალებით გვიღიმის, ამ თვალების ჭრილში ჩაბუდებულია ის ღიმილი, რომლითაც შეიძლება ქართველის სიყვარულის სიღრმე განვწონოთ, მაგრამ თუ ახლოდან შევხედავთ ამ ნიღაბს, შევცბუნდებით და ისიც მოგვეჩვენება, რომ ეს ზმანება გაჰქრა, ჩვენ ხელთ მწუხარე სახე შეგვრჩება. ასე ვიწვდომებთ, რომ მერაბ ბერძენიშვილმა მასში ხელოვნების ორმაგი ბუნება ჩადო — **სიცილიცა და ტირილიც.** მე ამან გამახსენა მიშელ მონტენის მიერ დემოკრიტეს და ჰერაკლიტეს, ამ ორი ფილოსოფოსის

შედარება. აი, რას წერს იგი: „დემოკრიტეს ადამიანის ბედი არარად და სასაცილოდ მიაჩნდა. საზოგადოებაში მუდამ დამცინავი და მომღიმარი იერით დადიოდა. მეორეს, მუდამ ნაღვლიანსა და თვალცრემლიანს, იგი სიბრალულსა და თანაგრძნობას უღვივებდა". მას მოჰყავს იუვენალისის სიტყვები: — „როგორც კი სახლს გასცდებოდნენ, ერთი იცინოდა, მეორე კი ტიროდა".

ცხადია, ეს ასოციაცია ირიბულია, ამით მუზაში **სიცილისა და ტირილის** ბუნების ერთდროულად გადმოცემის, იმ რთული ამოცანის წინაშე დაგვაყენა, რომლის წინაშეც ერთდროს დიდი მოქანდაკე თავად იდგა. თუმცა ნიჭიერებას ის თვისება გააჩნია, რომ საგანთა სიღრმეში დაფარული სიბრძნე ტკბობისა და მშვენიერების გზით მოგვაწოდოს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მუზა ცეკვავს, რონინებს, როგორც ხელოვნება, რომელიც ცხოვრებას კი არ მისდევს, ნაბიჯ-ნაბიჯ კი არ დადის, არამედ ცხოვრების თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და თავისებურად გარდასახავს მას.

გაბედულება — ხედვის უფლება

შემოქმედის ნაწარმოები რომ აღვიქვათ, მის სულიერ გზას უნდა მივყვეთ და ისე შევხედოთ საგნებს. ამისთვის მისი გამორჩეული ფრაზა უნდა გავიხსენოთ: — „ქართველი **ღირსებისთვის ყველაფერს გასწირავს.**" მედეას სახეში სწორედაც ტკივილისგან და სულიერი მღელვარებისგან გამშვენიერებულ სახეში, ღირსების შელახვა იკითხება.

ჩვენს წინაშე დგას ამაყი და თავისი დიდი სიყვარულისთვის მსხვერპლშეწირული ადამიანი. მედეა, უბრალოდ ქალი არ არის, ის გრძნეული ნიჭით დაჯილდოებული ქალია: „კირკემ მისი თვალების ელვარებაში ამოიცნო, რომ ეს ქალი... მზის ღმერთის ჰელიოსის შთამომავალია".

მერაბ ბერძენიშვილი თავის მონუმენტურ ძეგლში ტრაგედიას წარმოაჩენს: **ყველას ვამართლებ, მართალი კი არავინ არის.** მედეა ერთდროულად მკვლელია და უანგარო სიყვარულს თავმიცემული პიროვნებაც, სამშობლოს მოღალატეცაა და გმირიც. ის, ვინც თავის ამორჩეულ გზას ბოლომდე, ერთგულად მისდევს — განუსხვავებლად — ეს მეტისმეტად რთულია, თუ ეს შენი გადაწყვეტილებიდან და მთლიანი შენი განცდიდან გამომდინარეობს, ანუ თუ ეს შენი გზის ერთგულებისა და მიდევნების გამოხატულებაა.

მედეამ გაღებული მსხვერპლის საფასურად, მხოლოდ გულგრილობა, უარყოფა და აბუჩად აგდება მიიღო. ამ მონუმენტურ ძეგლში ჩვენ ვხედავთ მედეას იმ მომენტში, როცა იასონმა მას უკვე ურცხვად აცნობა, რომ ცოლად უნდა მოიყვანოს მეფე კრეონტის ახალგაზრდა ასული... მედეამ უკვე გაიარა დაუჯერებლობის საზარელი წამები, რომელსაც სინამდვილე ცვლის.

საინტერესოა რა კუთხით გვაჩვენებს ბერძენიშვილი ტრაგედიას, ანუ რა მხარე აინტერესებს მედეაში უპირველესად, მედეა დედა თუ მედეა, როგორც ღირსებააყრილი ქალი და პიროვნება.

მედეა იმ მომენტშია დაჭერილი, როცა მას ბედისწერის საზარი შურისძიების გავარვარებული ლავა, ბოლომდე მოიცავს და სრულ განადგურებას უპირებს. ეს მაშინ მოხდება, თუ ამ ძალას ის დაემორჩილება და წინ ვერ აღუდგება. ეს ძალა მიაქანებს მას დაღუპვისაკენ.

მას გადადგმული აქვს ერთი ნაბიჯი ბედისწერის საზარი მიმართულებით და ამ დროს მძლავრი, დაუნდობელი, შეუპოვარი მოძრაობით, არაადამიანური ძალისხმევის შემწეობით უკუიხედება. მისი სახე ეს არის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და ამაღელვებელი რამ, რაც კი ადამიანს უხილავს. მისი უმშვენიერესი დიდი თვალები, შიშჩამდგარნი საკუთარი საზარი ფიქრის წინაშე და სასოწარკვეთილებით აღსავსენი დაჰყურებენ ამ ორ უმწეო არსებას, თავისს ორ ბიჭუნას. მედეას ზემო ტუჩი ამობურცვია თავშეკავებული ქვითინისაგან. გაშეშებული სულით ის კიდევ ერთხელ შეებრძოლება იმ შმაგ ძალას, განადგურებით რომ ემუქრება შურისძიების წყურვილს, თავისში აბობოქრებულ ვნებას. ხელის მარჯვენა მოძრაობით (ისე, როგორც ბადროს მტყორცნელი აკეთებს თავისი ძალების მთლიან კონცენტრირებას) იშორებს ამ დამთრგუნველ ძალას და ასე, უკუიხედება თავისი ბავშვებისაკენ. ბავშვები გრძნობენ რა დედის რყევასა და მღელვარებას, შიშისგან თრთიან. ისინი ერთმანეთს ეკვრიან და ამხნევებენ, გრძნობენ რა დედის გაუსაძლის ტკივილს. დედის უზარმაზარი ხელები არაადამიანური ძალისხმევისა და მისი დედური, დიადი გრძნობის გამამჟღავნებელი ეს ხელები, უაღრესად სათუთად ეფერება ბავშვის ზურგს, თითქოსდა იცავდეს მას იმ მძვინვარე ქარიშხლისაგან, რომელიც მის სულში ტრიალებს.

ამ დინამიზმში იხაზება ორი მედეა, შურისძიების გზის ორი მიმართულება, რომელიც მზადაა ყველაფერი დაღუპოს, ყველაზე ძვირფასი რამ, რაც კი გააჩნია, ეს მისი შვილებია – ორი ბიჭუნა და მეორე მხრივ, დედის უნაზესი და დიადი გრძნობა საკუთარი შვილებისადმი, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ბედს, შურისძიებასავით დაუნდობელ ლავას — დასძლიოს იგი და მასზე გაიმარჯვოს.

დეკარტი წერდა: **უმჯობესია დასძლიო საკუთარი თავი, ვიდრე დაიპყრო ქვეყნიერება.**

ორ სამყაროს შორის მოქცეული კაც-არწივი — ქართველი ერის მარადცოცხალი სუბიექტი

მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ქმნილება „გიორგი სააკაძე" ორად გაყოფილი მსოფლიოს

შუა ამოიზარდა, და ამ ორი მოურიგებელი სამყაროს დამთრგუნველ ზეწოლას განიცდიდა, რომელსაც აერთიანებდა კლასიკის მასხრად აგდების ტენდენცია.

ორი სამყაროს ზეწოლა, ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, „გიორგი სააკაძის" მონუმენტური ძეგლი მოვათავსოთ თავისი დროის ყველაზე გამომხატავ სახასიათო ქმნილებებს შორის.

პირველი, ეს არის საბჭოთა კავშირის **იდეალი** და ნიმუში — **ლენინის ქანდაკება,** — რომელიც თითქმის ერთი და იგივე ქრესთომატიული ხერხით იქმნებოდა. ამგვარი ძეგლების აზრობრივი თარგმანი ასეთია: **ყველაფრის გამოსახვა შესაძლებელია.**

მეორე ნიმუში — დასავლური კულტურის, თანამედროვე ხელოვნების აბსტრაქტული ძეგლია, დავით კაკაბაძის „Z"-ის სახელით ცნობილი. მისი აზრობრივი თარგმანი ასეთია: **შეუძლებელია არაფერის გამოსახვა.** „Z"-ს ემბრიონის „გამომეტყველება" აქვს, ანუ იგი ცდილობს დაემსგავსოს არაფერს. ის "ხასიათის" გარეშე წარმოგვიდგება.

კამიუ ერთგან წერდა: **„რადგან არაფრის ახსნა არ შეიძლება, მაშასადამე, შეიძლება ნებისმიერი საგნის ახსნა".** შეიძლება ასეც ვთქვათ: **რადგან არაფრის გამოქანდაკება არ შეგვიძლია, მაშასადამე, შეიძლება ნებისმიერი საგნის გამოქანდაკება. ნებისმიერი საგანი** — ეს **თევზის გამოსახულება,** რომლის უსასრულო დაცილებაში იკვეთება **„Z"-ი ემბრიონის სახით,** როგორც მცდელობა მიუახლოვდეს და დაემსგავსოს **იდეალს — არაფერს.**

იმ დროს, როცა ქანდაკების ნებისმიერი ფორმა უაზრობად იქცა დასავლეთისთვის, საბჭოთა კავშირში კი იგი ერთადერთ ფორმაზე დაიყვანებოდა, კერძოდ კლასიკის პაროდირებულ ფორმაზე — ლენინის ძეგლის გამოსახებაზე. ის იღებს იმ დროისთვის გამომწვევ გადაწყვეტილებას, აღადგინოს კლასიკის სიმწიფე და შესაბიმისს ფორმას ირჩევს, ქანდაკების კლასიკურ ნიმუშს **— ცხენზე ამხედრებულ მხედარს.**

როცა ძეგლს შორიდან ვჭვრეტთ, თითქოსდა აზვირთებული ზღვისგან ნარმომდგარი ტალღის მოძრაობას ვადევნებთ თვალს, უუდიდესი სისწრაფითა და ყურისწამღები ღრიალით რომ ეხეთქება კლდის ციცაბო კბოდეს.

რაც უფრო ვუახლოვდებით ძეგლს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენს წინაშე მხედარი და ცხენი კი არ არის, არამედ კაც-არწივია გამოსახული თავისი ალტერეგო — ცხენით, რაც მის **ბედს** — თავის **ნებისყოფასა** და **სიმტკიცეს** გამოსახავს. ცხენის სახით კაც-არწივს თავისი მძლავრი და შიშისმომგვრელი კლანჭები უზანგებში აქვს გაყრილი, მთელი სხეული კი ზამბარასავით აქვს დაჭიმული.

ზამბარასავით დაჭიმულობა ნიშნავს, რამ ის მთლიანად ნებისყოფაა — და მასში არაფერი ადამიანური აღარ დარჩა. პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიძლია **გარეგანი ადამიანი** და მან თავისი **სულიერი სახლი კლდეზე აღაშენა.**

თუ პოეტი ლექსს თხზავს, ფილოსოფოსი — თავის ფილოსოფიურ ნაშრომებს ქმნის, გმირი შემოხაზავს ერთგულების გზას — ააგებს თავის ზნეობრივ შენობას და ასე ელოდება იგი განგების დავალებას. ამიტომაც მოარული ფრაზაა, რომ გმირს ქმნის: **განგება, ხასიათი და გარემოება.** მაგრამ რა არის ხასიათი?

ხასიათი — ეს არის ის უმთავრესი თვისება, რითაც გმირი თავის შეუპოვრობასა და ნებისყოფის უცვლელობას ინარჩუნებს, ანუ ქმნის იმ ხაზს, რითაც ერთგულების გზა იქმნება.

ხასიათის გამოკვეთილობა ნიშნავს, რომ გმირი თავის შინაგან არსს მიუახლოვდა და მას შეერწყა — ეს **არწივია.**

მერაბ ბერძენიშვილის ძეგლში გიორგი სააკაძეს თავი ქარში აშლილი თმით — ფრინველის თავს მოუგავს, მისი პროფილი კეხიანი ცხვირით, ამაყი და მედიდური არწივის ნისკარტია, სქელი და დაძარღველი განიერი კისერი კი — არწივის სიძლიერესა და ამტანობაზე მიუთითებს, ხოლო ვითომცდა აბჯარით შემოსილი სხეული ბუმბულით დაფარული ფრინველის ფიგურად აღიქმება. რატომ **არწივი?** ალბათ, ყველას ახსოვს ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხიას ეს ფრაგმენტი: **ღირსებები ერთი მონაცემია, მათი სწორად გამოყენების უნარი — მეორე. „ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობის ღირებულებით განისაზღვრება".**

„დარწმუნებული ვარ, ყველა დროის საზოგადოებაში იყო **არწივის** სვავის, თუ ჩიორას მეტნაკლები ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს ზნეობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა". **ღირსებები ერთი მონაცემია,** გმირის დაბადების გზაზე პირველი ნაბიჯია, გმირმა მოახდინოს **„ღირსების შეცნობა",** მაგრამ ვიდრე გმირი ერთადერთ მიმართულებას მისცემს — ანუ ღვთის ნებას დაუმორჩილებს თავის ვნებებს, თუ გრძნობების უსასრულო დაფანტულობას, — ის, მათ **უკიდურეს ზღვრამდე გაზრდის.**

ვიდრე იგი თავისი სამყაროს მამოძრავებელ აზრს იპოვის, — ის ათას ფიქრს უსასრულოდ მიმოიხილავს, ვიდრე მოხდება ადამიანურიდან ღვთაებრივში მათი „გადაფრენა". ამიტომაცაა, რომ გენიალური მოქანდაკის კაც-არწივი, აბორგებული ზღვისა და ქარიშხლის გამომხატველი, გაფართოებული თვალებით გვიმზერს. მხედარიცა და კაც-არწივიც უკიდურესად აღელვებულია.

ღირსების „შეცნობა" — უკიდურეს ზღვარზე დგომას მოითხოვს, როცა ადამიანი თავისი თავიდან გადის. ძეგლში სხეულის ზამბარასავით დაჭიმულობასა და შეკუმშულობას ხაზს უსვამს და ტონალობას ანიჭებს კლანჭისმაგვარი ხელით დაჭერილი ხმალი, რომელიც ქარქაშიდან სანახევროდ ამოგებულია... ამას უკვე მე-



ადამი და ევა

ორე ნაბიჯი მოჰყვება, რასაც **ღირსების გამოყენების, მისი უნარის წვრთნის დასრულებას** დავარქმევდი.

გენიალურმა მოქანდაკემ გიორგი სააკაძის ცხენის ყბები ლაგამამოდებული კი არ გამოაქანდაკა, არამედ ის ჯაჭვის ბორკილებით დაბორკა. ჯაჭვი **ცხენის დამორჩილების თითქმის შეუძლებლობაზე** მიგვანიშნებს, ანუ ამ საქმის **არაადამიანურ ძალისხმევაში** ჩაგვახედებს და ეს ერთდროულად გაგვაოცებს, გვაშინებს და მოწიწებით აღგვავსებს. შთაბეჭდილებას დააასრულებს მოულოდნელი აღმოჩენა. ეს ორი უცნაური და ზედმეტი საგანია, ერთი შეხედვით, ეს არწივის კლანჭების დაბოლოებაა. კარგად დაკვირვების შემდეგ იკვეთება ორი უზარმაზარი ლურსმანი, რაც კაც-არწივის საიდუმლოებას ფარდას ახდის, ჯვარცმის კვალამდეც მიგვიყვანს, თავზარს დაგვცემს და ცრემლს დაგვაღვრევინებს ფიქრი, რომ ამ ორი ლურსმნის წყალობით გახდა ის, ვინც დღეს არის — ადამიანი-სიმბოლო. ამ ორი ლურსმნის წყალობით ინარჩუნებს მაღალ ზნეობას, რითაც მან შესძლო თავისი სამშობლოსთვის მთლიანად მიეძღვნა თავი.

ის განსახიერებაა **ნებისყოფის,** სიბრნის, სიმამაცის ანუ გულოვნების, კეთილგონიერების ანუ ზომიერების, (ადამიანის დაფარული ვნებების მოთოკვა,) სამართლიანობის (რითაც სამი ზემოხსენებული სათნოების ჰარმონიული თანაშერწყმა ხდება). რაღაც მომენტში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ცხენი **ცეკვავს, ისე ლამაზი და გრაციოზულია მისი მოძრაობა,** ხოლო მხედარს როცა გვერდიდან შევყურებთ **არხეინად, მედიდურად** უჭირავს თავი, თითქოს ამბობდეს, ღვთაებრივი საქმე დამევალა და მას უანგაროდ, სიყვარულის ნიჭის სიმსუბუქით აღვასრულებ, ჩემი სამშობლო მტრისგან უნდა დავიცვაო.

ხმალი, რომელიც მას ქარქაშიდან ნახევრად აქვს ამოგებული მზაობას გაამჟღავნებს — რაც ქართველი ერის მთავარი თვისება — ბრძოლა იყო მისი ცხოვრების წესი, ამიტომაც გამოხატა **ერის მარადცოცხალი სუბიექტი** მოქანდაკემ იმ მომენტში, როცა ის ბრძოლას იწყებს და ცხადია, რომ ის იმარჯვებს.

მისი ჩვენებული

უხანგრძლივესი სულიერი ჯავშანი

„მწერალი ის არის, ვინც თავის ხალხს ანთებული სანთელივით ჩაუდგა სულში“ — მიხეილ ჯავახიშვილი თავის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებს სწორედ რომ ამართლებდა.

მამა იყო გულმხურვალე მამულიშვილი და შეუდარებელი მოძალაძე თავისი ქვეყნისა, რომლის ადგილი ტირანულ სახელმწიფოში არ იყო, როგორიც სამშობლოს მოღალატისა და ხალხის მტრის იარლიყით აიყვანეს ეშაფოტზე.

იმედი მაქვს, ჩვენი ახალგაზრდობა უფრო ახლოს გაიცნობს დიდი კლასიკოსი მწერლის შემოქმედებას, დაუფასებენ მის ღვაწლს ქართველი ერის და ქვეყნის წინაშე, რისთვისაც წინასწარ დიდ მადლობას ვუძღვნი.

მწერალმა შთამომავლობას დაუტოვა მრავალფეროვანი წერილები, რომელშიც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და გულისტკივილზე ლაპარაკობს, რომლითაც თვალწინ წარმოგვიდგება საქართველოს ავკარგი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სფეროში.

ამ წერილში ასახულია იმ პერიოდში ერისთვის დამახასიათებელი მტკივნეული საკითხები, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას და გვახსენებს ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

რუსუდან ჯავახიშვილი
თებერვალი 2007 წ.

მასალები ლექციისათვის

„რანი ვიყავით გუშინ“
ი. გოგებაშვილი
სადაც მუქი ჩრდილია,
დიდი მზეც იქ არის.

„ზის ბერძენი ტრაპიზონში და სტირის...

ზის მ.-ი სტამბოლში და ისიც სტირის. ორივენი დასტირიან დაკარგულ სამშობლოს. მსგავსება გარეგნულია, განსხვავება კი ძლიერი: ბერძენი სტირის იმის გამო, რომ მას დაეღუპა ელლადა და ბიზანტია — სამშობლო, კულტურა და ერი გენიალური, ბრწყინვალე და უეჭველად უზენაესი. მ.-ის სულიერ ტანჯვასა და ცრემლს სულ სხვანაირი ფსიქოლოგიური სარჩული უდევს. მართალია, ისიც მოსწყდა სამშობლოს, მაგრამ მას გარდახვეწის სევდა კი არ აწვალებს, არამედ ათჯერ მეტი და ასჯერ უარესი — თვისი ხალხისა და სამშობლოს არარაობა, ბერწობა, უბადრუკობა.

ზის პოეტი ბოსფორის ნაპირებზე და სწერს მეგობრებს:

„ჩვენი შემოქმედება შეკვეცილია, ფრთა შეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია“. (ავტორი ჰგულისხმობს ქართველ მწერლებსა და საერთოდ ქართველი ხალხის სულიერ შემოქმედებას). და ეკითხება თავის თავს: „სამშობლო პოეტისათვის, (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის?“ და თვითონვე იძლევა პასუხს: სამშობლო უნდა იყოს პოეტისათვის, იგი „უნდა იყოს სტიქია. ატმოსფერა, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას“. ეს სქოლასტიური ძიება ძალიან ჰგავს კლასიკურ დავას — რა (თუ ვინ) გაჩნდა, ქათამი კვერცხისგან თუ კვერცხი ქათმისგან? ასეთი კვლევა-ძიება ლოღიკის ვარჯიშობისთვის სასარგებლოც იქნებოდა, რომ მას არ მოსდევდეს გულის გამტეხი და სულის გამშავებელი დასკვნა და დასკვნები. პოეტი არც ერიდება ამას. „ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას“, და გაბედვით, თავგანწირულებით ვარდება ეჭვიანობისა და ნიღილიზმის მორევში. საქართველო მას ეჩვენება „იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში რომ იტყვიან, უშვილობის წამალი აქვს დალეული“... „სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და პირიქით, პოეტი სცდილობს მისცეს მას“ (ისევ ქათამი და კვერცხი მაგონდება)...

დღევანდელი თაობის სულიერი შემოქმედება არარაობას უდრის: „ვერ ნახავს ვერც პოეზიას, ვერც საქართველოს, და ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პროზაც — აძიგძიგებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში“... „მე მას (საქართველოს) ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუ თუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?“... ჩვენი წარსულიც სრული უბადრუკებაა:

„იქ (საქართველოში) მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაც შეკოწინებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ, და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში"... „ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას („ნათლის სვეტს", „ჯვარს") და მეეჭვება თვით რუსთაველიც. თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის, თუ არადა — ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე"...

ამის დამწერს თვითონვე შეეშინდა თვისი უიმედობის: „მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების. მაწუხებს ეს აქ (სტამბოლში) ისე, როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სიმტკიცე და გული". ეშინია, მაგრამ თავაშვებით მისცურავს ნავი ნაღველის ფსკერამდე.

„მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში (უკვე უარჰყო) და მომავალში" და მომავალსაც ხუთი სტრიქონის შემდეგ უარჰყოფს: „ეს საუკუნე (რაღა მარტო ეს საუკუნე?) ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს".

და პოეტის აფართხალებული აზრი და გრძნობა მტკივნეულად გაჰკივიან:

„შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში"...

„ჩვენ ვვარდებით სკეპტიციზმში (მართალია!), რომელიც ალბათ მიგვიყვანს ცინიზმამდე (ესეც მჯერა!)...

„საქართველო პასიური მოვლენაა"...

„საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო, და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც, მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს, ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა" თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონი ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი.

ასე თავდება მ.-ის კვნესა-გოდება. ესეც საკმარისია. კიდევ რომ დაემატა რამე, გლოვატირილი ისტერიულ კივილად გადაიქცეოდა.

ბევრი აგოდებულა ჩვენში ამავე ჰანგზე. მაგონდება თუნდაც მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა". ამ წიგნმა ყველა ჩაგვაფიქრა და დაგვაღონა. ფილოსოფიურ და მეცნიერულ მეთოდებითა და ისტორიულ საბუთებით გვაჯერებდა — საქართველო იღუპებაო. მ.-ს საბუთები არა სჭირდება, ვინაიდან „პოეტი თავის ფილოსოფიას არ ასაბუთებს". აქ არც არის საბუთი, ფილოსოფია, მეთოდი. მისი წერილი გაჟღენთილია სულიერი განწყობილებით, გუნებით, გლოვის ჰანგით. სამაგიეროდ პოეტური ჰანგი, კილო და გუნება ხშირად მეცნიერულ საბუთებზე უფრო მძიმეა, მჭრელი და... სახიფათოც.

მაგონდება ჩემი თეიმურაზ ხევისთავიც. მხოლოდ ერთი მხრით ჰგვანან ერთმანეთს მ.-ი და ხევისთავი: ორივეს იმედი დაჰკარგვიათ და გულები გაჰშავებიათ.

„ — ვიღუპებით!" — ჰკივის ხევისთავიც და სასოწარკვეთილ უიმედობით იხრჩობა. მისი პესიმიზმი გადადის შავ მელანქოლიაში, ხოლო ასეთი გულის ნაღველი, ლოლიკურად განვითარებული, იქამდე მიდის, რომ ხევისთავი ქართველობას თაკილობს და ბედს შესჩივის — რატომ ინგლისელად, ფრანგად ან გერმანელად არ გამაჩინეო.

რომელ ცოცხალ ქართველს არ უზის გულში ეჭვის ჭია!? ვის არ აწუხებს, ან ვინ არ უწვალებია მწვავე შიშსა და მომავალის „ვაი თუს!?" ჩვენი ლიტერატურა სავსეა ასეთი შიშის იდუმალი ღელვით. მაგრამ შიშიც არის და შიშიც. მ-ს ბუნებრივი ეჭვიანობა ჯერ შიშად გადაიქცა, მერე კი ფხრეწაში და ფეთებაში გადავიდა. და ამ დაფეთიანებას ჩვენი ძველი ნაცნობი ნიჰილიზმი ამოჰფარებია. იგი ქიმუნჯით ერეკება პოეტს შავი უფსკრულისკენ, არარაობისკენ, უარყოფისკენ. და ლანდებით დაშინებული პოეტიც სტირის და მოსთქვამს: „არც არაფერი ვყოფილვართ, არც ეხლა ვართ, არც შემდეგში ვიქნებითო".

არ ვიცი, იქნება ამან სხვა ვინმე დააფრთხო. მე კი წერილი ჩავიკითხე და მივაწერე: „რამ შეგაშინა მაგრე რიგად, ძმობილო? რას მაშინებ, რით მაშინებ! შენი არც მეშინიან და არცა მჯერა". მაინც გავიფიქრე: „ამ კაცის რწმენა ეჭვის ჭიებს შეუჭამიათ, ხოლო ეს სენი შავი ჭირივით გადამდებია. ისედაც მრავლად არის საკუთარის აჩრდილით დაშინებულნი. სხვებიც დასწერენ, გაიმეორებენ, აჰყვებიან ერთმანეთს, აგლოვდებიან და ცოცხალ ხალხს საქვეყნო პანაშვიდს აგვიგებენ". აი, ამან ამაღებინა კალამი ხელში.

ათჯერ და ასჯერ უთხარით ვინმეს, ჩააგონეთ და დააჯერეთ, რომ მისი მშობლები ლოთები იყვნენ, მისი პაპა და ბებია — ავაზაკი და მეძავი, ხოლო დანარჩენ წინაპრებად ველურები, ათაშანგიანები, უვიცები, კრეტინები და უბადრუკნი ჰყავდა. დააჯერეთ, რომ თვითონ ისიც, ასეთი წინაპრების ღვიძლი შვილი, არაფრის არაფერია — ღატაკი, გონჯი, დაავადებული, უზნეო და უმეცარი. მრავლად შეუშხაპუნეთ ამ ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ მტკიცე რწმენა თვისი თავის არა-

რაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ. ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვიან ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ვეღარ იქნევს, ჰგდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც აღარ აქვს. ნირვანნა, არარაობა, სრული გარინდება, სამუდამო დასვენება — აი მისი ერთადერთი საზრუნავი.

რა დაემართა ამ ადამიანს? თვისი თავის რწმენა დაეკარგა, სიცოცხლის უნარი დაუჩლუნგდა, ნებისყოფა გამოეცალა. ფსიხო-პატოლოგი კარგად იცნობს ამ სენს — ზოგჯერ მასიურ და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც, ან მისი რომელიმე ნაწილი.

ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე ითქმის სოციალურ ფსიხიკაზედაც. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარნი ვარგებულან, არც თვითონ აქვს რამე, არც იმის ჩამომავლობა შეჰქმნის რასმეს თვალსაჩინოს, თუ გამოაცალეთ თავისივე თავის რწმენა და მოუშალეთ იმედი — ასეთი ხალხი წასულია, მისი დღენი დათვლილია. ისიც იმ ერთ პიროვნებასავით მალე მოიშლება, მოიღუნება და შეებმება აღმოსავლურ უღელში: გარინდება, ნირვანნა, პასსიურობა, ბედის მორჩილება — აი მისი მომავალი.

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთსაც სწორედ ეს სენი მოედო, სამაგიეროდ მას განუვითარდა ბებრული სიბრძნე, გულთამხილავი თვალი, ვიზიონერული ალღო და მისტიური აღზნების უნარი. ხოლო იმდენად გამოეფიტა ნებისყოფა და აქტიობა, რომ სამოციოდე ათასს ინგლისელ ჯარისკაცს ხელში უჭირავს სამასი მილიონიანი ინდოეთი. რა თქმა უნდა, აღმოსავლეთი იმიტომ კი არ გაირინდა, ვითომ მისთვის ვინმეს ჩაეგონებინოს მისი არარაობა, ვერ დააჯერებს ვინმე, რადგან ბრწყინვალე წარსული და დიდებული მომავალი აქვს. იმის პასიურობას მეტად რთული მიზეზები აქვს.

მ.-ი მარტო არ არის. ურწმუნობით მრავალია შეპყრობილი და ასეთი სულიერი მოდუნება გადამდებ სენივით ედება ჩვენი ხალხის მჩატე ნაწილს. აი, ამიტომ ეძლევა მ.-ის ნერილს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

თუ ერმა ოც საუკუნეში მართლა ვერაფერი შეჰქმნა და მეოცდაერთეში განგაში ასტეხა — ეხლა კი მთელ ქვეყანას გავაოცებო, ნუ დაუჯერებთ. დამჩატებულს, გაბერწებულსა და გამონურულ ხალხს რეჟიმის შეცვლა ვეღარაფერს უშველის. მაგრამ ჩვენი ბიოლოგიური მოდუნება და სულიერ-პოტენციალური გაბერწება ზღაპარია, საფრთხობელა, ლანდი, რომელიც პოეტს ღამით ბოსფორის სრუტეში მოეჩვენა.

უდავოა, რომ ქართველები ანტროპოლოგიის კლასიფიკაციაში პირველ რიგში სდგანან. ბლუმენბახი რომ ჰქმნიდა თავის თეორიას, ინდო-ევროპული მოდგმა უმაღლეს ნიმუშად წამოაყენა და მას „კავკასიური რასსა“ უწოდა. მრავალ ათას ჩონხჩიდან, რომელიც მან გასინჯა, არჩეული ნიმუში — საუკეთესო, იდეალური, მიუღნეველი — ქართველი ქალისა აღმოჩნდა. იშვიათია ქვეყანაზე ჩვენისთანა მოსული, ნატიფი, ჯიშიანი ხალხი. ეს არ არის კვეხნა — ამას ამბობენ უცხოელები. და ეს ჯიშიანობა დღემდის შევინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ საზარელი გზა გავიარეთ და ამ გზაზედ სიკვდილს ასჯერ მაინც ჩავუვარდით კლანჭებში, მაგრამ საზღაპრო უკვდავი ჭაბუკივით ასჯერვე გავუსხლტით.

ნუ მეტყვიან, ფიზიკური ჯიში ანგარიშში ჩასაგდები არ არისო. კულტურების მსოფლიო გამოფენაზე ანტროპოლოგიურ ჯიშიანობასაც ისეთივე ფასი აქვს, როგორც სულისა და გონების ამა თუ იმ ნაყოფს, რადგან დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია. ვისაც ჰხიბლავს ელინის პროფილი, რომაელის შუბლი ან ასურელის კუნთი, მას ქართველის თვალი და ცხვირიც მოაჯადოებს. ოღონდ ჩვენს თვალ-ტანადობას სათანადო გატანა სჭირდება მსოფლიო გამოფენაზე. ეს საქმე კი პოეტსა და ხელოვანს აქვთ დაკისრებული. და თუ პოეტი მ.-ი ვერა ხედავს ძველ ბრინჯაოსგან გამოკვეთილ ქართველის ტიპს, ან იმის ნაცვლად კრეტინი ელანდება — ეს მისი დაბინდული თვალის ან ნატკენი გულის ბრალია.

ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო წინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა, ზოგნი კი მიილივნენ და დაიშრიტნენ. ეს ერები რიგრიგად გვფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგრიგადვე დაგვეხოცნენ, ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ — დინჯად, მტკიცედ და უდრეკად. ამ გზაზედ მრავალჯერ ჩავვარდით სამარეში — ზოგჯერ ცალი ფეხით, ზოგჯერ კიდევ ყელამდის.

ხალხთა ულეველ ჭიდილში ქართულ რასსას, ებრაელთა უკვდავება და ჯიანჭველას ძალა აღმოაჩნდა: ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა.

* * *

რადგან უკან მივიხედეთ, ბარემ ისტორიაც გავიხსენოთ — მოკლედ, თვალის ერთი გადავლებით. ვინც ამბობს — არაფერი ვიყავითო, თვითონ არაფერი იცის ჩვენს წარსულზე და უკან მიხედვა ხშირად სათაკილოდაც მიაჩნია. მე კი ვიტყვი: მხოლოდ ველურები არ იხედებიან უკან, რადგან დასასნახავიც არაფერი აქვთ. მაგრამ ველური არც წინ იხედება: ერთი ყლუპი რომისთვის დილით საბანს ჰყიდის, ღამით კი სიცივისგან იყინება.

თავდაპირველად ერთი რამ უნდა გავიხსენოთ და დავიხსომოთ: ყოველი ერის ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარსული, აწმყო და მომავალიც — განუწყვეტელი ჯაჭვებით არის გადაბმული მისი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ამ ფაქტორს ყოვლად უძლეველი და გარდაუვალი ძალა აქვს. მას თანაბრად ერთვის ამავე ერის ხასიათი და პოტენციალური წონა. აი, ეს ფაქტორები ჰქმნიან და ხსნიან ამა თუ იმ ერის წარსულსაც და მყობადსაც.

ძველი ბერძნები პამირის მთიანეთზე ვერ შეჰქმნიდნენ ბრწყინვალე ელინურ კულტურას. სამაგიეროდ ვერც მონგოლები გასწევდნენ ინგლისელობას. რომაელების კანონიერება და იმპერია ვერ დაარსდებოდა სოლომონის კუნძულებზე, ხოლო ევროპაში ინდო-გერმანელების ნაცვლად ჩინელები რომ მოსულიყვნენ, მსოფლიოს ისტორია სულს ხვა გზებით წავიდოდა.

ერთმა დიდმა პოეტმა სთქვა: ღმერთმა თვისი კალთა საქართველოს დააბერტყაო. მეორემ კი დაიძახა: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!“ თუ მარტო ბუნებას ჰგულისხმობდნენ — მართალი უთქვამთ. მაგრამ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა რომ მოჰგონებოდათ, ჩემთან ერთად იტყოდნენ: ღმერთმა თვისი რისხვა სწორედ ჩვენს ქვეყანას დააბერტყა.

ამ მხრივ ჩვენი ბედი საზარელია. გადაავლეთ თვალი ჩვენი მნათობის რუკას და გაიხსენეთ მსოფლიო კულტურის მთავარი გზა. ყოველივე აღმოსავლეთიდან წამოვიდა — მეცნიერება, ხელოვნება, რელიგიები და სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სისტემებიც. ეს დიდი მდინარე ჩინეთ-ინდოეთ-შუა აზიიდან ჯერ მცირე აზიაში ჩამოვიდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოედო (საბერძნეთი, ეგვიპტე, რომი, კართაგენი, არაბეთი), შემდეგ ლათინთა ქვეყნები ააყვავა და დასასრულ ევროპის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილოეთისკენ შეუხვია.

ეს მდინარე საქართველოს ასცდა. ჩვენ გვერგო მხოლოდ სანაპირო ტალღები. ამ წინწკლებითაც კი, როგორც დავინახავთ, უხვად ვისარგებლეთ. და თუ ჩვენი კულტურის ტაძარი ზეცას ვერ მივაბჯინეთ, არც ეს არის ჩვენი ბრალი: მუდამ გვინგრევდნენ, გვმუსრავდნენ, გვახრჩობდნენ.

ამასაც ქვეით დავუბრუნდები. ეხლა კი ერთხელ კიდევ გადავხედოთ რუკას. მსოფლიო კულტურის მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევს. რამდენადაც უფრო გრძელია რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხაზი, იმდენად უფრო ძლიერია ამ ხალხის საერთო კულტურა ან წარსულში, ან ეხლაც, ან მომავალში. გაიხსენეთ ძველი საბერძნეთი, რომი, ჩინეთი, ან ეხლანდელი ინგლისი, ამერიკა და იაპონია. როცა კოლუმბმა ახალი ქვეყანა აღმოაჩინა და კულტურის ცენტრი ჩაკეტილ ზღვებიდან ოკეანეში გადაიტანა, იტალიის საზღვაო ქალაქებმა საჯაროდ იგლოვეს თავიანთი მომავალი დაქვეითება. და მათი გლოვა და შიში მალე გამართლდა. ბევრმა ხალხმა შეაკლა თავი ზღვისთვის და საზღვაო გზებისთვის ბრძოლას: საბერძნეთმა, ფინიკეთმა, კართაგენმა და მრავალმა სხვამაც. ინგლისმა რიგრიგად მოუჭრა ეს გზები თავის მეზობლებს — ჰოლანდიას, პორტუგალიას, ესპანეთსა და საფრანგეთსაც — და მხოლოდ ზღვების წყალობით დაიმკვიდრა დღევანდელი ადგილი. უკანასკნელი მსოფლიო ომის საბოლოო სათავეც აქ არის: გერმანიასაც ისევ ინგლისმა მოსჭრა ზღვებისკენ — დიდი ბაზრებისკენ გაწვდენილი მარჯვენა. და რუსეთის გაზრდა და განუწყვეტელი ომებიც — პეტრე დიდიდან მოყოლებული უკანასკნელ დიდ ომამდე — გამოწვეული იყო ჯერ ზღვის მოპოების, შემდეგ საზღვაო ხაზის გაფართოვებისა და ბოლოს შავი ზღვიდან გასვლის უძლეველი წყურვილით.

შავი ზღვის ნაპირებზე არ გაშლილა და ვერ გაიშლებოდა მსოფლიო მაშტაბის ცივილიზაცია. მხოლოდ ბერძნებმა და გენუელებმა ოდნავად შთაბერეს მას სიცოცხლის სული, რადგან ხელში ეჭირათ მისი გასაღებიც — ბოსფორი და დარდანელი. ამ მხრივ პორტი ზღვას უდრის — ვისაც ეს გასაღები ხელში აქვს, და ჩაკეტილ ტბად უნდა ჩაითვალოს იმისთვის, ვინც მის ნაპირებზე მოსახლეობს.

ჯერ ერთი: ეს ზღვა მიკუნჭულია თაგვის სოროსავით, მოწყვეტილია მსოფლიო გზებს. მეორე: მისი გასაღები მუდამ სხვის ჯიბეში იდო. მესამე: საქართველოს აქ მხოლოდ ერთი მტკაველი ალაგი ჰქონდა, და მეოთხეც — ჩვენდა საუბედუროდ, ქართველსაც ებრაელივით ეშინოდა წყლისა. ასე ავცდით მსოფლიო კულტურის გზებს, რადგან თვითონ ეს გზებიც ასცდნენ საქართველოს. არა მჯერა, ვითომ საქართველოზე დიდი სავაჭრო გზა გადიოდა, ვითომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის აღებ-მიცემობა აქ იხლართებოდა, ვითომ შუა აზიიდან ოქსუსის მდინარით, კასპიის ზღვით, მტკვრით, რიონით და შავი ზღვით დიდძალი საქონელი გადიოდა და შემოდიოდა. რა თქმა უნდა, ასეთი გზა არსებობდა, მაგრამ იგი უფრო მთის ბილიკს ჰგავდა, ვიდრე სავაჭრო გზას და ამ დახლართულ-დაწყვეტილ მილებით ერთი მუჭა საქონლის დატრიალებაც ძლივს შეიძლებოდა.

დიდი სავაჭრო გზები ასცდა საქართველოს. სამაგიეროდ — და ჩვენდა საბედისწეროდ — დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული გზები არ აგვცდენია. და ჩვენც მუდამ ამის გამო ვიღუპებოდით, ვინგრეოდით იმ სოფელივით, რომლის თავზე და გარშემო განუწყვეტლივ იბრძვიან ძლიერი მეზობლები.

ვინ არ მოჰყავდათ ჩვენსკენ ამ გზებს, ვინ არ გადაიარა ჩვენს ზურგზე?! თუ რომელიმე ტომი დაიძროდა აზიიდან ევროპისკენ, ჩვენს კისერზე უნდა გაევლო, თუ ჩრდილოელები დაეპირებდნენ აზიისკენ თარეშობას, ჯერ საქართველო უნდა გადმოელახნათ. მონგოლები რომ

ველარ დაეტევნენ თავიანთ უდაბნოში, ჯერ საქართველო უნდა გაესრისათ და შემდეგ შეჭრილიყვნენ აღმოსავლეთ ევროპაში. ორი საუკუნე ვზიდეთ არაბების უღელი, ირანი, სელჯუკეთი და ბიზანტია ჩვენს თავზე შეასკდნენ ერთმანეთს. საქართველო ყველასთვის ან მარცხენა ფლანგი იყო, ან მარჯვენა ფრთა, ამიტომ მცირე აზიაში ომი არ ატყდებოდა, რომ მებრძოლნი ჩვენს ქვეყანაშიც არ შემოჭრილიყვნენ, ხოლო ათიოდე წელიწადიც იშვიათად გაივლიდა, რომ ჩვენს გვერდით და ჩვენს თავზედაც ცეცხლის გრიგალი არ ავარდნილიყო. ვინ არ გვახვევდა შანთითა და სიკვდილით თავის ეკლესიებსა და ბავრაყებს! ქრისტიანი ბერძნები ხატებს ამსხვრევდნენ ჩვენს თავებზე და ჯვარის აღიარებისათვის ამავე ჯვარზე გვაკრავდნენ. სპარსელები ჯერ ზარატუშტრას ცეცხლზე გვწვავდნენ, მერე სუნისტურ შახსეი-ვახსეით გვჩეხავდნენ. ელინებს და რომაელებს პოლითეიზმი მოჰქონდათ, ოსმალები ნამგალა მთვარის წინ გვაჩოქებდნენ, ასურელნი იშტარს გვაჩეჩებდნენ, ხოლო თანამორწმუნე რუსებმა დედაქალაქი ხახვის თავებით აგვივსეს, ხოლო ტვინი — ეროვნულ ნიჰილიზმით, ესე იგი საკუთარი თავის შეძულებით და სხვისის შეყვარებით.

წინანდელ რუსეთის სალდათს, პირველად რომ შემოვიდა საქართველოში, პროგრამაც ხიშტის წვერზე ეწერა: — მოკლე, ცხადი და სრული: „Была Бы душа русская, а тело грузинское“, ასეთი დარიგება მისცა პანინმა გენერალ ტოტლებენს. და ვინც კი მოდიოდა საქართველოში, ყველა ჩვენს სულზე და ნაშრომზე ნადირობდა. მაგრამ ჩვენს წინაპრებს თავიანთი სულიც, ნაშრომიც და მიწა-წყალიც თავიანთთვის უნდოდათ, ამიტომ დავა თითქმის მუდამ იარაღით სწყდებოდა.

სორბონის პროფესორმა კოლინიონმა — განთქმულმა არქეოლოგმა და აღმოსავლეთის მცოდნემ — ერთხელ მითხრა ბაასის დროს: „ქართველი ხალხი სხვაგან სადმე რომ ყოფილიყო დასახლებული და ნორმალურად განვითარებულიყო, ეხლა ას მილიონზე მეტი იქნებოდაო. ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები სჭამდნენო“.

და კინაღამ შესჭამეს. მიუვალმა რუსეთმა მხოლოდ ხუთიოდეჯერ თუ განიცადა უცხოთა ფეხი, ჩვენ კი ხიდზე ვიჯექით და მუდამ ვითელებოდით. ამიტომ არც საკვირველია, რომ შედეგებიც სხვადასხვანაირი მოგვყვა. შორეულს თავი დავანებოთ და შედარებით მახლობელი გავიხსენოთ. არაბებმა ორი საუკუნე გაატარეს ჩვენს ზურგზე. ბუღა-თურქმა მარტო ტფილისში 50.000 კაციამოსწყვიტა. მონგოლებმა თავზედაგვანგრიეს ბრწყინვალედ აშენებული შენობა. თემურ ლენგები, მურვან ყრუები და ჯელალ-ედ-დინები ერთმანეთს ეცილებიან ჩვენი ხალხის შემუსვრაში. შემდეგ სპარსეთი და ოსმალეთი საქართველოს ინაწილებენ. ამავე დროს ხელახლად იწყება — მეათეჯერ თუ მეოცეჯერ — ჩვენი ყოფნა არ ყოფნის ხანა. შაჰ აბასი და ოსმალეთი ხელშეკრულებას სდებენ ქართველი ხალხის სრულიად ამოჟლეტისათვის. აბასსი თითქმის აღწევს მიზანს: არღვევს ჩვენს სამხრეთ-აღმოსავლეთს, ასი ათასობით გვმუსრავს, ასი ათასობით გვერკება სპარსეთში და მახვილით გაწმენდილ ალაგებს ასახლებს იქიდან მოყვანილ ერებით. ამავე გზას მისდევს ოსმალეთიც და გვჭრის მარჯვენა მკლავს — სამცხე-საათაბაგოს და ტაო-კლარჯეთს. ან სიკვდილი, ან „სულის გამოცვლა“ — აი მათი მიზანი, რომელსაც ნახევრად მაინც აღწევენ. ტფილისში უკვე ქართველი როსტომ ხანები და შაჰ ნავაზები სხედან, ქოშ-ხალათი აცვიათ, შუბლზე ნამგალა მთვარე აკრავთ, მეჩეთებს აშენებენ, ხოლო ხალხი ათი ათასობით იყიდება და სწყდება სპარსთა და ოსმალების სისხლის გადახალისებასა და დიდი პოლიტიკისათვის. აღმოსავლეთის ბაზრები სავსეა ქართველი მონებით. ზოგი მტრის ნადავლია, ზოგი ხარკია, ზოგი კიდევ ჩვენივე გაყიდულია: ერთმანეთს ვიჭერდით და ცხვრებივით ვყიდდით. დიდებს ვიღა სჩივის, საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეკების მოხარკეობაც კი ვიკისრეთ. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში იშვიათად გავიდოდა წელიწადი, რომ მემატიანეს რამდენჯერმე არ ჩაეწერა: „კვლავ მოვიდა ჯარი ლეკისა, წაახდინეს საქართველო, დასწვეს მრავალი, წაიღეს და წაიყვანეს ურიცხვი“. ისხდნენ ჩვენს ციხეებში, გვიჭერდნენ ბატებივით და გვყიდდნენ. სახიფათო იყო სოფლიდან სოფლამდე გავლა ან მინდორში სამუშაოდ გასვლა. ბორჩალო ისე აიკლეს, რომ ზოგჯერ ერთ კომლსაც ვეღარ პოულობდნენ. ამ დროს — და სხვა დროსაც, ათჯერ და ათასჯერ — ხალხი ქვაბულებსა, ხევხუვებსა და ტყეებში ცხოვრობდა და იმუსრებოდა — სიმშილით, სიცივით, ათნაირი სენით და ჭირით.

ევროპამ ერთხელ იხილა ჰუნების საშინელება, ჩვენთვის კი რკინისა და ცეცხლის სეტყვა შეჩვეული ჭირი იყო. ევროპას დღესაც აჟრჟოლებს ატილლას და ალარიხის გახსენებაზე, ზოგმა ქართველმა კი მალე დაივიწყა ათჯერ მეტიც და უარესიც: ჯელალ-ედ-დინი, მურვან ყრუ, თემურ ლენგი, შაჰ აბასი, აღა მაჰმადი, შაჰ თამაზი, ნადირ შაჰი და კიდევ მრავალი მათი მსგავსი უცხოელი და შინაური. მაგრამ ამათ უმთავრესი დაივიწყეს: ქართველმა ხალხმა მაინც გასძლო და მოინელა ეს საზღაპრო ულეტა და მუსვრა. მარტო ერთი ცნობაც ელვასავით აშუქებს და ახასიათებს ჩვენს ბედსა და გზას: დედაქალაქი ტფილისი ოცდათექვსმეტჯერ წაგვართვეს და დავიბრუნეთ.

ყოველ ასეთი აკლების შემდეგ ჩვენ გვრჩებოდა მოპარსული მიწა და ზედ დამდგარი ქართველი — უიარაღო, უსაქონლო, ხელცარიელი. და მეასეჯერ ხელახლად იწყებდა ქვაბულის კაცივით დანგრეულის აღდგენას.

ტოლსტოი მშვენიერად ადარებს ხაჯი მურატის გამძლეობას თავცეცხლას ეკალს. სდგას იგი გზის ნაპირას. ყველა სთელავს და უტყაპუ-

ნებს. დაგლეჯილ-დაფლეთილია, დამტვრეულია, მაგრამ მაინც სდგას და არა ხმება. ჩვენც ამას ვგევართ და ჩვენი ბედიც ასეთი იყო. შარა გზა, თავცეცხლა, ათასი გამვლელი, თელვა, ცემა, მსხვრევა და... მაინც ზეზე ვართ, მაინც ვცხოვრობთ, მაინც ვიცხოვრებთ.

ჩვენ მუდამ ცეცხლში ვცხოვრობდით და ჩვენი კულტურის ტაძარს უფრო მახვილით ვაშენებდით, ვიდრე ჩაქუჩით და წერაქვით. ხერხემალი მრავალჯერ დაგვიმსხვრიეს, მაგრამ ისევ ვიმრთელებდით და ისევ ვაშენებდით.

ვიცი, რატომ შესცქერიან ალმაცერად ზოგიერთები ჩვენს წარსულს და მომავალსაც. ჩვენი წარსული ზოგჯერ მართლა საზარელია. იგი სავსეა შავი ფურცლებით, საზღაპრო საზიზღრობით. ყოველნაირი ლენცოფა და შხამიანი ბალახი უხვად არის გაბნეული ჩვენს გზაზე: ურთიერთის ჭამა და მუხანათობა, ღალატი და მზაკვრობა, „ყიყვი და ეშმაკი". მაგრამ ამის გამო ჩვენი წარსულისა და საკუთარი თავის დაფასების დროს საღი მსჯელობის უნარს ნუ დავკარგავთ და უკიდურესობაში ნუ გადავვარდებით. გავიხსენოთ და დავიხსომოთ ბუნების ერთი კანონი, რომელსაც ვერავინ გაექცევა: დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზედაც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი და ეშმაკიც" მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისგან. ძარღვგადაჭრილი, იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნა, განდგომა, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად. გამარჯვებული მუდამ ხელს უწყობს ამას: შლის, არღვევს, აქეზებს, ერთმანეთზე უსევს და ამრავლებს „ყიყვს და ეშმაკს". და ჩვენს ისტორიაში წითელი ზოლებივით მოსჩანს გამარჯვებული მტრის მომუშავე მკლავი. ამით და მხოლოდ ამით აიხსნება, რომ საქართველო თითქმის მუდამ დაქსაქსული იყო. ეს არის ამის მიზეზიც, რომ საქართველოში ვერ დამკვიდრდა თვითმპყრობელი მეფობა. სპარსეთი ჩვენში მუდამ იცავდა ფეოდალიზმს, რადგან ათმეფობა ერჩივნა ერთმეფობას. მისი პოლიტიკა ბუნებრივიც იყო: „Divide et impera — გაჰყე და განაგე! აი, საიდან შემოვიდა ჩვენს ისტორიაში — და არა ჩვენს ბუნებაში — „ყიყვი და ეშმაკი". მომეცით ხელში ანგელოზი და, თუ ყოველივე ვიკადრე, ეშმაკად გადავაქცევ. შემდეგ გაანთავისუფლეთ — ისევ ანგელოზად გადაიქცევა, რადგან მისი ბუნება და ხასიათი უცვლელია. „საქართველოში მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ", სწერს მ.-ი და მეორე სტრიქონშივე პოულობს მას: „ჩვენშია ჩამჯდარი ეშმაკი და ანგელოზი" — იგივე ღვთის ხელი და სწუხს პოეტი ამის გამო — ღამის დასწყევლოს ან უკვე სწყევლის ქართველობას. დავამშვიდებ მ-ს:

ჩვენ, ქართველები, ანგელოზები არა ვართ. ამ ქვეყნად ცალ-ცალკე მარტო ანგელოზები ან ეშმაკები არცა ცხოვრობენ. ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც სხვები — ყველანი, და ჩვენცა გვყავს (თუ გვაქვს) ეშმაკიც და ანგელოზიც. ცალთვალა მხოლოდ ერთ-ერთს ხედავს: ან მარტო ანგელოზს (რომანტიზმი), ან მხოლოდ ეშმაკს (ნიგილიზმი, პესიმიზმი). ორთვალა კი ყოველი ხალხის ხასიათსა და ისტორიაში ადვილად აღმოაჩენს ორივეს. არ არსებობს ტომი, რომ თვისი გენიალობა (ანგელოზი) არა ჰქონდესო, და ზანგებშიც ვპოულობთ გენიალობის ელემენტებს.

მ.-მა სიტყვა „ანგელოზი" ახსენა, მაგრამ ქართველის გულში თვალიც ვერ მოჰკრა სიმართლეს, ღვთის ხელს ან ამ ანგელოზს, რადგან ცალი თვალი დახუჭული ჰქონდა, ხოლო ცალთვალობაში — რომელიმე უკიდურესობაში — სიმართლეს არასოდეს არ შეუხედნია — თუნდაც ისევ ცალის თვალით. ჩემთვის კი ერთი რამ არის ცხადზედ უცხადესი: საჭიროა, უეჭველად საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა, თორემ არ ძალუძს უანგელოზოდ ცხოვრება და განვითარება არც ცალკე პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს. ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს, ამიტომ ვინც (ერმა თუ პიროვნებამ) თავის გულიდან ანგელოზი განდევნა ან დაჰკარგა, მან განთავისუფლებული ალაგიც ყიყვსა და ეშმაკს დაუთმო. ხოლო ვისაც მარტო ეშმაკი დარჩა, თვითონაც გაეშმაკდა — გონებითაც, სისხლითაც და სულითაც. რწმენა ვინმესი ან რამესი — ქრისტესი, მაჰმადისა, ეროვნებისა, სოციალიზმისა ან თუნდაც რომელიმე კერპისა — აი, მხოლოდ ეს რწმენა და განვითარებული გონება ანსხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისგან, სრულს ურწმუნოებას ისევ სატანიზმი სჯობია. ძველი ქალაქების — სუზისა და პერსეპოლისის ნანგრევებზე დღესაც დარჩა ერთი მუჭა ხალხისა, რომელიც სატანას სცემს თაყვანს. ურწმუნოებას კი ფეხდაფეხ მოსდევს სკეპტიკისი და ცინიზმი (ამას მ.-იც აღიარებს), გარინდება და ნირვანა, ნებისყოფის აბულია და სიკვდილი, ან უფრო უარესიც — ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი.

* * *

წარსულში ეშმაკები ვიყავით — ამბობენ ზოგნი — ხვალ კი ანგელოზებად გადავიქცევითო. ნუ დაუჯერებთ ასეთ ცალთვალებსაც, ვინაიდგან არარაობისაგან არრა გამოვა გარდა არარაობისა.

გუშინ ანგელოზები ვიყავით, დღეს კი ეშმაკებად გადავიქეცით და მუდამ ეშმაკებად დავრჩებითო — გვარწმუნებენ მეორენი. ნურც ამათ დაუჯერებთ, რადგან ამათ გულშიც თითქმის მარტო ეშმაკილა ცხოვრობს.

ყიყვი და ეშმაკი წარსულშიც, დღესაც, მომავალშიც — დაგვჩხავიან მესამენი. და ჩემი წერილიც ამ ყორნების საპასუხოდ არის დაწერილი (დიდი ბოდიში მ.-ის წინაშე!) წარსულში ეშმაკეული ნაჭარბევიც გვქონდა. ზოგი აღვნიშნე, ზოგი თვითონ მკითხველმაც გაიხსენოს. ეხლა კი ანგელოზიც უნდა დავანახო ცალთვალებს. ზოგი უკვე მოვაგონე, ზოგსაც ეხლა მოვახსენებ.

ყოველ ერს აქვს სამი დარგი კულტურის: მატერიალური, გონებრივი და სულიერ-ზნეობრივი. მათი ჯამი შეადგენს ეროვნულ კულტურას. გაკვრით მაინც გადავავლოთ თვალი ჩვენს წარსულს და ვიპოვოთ დაკარგული ანგელოზი.

ჯერ კიდევ ჩვენი უძველესი წინაპრები — ხეთები პირველობას ედავებოდნენ მაშინდელ უმძლავრეს სახელმწიფოს — ასურეთს. მაშასადამე, ჩვენი დასაბამიც ყოველ მხრივ მსოფლიოს სიგრძე-სიგანისა ყოფილა. ყიყვი და ეშმაკი მაშინდელ ასურეთს კრინტსაც ვერ შეუბედავდნენ. მაგრამ იმ ჭიდილში დავმარცხდით, ნელ-ნელა კავკასიონის ქედს მივეყუდეთ და აქ დავიწყეთ ახალის აშენება.

მოსოხებმა და ხალიბებმა — იმავე ქართველებმა — ლითონის მრეწველობა შეჰქმნეს, და ჯერ კიდევ სადაოა, სად აქვს ლითონის კულტურას სათავე — აღმოსავლეთში, ატლანტიდაში თუ საქართველოში. არგონავტებიც ჩვენმა დიდმა სიმდიდრემ მოიზიდა. რაც უნდა იყოს, ამ მხრივ არავის ჩამოვრჩით და ისიც ცხადია, რომ ხეთების მომდევნო ქართველებსაც შეუნარჩუნებიათ უმძლავრესი კულტურა და საქვეყნოდ გამოუჩენიათ დიდი გენიალობა.

მოგვებისა და ორმუზდის რელიგია ქრისტიანობით გავდევნეთ. ბერძნები მრავალი საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ ჩვენს გაბერძნებას ქრისტეს სახელით, მაგრამ ქართულმა ენამ უკვე მე-VII-VIII ს-ში ლაზიკამდე განდევნა დიდად კულტურული ბერძნული.

ამავე ხანებში ჩვენი საერო ლიტერატურა ნელ-ნელა თავს იხსნის ეკლესიის მზრუნველობისაგან, სხვაგან კი პირუკუღმა ხდება: მონასტერი თითქმის სავსებით იმორჩილებს საერო კულტურას, როცა ევროპა-ბიზანტია შავმა ფანატიკოსობამ მოიცვა, ჩვენში დიდი ჰუმანისტური ეპოქა დაიწყო. ამ მოვლენას უუდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ქართული კულტურისა და ხასიათის დასაფასებლად და გასაგებად. ჩვენ, ქართველებმა ევროპას დავასწარით ჰუმანისტურ ეპოქის შექმნაში. უდავოა და ზემოხსენებულს ადასტურებს მეორე ფაქტიც: საბერძნეთიდან ნეოპლატონიზმი განიდევნა, საქართველოში კი თითქმის თავისუფლად ვითარდებოდა. გაიხსენეთ თუნდაც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსი პეტრიწონელი და მრავალი მათი მიმდევარი. ამ ხანებში ევროპა იცნობდა პროკლეს სახელმძღვანელოს — შემოკლებულსა და დამახინჯებულს, პეტრიწონელმა კი დაგვიტოვა მშვენიერი თარგმანი და თავის მიერ შესანიშნავად დაწერილი განმარტებანი ამ წიგნის.

მისი მსგავსი თავისუფალი მოაზროვნე მრავლად გვყავდა, საბერძნეთსა და ევროპაში კი ასეთ ხალხს მრავლადვე სწვავდნენ. იქ შოთას და იოანეს ცეცხლი არ ასცდებოდათ, ჩვენმა ნათელმა გონებამ და მომთმენმა სულმა კი, ვინ იცის, ვის და რას არ მისცა არსებობისა და განვითარების ასპარეზი.

დავით აღმაშენებელი ამშვიდებს ფეოდალებს, აწესრიგებს სასულიერო ცხოვრებას, დიდად ზრუნავს მწიგნობრობისათვის, კულტურისათვის და უცხოელთათვის. ეს უცხოელები ადასტურებენ, რომ მუსლიმანები მაშინ საქართველოში უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე თავიანთ ქვეყნებში. დავითი აარსებს ჩვენში უმაღლეს სკოლას, სადაც თავს იყრიან უცხოელი მოსწავლენიც. თავის თავს ქრისტეს მახვილს უწოდებდა, მაგრამ ამავე დროს მუსლიმანებს, სუფეებს და პოეტებს თავშესაფარს უშენებდა, საცხოვრებელს აძლევდა, აჯილდოებდა. იმის შვილს დამიტრის სინჯარის სულთანთან არაბულ და სირიულ ენებზე აქვს მიწერ-მოწერა. ცხადია, იმ დროის თაობამ — და დიმიტრიმაც — ბერძნულიც და სპარსულიც კარგად იცოდნენ.

ამ ხანებში მე—XI ს-დან მონგოლების მოსვლამდე (ადრეც და შემდეგაც) — ქართველებმა მთელ ქვეყანას ცხადად დაუმტკიცეს, რომ მათ ომის გარდა წესიერი სახელმწიფოს აშენებაც და უცხოელების გამოყენებაც შეეძლოთ. ყველანი მუშაობდნენ საერთო სახლის აგებისთვის: ქართველები, სომხები, მუსლიმანები, ოსებიც და აფხაზებიც. პეტრე დიდის ეპოქიდან დღემდის რუსეთს ერთად აშენებდნენ რუსებიც და უცხოელებიც. ჩამომავლობით პუშკინი ზანგია, ლერმონტოვი — შოტლანდიელი, გოგოლი — უკრაინელი, დოსტოევსკი – ლიტველი, ხოლო ტურგენევს და ტოლსტოის წინაპრებად თათრები ჰყავდათ. ჩვენშიც ასეთივე პროცესი ხდებოდა. უმრავლესობა თავადაზნაურობის, რომელიც დიდხანს მეთაურობდა ჩვენს სახელმწიფოსა და კულტურას, უცხოელები იყვნენ. მოდიოდნენ ბაგრატიონები, ორბელიანები, მხარგრძელები, სოსლანები და მრავალნი სხვებიც და ჩვენს სხეულში ილექებოდნენ, ინთქმებოდნენ. და თუ რუსებს მადლად ეთვლებათ უცხოელთა გამოყენება, ცხადია ჩვენც გვქონია საამისო უნარი.

იმ ხანებში უკვე არსებობდნენ და უმაღლესამდე ვითარდებიან სახელმწიფოებრივი ორგანოები: ჯარი, ბეგარა, ფულის სისტემა, მიმოსვლა, გადასახადი, აღწერა, სასამართლო, საერთოდ უფლება და დანარჩენი ატრიბუტები ნორმალურ ორგანიზმისა. „ერთმანეთში ითქვიფებოდნენ ნასესხი იურიდიული ნორმები საერო და საეკლესიო — სწერს აკადემიკოსი ნიკო მარრი — ადგილობრივი ტრადიციები და ჩვეულებანი. განყენებული მწიგნობრული ფორმულები შეუთავსეს ქართულ რეალურ ცხოვრებას, მუს-

ლიმანური უფლება ჩაექსოვა რომისას, არაბული ნორმები ჩაეხლართა ბიზანტიურს".

ჩვენ მარტო ჰუმანიზმით არ დაგვისწრია ევროპისთვის. ჩვენებური დარბაზი ჩანასახია პარლამენტარიზმის. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ალაგმა ფეოდალიზმი, ხოლო თამარის დროს უგვარიშვილო მსახურნი ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი სახელმწიფოს უმაღლეს საფეხურზე ადიან. ამავე ხანებში ჩნდება ერთგვარი პარლამენტარული მოძრაობა. მეჭურჭლეთუხუცესის ყურთუ-არსლანის დასი თუ წრე თხოულობს თამარ მეფისგან „კარავში დასხდომას" — პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შემოღებას. მართალია, ეს აზრი და მოთხოვნა ფეოდალებისგან მოდიოდა, მაგრამ ინგლისის „ჰაბეას კორპუს" და პარლამენტარიზმის საძირკველიც ხომ ფეოდალების შექმნილია!

შედარებით აღმოსავლეთთან ჩვენი დედაკაცი თავისუფალია. თითქმის მამაკაცის სწორია. თამარი და რუსუდანი ტახტზე ადიან. იყო პერიოდები, როცა წერა-კითხვას და ცოდნას უფრო დედაკაცი ავრცელებდა და ინახავდა, ვიდრე მამაკაცი. შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად ქართველი მონაზონები სთარგმნიან, რედაქტორობენ და მასწავლებლობენ. იგივე ხდებოდა ჩვენშიც. ამორძალობა ზღაპარი არ არის. უკვე საშუალო საუკუნეებში ერთი ევროპიელი მწერალი (V. elovacensis) ადასტურებს, რომ ზოგი ქართველი ქალი სამხედრო ხელოვნებასაც სწავლობსო. როცა ქართველ ქალს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში თავისი წვლილი შეჰქონდა, აღმოსავლელი დედაკაცი ჰარამხანასა და ჩადრში იხრჩობოდა. ისიც არავის უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ქალის ხელების გახსნისა და პირბადის გადაგდებისათვის, ჩვენზე გამარჯვებულ აღმოსავლეთს კი თან მოჰქონდა ჩადრი, ჰარამხანა და საჭურისთა ინსტიტუტი.

მონგოლთა შემოსევამ რომ აღგავა ჩვენი ძველი კულტურის დიდი ნაწილი — ეს უდავო ამბავია. მაგრამ იმ ეპოქის მცირე ნაგლეჯები მაინც დაგვრჩა.

დავითისა და თამარის დროს საქართველოში საავადმყოფოები ჰქონიათ. ამ ერთ წვეთში თვალხილულს შეუძლიან დიდი კულტურული ქვეყანა დაინახოს. ჩიყვი და სურავანდი იმ ხანებში სამკურნალოებს ვერ დააარსებდნენ. ჰკითხეთ ექიმს, რომელიც კარგად იცნობს ჩვენებურ სახალხო ნამლობას. ბევრისგან გამიგია, რომ მკითხაურ მეთოდებთან ერთად შესანიშნავი სამკურნალო წამლები მოგვეპოვებაო. არის ცნობა, რომ მეფე ლუარსაბის ძმა დაუთ ხანი აქიმობით მთელს მცირე აზიაში ყოფილა განთქმული. მარტო ქვემორე ამბავი რამდენად ეღირებოდა ევროპიელ რომელიმე ერისთვის: ყვავილის აცრა ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა მოიგონა მე—XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბერძენი ემანუილ ტიმონი კი სწერს 1713 წელს, რომ ქართველები დიდი ხანია ყვავილს აცრით სწამლობენო. ჯენერი ამშვენებს ინგლისურ მეცნიერებას, ჩვენზე კი არავინ ლაპარაკობს. მაგრამ ჭეშმარიტება ხშირად სდუმს, როცა პლაკატი საქვეყნოდ გაჰკივის.

ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ ობსერვატორია გვქონდა ტფილისში. იმავე ხანებში და უფრო გვიან — ისევ მონგოლების შემოსევამდე — საქართველო დასერილი და სავსე იყო გზებით, არხებით, ქვითკირის შენობებით, მშვენიერი ციხე-სიმაგრეებით და საუცხოო ტაძრებით. ცხადზე უცხადესია, რომ ამისთვის უდიდესი შრომისა და სიმდიდრის გარდა საჭირო იყო ცოდნა მექანიკის, ჰიდროტექნიკის, მათემატიკის და მრავალი დამხმარე საგნების.

„იმ მხარეში — სწერს მარრი კლარჯეთის შესახებ — ეხლაც სჩანან ნანგრევები საუცხოო ქართული ტაძრების და სამონასტრო შენობების, ნაშთები მშვენიერი გზების, რომელნიც გამოჭრილი იყო პიტალო კლდეებზე, ღრმა ხევების კიდურებზე, ერთკამარიანი ხიდები, რომელნიც გადებულნი იყვნენ მთის მდინარეებზე და ნაწილობრივ ეხლაც ვარგისნი არიან, ნანგრევები კიბეების (ტერრასები) ფერდობებზე ვენახებისა და ბაღებისათვის, სარწყავი სისტემა — არხები, რომელთაც ალაგ-ალაგ აქამდე შერჩათ ქართული სახელები, უზარმაზარი საწნახელები და მარნები. იქვე მოჰყავდათ ვაზები – რამდენიმე ათეული ქართული ჯიშის, რომელთაც შერჩათ ქართული სახელები... ნანგრევები და განვლილი ეპოქები ცხადად გვიჩვენებენ ხალხის იმდროინდელ საოცარ კეთილდღეობას — მატერიალურსა და სულიერს. ყოველივე ეს და მრავალი სხვაც, უფრო ინტელექტუალური ხასიათის ნაშთები, აღმოჩენილნი აქა-იქ დარჩენილ ქართული ლიტერატურის ადგილობრივ ძეგლებიდან, ნათლად გვაჩვენებენ თუ რა შეეძლო პატარა ქართველი ხალხის გენიალობას, როდესაც ეს ხალხი ნაწყვეტ-ნაგლეჯებად მოიპოვებდა ხოლმე თავის კულტურულ ძალღონის მშვიდობიანსა და თავისუფალ განვითარების საშუალებას.

ასევე სცხოვრობდა და ვითარდებოდა დანარჩენი საქართველოც, კიდევ ერთი პატარა ფაქტი, რომელიც დიდი ტომს უდრის: მარტო მტკვარზე, ტფილისიდან მტკვრის სათავეებამდე ოციოდე ქვითკირის ხიდი იყო გადებული. დანარჩენს თავი დავანებოთ: ოციოდე ხიდი, რამდენიმე ათეული ქართული ჯიში ვაზის, ფერდობ-გორებზე გაშენებული საწნახელები და მარნები, კლდეებში გამოჭრილი გზები, გრძელი დიდრონი არხები — მხოლოდ განზრახ თვალდახუჭული ვერ დაინახავს ამას, ვერ გადააბამს ერთმანეთს და ვერ გამოიტანს აქედან ერთს მთლიან სურათსა და დასკვნას: მარტო ჩიყვი, ეშმაკი და არარაობა ვერ ააყვავებდნენ ამრიგად მთაგორიან ქვეყანას. ამის შექმნა შეეძ-

ლო მხოლოდ „ანგელოზსა და ღვთის ხელს“, რომელნიც აჟინებული სიკერპით გაურბიან ზოგიერთებს, რადგან — ცხადია ჩემთვის — თვითონ ზოგიერთებიც გაურბიან ჩვენს „ანგელოზსა და ღვთის ხელს“. ასეა მუდამ: ვინც ანგელოზს გაექცა, მას თვითონ ანგელოზიც გაუწყრა და სასჯელად დაბრმავების განაჩენი დაუტოვა. ახია მათზე! იარონ ამიერიდან თვალდახუჭულებმა და ანგელოზის ნაცვლად ატარონ ჩიყვი და ეშმაკი, ვნახოთ როდემდის გაუძლებენ!

მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით გულის მოფხანით. საჭიროა კვალდაკვალ გავყვეთ ურწმუნოებით შეპყრობილებს და დავრდომილებს და ზოგი რამ კიდევ გავახსენოთ — თუნდაც მხოლოდ გაკვრით და ზერელედ. შპენგლერი ფიქრობს, რომ არაბების გენიალობამ შეჰქმნა არაბესკა — ჩუქურთმა, ელლინებისამ — ქანდაკება, ხოლო ევროპისამ — ფუგა. ამ დიდ ადამიანს ერთი რამ არა სცოდნია: ფუგა ევროპიელებზე ადრე ქართულ მუსიკაში მოიძებნებოდა. აქაც დავასწარით ევროპას და შპენგლერს რომ ყური მოეკრა ამ ამბავისთვის, თავის კლასიფიკაციას სხვანაირად ააშენებდა და ფაუსტურ ცივილიზაციას სხვა საფუძველს მოუძებნიდა. ასეა თუ ისე, დიდი შპენგლერი დიდი ევროპის დიდ კულტურას ფუგით ახასიათებს, ეს ფუგა კი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია ჩააქსოვა „მუმლი და მუხასა“ და მრავალ სხვა ხალხურ კილოებში. ამის შემდეგ კიდევ გამოვა ვინმე და იტყვის: მე ღვთის ხელს ვერ ვხედავ ქართველ ხალხშიო!

რაკი მუსიკა გავიხსენეთ, ბარემ კიდევაც გავყვეთ მას. უდაოა, რომ რიტმიკის მხრივ ვერც ერთი ერი ვერ შეედრება ქართულ სიმღერას. მუსიკისა და სიმღერის დიდი მცოდნე პროფ. კონდაკოვი და მრავალი სხვაც — აღტაცებული იყო ჩვენი სიმღერებით ჩვენი ორხმოვანი და სამხმოვანი სიმღერა რომ არავის უთმობს პირველობას კულტურულ დავაში.

უკვე რამდენიმე საუკუნის წინ ჩვენ გვქონდა ჩვენებური ნოტები, რომელნიც ეხლაც წაუკითხავი არიან.

რაღაც ათიოდე წლის წინათ პირველად დაიდგა ქართული ოპერა, დღეს კი ათიოდეც მოგვეპოება. იმავე ხანებში ქართველი მუსიკოსი – მომღერალი, ბახტი, შემსრულებელი — თითებზე დაითვლებოდა, დღეს კი საცაა მარტო ჩვენივე ძალებით დავდგამთ ჩვენებურსა და უცხოელთა ოპერებს. მაგონდება ერთ ამბავი: რუმინეთში მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დასდგეს პირველი რუმინული ოპერა. ეხლა გაიხსენეთ, რომ ეს ქვეყანა თითქმის შუა ევროპაში მდებარეობს, მას ჰყავს ჩვიდმეტი მილიონი მოსახლე და მრავალი ათასი მუსიკოსი, გაიხსენეთ და შეადარეთ ჩვენს ქვეყანას. პასუხი ცხადია: შედარებით — სხვა მეთოდი მსჯელობისა არც არსებობს — შედარებით სხვებთან ამ მხრივაც საჩივლელი არაფერი გვაქვს, ხოლო დასაქადნი ძალიან ბევრი მოგვეპოვება.

რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვყავს კარუზო, პატტი, შალიაპინები, ბეთჰოვენები და ვაგნერები, მაგრამ ასეთი დიდი არტისტები და კომპოზიტორები მთელ ქვეყანაზე ოთხიოდე ერს თუ ჰყავს. ინგლისელებს კი ამ დარგში მცირეხარისხოვანი ხელოვანიც არა ჰყავს. სამაგიეროდ მათ შემოქმედების სხვა დარგებში გამოჩინეს თავიანთი გენიალობა.

ქანდაკება არასოდეს ყოფილა ჩვენში განვითარებული. ამჟამად კი ხუთიოდე კარგი მოქანდაკე გვყავს და ახლებიც იზრდებიან, მოდიან, მოაბიჯებენ. სამაგიეროდ, ერთ დროს უმაღლეს საფეხურს მიაღწია ქანდაკების მონათესავე დარგმა — ჩუქურთმამ და ბარელიეფმა. საფარის ბარელიეფებმა დიუბუა დე მონპერე, კონდაკოვი და სხვებიც გააოცეს და აღაფრთოვანეს. მერე ვინ იცის, რამდენი მისი მსგავსი დაიკარგა და დაინგრა! არქეოლოგმა უვაროვამ ალებასტრის კანკელი მოარღვია და ყუთებით წაიღო, ხოლო სპარსელები, ოსმალები, მონგოლები და ლეკებიც ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, სამკაულებსა და თვალ-მარგალიტს პარკებით, აქლემებით, ურმებით და ფურგონებით ეზიდებოდნენ და საუკუნეთა განმავლობაში თითქმის დააცალიერეს საქართველო შესანიშნავ ორნამენტალურ ხელოვნებისაგან. ხელთ შეგვრჩა მხოლოდ ტაძრების ნანგრევები, ჩუქურთმიანი ქვები და ეკზარხოსების მიერ შეგლესილი ფრესკები. ხოლო მინანქრობის, ოქრომჭედლობის და მინიატურების საუკეთესო ნაწილი დაიკარგა, განიავდა.

ზოგი რამე მაინც შეგვრჩა. და ეს ზოგიც საკმარისია, რომ წელში გავსწორდეთ და მტკიცედ შევხედოთ თვალებში ჩვენს შორეულსა და მახლობელ მეზობლებს.

„ქართული ხელოვნების მხატვრული ნაწარმოები შესანიშნავი ტეხნიკით არის შესრულებული“. — სწერს კონდაკოვი — „ორნამენტი აქ განსაკუთრებულად იფურჩქნება და ბრწყინავს ხელოვნებით... ნაკეთობის მეტს სრულყოფას ვერ შეხვდებით თვით ბიზანტიაშიც კი“.

ასეთი ამონაწერებით მთელი წიგნის გავსება შემეძლო, მაგრამ ესეც კმარა. ქანდაკების დარგში არა გვეყოლია მირონი, სკოპასი, პრაკსიტელი და მიქელ ანჯელო, მაგრამ ასეთი გოლიათები არც სხვებს ჰყოლიათ. სამაგიეროდ ჩვენი ორნამენტი, მინანქარი და ფრესკა არავის დაუვარდება — არც ბიზანტიას, არც იტალიას, სადაც უმაღლესობამდე განვითარდა ეს დარგები ხელოვნების.

ჩვენი ფრესკა უკვე განთქმულია მცოდნეთა შორის. მაგრამ დღეს თუ ხვალ ისინიც გაოცდებიან, როცა გადაშლიან უბისის პატარა ეკლესიის მხატვრობის ალბომს და დაინახავენ ვინმე „ცოდვილ დამიანეს“ გენიალობას.

მხატვრობაც უმთავრესად საეკლესიო გვქონდა. საერო კაცების პორტრეტებიც მონასტრების კედლებზე იხატებოდა. განყვეტილი ძაფი ძლივძლივობით გადაება წარსულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნის მიწურულში. დღეს კი ოციოდე ძალიან კარგი მოქანდაკე და მხატვარი გვყავს, ხოლო ზოგიერთები ისე დაწინაურდნენ, რომ მათი შემოქმედების შესახებ მონოგრაფიები იწერება რუსეთსა და საფრანგეთში, ამ ფაქტსაც უდიდესი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „შინაურ მღვდელს" შენდობა არა აქვს. და ამ ბრძნულ ანდაზასაც ჩვენში ასჯერ უფრო მეტი ძალა ჰქონდა და ახლაც აქვს, ვიდრე გვგონია. რიდი, მორცხვობა, ურწმუნოება საკუთარი ძალების — ასეთია ბუნებრივი ფსიხიკა პატარა ხალხის და ამ კანონს ვერც ჩვენ წაუვალთ, ამიტომ საკუთარის დამცირებაც მე, ასე ვთქვათ, ბუნებრივ მოვლენად მიმაჩნია. მეტად ღრმა და ზოგჯერ უძლეველი მიზეზები აქვს ამ მომღუნავ სენს, ამიტომ მისი განკურნებაც საუკუნოების მანძილზე შეიძლება.

ვუბრუნდები წარსულს. ჩვენი ხელოვნების ერთმა დარგმაც — ხუროთმოძღვრებამაც — უმაღლეს საფეხურს მიაღწია. სრასასახლეები დაინგრნენ. იქნება ვატიკანი, ესკურიალი და პერსეპოლისი არცა გვქონია. სამაგიეროდ დარჩნენ ციკლოპიური მანგლისი, უფლისციხე, ვარძია და დიდი ტაძრები მცხეთის, ბანასი, გელათის, ოშკისა და მრავალი მათი მსგავსისა და ტოლის. მათს აღწერილობას ნახავთ ხელოვნების ისტორიებში, ასეულ ტომებში და დიდ ლექსიკონებშიც.

ყოვლად უდავოა, რომ ქართველის გენიალობამ ამ დარგშიც შეჰქმნა საკუთარი სტილი. ჩვენში ნახავთ ბაზილიკას, მრგვალსაც, ჯვარსაც და მათს თავისებურად შეერთება-შეხამებასაც. ქართული გუმბათი თავისებურია, უნიკუმია. ხელოვნების ისტორიკოსი ვერ ასცდა ჩვენს ხუროთმოძღვრებას, ხოლო გერმანელმა მეცნიერმა კოხმა სთქვა და დასწერა: აღმოსავლეთში ორი უდიდესი ნაშთია არქიტექტურის — აია სოფიო და ბანას ტაძარიო.

აია-სოფიოს ათიათასობით უძღვნეს ხოტბა, რადგანიგი ქვეყნის გზაჯვარედინზეაგამოჭიმული, ბანას სანახავად წასვლა კი დღესაც საგმირო მგზავრობად არის მიჩნეული. სპეციალისტებმა კი იციან, რომ სადაც კი გამოიფინება ბერძნული პართენონი, ეგვიპტური პირამიდა ან კარნაკის ტაძარი, ინდური პაგოდა ან სუზის სასახლე, არაბული ალაჰამბრა ან სპარსული მიზგითი — ქართული ბანა და ვარძიაც გვერდით ამოუდგებიან და შინარწმენით იტყვიან: ჩვენც აქ გახლავართ!

მაგრამ რას იზამ! — ასეთია ბედი ისტორიულად დაჩაგრული ხალხის. ქართველი კაცი ათობით და ასობით ჩამოგითვლით უცხოელ გენიოსებს, ხოლო საკუთარს — დიდ მწერალთა სახელების გარდა, ვერაფერს გეტყვით. ის არ იცნობს „ცოდვილ დამიანეს და ბასილ ხურციძეს, არ გაუგონია ბეშქენ და ბექა ოპიზარები, ყურიც არ მოუკრავს არსენ ტფილელის სახელისათვის, ხოლო ხანძთელი, პეტრიწონელი და მათი ტოლი კულტურული მოღვაწენი რაღაც მითიურ და ბუნდოვან ლანდებად მიაჩნია.

არის კულტურის ერთი დარგი, რომელიც მუდამ მძლავრად სჩქეფდა — მეტყველებდა, ლიტერატურა. მისი და ხელოვნების დარგები ყოველთვის სხვადასხვანაირი სიმძლავრით ვითარდებოდნენ სხვა და სხვა ხალხებში. ინგლისს უუმდიდრეს ლიტერატურის გარდა თითქმის ვერაფერი შეუქმნია. რუსებმა სახელი მოიხვეჭეს უმთავრესად ლიტერატურით და მუსიკით. გერმანელებმა — მუსიკით, ფილოსოფიით და შედარებით სუსტი ლიტერატურით. იტალიელებმა იმძლავრეს მხატვრობით, ქანდაკებით, ხუროთმოძღვრებით, ხოლო ლიტერატურაში მოგვცეს მარტო დანტე და პეტრარკა. მარტო ბერძნებმა მოგვცეს ლიტერატურისა და ხელოვნების თიქმის ყველა დარგების დიდებული ნიმუშები. თავს ვანებებ აღმოსავლეთს.

ჩვენშიც უმთავრესად განვითარდა ლიტერატურა. დანარჩენზე უკვე მოგახსენეთ.

ქართული ალფაბეტი და ორთოგრაფია უკიდურესობამდე მარტივია, მკაფიო და ნათელი. და სწორედ ამ მარტივობაშია მისი გენიალობაც. იშვიათად შეხვდებით ასეთს ადვილ მართლწერას. როგორც ვლაპარაკობთ, ისევე ვწერთ, და როგორც იწერება, ისევე გამოითქმის.

დღევანდელი გერმანელი, და ბევრი სხვაც, უცხო ენასავით სწავლობს მე-16 საუკუნის დედა ენას, ჩვენ კი ადვილად გვესმის თუნდაც მეხუთე საუკუნის ნაწერი. იაკობ ხუცესის თხზულებას დღევანდელ ქართველისთვის მხოლოდ ოციოდე სიტყვა აქვს განმარტებული. ზემოხსენებული მარტივობა ორთოგრაფიის, თითქმის ერთიგივეობა ხალხური და ლიტერატურული ენის — აი მან დაამკვიდრა უმჭიდროესი და უხანგრძლივესი სულიერი კავშირი მოწინავეთა და უკანათა შორის და ერთხელ კიდევ ნათელჰყო ჩვენი ხასიათი და გენიალობა.

1927, 26 თებერვალი



ირაკლი კოსტავა

ტკივილის ანომალია

„სიყვარულის ჭეშმარიტი განცდა მხოლოდ უკვდავი სულის თვისებაა...“ წერდა ანგარსკის ციხეში მყოფი დიდი მერაბ კოსტავა 1984 წლის გაზაფხულზე. აქ კი მის ვაჟიშვილს, ირაკლი კოსტავას, თითქოს უხილავი იმპულსები გადაეცემოდა, პოეტური ცახცახით ათქმევინებდა განგება: „ყველა კედელზე დაიხატება — მე შენ მიყვარხარ“... ირაკლი კოსტავას რაინდული პოეზია სწორედ ჭეშმარიტ სიყვარულზეა აღმოცენებული და ეპოქის ავბედობითაანასაზრდოები. მისი ლექსები თუ მოთხრობები პროტესტის თვითგამოხატვის ფორმაცაა და საშუალებაც, რამეთუ „აბსურდის სიზუსტით გადიან დღეები“. პარალელს თუ გავავლებთ 80-იანი წლების საქართველოსთან, ირაკლი კოსტავას თაობა სამშობლოსათვის გულანთებულ მეციხოვნეთა თაობა იყო და არა ცვედანთა და „ცისფერთა“. არადა, თითქოს თბილისის (თუ საქართველოს) დღევანდელობას (ფსევდო-ბედნიერებას) ხატავს ოცდაორი წლის წინ პოეტი: „მკვდარი ქალაქი დაჩოქილი, მიუსაფარი, სიცოცხლე ორად გაპობილი...“ ანდა, დღეს, როცა უხეშმა და უგემოვნო „მუსიკამ“ წალეკა ჭეშმარიტი ჰანგი და სიმღერა, როგორ უცნაურად ბედისწერული და მწუხარეა ირაკლი კოსტავას კვნესა: „უხეშ თითებზე დაღვრილი დარდი, დიდი უკუნის მოახლოება“ („ვლადიმერ ვისოცკის“).

ცალკე აღსანიშნავია, ირაკლი კოსტავას ღრმად ფილოსოფიური, არაორდინარული, მედიტაციური ხატსახეებით სავსე პროზა. იგი თავისი თაობის „მკერდშებოლილი მერცხალია“. მისი პროზაული ნაწარმოებები უცნაური შედევრებია („ნიკიფორე“, „სტუმარი“, „ხელები...“) ტრაგიკული ბედის ახალგაზრდა შემოქმედისა, რომლისთვისაც „მზე ჩავიდა“ და მხოლოდ სახსოვრადღა დაუტოვა მწუხარე დედას „ჩემი ტკივილი, გარითმული ტვირთი თაობის...“ ჩვენ კი „მოვალეობა, სამუდამოდ მიძინებული, ვითარც სიკვდილი მოწამებრივი“ მამა-შვილისა.

ვაჟა ოთარაშვილი

თანატოსი

(ეძღვნება მამას)

შავჩოხიანი შეისვენებს
მგზავრობის შუა,
წამოიძინებს, ამის დრო თუა.
გზას გაუდგება
ლეგა ცხენზე ამხედრებული,
არ შეაშინებს
დაბრკოლება გზად ხვედრებული.
ზუსტად რომ დროზე, არც ადრე
და არცა გვიან,
ვილაც მესამე, ნაპირს პოულობს,
ვენას იხლიჩავს ალესილი სამართებლით,
სიკვდილს თხოულობს.
შავჩოხიანი შეისვენებს
მგზავრობის შუა,
წამოიძინებს, ამის დრო თუა.

* * *

სახსოვრად დედას

ჩემი ტკივილი,
გარითმული ტვირთი თაობის,
გამოეფინა ვარდისფერ ქუჩებს,
აუწონელი, ვით სიმძიმე არარაობის,
სულის სიღრმეშიც გასხიპავს ბუჩქებს.
სიწმინდის ბუჩქებს,
ათასწლობით ნალოლიავებს,
დიდ სიამაყეს ადამის ძისა,
მთვარის სხივებში
რუდუნებით ნაგორიალებს,
უხსოვარ დროში ნაბოძებს ღვთისგან,
გაატანს ფოთლებს
დიდ ქარაშოტს უკუნეთიდან.
თეთრი ქალები გაიელვებენ შავი კაბებით,
ვით მერცხლები შორი ქვეყნიდან,
კამკამა ნამში დაისვენებენ.
მორბის სიგიჟე,
დიდთავა დევების მთავარი —

პატარაობიდან გადმონაყოლი.
გამოფხიზლება
და შავი აჩრდილის სალამი,
ზღაპარი, გრძნეულის მონაყოლი.
მოსამძიმრება,
ყალბი და მშვიდად მიღებული —
ეს ამბავია ჩვეულებრივი.
მოვალეობა, სამუდამოდ მიძინებული,
ვითარც სიკვდილი მოწამებრივი.
მიტოვებული ასპარეზი სანახაობის...
აღარც კი ძალუძთ სიტყვის თქმა ტუჩებს...
ჩემი ტკივილი,
გარითმული ტვირთი თაობის,
გადმოეფინა ვარდისფერ ქუჩებს.

ნიკიფორე

„და წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანი
და ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად, და შეგემთხვიოს
თქუენ კაცი, რომელსა ლაგვინითა წყალი
ზე ედგა და შეუდექით მას, ვიდრეცა შევიდეს.“
მარკოზი

ანდრო ხატავდა. თეთრი ხალათი ჩაეცვა, უფრო სწორად, თეთრი მხოლოდ ალაგ-ალაგ იყო, მუქი ფერები ჭარბობდა. შუბლზე ვარდისფერი ზოლი. საშინლად გაბრაზებული იყო. დედის პორტრეტს ხატავდა და არაფერი გამოსდიოდა. ქუჩიდან მთვრალი კაცების სიმღერა ისმოდა.

რამდენჯერმე გამოცვალა ფოტოსურათი, ბოლოს ისევ ის დატოვა, საფლავზე რომ იყო. ტილოზე დახატულ სახეს ჯვარედინად ხაზები გადაუსვა და ფუნჯი კედელს ესროლა. კედელს შავი ლაქა დააჩნდა.

ზარი დაირეკა. ანდროს გვიანი სტუმრობა არ გაკვირვებია, მაგრამ მარტო უნდოდა ყოფნა და გადაწყვიტა, კარი არ გაეღო. ზარი ისევ დაირეკა, ისევ და ისევ. ბოლოს და ბოლოს გააღო, რადგან სტუმარი წასვლას არ აპირებდა. კარებში ოციოდე წლის გამხდარი, ფართოსათვალეებიანი ბიჭი იდგა.

— გამარჯობა, — თქვა მან.

— გაგიმარჯოს, ვინ გნებავთ? — ჰკითხა ანდრომ.

— თქვენ ანდრო ბრძანდებით?

— დიახ.

— იცით რა, მე ნიკიფორე გახლავართ, დედათქვენის მამიდაშვილის — ერასტეს შვილი.

— მობრძანდით.

ნიკიფორე შემოვიდა, ოთახი მიათვალ-მოათვალიერა და მზერა დაუმთავრებელ ნახატზე შეაჩერა.

— ეკა მამიდას ხატავთ?

— შენ რა, ნანახი გყავს?

— ნუციკო ბებიას დასაფლავებაზე ჩამოვიდა სოფელში და მაშინ ვნახე. დედა და მამა რომ ჩამოვიდნენ აქ, თქვენ რომ ის უბედურება შეგემთხვათ, მაშინ მე ჯარში ვიყავი.

ანდრომ ახლაღა შეამჩნია, რომ ნიკიფორეს სამხედრო ფორმა ეცვა.

— რა, ახლა ჩამოხვედი ჯარიდან?

— ხო, აღარაფერი აღარ მიდის ჩემი სოფლისკენ და სადგურზე ღამის გათევას აქ მოსვლა ვამჯობინე, ძალიან თუ არ შეგაწუხებ.

— პირიქით, პირიქით, ძალიან კარგი ჰქენი, აქ რომ მოხვედი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაგვეცნო ნათესავებს ერთმანეთი?!

— ჰო, მე ძალიან მიყვარდა ეკა მამიდა, ერთხელ მყავდა ნანახი, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარდა.

ანდრომ ჩაი დაადგა და სუფრა გააწყო. საიდანღაც დიდი მათარით ჭაჭის არაყიც ამოიღო. ის იყო თითო ჭიქა დალიეს, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ანდრომ კარი გააღო. კარებში თათია იდგა. არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მოდი, ჩემთან ჩემი სოფლელი ნათესავია, ნიკიფორე, — შეიპატიჟა გოგონა. შემდეგ სამივემ საკმაოდ მხიარულად გამოცალეს ის მათარა. ყველაზე მეტად თათია დათვრა. მოსული გოგონა იყო, გამოკვეთილი ფორმებით და სიმპათიური სახით. სასმელისაგან თვალები აუციმციმდა. წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, კარი მიიკეტა, მაგრამ ფარდაში მაინც გამოჩნდა, როგორ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. მერე წამოდგა, შუქი ჩააქრო და ისევ დაწვა.

— საცოლეა შენი? — ჰკითხა ნიკიფორემ ანდროს.

— არა.

— აბა, ვინ არის?

— ისე...

— როგორ ისე?

— რა, მოგწონს?

— კარგი გოგონაა.

— თუ გინდა, შედი.

— როგორ, მე შევიდე? ის ხომ შენ გელოდება?!

— კაცო, შენ თუ გინდა, შედი.

— არა, არა, არ მინდა, — ნიკიფორეს ხმაში წყენა შეეტყო.

— ჰო, კარგი, კარგი, მე თვითონ შევალ, — ჩაიღიმა ანდრომ, — შენ აქ გაგიშლი, ტახტზე.

ანდრომ დილით საშინელ ხასიათზე გაიღვიძა, მხრებზე დაწოლილი ქალი მოიცილა, წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. ტახტი ცარიელი იყო. ალბათ ტუალეტშიაო, იფიქრა. მაგრამ იქაც არ დაუხვდა ნიკიფორე. მერე ისევ ოთახში დაბრუნდა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ აღარც დედამისის დაუმთავრებელი პორტრეტი იყო ადგილზე. ხოლო იმ ტახტის თავზე, სადაც ნიკიფორეს ეძინა, ორი ჯვარედინი ხაზი იყო გადასმული.

ტიციან ტაბიძე თავის ქალიშვილთან — ნიტასთან ერთად

ტიციან ტაბიძის ერთადერთი ასულის ნიტა ტაბიძის გარდაცვალებამ საქართველოს კიდევ ერთხელ შეახსენა მისი დიდი მამის დაღუპვის ტკივილი, დიქტატორული რეჟიმის სისხლიანი 1937 წელი... ქართველ შემოქმედთა, გადასახლება-დახვრეტები... ქართული კულტურის და სულიერების ამომშანთავი ლოზუნგები, „ხალხის მტრებად" მონათლულ ხელოვანთა ბედი... 37-დან დღემდე კი 70 წელი გასულა. რა პატარაა და რა უსასრულო ჟამი... ამიერიდან მამა-შვილის საფლავი ერთი იქნება საქართველოსთვის, ჩვენ ხომ ტიციანის საფლავი დღესაც არ ვიცით სად არის.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით:

3 თვით 9ლ.
6 თვით 18ლ.
1 წლით 36ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს" პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების" წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

დავით გუგუშვილი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ბერძენიშვილი ქეთევან წამებული

დავით აღმაშენებელი



მედეა

დავით გურამიშვილი

627/10

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გაივლის დრო და...
თაობები შეიცვლებიან,
დაილექება დასალექი
ოქრო და რკინა...
ა, იმ ქედებზე
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
და ბერ თევდორეს
ხავსმოდებულ საყდარში სძინავს...
გადაწინწკლულან ყაყაჩოთი
ქართლის ველები,
თურქთა ჯარივით ჩამომდგარა
თრიალეთს სიცხე,
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს
წყალზე ცხენები,
გააგელვებენ, მერე რაშებს
რკონისკენ ფიცხელ...
ა, იმ ქედებზე,
პაპიჩემის პაპის ძვლებია,
ქარმა ნისლები
საფლავებთან მიაფარფატა...
გაივლის დრო და...
ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,
კაცმა არ იცის,
ვინ იქნება მათში პაატა...

ვაჟა ოთარაშვილი

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3189